საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

წლიური ანგარიში

2013

თბილისი
2014

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის ანგარიშში ასახულია აკადემიისა და მისი წევრების სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა.

ანგარიში მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურმა აკადემიის წევრების, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, აკადემიის სტრუქტურული ერთეულების, სამეცნიერო კომისიებისა და რედაქციების, აკადემიის ადმინისტრაციული აპარატის სამსახურების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

შესავალი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საანგარიშო – 2013 წელს თანამიმდევრულად ახორციელებდა იმ მიზნებსა და ამოცანებს, რაც მის წინაშე სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო დონეზე არის განსაზღვრული. ეს არის ქვეყნის მეცნიერული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა მსოფლიოს მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად, ქართული მეცნიერების მიღწევათა წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე, ეროვნული მეცნიერების განვითარების პროგნოზირება, დაგეგმვა და პროგრამული უზრუნველყოფა შიდა და გლობალური პროცესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. განსაკუთრებულია მისი როლი, როგორც ხელისუფლების ძირითადი სამეცნიერო მრჩევლისა და დღეისათვის სხვადასხვა დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შედეგების ექსპერტისა და შემფასებლისა, რამდენადაც ეს შეფასება არის არა მხოლოდ გასული ერთი წლის საქმიანობის შეჯამება, არამედ ახალი ტენდენციების ანალიზი და შემდგომი – მოსალოდნელი თუ აუცილებელი – პროცესების პროგნოზირება.

გასული წელი საკმაოდ დინამიკური აღმოჩნდა როგორც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების, ისე აკადემიის შიგნით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი განადგურების პირას იქნა მიყვანილი; აკადემიის დაშლის შემდეგ უნივერსიტეტებსა და სხვა უწყებებს შორის დაფანტული ინსტიტუტები, მათი მიზერული დაფინანსებით, არსებითად განვითარების პერსპექტივის გარეშე აღმოჩნდნენ; თითქმის გამოირიცხა სამეცნიერო წარმატების როგორც პრაგმა-

ტული, ისე შემოქმედებითი მოტივაცია და ქვეყნის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების სამშობლოდან გადინების ტენდენცია შეუქცევადი გახდა. ეს ნეგატიური პროცესები იმდენად შორს აღმოჩნდა წასული, რომ დღემდე არ მოიძებნა რაციონალური გზა შექმნილი ვითარებიდან გამოსასვლელად.

ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისა და იმ პრობლემების გათვალისწინებით, რის წინაშეც ქართული მეცნიერების განვითარება აღმოჩნდა უკანასკნელ ათწლეულში, საანგარიშო წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები და აქტივობები შესთავაზა ჩვენს საზოგადოებას. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ეს წელი აკადემიისათვის იყო არჩევნების წელი. აკადემიის წევრთა რიგები შეივსო ახალი ნამდვილი წევრებით, რითაც არა მხოლოდ ამაღლდა მისი სამეცნიერო პოტენციალი, არამედ, რაც მთავარია, აკადემია გამოვიდა ხელოვნურად შექმნილი კრიზისიდან; ამავე დროს, ჩატარდა აკადემიის ხელმძღვანელობისა და აკადემიური საბჭოს წესდებით განსაზღვრული არჩევნები; აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკად. **გიორგი კვესიტაძე,** ვიცე-პრეზიდენტებად აკადემიკოსები **თემურ ნანეიშვილი** და **როინ მეტრეველი,** აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლად აკად. წევრ-კორ. **ავთანდილ არაბული;** არჩევნების გზით შეიქმნა, აგრეთვე, აკადემიური საბჭოს ახალი შემადგენლობა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზოგადი სტატისტიკაც (იხ. ცხრილი 1) და წიგნში წარმოდგენილი დეტალური ანგარიშებიც აჩვენებს, რომ აკადემიის წევრთა სამეცნიერო შედეგები საკმაოდ მაღალია, შეიქმნა ახალი მონოგრაფიები და განხორციელდა სამეცნიერო პროექტები; ასევე მაღალია ცალკეული პუბლიკაციებისა და საკონფერენციო აქტიურობის სტატისტიკა.

ცალკე საკითხია აკადემიის საექსპერტო საქმიანობა, რომლის ანგარიშიც წარმოაჩენს, თუ რაოდენ მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი სამეცნიერო შედეგების შესწავლა უწევთ აკადემიის ექსპერტებს ცალკეული სამეცნიერო სტრუქტურების მუშაობის შესაფასებლად. ამავე დროს, გასულ წელს ამ ექსპერტიზის შედეგების გასაუმჯობესებლად აკადემიამ ანგარიშების წარმოდგენისა და შეფასების წესებსა და ფორმებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, რითაც ექსპერტიზა უფრო ადეკვატურად წარმოაჩენს სამეცნიერო მუშაობის წლიურ შედეგებს.

აღნიშვნის ღირსია რამდენიმე მნიშვნელოვანი წინადადება და ინიციატივა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქვეყნის ხელისუფლებასა და ფართო საზოგადოებას შესთავაზა, სახელდობრ:

აკადემიის საერთო კრებამ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ინიციატივით განიხილა ქვეყნის სამეცნიერო სისტემის შექმნილი კრიზისიდან გამოსვლის გზები და შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს შესთავაზა კოორდინირებული მუშაობის მონახაზი.

მეცნიერებათა აკადემიამ შექმნა სპეციალური კომისია საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტის შესამუშავებლად და აკადემიური საბჭოს დადგენილებით ეს საკანონმდებლო წინადადება განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტს.

აკადემიის სპეციალურმა კომისიამ ასევე მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ კანონის ახალი რედაქცია და კანონპროექტი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელთა წარდგენა მალე მოხდება საქართველოს პარლამენტში.

მეცნიერებათა აკადემიის სახელით მასმედიაში გამოქვეყნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების უახლეს პრობლემებს შეეხებოდა, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი – „ერთად განვსაჯოთ!“ – წარმოადგენდა იმ ურთულესი პრობლემის მეცნიერულ ანალიზს, რომელიც თანამედროვე სასკოლო განათლების მდგომარეობასა და, კერძოდ, ეროვნული ტესტირებული გამოცდების სირთულეებს შეეხება; მეორე ასახავდა ეროვნული მეცნიერების სისტემურ კრიზისს და იძლეოდა შექმნილი მდგომარეობის შეფასებას და ა.შ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინამდებარე ანგარიში უთუოდ შეუქმნის გარკვეულ წარმოდგენას ქართული მეცნიერების დღევანდელი პოტენციალითა და მისი პერსპექტივებით დაინტერესებულ ყველა პირს.

ცხრილი 1

2013 წლის მონაცემები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრთა სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ

№	სამეცნიერო განყოფილების დასახელება	აკადემიის წევრთა რაოდენობა (2014 წ. 1 იანვრისათვის)			გამოცემულ ან გამოსაცემად გადაცემულ შრომათა რაოდენობა			
					წიგნები		სტატიები	
		სულ	აკად.	წევრ-კორ.	სულ	მ.შ.უცხოეთში	სულ	მ.შ.უცხოეთში
1.	მათემატიკისა და ფიზიკის	19	13	6	–	–	43	28
2.	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა	7	3	4	3	–	13	7
3.	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების	13	6	7	2	–	25	8
4.	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების	7	5	2	2	1	32	13
5.	ბიოლოგიურ მეცნიერებათა	12	5	7	3	1	27	11
6.	ფიზიოლოგიისა და მედიცინის	12	9	3	5	1	46	18
7.	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა	6	4	2	2	–	33	11
8.	საზოგადოებრივ მეცნიერებათა	18	12	6	18	2	68	14
9.	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების	13	8	5	4	–	30	2
10.	ჯ ა მ ი	107	65	42	39	5	317	112

№	სახელმძღვანელოები	მიღებული გრანტები		სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა		უნივერსიტეტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო ანგარიშებზე შესრულებული რეცენზიები	მიბოძებული პატენტების რაოდენობა
		სულ	მ.შ.უცხოეთის	სულ	მ.შ.უცხოეთში		
1.	2	11	2	27	14	35	–
2.	–	6	4	19	12	21	–
3.	1	3	2	10	–	19	3
4.	1	4	–	21	16	21	3
5.	2	9	7	25	18	11	–
6.	1	7	4	28	14	17	–
7.	7	3	–	21	6	14	1
8.	2	2	1	33	8	50	–
9.	–	1	–	22	6	28	–
10	16	46	20	206	94	216	7

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება

1. ა) 2013 წლის 1 მაისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების სხდომა. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა სამეცნიერო განყოფილებებში ჩატარებული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) არჩევნების შედეგები. აკადემიას შეემატა 32 აკადემიკოსი (იხ. ცხრილი 2), მ.შ. 24 წევრ-კორესპონდენტების რიგებიდან, 2 ადგილი გაუქმდა.

ცხრილი 2

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
კოკილაშვილი ვახტანგ	მათემატიკა
ჯანელიძე გიორგი	მათემატიკა
ჩაგელიშვილი გიორგი	ფიზიკა
ჯაფარიძე გიორგი	ფიზიკა
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
შენგელია დავით	გეოლოგია
ჭელიძე თამაზ	გეოფიზიკა
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	
ფრანგიშვილი არჩილ	ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული ინჟინერია
მახვილაძე ლევან	სამშენებლო ინჟინერია, მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიები
მეძმარიაშვილი ელგუჯა	სამშენებლო ინჟინერია, მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიები

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
სამსონია შოთა	ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები
ჭანკვეტაძე ბეჟან	ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
ვეკუა აბესალომ	პალეობიოლოგია
მედიცინის განყოფილება	
მანაგაძე ლავრენტი	უროლოგია
შაქარიშვილი რომან	ნევროლოგია
ჯაფარიძე შოთა	ოტორინოლარინგოლოგია
ფიზიოლოგიის განყოფილება	
ნანეიშვილი თემურ	ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია
მითაგვარია ნოდარ	ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია
მიქელაძე დავით	ნეიროფიზიოლოგია
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
ნასყიდაშვილი პეტრე	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექცია, გენეტიკა და მეთესლეობა
ურუშაძე თენგიზ	ნიადაგმცოდნეობა, მეტყევეობა
კორახაშვილი ავთან-დილ	აგროტექნოლოგია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
ხაზარაძე ნანა	ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია
პაპავა ვლადიმერ	გამოყენებითი ეკონომიკა
სილაგაძე ავთანდილ	ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია
ხეცურიანი ჯონი	სამართალმცოდნეობა

ალექსიძე ზაზა	ქართულ-სომხურ-ალბანური ისტორია და ფილოლოგია
ბრეგვაძე ბაჩანა	ფილოსოფიის ისტორია
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
შანიძე მზექალა	ქართული ენა
კვარაცხელია გუჩა	ენათმეცნიერება
ჯაველიძე ელიზბარ	აღმოსავლეთმცოდნეობა
ხინთიბიძე ელგუჯა	ქართული ლიტერატურის ისტორია
გორდეზიანი რისმაგ	კლასიკური ფილოლოგია

ბ) საერთო კრებამ აკადემიის უცხოელ წევრად აირჩია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა ნამდვილი წევრი **სერგეი პავლეს ძე მირონოვი.**

გ) კრებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსებად დაამტკიცა მწერალი **ჭაბუა ამირეჯიბი** (ბერი დავითი) და მოქანდაკე **მერაბ ბერძენიშვილი.**

2. 19 ივნისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, რომელმაც აკადემიის პრეზიდენტად აირჩია აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე.**

3. 26 ივნისის საერთო კრებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე აირჩია აკადემიკოსი **თემურ ნანეიშვილი.**

4. 3 ივლისს გამართულ საერთო კრებაზე:

ა) დამტკიცდა აკადემიის სტრუქტურა: ფიზიოლოგიის განყოფილებისა და მედიცინის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა **ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება** და სამეცნიერო განყოფილებათა რაოდენობა

განისაზღვრა 9 განყოფილებით, ნაცვლად ადრე არსებული 10-ისა.

1. მათემატიკისა და ფიზიკის;
2. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა;
3. გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების;
4. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების;
5. ბიოლოგიურ მეცნიერებათა;
6. ფიზიოლოგიისა და მედიცინის;
7. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა;
8. საზოგადოებრივ მეცნიერებათა;
9. ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების.

ბ) 2013 წელს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიები მიენიჭათ:

1. **გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია** – ავტორთა ჯგუფს: აკად. წევრ-კორ. გიორგი თავაძეს, ტექნ. მეცნ. დოქტ. გიორგი ონიაშვილს, ტექნ. მეცნ. კანდ. ზურაბ ასლამაზაშვილსა და ტექნ. მეცნ. კანდ. გარეგინ ზახაროვს ნაშრომთა ციკლისათვის „ტიტანალუმინის ერთფაზიანი ნანოსტრუქტურული მასალების სინთეზის ტექნოლოგია“ (2008-2012 წწ.).
2. **რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია** – ავტორთა ჯგუფს: ტექნ. მეცნ. დოქტ. გიორგი აგლაძეს (გარდაცვალების შემდეგ), საინჟ. მეცნ. აკად. დოქტ. პაატა ნიკოლეიშვილს, საინჟ. მეცნ. აკად. დოქტ. გიორგი გორელიშვილს, ქიმ. მეცნ. კანდ. გიგლა წურწუმიასა და ტექნ. მეცნ. კანდ. ვალენტინა კვესელავას ნაშრომთა ციკლისათვის „ელექტროქიმიურ სისტემებში წყალბადის პეროქსიდის გენერაციის ტექნოლოგიის საფუძვლების დამუშავება მდგრადი ორგანული მინარევებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით“ (2008-2012 წწ.).

3. **გიორგი წერეთლის სახელობის პრემია** – ფილოლ. მეცნ. დოქტ., თსუ-ის ასოც. პროფ. ნინო ეჯიბაძეს ნაშრომთა ციკლისათვის არაბული ენის ეგვიპტური დიალექტის შესახებ: „ზარის რიტუალი ეგვიპტეში“ (2012 წ.), „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკა, I, ფონეტიკა, მორფოლოგია, მორფოფონეტიკა“ (2010 წ.), „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკა, II, სინტაქსი“ (2012 წ.), „ეგვიპტის არაბული მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ასპექტი“ (2012 წ.).
4. **არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია** – ფილოლ. მეცნ. დოქტ., პროფ. გიორგი გოგოლაშვილს ნაშრომთა ციკლისათვის: „ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა, 2009 წ.)“, „ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები, 2010 წ.)“, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა, 2011 წ., თანაავტორობით)“.
5. **დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემია** – ფსიქ. მეცნ. დოქტ. მარინა ბალიაშვილს ნაშრომისათვის „პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (2012 წ.).
6. **სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია** – აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს ნაშრომისათვის „აფხაზები და აფხაზეთი“ (2012 წ.).
7. **ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია** – აკად. გიორგი ჯაფარიძეს ნაშრომთა ციკლისათვის „მეტალი-იზოლატორი – გადასვლები კვანტურ მავთულებში ძლიერი სპინ-ორბიტალური ურთიერთქმედებით“ (2009-2011 წწ.).
8. **ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია** – აკად. აბესალომ ვეკუას და აკად. წევრ-კორ. დავით ლორთქიფანიძეს ნაშრომისათვის „დმანისელი ჰომინიდები“ (2011 წ.).
9. **ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია** – გეოგრ. მეცნ. კანდ. იოსებ სალუქვაძეს ნაშრომთა ციკლი-

სათვის „სოციალური დაგეგმარებითი ცვლილებები პოსტსაბჭოთა თბილისში“.

10. **ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემია** – მედიც. მეცნ. დოქტ., პროფ. რამაზ შენგელიას ნაშრომთა ციკლისათვის: „მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია“ (წიგნი პირველი: ძველი აღმოსავლეთი, 2009 წ.); „Caucasian Longevity and Georgian Traditional Medicine“ (2010 წ.); „ბიოსამედიცინო ეთიკა“ (2011 წ.); „მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია“ (I-II წიგნი: ძველი აღმოსავლეთი; დასავლეთის სამედიცინო ტრადიციები, 2012 წ.).

5. 30 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ:

ა) მოიწონა აკადემიის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროექტით გათვალისწინებული იყო ბიუჯეტის 671000 ლარით გაზრდა, რაც 2014 წლისთვის შეადგენდა 4281000 ლარს.

ბ) საერთო კრებამ აკადემიის უცხოელ წევრებად დაამტკიცა შემდეგი კანდიდატურები: შვედეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ვლადიმერ მაზია,** სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **სერგო ამბარცუმიანი,** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ანატოლი მიხაილოვსკი,** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **მამედ ჯავადის ძე ალიევი,** მექსიკის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი წევრი **ავთანდილ გოგიჩაიშვილი,** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **სერგეი კორიკოვსკი,** აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **აბელ მამედ-ოღლი მაგერამოვი.**

გ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე აირჩია აკად. რ. მეტრეველი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ მიიღო მისალოცი წერილი გ. მარგველაშვილისადმი საქართველოს პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ **გიორგი მარგველაშვილს**

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის არჩევნებში ღირსეულ გამარჯვებას!

გისურვებთ დიდად წარმატებულ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ, იმ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საფუძვლების შესაქმნელად, რაც უმნიშვნელოვანესი პირობაა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და თავისუფალი საზოგადოების ფორმირებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის საერთო კრება
2013 წლის 30 ოქტომბერი

6. 12 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზეიმო საერთო კრება, მიძღვნილი მეცნიერების საერთაშორისო დღისადმი. საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2012 წლის მუშაობის ანგარიში (მომხს. აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკად. წევრ-კორ. ა. არაბული). კრებამ ერთხმად დაამტკიცა მუშაობის ანგარიში.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. კვესიტაძემ გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების

ლაურეატებს (იხ. გვ. 9-11) გადასცა საპატიო დიპლომები.

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ პროფ. რ. ჩიქოვანმა საზოგადოების პრემია და მედალი გადასცა 2013 წელს საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ პირებს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ა. ლაშხს, სრულ პროფესორს დ. ბურჭულაძეს, ასოცირებულ პროფესორს ლ. ბერიძეს და აკადემიურ დოქტორს რ. გოგიბერიძეს საქართველოში მათემატიკური ცოდნის განვითარების ისტორიის ამსახველი წიგნებისათვის: 1) „ქრონიკები მათემატიკური განათლების ისტორიიდან საქართველოში“, 2) „მათემატიკური განათლება საქართველოში 1801-1950 წწ.“, 3) „ვეფხისტყაოსანი“ – შეხვედრები გ. ჭოღოშვილთან“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო

2013 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობა მიმართული იყო აკადემიის ახალი წევრების არჩევისა და აკადემიის ახალი ხელმძღვანელობისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებისაკენ.

30 იანვარს აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება აკადემიის ნამდვილი წევრების – აკადემიკოსების არჩევნების შესახებ და განსაზღვრა ვაკანსიები სპეციალობების მიხედვით, სულ 34 ვაკანსია.

2013 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურმა საბჭომ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილებები ქვეყნისათვის აქტუალურ პრობლემებზე:

1. მოისმინა ატომური ენერგიის პრობლემათა კომისიის თავმჯდომარის, აკად. გ. ჯაფარიძის ინფორმაცია კომისიის მიერ ჩატარებული სამეცნიერო სესიის – „მედიცინაში რადიაციული დაცვის აქტუალური საკითხები, თანამედროვე გამოწვევები, შესაძლებლობები, განვითარების პერსპექტივები“ შესახებ. სესიაზე განხილულ იქნა საქართველოში მოსახლეობის სამედიცინო-რადიოლოგიურ პროცედურებთან დაკავშირებული დასხივების საკითხი. წარმოდგენილ იქნა სათანადო რეკომენდაციები.

2. ატომური ენერგიის პრობლემების კომისიამ და ენერგეტიკის პრობლემების საკოორდინაციო საბჭომ ჩაატარეს ერთობლივი სამეცნიერო სესია – „შავი ზღვის გოგირდწყალბადის ენერგოპოტენციალის გამოყენების პერსპექტივები“ და სათანადო რეკომენდაციები წარუდგინეს აკადემიურ საბჭოს, რომელმაც პრობლემის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩათვალა სახელმწიფო პროგრამის შემუშავება.

3. განიხილა საკითხი კომპანია „Trans Eleqtrika LTD“-ს მიერ ხუდონჰესის პროექტირებისა და მშენებლობის შესახებ. მიღებულ იქნა დადგენილება, რომ წამოჭრილი პრობლემების, შენიშვნებისა და წინადადებების ირგვლივ მსჯელობა გაგრძელდეს აკადემიის დარგობრივ კომისიებში.

აკადემიურმა საბჭომ მოიწონა კანონპროექტი „საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ“ და გადასცა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს განსახილველად.

მომზადდა პროექტი „საქართველოს მეცნიერების ძირითადი მიმართულებები (2013-2017 წწ.)“ და განსახილველად გადაეცა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს, აკადემიური საბჭოს წევრებსა და მრჩევლებს.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2012 წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება. 116 ექსპერტის მიერ შეფასდა ქვეყნის 7 სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მათთან შეერთებული 32 სამეცნიერო-კვლევითი და დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულების 216 სამეცნიერო ანგარიში, მათ შორის, დადებითად – 206, უარყოფითად – 3. წარმოდგენილი ანგარიშის არასრულყოფილების გამო, არ შეფასდა 7 ანგარიში (იხ. დანართი). საექსპერტო დასკვნები და აკადემიური საბჭოს დადგენილებები გაეგზავნა სამეცნიერო ანგარიშების წარმომდგენ დაწესებულებებს, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

22 მარტს აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება სამეცნიერო-პოპულარულ სტატიათა კრებულის, სახელწოდებით „მეცნიერება და კულტურა“ (რედაქტორები აკადემიკოსები ჯ. ლომინაძე და თ. ურუშაძე) 2 ტომად გამოცემის შესახებ.

12 ივლისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს პირველი სხდომა.

დამტკიცდა გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიების დებულება და 2013 წლის აკადემიური სახელობითი პრემიების ნუსხა.

აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკად. წევრ-კორ. კონსტანტინე ფიცხელაურის ინფორმაცია საქართველოს პალეოეკოლოგიური სისტემისა და საზოგადოების განვითარების პროცესის ურთიერთკავშირის შესახებ (კახეთის მაგალითზე). აღინიშნა პრობლემის გადაწყვეტის დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

სახელი შეეცვალა გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებას და ეწოდა გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება.

აკადემიური საბჭოს დადგენილებით აკადემიის პრეზიდენტის მოადგილედ დაინიშნა პროფესორი იოსებ ბაჩიაშვილი.

აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სამეცნიერო მოხსენებები:

1) „საქართველოს გენოფონდის შესწავლის შესახებ“ (მომხს. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფ. რამაზ შენგელია). საკითხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოწონებულ იქნა მოსაზრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში კომპეტენტურ და ავტორიტეტულ მეცნიერთაგან დაკომპლექტებული კომისიის შექმნის შესახებ.

2) „კავკასიის ღნმ-ის გენეალოგია“ (მომხს. ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი ანატოლი კლიოსოვი).

3) „ქართული ჰემატრია“ (მომხს. პროფესორი ალიკო ცინცაძე).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გადაეცა საერთო კრებას.

დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს დებულება და ახალი შემადგენლობა:

1. აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე (თავმჯდომარე);
2. აკადემიკოსი როინ მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე);
3. აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი;
4. აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე;

5. აკად. წევრ-კორ. ავთანდილ არაბული;
6. აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე;
7. აკადემიკოსი გიორგი ჯაფარიძე;
8. აკადემიკოსი ავთანდილ კორახაშვილი;
9. აკადემიკოსი ნოდარ მითაგვარია;
10. იურიდ. მეცნ. დოქტ. იოსებ ბაჩიაშვილი.

დამტკიცდა საექსპერტო კომისიები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობით აკადემიურ პრემიებზე წარმოდგენილი ნაშრომების შესაფასებლად.

აკადემიურმა საბჭომ აკადემიის საერთო კრებას დასამტკიცებლად გადასცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2012 წლის ანგარიში.

აკადემიურ საბჭოსთან შეიქმნა სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელი კომისია აკად. ი. ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

აკადემიურმა საბჭომ საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინა 2013 წელს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების კანდიდატები.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარმა რედაქტორმა, პოლიტ. მეცნ. დოქტ. ზ. აბაშიძემ გააკეთა ინფორმაცია ენციკლოპედია „საქართველოს“ მე-2 ტომის გამოცემის შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს ახალი შემადგენლობა:

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II;
– აკად. გიორგი კვესიტაძე (თავმჯდომარე);
– აკად. თამაზ გამყრელიძე (საპატიო თავმჯდომარე);
– პოლიტ. მეცნ. დოქტ. ზურაბ აბაშიძე (თავმჯდომარის მოადგილე);

– აკად. წევრ-კორ. ავთანდილ არაბული;
– აკად. გურამ თევზაძე;
– აკად. ფრიდონ თოდუა;
– აკად. როინ მეტრეველი;
– აკად. ოთარ ნათიშვილი;
– აკად. თემურ ნანეიშვილი;
– ავთანდილ საყვარელიძე.

„ატომური ენერგიის პრობლემათა კომისიას“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „ბირთვული ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისია“.

აკადემიურ საბჭოსთან გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილების, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ინიციატივით შეიქმნა „მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის პრობლემების კოორდინაციის კომისია“.

აკადემიური საბჭოს 29 ნოემბრის დადგენილებით, ახალი ვადით დამტკიცდა სამეცნიერო განყოფილებათა ბიუროების შემადგენლობა. იმავე დადგენილებით, ახალი ვადით დამტკიცდა სამეცნიერო განყოფილებათა სწავლული მდივნები:

– მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება – ფიზ.-მათ. მეცნ. კანდ. **ლამარა გოგოლაური;**

– დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება – გეოლ.-მინერალ. მეცნ. კანდ. **ეთერ კილასონია;**

– გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება – ტექნ. მეცნ. კანდ. **ნელი კილასონია;**

– ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება – ქიმ. მეცნ. კანდ. **ზეინაბ წინწკალაძე;**

– ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება – ფიზ.-მათ. მეცნ. კანდ. **მაია გრიგოლავა;**

– ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება – მედიც. მეცნ. კანდ. **დავით გაგუა;**

– სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება – ტექნ. მეცნ. კანდ. **გურამ ჯაფარიძე;**

– საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება – **ლუიზა ფუტკარაძე;**

– ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება – ფილოლ. მეცნ. კანდ. **ლიანა დუმბაძე.**

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარ რედაქტორად ახალი ვადით დამტკიცდა პოლიტ. მეცნ. დოქტ. ზურაბ აბაშიძე.

აკადემიის საერთო კრებას ეთხოვა იშუამდგომლოს ზემდგომი ორგანოების წინაშე „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებში სათანადო ცვლილების შეტანის თაობაზე, რათა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოს დაუბრუნდეს ძველი სახელწოდება – „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი“ და ტერმინმა „პრეზიდიუმი“ ჩაანაცვლოს ტერმინი „აკადემიური საბჭო“ მისთვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით.

11 დეკემბერს გამართულ აკადემიური საბჭოს სხდომაზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მამედ ჯავადის ძე ალიევს გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის დიპლომი. აკად. მ. ჯ. ალიევმა გააკეთა მოხსენება – „ონკოლოგიური ორთოპედიის მიღწევები და პერსპექტივები“. სხდომას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა რუსეთის ნ. ბლოხინის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, რუსე-

თის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მიხეილ დავიდოვი.

აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება ჟურნალ „აგრობიოტექნოლოგიის“ დაარსების შესახებ. ჟურნალის მომზადებასა და გამოცემაზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებებს. დამტკიცდა ჟურნალის სარედაქციო კოლეგია (რედაქტორი აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე).

აკადემიურ საბჭოსთან შეიქმნა ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათაშორისი კომისია (თავმჯდომარე აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი). დამტკიცდა კომისიის დებულება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის №65 დადგენილების საფუძველზე აკადემიურ საბჭოსთან შეიქმნა საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისია (თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე).

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ კანონპროექტის ახალი რედაქციის მოსამზადებლად შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ორი თვის ვადაში აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგინოს კანონპროექტის ახალი რედაქცია.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ექსპერტიზის ჩატარების დებულების ახალი რედაქცია.

აკადემიურმა საბჭომ განიხილა საკითხი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მართვის სისტემის

სრულყოფის შესახებ (მომხს. პროფ. გელა ღლიღვა-შვილი). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოში დღემდე არ არსებობს რაიმე ნორმატიული დოკუმენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეფასების შესახებ. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა სხვა ქვეყნების მიწათსარგებლობის სისტემა, კერძოდ, აშშ-ს, კანადის, ევროკავშირის, შვეიცის, ავსტრიის, თურქეთის, რუსეთისა და ა.შ. გამოცდილება. ჩამოთვლილ ქვეყნებში მიწათსარგებლობის სტრატეგიას განსაზღვრავს და ახორციელებს სახელმწიფო, მიწის კატეგორიისა და მფლობელობის ფორმის მიუხედავად. აუცილებელია საქართველოს მთავრობის წინაშე დაუყოვნებლივ დაისვას საკითხი მიწის ფონდის მართვის დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნის თაობაზე, სადაც კონცენტრირებული იქნება შესაბამისი ამოცანების რეალიზაცია. აკადემიურმა საბჭომ დაადგინა: დაევალოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებას მოამზადოს საქართველოს მთავრობაში გასაგზავნი წერილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მართვის სისტემაში არსებული პრობლემების მარეგულირებელი სამთავრობო სტრუქტურის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ახალი შემადგენლობა (ცენტრის ხელმძღვანელი აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძე).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **თამაზ გამყრელიძემ** 2013 წლის 12-16 მაისს მონაწილეობა მიიღო ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სხდომაში, რომელზეც მოხდა ორ აკადემიას შორის დადებული ხელშეკრულების – „ალპები-კავკასია“ ერთობლივი პროექტის განსახორციელებლად ადმინისტრაციული მექანიზმების შეჯერება.

27 მაისს-1 ივნისს აკად. თ. გამყრელიძემ მონაწილეობა მიიღო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სხდომაში.

2013 წლის 19 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე.**

აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. კვესიტაძემ მიიღო საქართველოში ვიზიტით ჩამოსული უცხოელი წევრები: ამერიკელი მეცნიერი პროფ. ანატოლი კლიოსოვი, რუსეთის ნ. ბლოხინის სახ. ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი აკად. მ. დავიდოვი და ამავე ცენტრის დირექტორის მოადგილე აკად. მ. ალიევი, პიზის უნივერსიტეტის პროფესორი კლაუდია პრინჩიპე.

საანგარიშო პერიოდში აკად. გ. კვესიტაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგი ფორუმების მუშაობაში:

17-21 ივლისი. იმყოფებოდა ქ. რიგაში ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან სამეცნიერო კონტაქტების დასამყარებლად;

17-22 სექტემბერი. აკად. ს. კომისარენკოს 70 წლისთავთან დაკავშირებით მონაწილეობა მიიღო ეკოლოგი-

ური საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში (კიევი, უკრაინა);

9-15 ოქტომბერი. ხელმძღვანელობდა აკად. ვ. კუპრაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას (თბილისი, ბათუმი);

13-17 ოქტომბერი. ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დელეგაციას სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის 70 წლისთავთან დაკავშირებით (ერევანი, სომხეთი);

17-21 ოქტომბერი. მონაწილეობა მიიღო ღვინის მე-9 საერთაშორისო კონკურსში „მსოფლიო ემოციები: მერლო და კაბერნე ერთად“ (ბერგამო, იტალია);

5-8 ნოემბერი. მონაწილეობდა პრაღის ქიმიური ტექნოლოგიების ინსტიტუტის VI საერთაშორისო სიმპოზიუმში. შეხვდა ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს იური დრაგოსს (პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა);

20-24 ნოემბერი. ავსტრიის სამრეწველო ბიოტექნოლოგიური ცენტრის მიწვევით საქართველო-კავკასიის რეგიონის ბიოტექნოლოგიურ საკითხებზე დისკუსიისთვის გამოვიდა მოხსენებით „ფერმენტები კავკასიის მრავალფეროვანი რეგიონებიდან“ (გრაცი, ავსტრია);

25-29 ნოემბერი. მონაწილეობდა სუამის მრგვალი მაგიდის მუშაობაში უსაფრთხოების კულტურასთან დაკავშირებით (ბაქო, აზერბაიჯანი);

15-20 დეკემბერი. იანტაიში პროექტების თანამონაწილეთა საერთაშორისო შეხვედრაზე გააკეთა მოხსენება „კავკასიის მრავალფეროვან ნიადაგსა და კლიმატზე დაფუძნებული ტექნოლოგიები“ (იანტაი, ჩინეთი).

აკად. გ. კვესიტაძე არჩეულ იქნა ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრად, დაჯილდოვდა „ჰეიდარ ალიევის მედლით“ აზერბაიჯანელ მეცნიერებთან ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

აკად. გ. კვესიტაძე განკარგავს აკადემიის ფინანსებს. იგი ხელმძღვანელობს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს, არის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ მთავარი რედაქტორი. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ჩეხეთის, ლატვიისა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიებს შორის დამყარდა სამეცნიერო კავშირი. ხელმძღვანელობს „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ კანონპროექტის ახალი რედაქციის მომზადებას.

აკად. გ. კვესიტაძემ 2013 წ. გამოაქვეყნა სამეცნიერო შრომები:

სტატიები

1) **აკად. წევრ.-კორ. თ. სადუნიშვილთან** და სხვებთან თანაავტორობით. „მცენარეთა ეკოლოგიური პოტენციალი“ (NATO Science for Peace and Security series – A: Chemistry and Biology. Ed.Grant N. Pierce, Volodymyr I. Mizin and Alexander Omelchenko, 133-143, ინგლისურ ენაზე).

სტატიაში განხილულია უმაღლეს მცენარეთა პოტენციალი გარემოს გაჯანსაღებისათვის. შესწავლილია ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების მიერ გარემოს დამაჭუჭყიანებელი ორგანული ტოქსიკანტების შეთვისებისა და გაუვნებელყოფის უნარი. განხილულია ორგანული ტოქსიკური ნაერთების მცენარეულ უჯრედში ტრანსფორმაციის გზები, მათში მონაწილე ფერმენტების თვისებები და მოქმედების მექანიზმები.

2) **აკად. წევრ.-კორ. თ. სადუნიშვილთან** და სხვებთან თანაავტორობით. „ჟანგვითი ფერმენტები და პეროქსიდაზას იზოფორმები ბაქტერიული სილაქავითა და ბაქტერიული წყლულით დაავადებულ პომიდორში“ (2nd International Scientific Conference dedicated to the 70th

Anniversary of the National Academy of Sciences of Armenia. p.124-128, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია პეროქსიდაზასა და ფენოლოქსიდაზას აქტივობები და მრავლობითი მოლეკულური ფორმები ბაქტერიული სილაქავითა და ბაქტერიული წყლულით დაავადებულ პომიდორში. ნაჩვენებია დაავადებულ მცენარეთა ფოთლებსა და ნაყოფებში პეროქსიდაზას ცალკეული იზოფორმების გააქტიურება და ახალი ფორმების წარმოქმნა.

3) **აკად. წევრ.-კორ. თ. სადუნიშვილთან** და სხვებთან თანაავტორობით. „კატექინის ჟანგვის პროდუქტების გავლენის შესწავლა ვაშლის ფენოლოქსიდაზასა და პეროქსიდაზაზე“ (2nd International Scientific Conference dedicated to the 70th Anniversary of the National Academy of Sciences of Armenia. p.120-123, ინგლისურ ენაზე).

შავი ჩაის მშრალი ექსტრაქტიდან გამოყოფილი და ნაწილობრივ გასუფთავებულია თეაფლავინი, კატექინის ჟანგვის პროდუქტი. შესწავლილია მისი გავლენა ვაშლის ნაყოფებიდან გამოყოფილ პეროქსიდაზასა და ფენოლოქსიდაზას აქტივობებზე. ნაჩვენებია თეაფლავინის ინჰიბიტორული ეფექტი პეროქსიდაზაზე და რეგულატორული ეფექტი ფენოლოქსიდაზაზე.

4) „პროტეაზას პროდუცენტ მიკროსკოპული სოკოების სელექცია“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №3, 87-91, ინგლისურ ენაზე).

ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის კოლექციაში არსებულ მიკროსკოპულ სოკოებს შორის, რომლებიც გამოყოფილია სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა ეკოლოგიური ნიშიდან სკრინინგის გზით, სიღრმული კულტივირების პირობებში შერჩეულია სოკოების შტამები – პროტეაზების აქტიური პროდუცენტები. პროტეაზას პროდუცენტებს შორის განსა-

კუთრებით მაღალი აქტივობებით ხასიათდებოდნენ Aspergillus-ის, Penicillium-ისა და Mucor-ის გვარის წარმომადგენლები. შერჩეულ იქნა პროტეაზას აქტიური პროდუცენტები: Penicillium sp. To 1-10 (ზომიერი ჰალოფილი), Mucor sp. T44 (თერმოტოლერანტი), Aspergillus-sp. To 1-3 (ალკალიტორელანტი). აღნიშნული შტამების ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური თვისებების შესწავლით, სიღრმული კულტივირების პირობებში მოხდა საკვები არეების ოპტიმიზაცია და ოპტიმალური პირობების (ტემპერატურა, pH) დადგენა. დადგენილ ოპტიმალურ პირობებში საკვები არეების შემადგენელი კომპონენტების ოპტიმიზაციით შტამების მიერ წარმოქმნილი პროტეაზას აქტივობები გაზრდილია 20-112%-ით. მიღებულია ფერმენტული პრეპარატები და ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია აღნიშნული შტამების მიერ წარმოქმნილი პროტეაზების მოქმედებების ტემპერატურული და pH ოპტიმუმები.

5) „ექსტრემოფილური მიცელური სოკოების სტაბილური კარბოჰიდროლაზები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №3, 92-98, ინგლისურ ენაზე).

ცელულოზის ფერმენტული ჰიდროლიზი მადუღარ შაქრებამდე უმნიშვნელოვანესია ფერმენტულ ტექნოლოგიებს შორის. თერმოფილური მიკრომიცეტები მეცნიერული და კომერციული თვალსაზრისით პერსპექტიული ფერმენტების წყაროს წარმოადგენენ. აგრარული უნივერსიტეტის ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მიკროსკოპული სოკოების კოლექციიდან შერჩეულია აქტიური და სტაბილური ცელულაზების პროდუცენტის თერმოფილური შტამები. შემუშავებულია ოთხი შტამის Sporotrichum pulverulentum D-1, Aspergillus wentii S-6; Aspergillus versicolor D-3; Chaetomium thermophile P-21 ცელულაზური კომპლექსის

ერთ-ერთი ფერმენტის ენდო-1,4-β-გლუკანაზას გაწმენდის სქემა. დადგენილია ჰომოგენური ენდოგლუკანაზების ზოგიერთი კინეტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებელი, როგორიცაა მაგალითად, მოლეკულური წონა, იზოელექტრული წერტილი, ნახშირწყლების შემცველობა, ტემპერატურული და pH ოპტიმუმი, K_m, K_{cat}, V_{max}, K_i, ჰენრის კონსტანტა K_p, სუბსტრატული სპეციფიკურობა.

აკად. გ. კვესიტაძემ მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, კონფერენციების მუშაობაში: EuroFoodChem XVII, სტამბოლი, თურქეთი; Environmental Changes & Conservation of Plant Diversity, ბაქო, აზერბაიჯანი; 6th International Symposium on Recent Advances in Food Analysis. პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა, რომელთა მასალებში გამოქვეყნდა მისი მოხსენებების 8 თეზისი.

2013 წელს აკადემიკოსმა გ. კვესიტაძემ მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და უკრაინის სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის ერთობლივი გრანტი (STCU-SRNSF. №5908).

შეხვედრები, იუბილეები, პრეზენტაციები, ჯილდოები, გამოფენები

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და საქართველოს საპატრიარქომ 2013 წლის 16 იანვარს ჩაატარეს საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის (ექვთიმე ღვთისკაცის) დაბადების 150-ე წლისთავს. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. იუბილეს მიეძღვნა აკად. რ. მეტრეველის წიგნი „ექვთიმე ღვთისკაცი – 150“.

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღინიშნა 8 ნოემბერს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიისა და 10 დეკემბერს მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტების დაარსების 80 წლისთავი.

3. 2013 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღინიშნა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერების საიუბილეო თარიღები: ა) აკადემიკოს ვლადიმერ მენაბდის დაბადებიდან 115, ბ) აკადემიკოსების პეტრე გამყრელიძისა და ვიქტორ კუპრაძის 110, აკადემიკოსების ვალერიან მელქაძისა და გიორგი ჯიბლაძის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის აკაკი სურგულაძის 100, აკადემიის წევრ-კორესპონდენტების თამარ დეკანოსიძისა და ნიკო ჭავჭავაძის 90, აკადემიკოს რობერტ ადამიას და აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნუგზარ ტატიშვილის 80 წლისთავები, აკადემიკოს თენგიზ სანაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

4. აკადემიური საბჭოს სხდომაზე აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს მინდია სალუქვაძეს მიულოცა 80 წლის იუბილე და გადასცა ადრესი.

5. აკადემიკოსები დავით მუსხელიშვილი და ეთერ ქემერტელიძე დაჯილდოვდნენ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გიორგის ჯვრის ორდენებით.

შეხვედრები:

2013 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს მთავარ პროკურორთან ა. კბილაშვილთან;

2013 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრთან თ. წულუკიანთან.

პრეზენტაციები:

საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის მიერ გამოცემული წიგნისა „მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი საგამომცემლო პროექტისა.

გამოფენები:

19 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიხსნა მხატვარ რ. ადამიას პერსონალური გამოფენა „გალაკტიონი და კოსმოსი“, რომელიც მიეძღვნა მგოსნის დაბადების დღეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **ჯუმბერ ლომინაძე.**

* * *

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში 2014 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 19 წევრი, მათ შორის 13 აკადემიკოსი და 6 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2013 წელს გამოაქვეყნეს 2 სახელმძღვანელო და 43 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ნიკოლოზ ვახანია

სტატია

„F -სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტების დახასიათება ბანახის სივრცეში” (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად j. „Journal of Mathematical Sciences”, ინგლისურ ენაზე).

აკად. ნ. ვახანია მოხსენებით გამოვიდა:

– „T-სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტების დახასიათება სეპარაბელურ ჰილბერტის სივრცეში” (საერთაშორისო კონფერენცია – „ლის ჯგუფები, დიფერენციალური განტოლებები და გეომეტრია”, ბათუმი);

– „სუბგაუსის მწკრივების ექსპონენციალური ინტეგრებადობა“ (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 95-ე და თსუ-ის ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია – „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“, თბილისი).

აკად. ნ. ვახანია არის ორი საერთაშორისო ჟურნალის: „Georgian Mathematical Journal” და „Теория вероятностей и её применения“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე

სტატია

„ლოკალურად ამოზნექილი ალგებრების K-რეგულარობა“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად j. „Journal of Non-Commutative Geometry“).

გრძელდებოდა ლოკალურად ამოზნექილი ალგებრების ჰომოტოპიური თვისებების შესწავლა. დამტკიცებულია, რომ საკუთრივად უნიფორმულად აპროქსიმაციული ერთეულის მქონე ფრეშეს ალგებრებს გააჩნია K-რეგულარობის თვისება.

აკად. ხ. ინასარიძე არის ორი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის „Journal of Homotopy and Related Structures“ და „Tbilisi Mathematical Journal“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, რომელთაგან პირველი ქვეყნდება გამომცემლობა Springer-ის მიერ და მინიჭებული აქვს იმპაქტ-ფაქტორი, ხოლო მეორე იბეჭდება College Publications-ის მიერ.

აკად. ხ. ინასარიძე იყო ფოლკსვაგენის საერთაშორისო გრანტის (Georgian–German Non-Commutative Algebra-Geometry-Topology Partnership, 2009-2013) თანახელმძღვანელი.

იგი არის საქართველოს არასამთავრობო აკადემიური ორგანიზაციის „თბილისის მათემატიკური მეცნიერებების ცენტრის“ ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი ივანე კიღურაძე

სტატიები

1) „არალოკალური ამოცანები არაწრფივი სასაზღვრო პირობებით სინგულარული ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის“ (ჟ. „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“, ტ. 59, 113-119, ინგლისურ ენაზე).

დროითი ცვლადის მიმართ არაინტეგრებადი სინგულარობების მქონე მაღალი რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია ზოგიერთი არაწრფივი, არალოკალური სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობისა და კორექტულობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.

2) „კოშის ამოცანა ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 20, №4, 707-720, ინგლისურ ენაზე).

მაღალი რიგის არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ სინგულარობები ფაზური ცვლადების მიმართ, დადგენილია კოშის ამოცანის ამოხსნადობის ოპტიმალური საკმარისი პირობები.

3) „არაწრფივი სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების აპრიორული შეფასებები ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მეორე რიგის დიფერენციალური

უტოლობებისათვის“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს მათემატიკურ ჟურნალში).

აკად. ი. კიღურაძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „კოშის ამოცანა ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის“ (თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი);

– „არაწრფივი არალოკალური პრობლემების დადებითი ამოხსნები მეორე რიგის სინგულარული დიფერენციალური განტოლებებისათვის“ (საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში, QUALITDE-2013, თბილისი).

აკად. ი. კიღურაძე, როგორც პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი, მონაწილეობდა გრანტის შესრულებაში:

– „არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები და მათი გამოყენებები დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი №FR/317/5-101/12, საგრანტო ხელშეკრულება №31/07).

აკად. ი. კიღურაძე, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი, თანამშრომლობდა უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებთან: „Boundary Value Problems“; „Electronic Journal of Qualitative Theory of Differential Equations“, „Nonlinear Oscillations“; „Fasciculi Mathematici“; „Functional Differential Equations“; „Journal of Applied Mathematics, Statistics and Informatics“, ხოლო როგორც რეცენზენტი – ჟურნალებთან: „Дифференциальные уравнения”, „Nonlinear Analysis”.

აკად. ი. კიღურაძე იყო დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2013 საპროგრამო კომიტეტის თავმჯდომარე. ვორკშოპი ჩატარდა თბილისში და მიეძღვნა

პროფ. ლევან მაღნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავს.

აკადემიკოსი ვახტანგ კოკილაშვილი

სტატიები

1) „სინგულარული და პოტენციალის ოპერატორების კომუტატორების შემოსაზღვრულობა განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში და ზოგიერთი გამოყენება“ (Studia Mathematica 217(2), 159-178, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია, რომ ერთგვაროვანი ტიპის სივრცეების ჩარჩოებში კალდერონ-ზიგმუნდის ტიპის ოპერატორებისა და პოტენციალების კომუტატორები, შემოსაზღვრული საშუალო ცვლილების ფუნქციების მიმართ, შემოსაზღვრულია, აგრეთვე, განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში. მიღებული შედეგები გამოყენებულია ელიფსური განტოლებების ამონახსნების შიგა შეფასებების მისაღებად.

2) „VMO კოეფიციენტებიანი არადივერგენციული ელიფსური განტოლებების შეფასებები განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში“ (Complex Variables and Elliptic Equations DOI, 1080/17 476933, 831844, 1-17, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია არადივერგენციული, VMO კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლების ამონახსნთა რეგულარობა განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში. ამოცანა გამოკვლეულია სინგულარულ ინტეგრალთა და მათი წრფივი კომუტატორების ასახვის თვისებების შესწავლის საფუძველზე.

3) „პოტენციალები ნამრავლიანი გულებით გრანდ ლებეგის სივრცეებში. ერთწონიანი შეფასებები“ (Lithunian Math. Journal, 53(2013), №1, 27-39, ინგლისურ ენაზე).

გრანდ ლებეგის სივრცეებში შესწავლილია წილადური ინტეგრალები ნამრავლიანი გულებით და შესა-

ბამისი ძლიერი მაქსიმალური ფუნქციები. დადგენილია ერთწონიანი უტოლობების მართებულობის კრიტერიუმები. აღმოჩენილია გრანდ ლებეგის სივრცეების ნორმაში შემავალი ერთ-ერთი პარამეტრის არსებითი გავლენა შესაბამის შეფასებებზე. შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა მოცემულია ბ. მაკენჰაუპტის კლასის წონების ტიპის ფუნქციების ტერმინებში იმ განსხვავებით, რომ შესაბამის პირობებში ზუსტი ზედა საზღვარი კუბების ნაცვლად განიხილება კოორდინატთა ღერძების პარალელურგვერდებიანი პარალელეპიპედის მიმართ.

4) „დადებითგულიანი ოპერატორები $L^{p(x)}$ სივრცეებში“ (Positivity. DOI 10.1007/$_5$ 11117-013-0025-9, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია იმ წონების სრული დახასიათება, რომლებიც განაპირობებენ წონიანი გულიანი ოპერატორების შემოსაზღვრულობას (კომპაქტურობას) ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, როცა ცვლადი მაჩვენებელი აკმაყოფილებს ლოგარითმულ პირობას. განხილული ოპერატორების კლასი ფრიად ფართოა, იგი, კერძოდ, მოიცავს წილადურ ინტეგრალებს ცვლადი პარამეტრით. მიღებულია არაკომპაქტურობის ზომის ორმხრივი შეფასებები.

5) „გულიანი ოპერატორების შემოსაზღვრულობისა და კომპაქტურობის კრიტერიუმები ცვლადმაჩვენებლიან ამალგამ სივრცეებში“ (Journal of Inequalities and Applications, 173, N1, 1-27, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია წონიანი გულიანი ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები ცვლადმაჩვენებლიან ამალგამ სივრცეებში. მიღებული შედეგები ახალია თვით მუდმივმაჩვენებლიანი ამალგამ სივრცეებისთვისაც.

6) „ფურიეს ინტეგრალების შეჯამებადობის საშუალოების მაჟორანტების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმი ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში და გამოყენებები“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 20, №4, ინგლისურ ენაზე).

მიღებულია ფურიეს ინტეგრალების ჩეზაროს აზრით შეჯამებადობის საშუალოების მაჟორანტის შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში. კრიტერიუმი დადგენილია მაკენჰაუპტის ტიპის ცვლადმაჩვენებლიანი A_p კლასის ტერმინებში. მიღებულ შედეგზე დაყრდნობით ზემოხსენებულ სივრცეებში განზოგადებულია ს. ბერნშტეინის ცნობილი უტოლობა სასრული რიგის ექსპონენციალური ტიპის მთელი ფუნქციის წარმოებულის შესახებ.

7) „რისის ტიპის პოტენციალური ოპერატორები განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 20, №1, 43-64, ინგლისურ ენაზე).

შემოღებულია განზოგადებული გრანდ მორის სივრცეები. ამ სივრცეებში დადგენილია ერთგვაროვან და არაერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული რისის ტიპის ინტეგრალური გარდაქმნების შემოსაზღვრულობა. ნაშრომში დამტკიცებულმა ე.წ. დაყვანადობის ზოგადმა ლემამ საშუალება მოგვცა, აგრეთვე, დაგვედგინა ზომიან მეტრიკულ სივრცეზე განსაზღვრული ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ფუნქციებისა და კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორების შემოსაზღვრულობა ზემოხსენებულ სივრცეებში.

8) „ორწონიანი ნორმების შეფასებები მაქსიმალური და კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორებისთვის ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 20, №3, 547-572, ინგლისურ ენაზე).

კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეებზე განსაზღვრული ჰარდის გარდაქმნის, ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ფუნქციებისა და სინგულარული ინტეგრალების ნორმებისათვის დადგენილია ორწონიანი უტოლობები. აღნიშნული შეფასებებისათვის მოძიებული პირობები გამოხატულია ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცის ნორმებით და, მაგალითად, რადიალური ტიპის წონებისათვის აუცილებელიც არის. მოყვანილია წონების წყვილების მაგალითები, რომლებიც განაპირობებენ ორწონიანი უტოლობების მართებულობას.

9) „რიმანისა და დირიხლეს ამოცანები სასაზღვრო პირობებით გრანდ ლებეგის სივრცეებიდან“ (Advances in Harmonic Analysis and Operator Theory. Advances and Applications, 229, 233-251, ინგლისურ ენაზე).

უბან-უბან გლუვი წირით შემოსაზღვრულ არეში ანალიზური ფუნქციებისათვის გამოკვლეულია რიმანის სასაზღვრო ამოცანა უბან-უბან უწყვეტი კოეფიციენტებით, როცა საძიებელი ფუნქცია წარმოიდგინება ისეთი კოშის ტიპის ინტეგრალით, რომლის სიმკვრივე გრანდ ლებეგის სივრციდანაა და სასაზღვრო პირობის მარჯვენა მხარე იმავე კლასს ეკუთვნის. დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები და ამოხსნადობის შემთხვევაში ამონახსნები აგებულია ცხადი სახით. ამოხსნილია დირიხლეს ამოცანა ჰარმონიული ფუნქციებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ისეთი კოშის ტიპის ინტეგრალებით წარმოდგენად ანალიზური ფუნქციების ნამდვილ ნაწილებს, რომელთა სიმკვრივეები გრანდ ლებეგის წონიანი სივრციდანაა და სასაზღვრო ფუნქციაც იმავე კლასს ეკუთვნის. დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობა და ეს ამონახსნი დაწერილია ცხადად.

10) „განზოგადებული კოშის სინგულარული ინტეგრალების შესახებ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონი-

ან სივრცეებში“ (ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 162, 79-84, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია კოშის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში. მიღებულ შედეგზე დაყრდნობით მიღებულია ი. ვეკუას განზოგადებული სინგულარული ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში, როცა საინტეგრო წირი ლიაპუნოვის პირობას აკმაყოფილებს ან სასრული ბრუნვისაა და წონა აკმაყოფილებს მაკენჰაუპტის ტიპის ცვლადმაჩვენებლიან პირობას.

11) „ინტეგრალური ოპერატორები გრანდ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში“ (ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 162, 144-150, ინგლისურ ენაზე).

შემოღებულია ბანახის ახალი არასტანდარტული ფუნქციური სივრცე, რომელიც აერთიანებს ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგისა და გრანდ ლებეგის სივრცეებს. შემოღებულ სივრცეში დადგენილია ერთგვაროვანი ტიპის სივრცეებზე განსაზღვრული კალდერონ-ზიგმუნდის, სინგულარული ინტეგრალებითა და ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ფუნქციებით გაჩენილი ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობა.

12) „(α, ψ) აზრით წარმოებადი ფუნქციების ტრიგონომეტრიული პოლინომებით აპროქსიმაციის შესახებ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში“ (ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 161, 15-23, ინგლისურ ენაზე).

დაზუსტებულია ბერნშტეინის ცნობილი უტოლობა ტრიგონომეტრიული პოლინომების წარმოებულების შესახებ. ფუნქციათა განზოგადებული წარმოებულისათვის დადგენილია ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის შებრუნებული უტოლობა.

13) „ტრიგონომეტრიული პოლინომებით აპროქსიმაცია გრანდ ლებეგის წონიანი სივრცის ქვესივრცეში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №1, 11-15, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია ტრიგონომეტრიული პოლინომებით აპროქსიმაციის პირდაპირი და შებრუნებული თეორემები $L_w^p(1<P<\infty)$ სივრცის ჩაკეტვაში გრანდ ლებეგის წონიანი სივრცის ნორმით. დადგენილია ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების შეჯამებადობის საშუალოებით აღნიშნული ქვესივრცის ფუნქციებიდან ნორმით გადახრის ნულისკენ მისწრაფების რიგი.

აკად. ვ. კოკილაშვილმა 2013 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „კალდერონ-ზიგმუნდის ტიპის სინგულარული ინტეგრალები წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში და გამოყენებები“ (ვიქტორ კუპრაძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი);

– „ფუნქციათა აპროქსიმაცია ბანახის არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში“ (ISAAC-ის მე-9 საერთაშორისო კონგრესი, კრაკოვი, პოლონეთი).

იგი 2013 წელს მონაწილეობდა შემდეგი გრანტების შესრულებაში:

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი: „ISAAC-ის მე-9 საერთაშორისო კონგრესი“ (პროექტის ნომერი: 2013-ტრ-143).

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდით დაფინანსებული, უცხოელ თანამემამულეებთან ერთობლივი საგრანტო პროექტი (2012-2015 წწ.). ხელშეკრულების № D / 13-23 (თანახელმძღვანელი).

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი (2013-2016 წწ.). ხელშეკრულების №13-47.

აკად. ვ. კოკილაშვილი ასრულებდა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებასთან არსებული მათემატიკის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას. წლის განმავლობაში კომისიამ განიხილა და შეაფასა საქართველოს საბიუჯეტო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაწეული სამეცნიერო საქმიანობა მათემატიკის დარგში.

წლის განმავლობაში მან შეასრულა შესაბამისი სამუშაო როგორც შვიდი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრმა, ასოცირებულმა გამომცემელმა თუ მთავარმა რედაქტორმა.

აკადემიკოსი თეიმურაზ კოპალეიშვილი
სტატია

„მარტივი მიდგომა ბარიონების აღწერისათვის სოლპიტერის განტოლების საფუძველზე“ (თანაავტორობით; საქართველოს ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი (GESJ): ფიზიკა, №2(10), 57-86, ინგლისურ ენაზე).

სამი ბმული კონსტიტუენტური კვარკის (ბარიონის) ამოცანის ამოხსნისათვის ყალიბდება მიდგომა სოლპიტერის განტოლების საფუძველზე, სრული ტალღური ფუნქციის ე.წ. რელატივიზაციის გარეშე. ამ მიდგომაში ორ საძიებელ 8-კომპონენტიან სპინორს გააჩნია ნათელი ფიზიკური შინაარსი ნაწილაკ-ანტინაწილაკის (ბარიონ-ანტიბარიონის) კონტექსტში. მითითებულია ორნაწილაკოვანი ურთიერთქმედების განხილვის საეჭვო ხასიათი კვარკული კონფაინმენტის პირობებში. სამნაწილაკოვანი ურთიერთქმედების მქონე კომპაქტური ბმული სისტემების ყველაზე სრული და ადეკვატური აღწერისათვის შემოთავაზებულია გამოთვლებში ჰიპერსფერული ჰარმონიკების მწკრივად გაშლის მეთოდის გამოყენება. ნაჩვენებია რელატივისტური განტოლებების მიღება ბეტე-სოლპიტერის განტო-

ლებიდან, ასევე მათი და მათი ამოხსნების სიმეტრიები. განხილულია ცენტრალური სამნაწილაკოვანი ურთიერთქმედების ორი მარტივი ტიპი – წრფივი და ოსცილატორული პოტენციალები.

† აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე

სტატია

აკად. გ. ჩაგელიშვილთან თანაავტორობით. „ალფვენის ტალღების მაგნიტოჰიდროდინამიკურ წანაცვლებით დინებებში ზეარეკვლის ბუნება და დინამიკა“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად „Journal of Plasma Physics”, ინგლისურ ენაზე).

ტალღების ზეარეკვლა არის დამახასიათებელი მოვლენა ბუნებრივი და საინჟინრო არაერთგვაროვანი/წანაცვლებითი დინებებისა, თუკი მათში არსებობენ ტალღური მოვლენები. მეტიც, ზეარეკვლა, რომელიც არის წანაცვლებული დინების არაორთოგონალობით გამოწვეული მოვლენა, ხშირად განსაზღვრავს დინების დინამიკას. კვლევის მიზანი იყო ზეარეკვლის ფიზიკის დეტალური ანალიზი უკუმშვადი მუდმივ წანაცვლებიანი დინების ფსევდო და წანაცვლებითი ალფვენის ტალღების მაგალითზე. მიზანი მიღწეულია ელზასერის ცვლადების შემოტანით და არამოდალური ანალიზის გამოყენებით. შედეგად შეშფოთებათა განტოლებები დავიდა პირველი რიგის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე, ჩაწერილი თითოეული ტალღის საპირისპიროდ გავრცელებული კომპონენტებისათვის. ჩატარებულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა ერთმანეთისგან განგვეცალკევებინა სხვადასხვა ფიზიკური პროცესები და გაგვეაზრებინა მათი ურთიერთგავლენა. ანუ, საბოლოოდ, გაგვეაზრებინა ზეარეკვლის მოვლენის ფიზიკის საფუძვლები.

აკად. ჯ. ლომინაძემ მონაწილეობა მიიღო აკადემიკოს რ. საგდეევის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც პლაზმის ფიზიკის საკითხებს მიეძღვნა (მოსკოვი, რფ).

საანგარიშო წელს ჯ. ლომინაძე იყო მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.

იგი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (GNSF 31/14) დამუშავებაში.

აკადემიკოსი გიორგი ჩაგელიშვილი

სტატიები

1) **აკად. ჯ. ლომინაძესთან თანაავტორობით.** „ალფვენის ტალღების მაგნიტოჰიდროდინამიკურ წანაცვლებით დინებებში ზეარეკვლის ბუნება და დინამიკა“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად „Journal of Plasma Physics”, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 44).

2) „არაღერძული სიმეტრიის მქონე შეშფოთებების დინამიკის რევიზია სუსტად დამაგნიტებულ აკრეციულ დისკოებში“ (თანაავტორობით; MNRAS, 435, 2552, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია არაღერძული სიმეტრიის მქონე შეშფოთებების დინამიკა სუსტად დამაგნიტებულ კეპლერულ დისკოებში. შესასწავლად გამოყენებულია ჩვენ მიერ შემუშავებული მათემატიკური მიდგომა, რომელიც არამოდალურ ანალიზთან ერთად მოიცავს ფიზიკური ცვლადების შემოტანას და, შედეგად, ტალღების ევოლუციის აღწერას თითოეული ტალღისათვის ჩაწერილი დინამიკური განტოლებებით. ასეთი ანალიზი სრულფასოვნად აღწერს ტალღების ბმას და სრულ წარმოდგენას იძლევა წრფივი დინამიკის მიმდინარეობაზე. აჩვენებს, რომ ყველაზე ენერგეტიკული გრძელ-

ტალღიანი შეშფოთებებია (რომლებიც კუმშვადობით ხასიათდება). ამდენად დისკოების ტურბულენტობის სრულფასოვნად აღსაწერად საჭიროა კუმშვადი გარემოს განხილვა.

3) „არაწრფივი განივი კასკადი და ორგანზომილებიანი მაგნიტოჰიდროდინამიკური ქვეკრიტიკული ტურბულენტობა ბრტყელ წანაცვლებით დინებებში“ (თანაავტორობით; Phys. Rev. E., ინგლისურ ენაზე).

განხილულია შეშფოთებების არაწრფივი დინამიკა ორგანზომილებიან მაგნიტოჰიდროდინამიკურ ბრტყელ წანაცვლებით დინებებში. ნაჩვენებია, რომ მიუხედავად სპექტრალური მდგრადობისა, ასეთ დინებებში ხდება ტურბულენტობის გაჩენა, რომლის ბუნებაც მსგავსია მდგრადი ჰიდროდინამიკური დინებების ტურბულენტობის ბუნებისა. ამ ტურბულენტობის კონცეფცია განსხვავებულია კოლმოგოროვის ტურბულენტობის კონცეფციისაგან, რომლის საფუძველიც სპექტრალური არამდგრადობაა.

4) „ბგერის წრფივი და არაწრფივი აეროდინამიკური გენერაციის შედარებითი ანალიზი წანაცვლებით დინებებში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად, Journal of Fluid Mechanics, ინგლისურ ენაზე).

5) „სპინისეული მიმართულების არეკვლითი სიმეტრიის დარღვევა და ტურბულენტობის კონტროლი ბრტყელ კუეტეს დინებაში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად, Journal of Fluid Mechanics, ინგლისურ ენაზე).

აკად. გ. ჩაგელიშვილმა 2013 წელს მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „არაწრფივი განივი კასკადი და ქვეკრიტიკულ ტურბულენტობაში გადასვლა ჰიდროდინამიკურ/მაგნიტოჰიდროდინამიკურ წანაცვლებით დინებებში“ („ევრო-

მექის“ (EUROMECH) კოლოკვიუმი, 542, ლიონი, საფრანგეთი);

– ევროპის ტურბულენტობის კონფერენციაზე (ლიონი, საფრანგეთი), სადაც თანაავტორებთან ერთად წარადგინა ორი მოხსენება: ა) „წრფივი ტრანზიენტული ზრდის ბაზური ფიზიკა ბრტყელ წანაცვლებით დინებებში“; ბ) „ბგერის აეროდინამიკური გენერაცია გლუვ წანაცვლებით დინებებში“;

– „ტურბულენტობის კონტროლი სპინისეული მიმართულების არეკვლითი სიმეტრიის ინდუცირებული დარღვევით“ (VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი ტურბულენტობასა და წანაცვლებითი დინებების მოვლენებში, პოიტიერსი, საფრანგეთი).

DFG-ს (გერმანიის ეროვნული სამეცნიერო კვლევითი ფონდი) მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტურბულენტობაზე ქვეკრიტიკული გადასვლა და მისი მილევა ბრტყელ კუეტეს დინებებში: არამოდალური და რიცხვითი ანალიზი“ – ფარგლებში აკად. გ. ჩაგელიშვილმა, როგორც მიწვეულმა მკვლევარმა, 2013 წელს ორი თვე იმუშავა დარმშტადტის (გერმანია) ტექნიკურ უნივერსიტეტში.

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე

სტატიები

1) „პოზიტრონული ბგერითი ტალღები და ინტენსიური განივი ელექტრომაგნიტური ტალღების ლანდაუს არაწრფივი ჩაქრობა იზოტროპიულ პლაზმაში“ (თანაავტორობით; Jornal Plazma Physics, 79, 587-596, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ როცა ელექტრონულ-პოზიტრონული პლაზმა რელატივისტურია და რელატივისტურია, აგრეთვე, განივი ელექტრომაგნიტური რადიაცია, ასეთ გარემოში ვრცელდება პოზიტრონული ბგერითი

ტალღები საკმაოდ მცირე შთანთქმის დეკრემენტით. არაწრფივი ტალღების განხილვის დროს შესწავლილია მოდულაციური არამდგრადობის შემთხვევები და, ბოლოს, ძლიერი შეშფოთების დროს აღმოჩნდა, რომ ყალიბდება არაწრფივი ერთეულოვანი სტრუქტურა „CUSP“ სოლიტონი.

2) „ნაკადების მოდიფიკაცია მტვრიანი ნაწილაკების მოთავსებით პლაზმაში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Journal Applied Mathematics“ [1D: 7402057]).

განხილულია მტვრიანი ნეიტრონული ნაწილაკის ჩაშვება პლაზმაში. რადგან პლაზმის ტემპერატურა სასრულოა, დაიწყება მტვრიანი ნაწილაკის დამუხტვა. ეს პროცესი დაკავშირებულია ელექტრონული და იონური ნაკადების არსებობასთან. ნაჩვენებია, რომ ნაკადების გამოსახულება ძალიან განსხვავდება ადრე არსებული ნაკადების გამოსახულებისაგან.

3) „იონების დაუჯახებელი გაცხელება და მზის ქარის აჩქარება“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Physics and Mathematics of Novilinear Phenomen“).

განხილულია დაუჯახებელ პლაზმაში იონების გაცხელების შესაძლებლობა. რადგან დაჯახებით გაცხელების პროცესი ჩვენს შემთხვევაში როლს არ თამაშობს, ამიტომ ორივე პროცესი: იონების გაცხელება და მზის ქარის აჩქარება დაკავშირებულია ტალღის ნაწილაკთან ურთიერთქმედებასთან.

4) „ფერმის კვანტური პლაზმის გაციება“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად Eur. Phys. J.D).

აკად. ნ. ცინცაძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო არაწრფივი მოვლენებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში (გალიპოლი, იტალია),

სადაც გააკეთა მოხსენება არაწრფივი ტალღებით მზის ქარის აჩქარების შესაძლებლობის შესახებ.

იგი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის დამუშავებაში (№1-4/16GNSF/STO9_305_4_140).

აკადემიკოსი გიორგი ხარაძე

სტატია

1) „კომენტარები გლობალურად დეფორმირებულ აეროგელში მოთავსებული ზედენადი ^{3}He-ის შესახებ“ (თანაავტორობით; JETP Letters 97, 718, ინგლისურ ენაზე).

გამოკვლევები ეხებოდა გლობალურად დეფორმირებული აეროგელის გარემოში მოთავსებული ზედენადი ^{3}He-ის A ფაზის სპინური დინამიკის თავისებურებების თეორიულ შესწავლას.

შესაბამისი ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ არსებული წარმოდგენების საფუძველზე ვერ ხერხდება ახალი ექსპერიმენტების ინტერპრეტაცია და საჭიროა ალტერნატიული თეორიული მოდელების ძიება.

საანგარიშო წელს აკად. გ. ხარაძე განაგრძობდა თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრის მოვალეობების შესრულებას.

აკადემიკოსი გიორგი ჯანელიძე

სტატიები

1) „ეტალური ალგებრული ჰომომორფიზმების ექსპონირებადობის შესახებ“ (თანაავტორობით; Journal of Pure and Applied Algebra 217, 1195-1207, ინგლისურ ენაზე).

მოცემული კატეგორიის მორფიზმს ეწოდება ექსპონირებადი, თუ მისი შესაბამისი ბაზის შეცვლის ფუნქტორს გააჩნია მარჯვენა შეუღლებული. სტატიაში განზოგადებულია კალიარი-მანტოვანის თეორემა ექსპონირებადობის შესახებ კომპაქტური ჰაუსდორფის სივრცეებიდან ბეკ-შევალიეს თვისების მქონე მონადის სუსტ ალგებრებზე და, მათ შორის, ზოგად ტოპოლოგიურ სივრცეებზე.

2) „სიზუსტე ნულოვანი მორფიზმების გარეშე, რადიკალები, ჩაკეტვის ოპერატორები“ (თანაავტორობით; Journal of the Australian Mathematical Society 94, 348-361, ინგლისურ ენაზე).

გრანდისის მიერ შემოთავაზებული სიზუსტის ცნება აღწერილია შეუღლებული ფუნქტორების საშუალებით, რაც იძლევა კუროშ-ამიცურის რადიკალების თეორიისა და ჩაკეტვის ოპერატორთა თეორიის გაერთიანების საშუალებას.

აკად. გ. ჯანელიძე 2013 წელს მონაწილეობდა შემდეგ სამეცნიერო ფორუმებში:

– არააბელური ალგებრების საკითხებისადმი მიძღვნილი ვორკშოპი (კოიმბრა, პორტუგალია);

– ა. კარბონისადმი მიძღვნილი კონფერენცია (მილანი, იტალია);

– კატეგორიების თეორიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია (სიდნეი, ავსტრალია);

– გუნარ კანგროს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ანალიზისა და ალგებრის მეთოდები“ (ტარტუ, ესტონეთი);

– სამხრეთ აფრიკის მათემატიკური საზოგადოების 56-ე კონგრესი (კვაზულუ-ნატალი, სამხრეთ აფრიკა).

აკად. გ. ჯანელიძე ყოველ წელს იღებს სამხრეთ აფრიკის ეროვნული გამოკვლევების ფონდის გრანტს.

აკადემიკოსი გიორგი ჯაფარიძე

სტატიები

1) „მაგნიტური ველით მართული მეტალი-იზოლატორი გადასვლა კვაზი-ჰელიკურ გამტარში“ (თანაავტორობით; Phys. Rev. B 87, 075107, ინგლისურ ენაზე).

თეორიულად შესწავლილია ძლიერი მაგნიტური ველის ზეგავლენა ანდერსონის ლოკალიზაციაზე ერთგანზომილებიან მოუწესრიგებელ ელექტრონულ სისტემაში ძლიერი სპინ-ორბიტალური ურთიერთქმედების შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ გამტარის გასწვრივ მიმართული მაგნიტური ველით განპირობებული ზონის ცენტრში ენერგეტიკულ დონეთა გადაგვარების მოხსნა, რაც ელექტრონული ზონის სათანადო შერჩევისას სისტემის მახასიათებელი ოთხი უღრეჩო მოდიდან ორში ველის პროპორციული ღრეჩოს გაჩენას იწვევს, ცვლის ლოკალიზაციის პროცესს და შესაბამისად ლოკალიზაციის სიგრძის მაგნიტურ ველზე დამოკიდებულებას. ეს ეფექტი სისტემაში მეტალი-იზოლატორი გადასვლის მაგნიტური ველით მართვის შესაძლებლობას იძლევა.

2) „კორელირებული გადახტომების მოდელის სიმულაცია ოპტიკურ მესერში ჩაჭერილი ფერმიონების საშუალებით“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად Phys. Rev. A 89, 013624 (2014). ArXiv/1310.7959, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ოპტიკურ მესერებში ჩაჭერილი ფერმიონული ატომების სისტემაზე სპეციალურად შერჩეული მოდულირებული მაგნიტური ველის ზემოქმედების პირობებში, სისტემის დინამიკა აღიწერება ე.წ. კორელირებული გადახტომების მოდელით.

3) „სინთეტური ჰელიკური სითხე კვანტურ მავთულში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ArXiv/1311.4716, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ძლიერი ელექტრონ-ელექტრონული განზიდვის პირობებში, სპინ-ორბიტული ურთიერთქმედების დრესელჰაუზისეული და სივრცულად მოდულირებული რაშბასეული წევრების კომბინაცია შესაძლებლობას იძლევა კვანტურ მავთულში განხორციელდეს ე.წ. ჰელიკური კვანტური სითხის ფაზა.

სამეცნიერო პუბლიკაციები მეცნიერების ისტორიაში:

1) „საბჭოთა პერიოდში საქართველოში ბირთვული ფიზიკის დარგში წარმოებული კვლევები“ (თანაავტორობით; წიგნში: „Georgia's Nuclear Odyssey: The path from Soviet Atomic Legacy to Global Nonproliferation Regime“, 5-36, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომში მიმოხილულია საბჭოთა საქართველოში (1945–1991 წლებში) ბირთვული ფიზიკის მიმართულებით წარმოებული კვლევების ძირითადი შედეგები სამი წამყვანი სამეცნიერო ცენტრის – ი. ვეკუას სახ. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტისა და მსუბუქი იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაგალითზე.

2) „ბირთვული განუვრცელებლობის პოლიტიკა დამოუკიდებელ საქართველოში“ (თანაავტორობით; წიგნში: „Georgia's Nuclear Odyyssey: The path from Soviet Atomic Legacy to Global Nonproliferation Regime“, 63-99, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომში მიმოხილულია დამოუკიდებელ საქართველოში (1991-2011 წწ.) ბირთვული განუვრცელებლობისა და რადიაციული უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოები. დეტალურად აღწერილია როგორც ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული რეაქტორის დეკომისიასთან დაკავშირებული სამუშაოები, ასევე, საქართველოში მოძიე-

ბული უპატრონო რადიაციული წყაროების გაუვნებელ-ყოფასა და შენახვა-პატრონობასთან დაკავშირებული სამუშაოები. მიმოხილულია სათანადო საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხები და გაწეული სამუშაოები.

აკად. გ. ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო „ტოპო-ლოგიური მასალებისადმი“ მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში (მარმარისი, თურქეთი).

საანგარიშო წელს აკად. გ. ჯაფარიძის ხელმძღვა-ნელობით აქტიურად და ნაყოფიერად იმუშავა საქარ-თველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემი-ურ საბჭოსთან არსებულმა ბირთვული ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისიამ.

† აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რევაზ ბანცური

სტატიები

1) „მრავალკუთხედის შიგნით თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა“ (თანაავტორობით; ა. რაზ-მაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, 163(2013), 1-7, ინგლისურ ენაზე).

განხილულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის თა-ნაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა სასრული ორადბმული არისათვის, რომლის გარე საზღვარი წარმოადგენს ამოზნექილ მრავალკუთხედს, ხოლო ში-გა საზღვარი – გლუვ შეკრულ კონტურს. მრავალკუ-თხედის გვერდებზე მოქმედებს გლუვი ხისტი შტამ-პები, რომლებზეც მოქმედებენ ნორმალური მკუმშავი ძალები, შიგა კონტური თავისუფალია დატვირთვი-საგან. ამოცანის მიზანია განისაზღვროს საძიებელი კონტურის ანალიზური სახე იმ პირობით, რომ მასზე ტანგენციალური ნორმალური ძაბვა ღებულობდეს მუდ-მივ მნიშვნელობას. ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო

ამოცანებისა და კონფორმული გადასახვის მეთოდით განხილული ამოცანა ამოხსნილია ეფექტურად.

2) „ელექტროდრეკადობის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები პიეზოელექტრული ფირფიტისათვის ჩართვით და ნახევარსივრცისათვის ჭრილით“ (თანაავტორობით; Prikl. Mat. i Mekh. 77(2013), №6, 862-871. Engl. Transl.: Journal Appl. Math. Mech., რუსულ და ინგლისურ ენებზე).

განიხილება მექანიკური და ელექტრული ველების განსაზღვრის ამოცანა პიეზოელექტრულ არეებში, რომლებიც გამაგრებულია დრეკადი ჩართვებით ან შესუსტებულია ბზარით. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდებით დასმული ამოცანები მიყვანილია, შესაბამისად, სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე ან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებაზე უძრავი სინგულარობით. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის ან ინტეგრალური გარდაქმნების მეთოდის გამოყენებით მიღებულია ამოცანების მიახლოებითი ან ზუსტი ამოხსნები.

აკად. წევრ-კორ. რ. ბანცურის მოხსენებები თანაავტორობით წარდგენილია სამეცნიერო კონფერენციებზე:

– „დრეკადი არაერთგვაროვანი ძელის ურთიერთქმედების საკონტაქტო ამოცანა ბლანტი დრეკადი თვისების მქონე ფირფიტასთან“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „თანამედროვე პრობლემები მყარი სხეულის მექანიკაში, დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებებში”, ოდესა, უკრაინა);

– „ელექტროდრეკადობის საკონტაქტო ამოცანა უბან-უბან ერთგვაროვანი პიეზო-ელექტრული მასალისათვის სასრული ჩართვით“ (თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ალექსანდრე კვინიხიძე

სტატიები

1) „რეგულარიზაციის პარამეტრისგან დამოუკიდებელი ანალიზი ნამბუ-იონა-ლაზინიოს მოდელში“ (International Journal of Modern Physics A, ტ. 28, 31, 1350164-1, Word Scientific, სიგნაპური, ნიუ ჯერსი, ლონდონი, ჟენევა, ინგლისურ ენაზე).

ცნობილია, რომ ნამბუ-იონა-ლაზინიოს მოდელი გადაუნომრვადია და ამიტომ ამ მოდელის ფარგლებში მიღებული მატერიის თვისებები დამოკიდებულია რეგულარიზაციის პარამეტრზე. ნაჩვენებია, რომ ამის მიუხედავად შესაძლებელია ზოგიერთი თვისების პარამეტრისგან დამოუკიდებელი ანალიზი, თუ გამოიყენება განზომილებითი რეგულარიზაცია.

2) „პროგრესი უწყვეტი კვანტური ქრომოდინამიკის მიდგომაში“ (ბირთვულ ფიზიკაში საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომების კრებული, D31, 674-675, მუმბაი, ინდოეთი, ინგლისურ ენაზე).

გამოყვანილია 4-ნაწილაკოვანი განტოლებები, რომელშიც გათვალისწინებულია წყვილების ანიჰილაცია. ეს ეხება, მაგალითად, ორი კვარკისა და ორი ანტიკვარკისგან შედგენილ სისტემას. ბოლო დრომდე იყენებდნენ ავტორის მიერ მიღებულ განტოლებებს, რომელიც სამართლიანია ოთხი კვარკის შემთხვევაში, ანუ, სადაც წყვილის ანიჰილაცია არ არის გათვალისწინებული.

3) „უწყვეტი კვანტური ქრომოდინამიკა, ყალიბური ინვარიანტობა და პროცესების დინამიკა“ (VII საერთაშორისო კონფერენციის – „ფიზიკა ადრონული კოლაიდერის ერაში“ შრომათა კრებული, თბილისი, 100-109, ინგლისურ ენაზე).

განხილულია დინამიკური განტოლებების რამდენიმე შემთხვევა, სადაც გადაწყვეტილია ორმაგი თვლის პრობლემა. ეს პრობლემა წარმოადგენს ძირითად სიძნელეს უწყვეტ კვანტურ ქრომოდინამიკაში განტოლებების მიღების დროს.

საანგარიშო წელს აკად. წევრ-კორ. ა. კვინიხიძემ მონაწილეობა მიიღო:

– თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაში (თბილისი);

– საქართველოს მათემატიკური საზოგადოების მე-4 საერთაშორისო კონფერენციაში (ბათუმი);

– მე-7 საერთაშორისო კონფერენციაში – „ფიზიკა ადრონული კოლაიდერის ერაში“ (თბილისი);

– ატომური ენერგიის კომიტეტის საერთაშორისო სიმპოზიუმში ბირთვულ ფიზიკაში (მუმბაი, ინდოეთი).

2013 წელს აკად. წევრ-კორ. ა. კვინიხიძის თანახელმძღვანელობით ტ. სკავრონსკიმ (ავსტრალიის ფლინდერსის უნივერსიტეტი) დაიცვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

იგი არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (GNSF/ST 11/31, 2012-2015) ძირითადი მონაწილე.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ელიზბარ ნადარაია

სტატიები

1) „ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების შესახებ“ (Communication in statistics – Theory and Methods, ტ. 42, 22, 3989-4006, Taylor& Francis Group, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის გულოვანი ტიპის არაპარამეტრულ შეფასებათა კლასი, როდესაც რეგრესორი არაშემთხვევითი სიდიდეა. შეს-

წავლილია მისი ასიმპტოტურად გადაუადგილებლობის, ძალდებულებისა და ასიმპტოტურად ნორმალურობის საკითხები. დამტკიცებულია თეორემა ხსენებული შეფასების უწყვეტ ფუნქციათა სივრცის მეტრიკით კრებადობის შესახებ. აგებულია ე.წ. ინტეგრალური ემპირიული პროცესი (ანუ კუმულატიური ემპირიული პროცესი) და შესწავლილია მისი თვისებები. განხილულია აგებული ინტეგრალური ემპირიული პროცესების ფუნქციონალთა ფართო კლასისათვის ზღვარითი განაწილების პრობლემა. მოძებნილია მაქსიმალური და ინტეგრალური გადახრების ზღვარითი განაწილება და შემოთავაზებულია რეგრესიის ფუნქციაზე მარტივი ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმი.

2) „ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების შესახებ“ (Theory of Probability and its Applications, ტ. 57, 2, SIAM, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის ასიმპტოტური განაწილების საკითხები. აგებულია კრიტერიუმები რეგრესიაზე მარტივი ჰიპოთეზის შემოწმებისათვის.

3) „ჰილბერტის სივრცეში მაქსიმალური დასაჯერობის შეფასების ზღვარითი თვისებები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად „საქართველოს მათემატიკურ ჟურნალში“);

4) „გასერ-მიულერის შეფასებაზე დამოკიდებული ფუნქციონალები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად „თურქეთის მათემატიკურ ჟურნალში“).

5) „გასერ-მიულერის რეგრესიის ფუნქციის შეფასების ინტეგრალური ფუნქციონალები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად „უკრაინის მათემატიკურ ჟურნალში“).

6) „ორი ბერნულის რეგრესიის ფუნქციის ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების შესახებ“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Теория вероятностей и её применения“).

აკად. წევრ-კორ. ე. ნადარაიამ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო:

– ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კონფერენციაში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (თბილისი);

– II საერთაშორისო კონფერენციაში – „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“ (თბილისი);

– აკად. ვ. კუპრაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციაში (თსუ-ის ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, ბათუმი).

იგი არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (FR/308/5-104/12) ძირითადი შემსრულებელი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ალექსანდრე ხარაზიშვილი

სტატიები

1) „ზომის თეორიის ზოგიერთი ღია პრობლემა“ (ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 162, 59-77, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ზომის თეორიისა და ნამდვილი ანალიზის ზოგიერთი აქტუალური საკითხი და ღია პრობლემა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ზომის გაგრძელების ზოგად ამოცანასთან. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ ამოცანას აქვს მრავალი ასპექტი, კერძოდ, წმინდა სიმრავლურ-თეორიული, ალგებრული და ტოპოლოგიური. შესწავლილია დასმული პრობლე-

მების კავშირები თანამედროვე სიმრავლეთა თეორიის დამატებით აქსიომებთან (კონტინუუმის ჰიპოთეზასთან, განზოგადებულ კონტინუუმის ჰიპოთეზასთან, მარტინის აქსიომასთან, დიდი კარდინალური რიცხვების არსებობის აქსიომებთან).

2) „აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების ჯამები“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 20, №2, 271-282, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია, რომ მარტინის აქსიომის დაშვებით ნებისმიერი ნამდვილმნიშვნელობიანი ფუნქცია წარმოიდგინება ორი ინიექციური, აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციის ჯამის სახით. ეს ფაქტი აღსანიშნავია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დამატებითი სიმრავლურ-თეორიული აქსიომების დაშვების გარეშე შეუძლებელია აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების არსებობის დამტკიცება.

3) „სავსებით დალაგების მიმართებათა ზომადობის თვისებები“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 20, №3, 533-545, ინგლისურ ენაზე).

გამოკვლეულია ორი ფუნდამენტური მათემატიკური სტრუქტურის – ზომისა და სავსებით დალაგების მიმართების – თავსებადობის (კოჰერენტულობის) საკითხი. კერძოდ, ნაშრომის ძირითადი შედეგიდან გამომდინარეობს, რომ ამ ორი სტრუქტურის თავსებადობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხორციელდება.

4) „პათოლოგიურ ფუნქციათა გარკვეული კლასების ადიტიური თვისებები“ (Real Analysis Exchange, ტ. 38, №2, 477-488, ინგლისურ ენაზე).

გამოკვლეულია უწყვეტ არსად წარმოებად ფუნქციათა კლასის, სერპინსკი-ზიგმუნდის ფუნქციათა კლასისა და აბსოლუტურად არაზომად ფუნქციათა კლასის ადიტიური თვისებები. კერძოდ, თითოეული აღ-

ნიშნული კლასისათვის დამტკიცებულია იმავე სიმ-ძლავრის ქვეჯგუფის არსებობა.

5) „არათვლადი კომუტატიური ჯგუფების ზოგიერ-თი პათოლოგიური ჰომომორფიზმის შესახებ“ (ა. რაზ-მაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 162, 136-140, ინგლისურ ენაზე).

გამოკვლეულია არათვლადი კომუტატიური ჯგუ-ფების ისეთი ჰომომორფიზმები, რომლებსაც აქვთ პათოლოგიური დესკრიფციული სტრუქტურა (არაზო-მადი ჰომომორფიზმები, ბერის თვისების არმქონე ჰო-მომორფიზმები და სხვ.). დადგენილია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ასეთი ჰომომორფიზმების წარმოშობა განპირობებულია აბსოლუტურად ნულზომადი არა-თვლადი კომუტატიური ჯგუფების არსებობით.

6) „კომუტატიურ ჯგუფთა აბსოლუტურად არაზო-მადი ჰომომორფიზმების შესახებ“ (Studia Scientiarum Mathematicarum Hungarica, ტ. 50, №3, 287-295, ინგლისურ ენა-ზე).

დახასიათებულია ყველა ის კომუტატიური ჯგუფი, რომლისთვისაც არსებობს აბსოლუტურად არაზომადი ჰომომორფიზმი ნამდვილ რიცხვთა ადიტიურ ჯგუფში (ან ერთეულოვან ტორში). ეს დახასიათება ემყარება კომუტატიური ჯგუფის პერიოდული ნაწილის სტრუქ-ტურის აღწერას.

აკად. წევრ-კორ. ა. ხარაზიშვილმა 2013 წელს მო-ნაწილეობა მიიღო ტრადიციულ სამეცნიერო ფორუმში და წაიკითხა მოხსენება:

– „ევკლიდური სიბრტყის სამ ფერად გაფერადე-ბასა და მოცემული ტიპის ასოცირებული სამკუთხედე-ბის შესახებ“ (XI საერთაშორისო კონფერენცია გეო-მეტრიასა და გამოყენებებში, ვარნა, ბულგარეთი).

იგი მონაწილეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის №31/25 (2013-2016) დამუშავებაში.

აკად. წევრ-კორ. ა. ხარაზიშვილი არის ოთხი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის რედკოლეგიის წევრი: Georgian Mathematical Journal; Journal of Applied Analysis; Applied Mathematics, Informatics and Mechanics; Georgian International Journal of Science and Technology.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ანზორ ხელაშვილი

სახელმძღვანელოები

1) ზოგადი ფიზიკა (მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის) (საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის ელექტრონული ვერსია);

2) სტანდარტული მოდელი (ელექტრონული ვერსია).

სტატიები

1) „მეზონური კირალური შეშფოთების თეორიის მაწარმოებელი ფუნქციონალი ვირტუალური ფოტონებით ზოგად კოვარიანტულ ყალიბრებაში“ (European Physical Journal, A49; 120, 6, ინგლისურ ენაზე).

ერთმარყუჟოვანი ეფექტური ქმედების განშლადი ნაწილი გამოთვლილია კირალური შეშფოთების თეორიის მოდელში ნებისმიერ კოვარიანტულ ყალიბრებაში. წარმოქმნილი დიფერენციალური ოპერატორი არის არამინიმალური სახისა, რომლისთვისაც არ გამოდგება სტანდარტული ცხელი გულების მეთოდები. მიღებული შედეგები შედარებულია ლიტერატურაში არსებულთან.

2) „სამი ნაწილაკის კვანტურ-მექანიკური განტოლებების მაქსიმალური რედუქცია“ (Georgian Electronic Scientific Journal: Physics”, №1(9), 25-30, ინგლისურ ენაზე).

ცნობილია სამი ნაწილაკის AGSK ოპერატორების ინტეგრალური განტოლებების ისეთი ფორმულირება, როცა ისინი 3-განზომილებიან განტოლებებს აკმაყოფილებენ (ნაცვლად 6-განზომილებიანისა), ხოლო ეფექტური პოტენციალი იძებნება ფადეევის ტიპის განტოლებებიდან. ამ ფორმულირებას ბევრი უპირატესობა გააჩნია და განვითარებულია სხვადასხვა ამოცანების შესასწავლად. ნაშრომში გრინის ფუნქციებისთვის სპექტრალური წარმოდგენის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ შენარჩუნდება AGSK მიდგომის ყველა დადებითი თვისება და ამავდროულად მარტივდება ეფექტური პოტენციალები.

3) „გაფანტვა დირაკის დელტა-პოტენციალზე და სამი ნაწილაკის პრობლემის რედუქცია“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №3, 31-35, ინგლისურ ენაზე).

ალტ-გრასბერგერის-სანდჰას-ხელაშვილის განტოლებებში ჩატარებულია კუთხური ანალიზი იაკობისა და ვიკის სპირალურობის ფორმალიზმის გამოყენებით. მიღებულ განტოლებებში ორნაწილაკოვანი გაფანტვის ამპლიტუდებად ჩასმულია დირაკის დელტა-ფუნქციის სახის წყვილური პოტენციალების ამოხსნები, რომლებიც განცალებადია საწყისი და საბოლოო იმპულსებით. ნაჩვენებია, თუ როგორ დაიყვანება ამოცანა ერთგანზომილებიან განტოლებათა სისტემაზე.

4) „ჰიპერვირიალური და ფეინმან-ჰელმანის თეორემის განზოგადება სინგულარული პოტენციალებისათვის“ (Georgian Electronic Scientific Journal: Physics. №2(10), 18-31, ინგლისურ ენაზე).

ცნობილი მეთოდების გამოყენებით განზოგადებულია (ჰიპერ)ვირიალური თეორემები სინგულარული პოტენციალებისათვის. განხილულია ყველაზე ზოგადი მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, რომე-

ლიც მოიცავს ფიზიკურად საინტერესო შემთხვევებს, როგორებიცაა შრედინგერის და ორნაწილაკოვანი კლეინ-გორდონის განტოლებები სინგულარული პოტენციალებისათვის. განხილულია გამომდინარე ფიზიკური შედეგები. შესწავლილია კავშირი ფეინმან-ჰელმანის ტიპის თეორემებთან და ხაზგასმულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი განსხვავება.

5) „მკაცრი თეორიული არგუმენტები ლემბის წანაცვლების დასათრგუნავად“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 45-49, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოააშკარაოს ფარული სიმეტრიის როლი დირაკ-კულონის ამოცანაში და აჩვენოს სპექტრის მიღების ალგებრული შესაძლებლობა. ნაჩვენებია, რომ დირაკის ჰამილტონიანის ინვარიანტობა გარკვეული სახის ვიტენის სუპერალგებრის მიმართ გამოკვეთს მხოლოდ კულონურ პოტენციალს. აქედან გამომდინარეობს, რომ კულონის პოტენციალზე არსებული შეხედულება უნდა შეიცვალოს N=2 სუპერსიმეტრიის კონტექსტში.

აკად. წევრ-კორ. ა. ხელაშვილმა 2013 წელს მონაწილეობა მიიღო (2 მოხსენებით) მე-7 საერთაშორისო კონფერენციაში „ფიზიკა დიდი ჰადრონული კოლაიდერის ერაში“ (თბილისი).

საზღვარგარეთ მივლინებების დროს აკად. წევრ-კორ. ა. ხელაშვილმა წაიკითხა მოხსენებები ნიუ-ორკის (აშშ) ტექნოლოგიური კოლეჯის თეორიული ფიზიკის ცენტრში (მოხსენება – „ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა პოლარულ (სფერულ) კოორდინატებში“) და ჩიკაგოს (აშშ) ილინოისის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (მოხსენება – „სამი ნაწილაკის AGSK განტოლებების შეშფოთების მეთოდი და მისი

გამოყენება ნეიტრონის ელექტრული დიპოლური მომენტისათვის“).

აკად. წევრ-კორ. ა.ხელაშვილი 2013 წელს მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 გრანტის შესრულებაში:

– „კვანტური ქრომოდინამიკა მაღალ და დაბალ ენერგიებზე“ (N11/24, ხელმძღვანელი);

– „კვანტური ქრომოდინამიკის ეფექტური თეორიები და გამოთვლები მესერზე“ ერთობლივი კვლევებისათვის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით (N13/02, თანახელმძღვანელი).

საანგარიშო წელს აკად. წევრ-კორ. ა. ხელაშვილი განაგრძობდა მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებასთან არსებული ფიზიკისა და ასტრონომიის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

საანგარიშო წელს მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებამ ჩაატარა საერთო კრების 9 და ბიუროს 1 სხდომა, რომლებზეც განხილული იყო 22 საკითხი. სხვა საკითხთა შორის განყოფილებამ განიხილა თავისი წევრების ინდივიდუალური ანგარიშები 2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის შესახებ. განყოფილების წევრებმა შეადგინეს და აკადემიის პრეზიდენტს წარუდგინეს პირადი სამეცნიერო გეგმები უახლოესი წლებისათვის.

2013 წელს ჩატარებული აკადემიის ნამდვილი წევრების არჩევნების შედეგად განყოფილებას შეემატა 4 აკადემიკოსი: ვახტანგ კოკილაშვილი, გიორგი ჯანელიძე (სპეციალობით „მათემატიკა“); გიორგი ჩაგელიშვილი, გიორგი ჯაფარიძე (სპეციალობით „ფიზიკა“).

განყოფილების აკადემიკოს-მდივნად ახალი ვადით არჩეულ იქნა აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე, სწავლულ მდივნად – მეცნ. კანდ ლ. გოგოლაური.

განყოფილებამ აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა: ნ. ვახანია, ხ. ინასარიძე, ვ. კოკილაშვილი (მათემატიკის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე), გ.ჩაგელიშვილი, ნ. ცინცაძე, გ. ჯაფარიძე, ა. კვინიხიძე, ე. ნადარაია, ა. ხელაშვილი (ფიზიკისა და ასტრონომიის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე).

დამტკიცდა „მათემატიკის“ და „ფიზიკისა და ასტრონომიის“ დარგობრივი კომისიების ახალი შემადგენლობები.

განყოფილებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრებად ასარჩევად რეკომენდაცია გაუწია სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ს. ამბარცუმიანს, აკად. წევრ-კორ. ა. მიხაილოვსკის (რუსეთი) და პროფ. ვ. მაზიას (შვედეთი). აკადემიის საერთო კრებამ სამივე დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად.

ნაყოფიერად იმუშავეს საანგარიშო წელს განყოფილებასთან არსებულმა მათემატიკის და ფიზიკისა და ასტრონომიის დარგობრივმა კომისიებმა. დარგობრივი კომისიების რეცენზიებისა და დასკვნების საფუძველზე, განყოფილებამ განიხილა და შეაფასა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების მიერ მათემატიკისა და ფიზიკის დარგებში 2013 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობა.

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია ნაშრომთა ციკლისათვის „მეტალი-იზოლატორი გადასვლები კვანტურ მავთულებში ძლიერი სპინ-ორბიტალური ურთიერთქმედებით“ მიენიჭა აკადემიკოს გიორგი ჯაფარიძეს.

2013 წლის ნოემბერში განყოფილების ბიურომ განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილის მოვალეობის შესრულება დაავალა აკად. წევრ-კორ. ა. კვინიხიძეს.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში 2014 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 7 წევრი, მათ შორის 3 აკადემიკოსი და 4 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2013 წელს გამოაქვეყნეს 1 რუკა, 3 წიგნი, 13 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე

მონოგრაფია

„საქართველოს გეოგრაფია“ (თანაავტორობით; თსუ-ის გამომცემლობა, 324 გვ.).

წიგნი 2012 წელს შექმნილი „საქართველოს ეროვნული ატლასის“ გეოგრაფიული ნაწილის ტექსტობრივი ილუსტრაციაა. მასში განხილულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, გეოლოგიური აგებულება და განვითარება, ბუნებრივი პირობები, პოლიტიკურ-გეოგრაფიული, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება; შეფასებულია არსებული რესურსული პოტენციალი, წარმოდენილია მისი რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის პრობლემები.

რუკა

„საქართველოს 1:500000 მასშტაბის ტექტონიკური რუკა“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

რუკაზე ნაჩვენებია სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის ნაოჭა კომპლექსები, რომელთა ჩამოყალიბება მთავრდება ამა თუ იმ დანაოჭების ფაზისით (ანუ ოროფაზისით). ალპურ ნაოჭა კომპლექსებში გარჩეულია ოროგენულამდელი, ადრეოროგენული და გვიანოროგენული (კოლიზიური) ნაოჭა კომპლექსები. სპეციალური კრაპით ნაჩვენებია დანალექი ქანების გეოდინამიკური კომპლექსები და ვულკანური ქანების გეოდინამიკური ტიპები; გამოსახულია, აგრეთვე, სხვადასხვა სახის ტექტონიკური სტრუქტურები (ნაოჭები, რღვევები), მათი ჩასახვისა და ფორმირების ძირითადი დროის მითითებით. რუკაზე გავლებულია კრისტალური ფუნდამენტის ზედაპირისა და სხვა გეოლოგიური ჰორიზონტების სტრატოიზოჰიფსები.

დანართის სახით მოცემულია ტექტონიკურ ძაბვათა ვექტორების ორიენტაციისა და საქართველოს ტერიტორიაზე ნეოტექტონიკურ ეტაპზე დედამიწის ქერქის ჰორიზონტალური მოძრაობის ამსახველი და კავკასიის მეზოზოურ-კაინოზოური დროის გეოდინამიკური პირობების მაჩვენებელი რუკები.

აკად. ე. გამყრელიძე 2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ალპურ-ხმელთაშუა ზღვის სარტყლის კავკასიის სეგმენტის გეოდინამიკური ევოლუციის ძირითადი ეტაპები“ (ევროპის გეომეცნიერებათა კავშირის გენერალური ასამბლეა, ვენა, ავსტრია);

– „საქართველოს გრანიტოიდების ფორმირების პირობები და ეტაპები“ (საერთაშორისო კონფერენცია – „გრანიტოიდები: ფორმირების პირობები და მადანშემცველობა“, კიევი, უკრაინა).

აკად. ე. გამყრელიძე ხელმძღვანელობდა შვეიცარიის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის SCOPES -ის

გრანტით დაფინანსებულ პროექტს „კავკასიის ტექტონიკა“.

აკადემიკოსი დავით შენგელია

2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში და გააკეთა მოხსენებები:

– „კავკასიის აქტიური ტექტონიკა, მაგმატიზმი – ბუნებრივი საფრთხეები და რესურსები“ (I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „კავკასიონის ტერეინის იალბუზისა და საუღელტეხილო სუბტერეინების ვარისკული რეგიონალური მეტამორფიზმისა და მაგმატიზმის შედარებითი დახასიათება“, თბილისი);

– „ალპურ-ჰიმალაური მოძრავი სარტყლის კავკასიის სეგმენტის გეოდინამიკური ევოლუცია“ (ევროპის გეომეცნიერებათა კავშირის გენერალური ასამბლეა, ვენა, ავსტრია);

– „საქართველოს გრანიტოიდების ფორმირების პირობები და ეტაპები“ (სამეცნიერო კონფერენცია – „გრანიტოიდები: ფორმირების პირობები და მადანშემცველობა“, კიევი, უკრაინა).

აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე

სტატიები

1) „ტრიგერირება, სინქრონიზაცია და სეისმურობა: ლაბორატორიული და საველე მონაცემები – მიმოხილვა“ (კრებულში „მიწისძვრები – გარემოზე ზემოქმედება და პოტენციური საფრთხე“, თანაავტორობით; Nova Science Pub., 165-231, ინგლისურ ენაზე).

ტრიგერირება და სინქრონიზაცია გვხვდება მრავალ დარგში. მოცემულია ლაბორატორიული ექსპერიმენტების შედეგები არათანაბარი ხახუნის დროს ელექტრომაგნიტური და მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეულ სინქრონიზაციაზე.

2) „რეალურ დროში კაშხლის მონიტორინგის ანალიზი: არაწრფივი ელასტიკურობა და არაწრფივი დინამიკის პოტენციალი“ (თანაავტორობით; Struct. Civ. Eng. t. 7, 188-205 DOI: 10.1007/s11709-013-0199-5, ინგლისურ ენაზე).

ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის უნიკალურობამ და რეგიონის რთულმა გეოლოგიურმა აგებულებამ განაპირობა ამ ობიექტზე ფართომასშტაბიან ნატურალურ დაკვირვებათა წარმოება. კაშხალზე თსუ-ის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მიერ დამონტაჟებულ იქნა მაღალი სიზუსტის, სტაციონარულ რეჟიმში მომუშავე დახრისმზომების (ტილტმეტრების) ქსელი ციფრული ინდიკაციით. ავტომატურ რეჟიმში დროის ნებისმიერი (საათური, წუთობრივი თუ სხვა) ბიჯით ტელემეტრიით გადმოიცემა ინფორმაცია თბილისში. აღნიშნული საშუალებას იძლევა უწყვეტ რეჟიმში მოხდეს კაშხლის დეფორმირებული მდგომარეობის კონტროლი არაწრფივი ელასტიკურობისა და არაწრფივი დინამიკის მეთოდების გამოყენებით.

3) „დისკრიმინაცია სეისმური ხმაურის სტოქასტური დინამიკის ნიმუშებს შორის (ონის სეისმური სადგურის მაგალითი)“ (თანაავტორობით; Acta Geophysica, DOI: 10.2478/s11600-013-0141-1, ინგლისურ ენაზე).

სეისმური ხმაურის სტოქასტური დინამიკის შესწავლა მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოწვევაა. შესწავლილია სეისმური ხმაურის ფლუქტუაციების დინამიკა ონის სეისმური სადგურის მაგალითზე 2005-დან 2012 წლამდე. ნაჩვენებია, რომ ფლუქტუაციების დინამიკის მაჩვენებელი ამ პერიოდში საგრძნობლად იცვლება.

4) „არაწრფივი ელასტიკურობა და არაწრფივი დინამიკის გამოყენება დიდი საინჟინრო ნაგებობების

მონიტორინგისათვის“ (თანაავტორობით; Disaster Advances, 6, 84-89, ინგლისურ ენაზე).

დიდი საინჟინრო ნაგებობები რთული სტრუქტურებია, რომელთაც ახასიათებს არაწრფივი დინამიკური თვისებები. შემოთავაზებულია რეალურ დროში ტელემეტრიული სისტემით მიღებული მონიტორინგის მონაცემების დამუშავების მეთოდები არაწრფივი დინამიკის გამოყენებით.

5) „კავკასიის მიწისძვრების დინამიკის დროითი ვარიაციები 1960-2011 წლებში“ (თანაავტორობით; Tectonophysics. DOI information: 10.1016/j.tecto, 2013.07.033, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია კავკასიის მიწისძვრების ნაკადის დროითი ვარიაციები 1960-2011 წლებში საათობრივ და დღეღამურ მასშტაბში. ნაჩვენებია, რომ სხვადასხვა პერიოდის რხევები (საათებიდან რამდენიმე წლამდე) შეიმჩნევა მიწისძვრების დროით განაწილებაში, თუმცა მათი ამპლიტუდა ძალზე მცირეა. მათი წვლილი იცვლება დროის მიხედვით.

6) „რეზერვუარით გამოწვეული სეისმურობის დინამიკური პარამეტრების კვლევა ენგურის არეში“ (თანაავტორობით; Natural Hazards, DOI 10.1007/s11069-013-0855-z, ინგლისურ ენაზე).

გაანალიზებულია ენგურის კაშხლის არეში მიწისძვრების დროითი სერიების ფრაქტალური და მულტიფრაქტალური თვისებები ტრენდმოცილებული ფლუქტუაციების ანალიზის გამოყენებით ორი პერიოდისათვის: 1960-1980 წწ. და 1981-2012 წწ. – როდესაც რეზერვუარი კვაზიპერიოდული დატვითვა-განტვირთვის რეჟიმში იყო. ნაჩვენებია, რომ მეორე პერიოდში სეისმურობა უფრო პერსისტენტულია და შედარებით დაბალი მულტიფრაქტალობა (ანუ მეტი რეგულარობა) ახასიათებს.

7) „წინამორბედი ელექტრომაგნიტური გამოსხივების მიყუჩების საოცარი დეტალები“ (თანაავტორობით; Nat. Hazards Earth Syst. Sci., 13, 2381-2397, doi:10.5194/nhess-13-2381-2013, ინგლისურ ენაზე).

მჰც-კჰც დიაპაზონის ელექტრომაგნიტური (ემ) გამოსხივება, რომელიც ჩნდება რამდენიმე დღით ან საათით ადრე მიწისძვრამდე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წინამორბედი. მიუხედავად მრავალი გამოვლენისა, ბევრი რამ გაუგებარი რჩება, კერძოდ, უშუალოდ მიწისძვრის წინ და აფტერშოკების პერიოდში ყველა სიხშირეზე ემ გამოსხივების მიყუჩება ხდება. მოყვანილია ფიზიკური მოდელები, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ ამ ეფექტის ასახსნელად.

8) „მიწისძვრები მსოფლიოსა და საქართველოში“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, ტ. 1. 87-98).

დამანგრეველი მიწისძვრები დედამიწაზე ცნობილია უხსოვარი დროიდან. მრავალი კულტურული მონუმენტი, როგორიც იყო მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება – როდოსის კოლოსი, და რაც მთავარია, უამრავი ადამიანი ძლიერი მიწისძვრების მსხვერპლი გახდა. პოპულარულად აღწერილია სეისმური მოვლენების ძირითადი კანონზომიერებები.

აკად. თ. ჭელიძე 2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „მიწისძვრების ტრიგერირება და სინქრონიზაცია: ლაბორატორიული და საველე მონაცემები“ (IASPEI 2013 Symposium S303: დინამიური ტრიგერირება და სინქრონიზაცია: ბზარებიდან მიწისძვრებამდე, გეტებორგი, შვედეთი);

– „სეისმური საშიშროების მოდელის ვალიდაცია“ (EMME – ახლო აღმოსავლეთის მიწისძვრის მოდელი. შემაჯამებელი შეხვედრა, სტამბოლი, თურქეთი).

აკად. თ. ჭელიძე იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთი და ორი საერთაშორისო გრანტის შემსრულებელი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
რევაზ გაჩეჩილაძე

მონოგრაფია

„საქართველო მსოფლიო კონტექსტში: მე-20 და 21-ე საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 816 გვ.).

მიმოხილულია საქართველოს გეოპოლიტიკა და ისტორია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე. წინა წლებში გამოცემულ მონოგრაფიებთან შედარებით, რომლებიც მხოლოდ მე-20 საუკუნეს ეხებოდა, ამ მონოგრაფიაში ქრონოლოგიური ჩარჩო გაფართოებულია და მოიცავს 21-ე საუკუნის დამდეგის მოვლენებსაც. გარდა ისტორიულ-გეოგრაფიული მიდგომისა, ავტორი განიხილავს პროცესებს პოლიტოლოგიური პოზიციიდანაც.

სტატიები

1) „სოციალური ცხოვრება ევროპაში პირველი და მეორე ათასწლეულების მიჯნაზე“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, ტ. 1, 58-67).

განხილულია დაახლოებით ახ.წ. 1000 წლის დროს ევროპის მოსახლეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების ასპექტები. გავლებულია რამდენიმე პარალელი ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში არსებულ ვითარებასთან.

2) „გეოგრაფიული შეცდომები“ დიპლომატიურ პრაქტიკაში (პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე)“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე: ისტორიის, არქე-

ოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, 91-105).

დიპლომატიური პრაქტიკა „გეოგრაფიულ შეცდომად“ გულისხმობს გეოგრაფიული რეალიების – ფიზიკურ-გეოგრაფიული ფორმების, მოსახლეობის ეთნორელიგიური სტრუქტურის, არსებული ადმინისტრაციული საზღვრების, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიზიდულობის – შემთხვევით ან შეგნებულ იგნორირებას.

განხილულია 1915-1917 წწ. საიდუმლო მოლაპარაკებების („მაკმაჰონ-ჰუსეინის მიწერ-მოწერა“, „საიქს-პიკოს შეთანხმება“, „ბალფურის დეკლარაცია“) შედეგები, რომლებიც მაშინვე გახდა საჯაროდ ცნობილი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში წარმოიშვა ახალი პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეალობები. რეგიონში წარმოიშვა ახალი პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც არ ემთხვეოდა არც ეთნიკურ და არც ომამდელ ადმინისტრაციულ საზღვრებს. თითქმის 100 წლის წინათ დიპლომატების მიერ დაშვებულმა „გეოგრაფიულმა შეცდომებმა“ წარმოშვა დღემდე გადაუწყვეტელი პოლიტიკური პრობლემები.

აკად. წევრ-კორ. რ. გაჩეჩილაძე 2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „სტერეოტიპები ქართულ-სომხურ ურთიერთობებში“ (სემინარი „ქართულ-სომხური ურთიერთობები“, თბილისი);

– „მე-19 და მე-20 საუკუნეების ომების გავლენა: სამხრეთ კავკასიის თანამედროვე სახელმწიფოების წარმოშობა“ (მე-4 თურქოლოგთა პროექტი, უტას უნივერსიტეტი, კონფერენცია – „კავკასია იმპერიების დაკნინების დროს, ნაციონალიზმი, ეთნიკურობა და სახელმწიფოს მშენებლობა (1870-1920-ნი წლები)“, თბილისი);

– „იმპერიების დაშლის კონფლიქტოგენური პოტენციალი: პოლიტიკური და გეოგრაფიული მიდგომა

(რუსული ამიერკავკასიის მაგალითზე 1917-1923)“ (საერთაშორისო კონფერენცია – „კონფლიქტები კავკასიაში: ისტორია, თანამედროვეობა და გადაწყვეტის პერსპექტივები“, ბაქო-თბილისი);

– „ცვლილებათა საუკუნე: სამხრეთ კავკასიის დედაქალაქები მუდმივ ცვლილებაში“ (მე-5 საერთაშორისო კონფერენცია – „პოსტკომუნისტური ქვეყნების ურბანული გეოგრაფია“, თბილისი);

– „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ზაფხულის სემინარი: კვლევის განვითარების ხელშეწყობა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე“, კვარიათი, საქართველო);

– „საქართველოს რეალობათა შემოწმება“ („მრგვალი მაგიდის“ მონაწილე: გლობსეკის ყოველწლიური კონფერენცია (GLOBSEC), ბრატისლავა, სლოვაკეთი);

– „სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია: რეგიონული გარემოს ცვლილების სცენარი“ (მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი და ატლანტიკური საბჭოს კონფერენცია, სტამბოლი, თურქეთი).

აკად. წევრ-კორ. რ. გაჩეჩილაძე მონაწილეობდა 2013 წელს დამთავრებული საზღვარგარეთული გრანტისა (დამფინანსებელი ASCN) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გარდამავალი (2011-2014 წწ.) გრანტის შესრულებაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
მირიან თოფჩიშვილი

წიგნი

„გამოჩენილი მეცნიერი და უბადლო გეოლოგი“ (აკადემიკოს პეტრე გამყრელიძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ნაშრომი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, 35 გვ.).

სტატია

„მიტილოცერამუსების ფაუნის სტრატიგრაფიული გავრცელება საქართველოს ქვედა- და შუაიურულ ნალექებში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7 №2, 105-112, ინგლისურ ენაზე).

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქვედა- და შუაიურული ნელექებიდან შეგროვებულმა მიტილოცერამუსების ფაუნის ნაშთებმა შესაძლებელი გახადა დაგვედგინა მათი ცვალებადობა გეოლოგიურ ჭრილებში. მათთან ერთად აღმოჩენილი ამონიტების ფაუნის სახელმძღვანელო ფორმებმა, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ ნალექების ასაკს, საშუალება მოგვცა დაგვედგინა მიტილოცერამუსების ფაუნის სტრატიგრაფიული გავრცელების საზღვრები. აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუფის ფაუნის ზოგი სახეობა სარგებლობს დროში ფართო გავრცელებით და მათი გამოყენება ზუსტი სტრატიგრაფიული დასკვნებისთვის შეუძლებელია.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ კაკაბაძე

სტატია

„ოკრიბა-ხრეითისა და ძირულის ტექტონიკური ქვეზონების (საქართველო) ბარემულ-აპტური სედიმენტური სექვენსების სტრატიგრაფიული კორელაცია“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 113-124, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ოკრიბა-ხრეითისა და ძირულის ტექტონიკური ქვეზონების (საქართველო) ბარემულ-აპტური სექვენსების შეპირისპირების საკითხი. ძირულის ქვეზონის ფარგლებში ბარემულ-აპტურ ნალექებში უთანხმო ზედაპირების, აგრეთვე, ზღვის შედარებით ღრმა და მარჩხი ფაციესების მონაცვლეობის შესწავლის საფუძველზე გამოიყო 5 სექვენსი (Br_1^1-Br_1^3,

Br_2^1-A_1^1, A_1^2-A_1^4, A_2^1-A_2^2, A_3^1-Al_1^1), რომლებიც ოკრიბა-ხრეითის ქვეზონაში ადრე გამოყოფილ ბარემულ-აპტურ სექვენსებს შეესაბამება. დაზუსტებულია ამ სექვენსების ბიოსტრატიგრაფიული ჩარჩოები და შეს-წავლილია მათი ლითო- და ბიოფაციესური ცვალება-დობის ხასიათი სივრცესა და დროში. უმეტეს შემ-თხვევაში სექვენსებს შორის საზღვრები ეროზიული ზედაპირებით არის გამოხატული, ხოლო იმ ჭრილებ-ში, სადაც სექვენსები ზღვის შელფის შედარებით უფრო ღრმა ფაციესით არიან წარმოდგენილი, სექ-ვენსებს შორის საზღვარი თანხმობითია. ყოველი ასე-თი საზღვარი წარმოადგენს ტიპურ პარალელურ უთან-ხმოებას და ირკვევა, რომ მისი დეგრადაციული სიცა-რიელის ქრონოსტრატიგრაფიული ამპლიტუდა შესწავ-ლილ რეგიონში ცვალებადია.

აკად. წევრ-კორ. მ. კაკაბაძე 2013 წელს მონაწი-ლეობდა სამეცნიერო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „საქართველოს ზედაჰოტრივული ნალექების ბიოსტრატიგრაფიული დანაწილება“ (გეოლოგიურ მეც-ნიერებათა საერთაშორისო კავშირის ქვედაცარცულის „კილიანის“ საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის თათ-ბირი, ანკარა, თურქეთი);

– „ტრანსკავკასიის მთათაშორისი არეალის სა-ქართველოს ნაწილის ზედააპტურ-ქვედაალპური ნალე-ქების სექვენტური ურთიერთდამოკიდებულება“ (ცარ-ცული სისტემის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი, ან-კარა, თურქეთი);

– „კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე: გარე-მოს ცვალებადობა და ადამიანი მეოთხეულის განმავ-ლობაში“ (პროექტი №610, გკსპ – იუნესკო. პირველი პლენარული კონფერენცია და საველე ექსკურსიები საქართველოში, თბილისი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ფერანდო მაისაძე

სტატია

„კაინოზოური ოროგენული ფაზისების ხანგრძლივობა (საქართველოს მაგალითზე)" (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 97-104, ინგლისურ ენაზე).

კაინოზოური ნალექების ლითოლოგიურ-ფაციესური ანალიზის საფუძველზე განხილულია ის სედიმენტაციური, პალეოგეოგრაფიული და სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც ოროგენულ ფაზისებთანაა დაკავშირებული. დანაოჭების ყოველ ფაზისს უმეტესად თან ახლდა სინოროგენული რეგრესიული ნალექების წარმოშობა, რომლებიც ამ ფაზისების პირდაპირ შედეგს და მათი ხანგრძლივობის საზომს წარმოადგენს. ირკვევა, რომ ცალკეული ოროგენული ფაზისისთვის რეგრესია დროში არ ემთხვევა ერთმანეთს და ისინი მკაცრად სინქრონული არაა. კაინოზოურში ყველაზე მნიშვნელოვანი პირენეული და შტირიული ფაზისებია. მათ, ჩეგემურ ფაზისთან ერთად, ჩამოაყალიბეს ის ძირითადი მორფო-სტრუქტურული ერთეულები, რომლებმაც შემდგომში მნიშვნელოვნად განაპირობეს რეგიონის თანამედროვე გეოლოგიური აგებულება. რეგრესიული ნალექების ასაკისა და გეოქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით საქართველოსთვის პირველად განისაზღვრა კაინოზოური ოროგენული ფაზისების სავარაუდო ხანგრძლივობა.

აკად. წევრ-კორ. ფ. მაისაძემ 2013 წ. მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ეოცენურ მოვლენათა ნალექების ფორმირება" (რუსეთის VII ლითოლოგიური საერთაშორისო კონფერენცია, ნოვოსიბირსკი, რფ);

– „ალპურ-ხმელთაშუაზღვის სარტყლის კავკასიის სეგმენტის გეოდინამიკური ევოლუციის ძირითადი ეტაპები“ (ევროპის გეომეცნიერებათა კავშირის გენერალური ასამბლეა, ვენა, ავსტრია).

საანგარიშო წელს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებამ ჩაატარა განყოფილების 11 სხდომა, რომლებზეც განხილული იყო სხვადასხვა საკითხები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოაცხადა აკადემიკოსების არჩევნები. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას გამოეყო 2 ვაკანსია – გეოფიზიკისა და გეოლოგიის დარგებში. ჩატარებული არჩევნების შედეგად შეირჩა ორი კანდიდატი – აკად. წევრ-კორ. თ. ჭელიძე (გეოფიზიკა) და აკად. წევრ-კორ. დ. შენგელია (გეოლოგია). ორივე კანდიდატი აკადემიის საერთო კრებამ ერთხმად აირჩია. ამრიგად, განყოფილებას შეემატა 2 აკადემიკოსი.

დებულების მიხედვით განყოფილებაში ჩატარდა აკადემიკოს-მდივნისა და სწავლული მდივნის არჩევნები. ახალი ვადით განყოფილებამ აკადემიკოს-მდივნად ერთხმად აირჩია აკადემიკოსი ე. გამყრელიძე, ხოლო სწავლულ მდივნად გეოლ.-მინერალ. მეცნ. კანდ. ე. კილასონია.

2013 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დადგენილების საფუძველზე განყოფილებაში გამოცხადდა კონკურსი ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიის მისაღებად გეოგრაფიის დარგში. ჩატარდა კონკურსი და პრემია მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატს ი. სალუქვაძეს.

2013 წელს განყოფილებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოს აკადემიის უცხოელ წევრებად ასარჩევად წარუდგინა: მეხიკოს ნაციონალური უნივერსიტეტის გეოფიზიკის ინს-

ტიტუტის სრული პროფესორი, მექსიკის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი წევრი ავთანდილ გოგიჩაიშვილი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტი სერგეი კორიკოვსკი. ორივე კანდიდატი ერთ-ხმად იქნა არჩეული.

განყოფილებაში შემოვიდა სამეცნიერო-კვლევი-თი დაწესებულებების 2012 წლის სამეცნიერო ანგარი-შები, რომლებსაც ჩაუტარდა ექსპერიზა. ანგარიშებმა, ძირითადად, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დადე-ბითი შეფასება მიიღო.

2013 წელს განყოფილებამ ჩაატარა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს პეტრე გამ-ყრელიძის დაბადებიდან 110 წლისთავს.

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება-ში 2014 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 13 წევრი, მათ შორის 6 აკადემიკოსი და 7 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2013 წელს გამოაქვეყნეს 2 წიგნი, 1 სახელმძღვანელო და 25 სამეცნიერო სტა-ტია.

აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე

მონოგრაფია

„გარანტიები და რისკები კონფლიქტებში, მათი გამოყენება“ (თანაავტორობით; გადაცემულია დასაბეჭ-დად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადე-მიის გამომცემლობაში, 366 გვ., რუსულ ენაზე).

როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ კონფლიქტის მონაწილეებმა განუზღვრელობის პირობებში? ამასთან, განუზღვრელი ფაქტორების შესახებ ცნობილია მხოლოდ ცვლილებათა საზღვრები, ხოლო სტატისტიკური მახასიათებლები არ არსებობს. უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული (და რა ხარისხით) რისკი თითოეული მოთამაშის მიერ? პასუხები ამ კითხვებზე მოიპოვება კონფლიქტთა გაწონასწორების თეორიაში, რომლის სათამაშო ასპექტის კვლევაში ბოლო 14 წლის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების მიერ მიღებულია ნობელის ხუთი პრემია. ამ საკითხებს ეძღვნება წინამდებარე მონოგრაფიაც. მასში შესულია, აგრეთვე, ამ თეორიული საკითხების გამოყენების მრავალი მაგალითი ეკონომიკაში, მართვადი სისტემების მექანიკაში, მედიცინაში და სხვ. მონოგრაფია განკუთვნილია რთულ მართვად სისტემებში გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

სტატიები

1) „ჩაკეტილ ციკლიანი არაწრფივი უწყვეტი დინამიკური სისტემების იდენტიფიკაცია“ (თანაავტორობით; International Journal of Information Technology & Decision Making. World Scientific Publishing Co. Pte. Ltd., v. 12, №2, 179-200, ინგლისულ ენაზე).

განხილულია ჩაკეტილ ციკლიანი არაწრფივი დინამიკური სისტემების სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანები უკუკავშირიანი უწყვეტი ბლოკურად ორიენტირებული მოდელების სიმრავლეზე. შემოთავაზებულია სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდი დამყარებულ რეჟიმში, რომელიც დაფუძნებულია სისტემის შესავალი და გამოსავალი ცვლადების დაკვირვებებზე შესავალი პერიოდული ზემოქმედებისას. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული

სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანასთან, გადაწყვეტილია უმცირესი კვადრატების მეთოდით. სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაციის ალგორითმები გამოკვლეულია როგორც თეორიული ანალიზის, ისე კომპიუტერული მოდელირების საშუალებით.

2) „არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანების აპროქსიმაციისა და სკალარიზაციის შესახებ“ (თანაავტორობით; სტუ-ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №17, თბილისი, 13-26).

განსაზღვრულია კრიტერიულ სივრცეში მოცემული ქვესიმრავლის მიახლოებითი ეფექტური წერტილის ცნება. შესწავლილია აღნიშნული სიმრავლის ეფექტურ წერტილთა სიმრავლით აპროქსიმაციის საკითხები. გარდა აღნიშნულისა, განხილულია ეფექტურ წერტილთა სიმრავლის აგების მეთოდები სტანდარტული ექსტრემალური ამოცანების ამოხსნის საფუძველზე, მიღებულია თეორიული შედეგები, რომლებიც არსებითად ეყრდნობა ავტორების მიერ ადრე ჩატარებულ გამოკვლევებს არააუცილებლად ამოზნექილ სიმრავლეთა განცალებადობის შესახებ, არსებითად გამოიყენება არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანების აპროქსიმაციისა და სკალარიზაციისათვის.

3) „მოდელის დადასტურება ერთი კლასის არასტაციონარული სისტემის იდენტიფიკაციისას“ (თანაავტორობით; სტუ-ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №17, თბილისი, 27-33, ინგლისულ ენაზე).

განხილულია წრფივი არასტაციონარული დინამიკური სისტემების მოდელის დადასტურების საკითხი მეორე რიგის სისტემების იდენტიფიკაციის მაგალითზე. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია როგორც წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების კოშის ამოცანის გარკვეული აზ-

რით შებრუნებული ამოცანა. ნაჩვენებია, რომ სისტემის შესავალი და გამოსავალი ცვლადების შესახებ არსებული ზუსტი ინფორმაციის არსებობისას აგებული მოდელის გამოსავალი სიგნალები ემთხვევა სისტემის გამოსავალ სიგნალებს მათ შესავალზე ერთი და იგივე სიგნალის მიწოდებისას.

4) „მდგრადი ამონახსნების ოპტიმალობის პრინციპი ლექსიკოგრაფიულ კოოპერატიულ თამაშებში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში IJ Modern Education and Computer Science, ინგლისურ ენაზე).

აკად. მ. სალუქვაძე მონაწილეობს სტუ-ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თემის – „ოპტიმიზაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები ნაწილობრივ დალაგებულ სივრცეებში“ შესრულებაში.

აკად. მ. სალუქვაძის მთავარი რედაქტორობით გამოიცა სტუ-ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №17, 205 გვ., რომელიც მოიცავს 32 სამეცნიერო სტატიას.

იგი არის საერთაშორისო ჟურნალის „Information Technology and Decision Making” (გამოიცემა World Scientific-ის მიერ) სარედაქციო კოლეგიის წევრი, აქტიურად მონაწილეობს ჟურნალის გამოცემაში.

† აკადემიკოსი ლევან მახვილაძე იყო მომხსენებელი საკითხისა

– „სატრანსპორტო სისტემების, ბუნებრივი რესურსების, ინოვაციებისა და საინფორმაციო კომუნიკაციების განვითარების კონცეფცია-პროგრამის განხილვა“, რომელიც წარადგინა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების” დარგობრივი ეკონომიკის, ინოვაციებისა და ურბანული განვითარების მიმართუ-

ლებების გაფართოებულ სამეცნიერო კონფერენციაზე (თბილისი).

იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილების სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით „წყალი – ეროვნული სიმდიდრე".

აკად. ლ. მახვილაძემ საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარადგინა საქართველოს საციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი კონცეფცია „წყალი – ეროვნული სიმდიდრე" და ლოჯისტიკური პროექტი „ქართული ეკონომიკური სასწაული".

იგი მონაწილეობდა ქვეყნის აღმშენებლობის გზით სოციალურად ორიენტირებული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროგრამის შემუშავებაში, რაც გათვალისწინებულ იქნება საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" ძირითად საპროგრამო საკითხებში. მონაწილეობდა, აგრეთვე, სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ინდუსტრიის მშენებლობის განვითარების პროექტში, რომელიც მიიჩნევა ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის საწინდრად.

აკად. ლ. მახვილაძის მიერ შემუშავდა დიდმალიანი გადახურვების აგების ახალი ტექნოლოგია. საკითხი განხილულ იქნა საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის გაერთიანებულ სხდომაზე.

აკადემიკოსი ელგუჯა მეძმარიაშვილი

სტატიები

1) „მექანიკური საყრდენი რგოლის კონსტრუქცია" (თანაავტორობით; ევროპული საავიაციო კოსმოსური

საზოგადოების CEAS ჟურნალი. ტ. 5, №3-4, ინგლისურ ენაზე).

დიდი გასაშლელი რეფლექტორები ჩვეულებრივ გამოიყენება კოსმოსურ მისიებში. სამეცნიერო, სატელეკომუნიკაციო და დედამიწის ზონდირების ამოცანების შესრულება უზრუნველყოფილია დიდი აპერტურებით (8-25 მ). მათდამი წაყენებული მნიშვნელოვანი მოთხოვნებია დაკეცილი პაკეტის გაბარიტული ზომები 0,4-1,5 მ, წონა – 18-160 კგ, გაშლის პროცესის კონტროლი და ზედაპირის სიზუსტე. წარმოდგენილია კონუსური რგოლის ახალი არქიტექტურა, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ წარმოდგენილ მოთხოვნებს. მისი მეშვეობით შესაძლებელია 8-25 მ ოფსეტური, ორრგოლიანი კონუსური ძალოვანი რგოლის შექმნა. კონსტრუქციაში უამრავი სიახლეა და მისი შემდგომი კვლევა ერთობ მნიშვნელოვანია.

2) „კონუსური ჩასატეხღეროებიანი რგოლის გაშლის შესაძლო ვარიანტები მოქნილ წინასწარდაძაბულ ცენტრთან ერთად" (თანაავტორობით; ევროპული საავიაციო კოსმოსური საზოგადოების (CEAS) ჟურნალი. ტ. 5, №3-4, 203-210, ინგლისურ ენაზე).

განხილულია კონუსური ძალოვანი რგოლის გაშლის ძირითადი სქემა, რომელიც ეფუძნება ღეროების ჩატეხვას, კვანძში ზამბარების დაყენებას და გაშლის მთელი პროცესის სტაბილიზაციას და მართვას ბაგირის საშუალებით. ძირითად ვარიანტთან ერთად არის გაანალიზებული კონუსური რგოლის არაძალოვანი გაშლა, როდესაც გამხსნელი რგოლის კონსტრუქცია პირველ ეტაპზე იშლება რგოლის ერთი სექციის გარდა. როდესაც გამშლელი რგოლი დაამთავრებს არაძალოვანი გაშლის პროცესს, მუშაობაში ერთვება რგოლის ერთი გაუხსნელი სექცია, რომლითაც სისტემა აღწევს საპროექტო ძალებს. განხი-

ლულია კონუსური რგოლის გაშლის შესაძლებლობა ელექტროამძრავებით.

აკად ე. მეძმარიაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტში 2013 წელს შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1) „საიერიშო სატანკო ხიდგამდების მობილურობისა და მანევრირების გაზრდა გასაშლელი 18-24 მეტრი სიგრძის ხიდების დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის სიმაღლისა და სიგანის მინიმიზაციით“.

დღეს მსოფლიოში არსებულ ერთ სატრანსპორტო-სამონტაჟო საშუალებაზე განთავსებული 18-24 მეტრი მალის მქონე ერთმალიანი გასაშლელი ხიდების დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის გაბარიტები საკმაოდ დიდია. საქართველოში შექმნილი 19,2 მეტრი მალის მქონე გასაშლელი ხიდის დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის სიმაღლისა და სიგანის მინიმიზაცია საშუალებას მოგვცემს ექსტრემალურ სიტუაციებში, საგანგებო ვითარებებში და საომარი მოქმედებების დროს გავზარდოთ საიერიშო სატანკო ხიდგამდების მობილურობა და მანევრირება.

გასულ საანგარიშო წელს შესრულდა:

– 19,2 მეტრი მალის მქონე გასაშლელი საბაზო ხიდის კონსტრუქციის ესკიზური პროექტი;

– საბაზო ხიდის კონსტრუქციის თეორიული კვლევა და კომპიუტერული გაანგარიშება.

2) „გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საბაზო კონსტრუქციის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება, ფუნქციური კონსტრუქციის დამზადება, აწყობა და გამოცდა“.

კოსმოსური პარაბოლური რეფლექტორების შექმნის თვალსაზრისით წარმოდგენილია ცილინდრული ჩასატეხღეროებიანი მექანიკური კონსტრუქცია. ჩატარებულია მისი თეორიული კვლევა. უპირველეს ყოვლისა

აღსანიშნავია კონსტრუქციის მცირე წონა, რაც თავისთავად კონსტრუირების ლოგიკითა და სტრუქტურის ოპტიმიზაციით მიიღწევა, ანუ სტრუქტურის მაღალი დინამიკური მახასიათებლებისა და სიმტკიცის რეზერვების ხარჯზე შესაძლებელია მისი შემადგენელი ელემენტების მინიმალური კვეთებითა და რაოდენობით დაპროექტება. გასაშლელი ძალოვანი რგოლის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა განაპირობა მასში ფერმული ტიპის, გეომეტრიულად უცვლელი და სტატიკურად რკვევადი ელემენტების გამოყენებამ, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ კუმშვაზე და გაჭიმვაზე. ამასთან, რგოლში შექმნილი დაძაბულ-დეფორმირებული სურათი განაპირობებს შეკუმშული ელემენტების მინიმალურ რაოდენობას და დაჭიმული, მოქნილი ღეროებისაგან დამზადებული ელემენტების ახალი კონსტრუქციული სქემით განლაგებას. შეიქმნა 6 მეტრი აპერტურის მქონე გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საბაზო ვარიანტის კონსტრუქციული სქემები და მუშა ნახაზები; შეიქმნა გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საბაზო ვარიანტის გეომეტრიული სქემების მათემატიკური ციფრული მოდელი; განხორციელდა ფუნქციური კონსტრუქციის დამზადება, აწყობა და გამოცდა ძირითად მექანიკურ პარამეტრებზე, გაშლა-დაკეცვაზე, ზედაპირის მიღების სიზუსტესა და წონითი პარამეტრების შეფასებაზე.

3) „სეტყვისაგან, ქარისაგან, მზის ინტენსიური დასხივებისაგან და სიცივისაგან მცენარეთა დაცვის ახალი კონსტრუქციული სქემების შექმნა და მათი ექსპერიმენტული კვლევა“.

უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიოში შეინიშნება ამინდის გლობალური ცვლილება, მზის დასხივების ინტენსივობის გაზრდა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები, რაც უცხო არ არის საქართველოსთვისაც –

ჩანაგდება სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რაც გამოიხატება ათეულ მილიონობით ზარალში. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია მცენარეთა დაცვის ახალი კონსტრუქციების შექმნა.

საანგარიშო წელს განისაზღვრა მცენარეთა დაცვის ახალი, სწრაფად გასაშლელი კონსტრუქციის დაზუსტებული სქემა; მცხეთის რაიონის სოფელ ჯიღაურაში დამზადდა, აიწყო და გამოიცადა ფუნქციური კონსტრუქცია.

აკად. ე. მეძმარიაშვილს მიღებული აქვს პატენტები გამოგონებაზე:

– პატენტი – „სეტყვისაგან მცენარეთა დამცავი მოწყობილობა", №5979, (თანაავტორობით);

– პატენტი – „მექანიზებული ხიდი და ხიდის დამწყობი" №AP 2012 012669 (თანაავტორობით), რომელიც გამოქვეყნებულია „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში" №23, 2013-12-10.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თანდასწრებით, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების მონაწილეობით შედგა გასაშლელი საიერიშო ხიდის – „კავკასიონი AVLB. MLC-75"-ის პროექტის პრეზენტაცია. თავდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სატანკო ხიდგამდების აგებისა და შეიარაღებაში გადაცემის შესახებ.

აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი

მონოგრაფია

„რეგიონის მდგრადი განვითარების პარადიგმა" (საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", ISBN 978-9941-20-371-8, 366 გვ.).

მონოგრაფიაში შემოთავაზებულია დიდმასშტაბიანი ორგანიზაციული სისტემების ეფექტიანი დაგეგმვის კვლევისა და ანალიზის მეთოდები, მოდელები და ალგორითმები.

მიღებული მოდელების საშუალებით დამუშავებულია რეგიონის მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც ანალიტიკურ მოდელებს ეფუძნება, და რეგიონის განვითარების სცენარების კვლევა, რაც გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა.

სტატიები

1) „სერიულად ვარგისიანი ელექტრონული სქემების დაპროექტების ამოცანა" (GESJ – Georgian Electronic Scientific Journals: Computer Sciences and Telecommunications, ISSN 1512-1232, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", ელექტრონული მედიის დეპარტამენტი, №2(38), 55-88).

კვლევის ობიექტია ელექტრონული სქემა, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს ამ ობიექტის მანქანური დაპროექტება პარამეტრული მტყუნებების გათვალისწინებით და სერიული ვარგისიანობის უზრუნველყოფა მისი მასობრივი წარმოების პირობებში. უპირატესობა ეძლევა სქემების ან სისტემების დაპროექტებისას სტატისტიკური კრიტერიუმების გამოყენებას და ამ პროცესის განხორციელებას ორ ეტაპად. პირველ – დეტერმინირებულ ეტაპზე იძებნება ე.წ. დასაშვები ამონახსნი, ანუ ელემენტთა პარამეტრების იმ მნიშვნელობათა ნაკრები ან ერთობლიობა, რომლებისთვისაც სრულდება ტექნიკურ მოთხოვნათა პირობები. მეორე – სტოქასტიკურ ეტაპზე ხორციელდება პროდუქციის საწყისი გამომავალი ხარისხის ან საიმედოობის მაჩვენებლის ოპტიმიზაცია თანდათანობითი მტყუნებების მიხედვით, სახელდობრ: ა) დაპროექტების ამოცანის

ხსენებული დასაშვები ამონახსნი გამოიყენება საწყის წერტილად და ბ) ელემენტთა პარამეტრების სტატისტიკური განაწილებების გათვალისწინებით ხორციელდება ამონახსნის შემდგომი ძებნა.

2) „ხანგამძლეობისა და დაღლილობით გამოწვეული რღვევის დაჩქარებული ტესტირება კომპიუტერული მოდელირებით" (GESJ – Georgian Electronic Scientific Journals: Computer Sciences and Telecommunications, ISSN 1512-1232, თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", ელექტრონული მედიის დეპარტამენტი, №2(38), 89-119).

ხანგამძლეობის დასადგენად მოცემულია დაჩქარებული ტესტირების ამოცანათა ფორმულირება და ძირითადი განმარტებანი. შემოტანილია ე.წ. დაჩქარების ფუნქციის ცნება, რომლის განსაზღვრითაც, წრფივი მოდელის შემთხვევაში, მიიღება მოწყობილობის უმტყუნო მუშაობის დროის განაწილების ინტეგრალური ფუნქცია. ჩამოყალიბებულია დაჩქარების ფუნქციის წრფივობის კრიტერიუმი და პალმგრენ-მაინერის თანაფარდობის განზოგადებული პრინციპის ამსახველი თანაფარდობის საფუძველი, რომელიც ნაშრომშია მიღებული, შემუშავებულია დაჩქარებული ტესტირების ჩატარების მეთოდი საიმედოობის განსაზღვრისათვის უწყვეტი და საფეხურიანი დატვირთვის შემთხვევაში.

3) „საწყისი მონაცემების გაურკვევლობა სისტემათა დაპროექტებისას" (Georgian Engineering News, ISNN 1512-0287, №3, ტ. 67, თბილისი, 9-15).

ელექტრონული სქემის პარამეტრული საიმედოობის გამოთვლის ალგორითმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მისი შემავალი, ანუ პირველადი, პარამეტრების განაწილებათა კანონების ცოდნას, რადგან სწორედ ამის საფუძველზე ხორციელდება შემდეგ გამომავალ პარამეტრთა განაწილების კანონების შეფასება.

თუ შემავალი პარამეტრების განაწილების კანონები უცნობია, აუცილებელი ხდება მათი პოსტულირება. ზოგადი წინაპირობები ელექტრონულ სქემათა შემავალი პარამეტრების განაწილების კანონების პოსტულირებისათვის შეიძლება გამომდინარეობდეს იმ განაწილებათა ძებნის საინფორმაციო ამოცანებიდან, რომლებსაც მოცემულ პირობებში მაქსიმალური ენტროპია აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მოიძებნოს x რეალიზაციათა მქონე X შემთხვევითი შემავალი სიდიდის ალბათობათა განაწილების $p(x)$ სიმკვრივე, რომელიც მოცემულ პირობებში (ე.ი. მოცემული აპრიორული ინფორმაციისათვის) უზრუნველყოფს დიფერენციალურ ენტროპიად წოდებული გამოსახულების მაქსიმუმს.

4) „ფორმალური ნეირონის ადაპტაცია უიდროუ-ჰოფის ალგორითმით" (Georgian Engineering News, ISNN 1512-0287, №3, ტ. 67, თბილისი, 11-18).

უიდროუ-ჰოფის ალგორითმით უწყვეტი ადაპტაციისას უკუკავშირის გარეშე თითოეული შემავალი არხის წონის შემთხვევითი ნამატი, რომელიც იტერაციის მომდევნო ბიჯზე ხორციელდება, განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ სხვაობით ნეირონში შემავალი სიგნალების აწონილ ჯამსა და ამ ჯამის სიდიდეზე დადებულ გარკვეულ შეზღუდვას შორის. ამიტომ ნებისმიერ ბიჯზე წონათა ნამატის აბსოლუტური სიდიდე ერთნაირია ყველა შესასვლელისათვის. დამყარებულ რეჟიმში ამ ნამატების მათემატიკური ლოდინი ნულის ტოლია და წონები, რომელზეც მიიღწევა ასეთი მდგომარეობა, აკმაყოფილებს სავსებით განსაზღვრულ პირობებს. სახელდობრ, მტკიცდება, რომ უიდროუ-ჰოფის ალგორითმით განხორციელებული უწყვეტი ადაპტაციის შემთხვევაში მყარდება მაჰალანობისის მანძილისათვის მაქსიმუმის მიმნიჭებელ სიდიდეთა პროპორციული წონები. ასეთი წონებით ფუნქციონირება

თითქმის ოპტიმალურია (ე.წ. ენტროპიულ წონებთან შედარებით).

5) „ფორმალური ნეირონის ადაპტაციის მოდელი" (GESJ: Computer Sciences and Telecommunications.-2013, №3(39), 118-152, http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2200.pdf., 118-152, რუსულ ენაზე).

არსებობს ფორმალური ნეირონის ადაპტაციის მრავალი სახე ამ ნეირონის გამოყენებისას ბინარული სიგნალის აღმდგენად. იგულისხმება, რომ ფორმალური ნეირონის შესასვლელებს მიეწოდება მტყუნების სხვადასხვა ალბათობის მქონე არხებით ერთი და იმავე შემთხვევითი ბინარული სიგნალის სხვადასხვა ვერსია და ნეირონით უნდა მოხდეს სწორი საწყისი სიგნალის აღდგენა, ანუ გადაწყვეტილების მიღება ამ ვერსიათა საფუძველზე. ამის განსახორციელებლად აუცილებელი ხდება ფორმალური ნეირონის ადაპტაცია. იგი ინტერპრეტირდება როგორც ნეირონის შესასვლელების წონათა მართვის პროცესი ამ წონების მოსაყვანად შესაბამისობაში შემომავალი არხების შეცდომათა მიმდინარე ალბათობებთან. ასეთი მართვის ამოცანაა უფრო საიმედო შესასვლელებისათვის მეტი გავლენის უზრუნველყოფა მისაღებ გადაწყვეტილებაზე (ე.ი. სწორი სიგნალის აღდგენაზე) ნაკლებად საიმედო შესასვლელებთან შედარებით. ამასთან ერთად, ადაპტაცია შეიძლება სხვადასხვა მეთოდით, სხვადასხვა ალგორითმით ხორციელდებოდეს. შესწავლილია მისი მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობა – ადაპტაცია უკუკავშირის გარეშე უიდროუ-ჰოფის ალგორითმით.

6) „აღმდგენი ფორმალური ნეირონის შეცდომის ალბათობის მინიმალური ზედა შეფასების მიღება ორი მეთოდით" (Georgian Engineering News, ISNN 1512-0287, №4, v. 68, თბილისი, 11-18).

ნაჩვენებია, რომ მინიმალური ზედა შეფასება ფორმალური ნეირონის შეცდომის ალბათობისათვის ამ ნეირონის გამოყენებისას აღმდგენ (გადამწყვეტ) ელემენტად შეიძლება იყოს მიღებული როგორც კონვოლუციის ლაპლასის გარდაქმნის აპარატის საფუძველზე, ასევე დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების ჯამის ფაქტორიალური მომენტის მაწარმოებელი ფუნქციის საშუალებით. მტკიცდება, რომ ორივე შემთხვევაში ხსენებული შეფასებები სავსებით იდენტურია.

7) „მენეჯმენტის ზოგიერთი პრობლემების გადაჭრა ფაზი სიმრავლეთა თეორიის მეშვეობით“ (მეცნიერთა და ინჟინერთა მსოფლიო ასოციაციის საერთაშორისო კონფერენცია ISBA 2013, სერია: ბიზნესის ადმინისტრირების შრომები – „მათემატიკა და კომპიუტერები თანამედროვე მეცნიერებაში”, გამომცემლობა „WSEAS Press www.wseas.org ”, ISBN: 978-1-61804-152-4, 43-48, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მართვის პროცესში გადაწყვეტილებათა მიღების მიდგომები ისეთ არასტანდარტულ სიტუაციებში, როცა მცირეა წინასწარი გამოცდილება და ცოდნა განსახილველი პრობლემის შესახებ. ასეთ შემთხვევებში პრაქტიკულად შეუძლებელია პრობლემის გადაჭრა პროცესში ექსპერტების ჩართვის გარეშე, ე.ი. ხდება ჯგუფურ გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში გადანაცვლება და გადასაწყვეტია ალტერნატივების აგრეგირების პრობლემა. შემოთავაზებულია აგრეგირების პრობლემების გადაჭრა ფაზი სიმრავლეთა მეშვეობით. მოყვანილი მასალა დაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განხილულია შემთხვევა, როდესაც ჯგუფურ გადაწყვეტილებათა მიღებისათვის გამოყენებულია ექსპერტების რაოდენობრივი შეფასებები, მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ჯგუფურ

გადაწყვეტილებათა მიღების ზოგადი მეთოდი, როცა ექსპერტების შეფასებები თვისებრივი ხასიათისაა.

8) „წარმოების მდგრადი განვითარების მოდელები“ (მოსკოვის VII საერთაშორისო კონფერენცია ოპერაციათა კვლევაში (ORM2013), შრომები, ISBN 978-5-317-04572-2, ტ. 1, 125-129, რუსულ ენაზე).

ტერმინი „მდგრადი განვითარება” ნიშნავს ისეთ განვითარებას, რომელიც იძლევა მაღალი ეკოლოგიური და სოციალური გარანტიების უდიდეს შესაძლო ეკონომიკურ ეფექტს. ამ მიზნის მისაღწევად ხშირად იყენებენ რისკის შეფასებაზე დაფუძნებულ მიდგომებს, რომელთა ძირითადი პრინციპია ისეთი მოქმედებების დაგეგმვა, რომლებსაც შეესაბამება სასურველი შედეგების მიღების მაქსიმალური გარანტიები. როგორც წესი, რეალურ პროცესებზე გავლენას ახდენს შემთხვევითი ბუნების მქონე ფაქტორების სიმრავლე. ამიტომ ეს პროცესები შემთხვევითია და, მათი კორექტული აღწერისა და სანდო გადაწყვეტილებების მიღებისათვის, საჭიროა ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენება. გაანალიზებულია მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების მეთოდზე, კერძოდ, სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების ბაიესის პირობით მეთოდზე. შემოთავაზებულია დასმული პრობლემის გადაწყვეტის მეთოდი და ალგორითმები. ისინი დაფუძნებულია ოპტიმიზაციის (მრავალკრიტერიუმიანი მეთოდების ჩათვლით) და სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების მეთოდებზე; სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმებისათვის შემოთავაზებულია ბაიესის პირობითი მეთოდი, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს გადაწყვეტილების მიღების გასაშუალებული რისკი.

9) „ფსევდოსპექტრების შეფასების ალგებრული მეთოდი” (ლის ჯგუფების, დიფერენციალური განტო-

ლებებისა და გეომეტრიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შრომები, 10-22, ბათუმი).

დამტკიცებულია, რომ ხმაურისა და დეტერმინისტული კომპონენტების შემცველი დროითი მწკრივის ბაზაზე კონსტრუირებულ მონაცემთა X_d მატრიცის m მთავარ სინგულარულ ვექტორებს გააჩნია ერთნაირი ფსევდოსპექტრული სტრუქტურა, რომელიც იდენტურია დროითი მწკრივის ფსევდოსპექტრული სტრუქტურის. დანარჩენი სინგულარული ვექტორების ფსევდოსპექტრული სტრუქტურა განსხვავებულია აღნიშნული სპექტრებისაგან. ნაჩვენებია, რომ ეს შედეგი საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ ფსევდოსპექტრების სიხშირული გარჩევადობა და შეფასებების სტატისტიკური მდგრადობა.

10) „სინგულარული განშლადობის ამოცანაში სინგულარული მნიშვნელობების და ვექტორების გამოთვლის ტენზორული აპროქსიმაციის გამოყენება" (მათემატიკურ მეცნიერებათა ჟურნალი, შპრინგერი, ტ. 195, №4, 512-517, (DOI) 10.1007/s10958-013-1598-9, ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

შემოთავაზებულია არაკვადრატული მატრიცების სინგულარული მნიშვნელობების და მარცხენა და მარჯვენა სინგულარული ვექტორების გამოთვლის ახალი მეთოდი. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა გვერდი ავუაროთ მაღალი რანგის წრფივი სისტემებისა და მათი მატრიცების შებრუნების პრობლემას, რაც უზრუნველყოფს მისი ცუდად განპიროვნებულობის პრობლემის მიმართ არამგრძნობელობას. მეთოდი ეფუძნება ესკარტ-იანგის თეორემას, რომლის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ყოველივე მეორე რიგის r-რანგიანი ტენზორი შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს, როგორც 1-რანგიანი ტენზორების (საკოორდინატო ტენზორების) წრფივი კომბინაცია. მიღებულია საკოორ-

დინატო ტენზორების გენერაციული ვექტორების განტოლებათა ახალი სისტემა, რის შედეგადაც შემუშავებულია სინგულარული ვექტორების ახალი იტერაციული მეთოდი.

11) „საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის კვლევისა და მოდელირებისათვის კოგნიტური მიდგომა“ (თანაავტორობით; წიგნში „გამოყენებითი მათემატიკის ზოგიერთი პრობლემები“, სერია: „მათემატიკური კვლევების განვითარება“, გამომცემლობა: „Nova Sceince Publishers”, 10-21, ISBN: 978-1-62081-627-1, ნიუიორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

განხილულია კოგნიტური მიდგომა სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში არსებული მნიშნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად. ჩატარებულია სისტემური ანალიზი კომპლექსის ძლიერი და სუსტი თვისებების, რისკებისა და მოსალოდნელი მოგების, გარემოს, პოლიტიკური, იურიდიული, სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შემოთავაზებულია კოგნიტური მოდელების აგების მეთოდოლოგია. მოდელირების შედეგად მიღებულია სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების შესაძლო სცენარები.

აკად. ა. ფრანგიშვილი 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

– ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო პროგრამისა და საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ნანოსენსორული სისტემები და ნანომასალები” (თბილისი);

– საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია თემაზე „გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის საერთაშორისო პრობლემები” (თბილისი);

– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ” (თბილისი);

– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)” (თბილისი);

– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ევროპული კოოპერაცია ახალი თაობის სენსორების შექმნისათვის” (თბილისი);

– საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე” (თბილისი);

– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „მსოფლიო და გენდერი” (თბილისი).

აკადემიკოსი ვახტანგ ჭიჭინაძე

სტატია

„ელექტროენერგეტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს ენერგორესურსების ოპტიმალურად გამოყენების პრობლემები“ (თანაავტორობით; სტუ-ის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. №17, თბილისი, 75-80).

გაანალიზებულია მსოფლიოში ელექტროენერგეტიკის განვითარების ტენდენციები. ნაჩვენებია, რომ საქართველოს ეკონომიკურად მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია უახლოეს ათწლეულებში მიღწეულ იქნეს ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების დონე 40-45 მლრდ კვტ.სთ-მდე.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ გაბრიჩიძე

სტატიები

1) „ენგურის თაღოვანი კაშხალი – აშენებიდან 35 წლის შემდეგ” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-

ლი აკადემიის მოამბე, ტ. 7, №1, 55-58, ინგლისურ ენაზე).

ენგურის თაღოვანი კაშხლის კონსტრუქცია დღესაც საინჟინრო ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევა. კაშხლის სიმაღლეა 271 მეტრი, თხემის სიგრძე 700 მეტრი. კაშხლის მიერ შექმნილ წყალსაცავში აკუმულირებულია 1,1 მილიარდი ტონა წყლის მოცულობა. ენგურის ჰიდროკვანძის ექსპლუატაციის 35-წლიან პერიოდში რამდენჯერმე განხორციელდა მისი სარეაბილიტაციო პროგრამა და მნიშვნელოვანი სამუშაოებიც ჩატარდა. სამწუხაროდ, სარეაბილიტაციო პროგრამებით დაგეგმილი ზოგიერთი საკითხი არ იქნა შესწავლილი, კერძოდ, არ გაკეთებულა თაღოვანი კაშხლის ქცევის შეფასება ამ რეგიონში მოსალოდნელი ძლიერი სეისმური ზემოქმედებისას. არ დამუშავებულა კაშხლის შესაძლო გარღვევისას შექმნილ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების პროგრამა, რაც აუცილებელ საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტად არის მიჩნეული.

2) „სეისმურად არასაიმედო შენობათა რაოდენობა გაიზრდება! . .” (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2013 წ. №29).

სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგია და სამშენებლო ნორმები, ვერც წარსულში და ვერც სამომავლოდ, ვერ უზრუნველყოფენ შენობათა დაზიანებების დონეების საიმედო პროგნოზირებას. თუ კაცობრიობამ არ გააცნობიერა სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგიაში ჩადებული რისკის დონის შემცირების აუცილებლობა, XX საუკუნეში მთელ მსოფლიოში აშენებული სეისმურად არასაიმედო ნაგებობათა რაოდენობა XXI საუკუნეში კიდევ უფრო მოიმატებს.

აკად. წევრ-კორ გ. გაბრიჩიძე გამოვიდა მოხსენებით:

– „წესრიგი და უწესრიგობა ბუნებაში – მუდმივი საფრთხე და გამოწვევა” (ილია ვეკუას სახელობის

გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარი, თბილისი);

– „საქართველოს სამშენებლო დარგის ნორმატიული ბაზის ფორმირების საგანმანათლებლო პროგრამა და მეცნიერების განვითარების კონცეფცია“ (სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია – „სეისმომედეგი მშენებლობის ეროვნული ნორმები (პნ 01,01-09) და მისი აქტუალიზაციის პრობლემები“, თბილისი).

იგი აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ენერგეტიკის სამინისტროებთან მშენებლობის სფეროში საკანონმდებლო რეგულირების პრინციპების რეალიზაციის მიმართულებით, აგრეთვე, მონაწილეობს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ეგიდით ჩამოყალიბებულ მათემატიკურ სკოლაში „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“, რომელიც ნერგავს მოზარდ თაობაში ცოდნის გადატანის თანამედროვე მეთოდებს.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გიორგი გოგიჩაიშვილი

სახელმძღვანელო

„ბიზნესის მართვის ოპტიმალური მეთოდები” (საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 179 გვ.).

სახელმძღვანელო რეკომენდებულია ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. განხილულია ბიზნესის მართვის ეფექტიანობის ამაღლების თეორიული ასპექტები. იგი დაეხმარება მაგისტრანტებს ბიზნეს-მოდელების გაანალიზებაში, მარკეტინგული გადაწყვეტილების ხელშემწყობი საინფორმაციო-ანალიზური სისტემების დაპროექტებაში, ბიზნეს-პროექტების ავტომატიზაციაში.

სტატიები

1) „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო სისტემაში” (თანაავტორობით; ჟ. „ინტელექტი“, №1(45), თბილისი).

წარმოდგენილია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ძირითადი სახეები, რომლებიც გამოიყენება განათლების სისტემაში მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად: ავტომატიზებული მასწავლი სისტემები, ექსპერტული მასწავლი სისტემები, გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი სისტემები, საგანმანათლებლო კომპიუტერული ტელეკომუნიკაციური ქსელები, ვირტუალური რეალობის სისტემები, სასწავლო მონაცემთა და ცოდნის ბაზები.

2) „მორწყვის რეჟიმების პროგნოზირების პროცესის ავტომატიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით“ (თანაავტორობით; სტუ-ის შრომათა კრებული „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, №3(16), რუსულ ენაზე).

განხილულია სოფლის მეურნეობის კულტურების მორწყვის სისტემების პროგნოზირების პროცესის ავტომატიზაციის ძირითადი ამოცანები მათემატიკური მეთოდების, მოდელებისა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. აღწერილია სოფლის მეურნეობის კულტურების მორწყვის რეჟიმების შესადგენად აუცილებელი ძირითადი თანამედროვე ტექნოლოგიები.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
დავით თავხელიძე

მონოგრაფია

„საბაგირო გზების ამძრავი მოწყობილობების და ვაგონების დაკიდების მექანიზმების სქემები, მოდელები

და დინამიკური კვლევები“ (საგამომცემლო სახლი „ტექ-ნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 124 გვ., რუსულ ენა-ზე).

მონოგრაფიაში განხილულია საბაგირო გზების ძი-რითადი ფუნქციური სქემები და მათი მუშაობის პი-რობები ზღვრული დატვირთვების დროს. ჩატარებული დინამიკური ანალიზის შედეგად შემოთავაზებულია სა-ბაგირო გზების მადემპფირებელი მოწყობილობების ახა-ლი კონსტრუქციული სქემები. უნდა აღინიშნოს, რომ საბაგირო გზების დინამიკური ანალიზი ჩატარებულია მათემატიკური მოდელის საფუძველზე, რომელიც ითვა-ლისწინებს განხილული სისტემების როგორც სტრუქ-ტურულ, ასევე კონსტრუქციულ თავისებურებებს.

სტატია

„ხუთრგოლიანი, მოძრაობის ორი თავისუფლების მქონე მექანიზმების გეომეტრია“ (Journal of Mathematical Sciences, ტ, 195, № 4, 560-568, ინგლისურ ენაზე).

ამოხსნილია ხუთრგოლა, მოძრაობის ორი თავი-სუფლების მქონე ბერკეტული მექანიზმების პირდაპირი და უკუგეომეტრიული ამოცანები. მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია მრავალრგოლიანი ბერკეტუ-ლი მექანიზმების მართვის ალგორითმების შედგენის დროს.

აკად. წევრ-კორ დ. თავხელიძემ მონაწილეობა მიი-ღო ლი-ს ჯგუფების, დიფერენციული განტოლებებისა და გეომეტრიის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთა-შორისო კონფერენციის მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება – „ტრიპოდული მექანიზმების უკუგეომეტ-რიული და კინემატიკური ანალიზი“ (ბათუმი).

მიღებული აქვს პატენტი გამოგონებაზე „სპეცია-ლური საჭიროების მქონე პირების გადასაადგილებელი კიბეზემავალი სატრანსპორტო საშუალება“ (საპატენტო წინადადება 13118/01).

აკად. წევრ-კორ დ. თავხელიძემ მოიპოვა გრანტები:

– „თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების შესაბამისი უმაღლესი საინჟინრო განათლების მოდერნიზაცია საქართველოს, უკრაინისა და უზბეკეთის უმაღლეს სასწავლებლებში“ (ENGITEC, Tempus joint project EACEA № 25/2011).

– „კვლევების შედეგების გამოგონებებში გარდაქმნისა და დანერგვის მხარდაჭერა ეპკ-ის ქვეყნების სოფლის მეურნეობის სექტორში“ (SUAFRI-EPC, Proposal FP7-INCO-2013-9, №609553.

აკად. წევრ-კორ დ. თავხელიძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
თამაზ იამანიძე

აკად. წევრ-კორ. თ. იამანიძე 2013 წლის მანძილზე მუშაობდა შემდეგ საკითხებზე: სისტემის „ქანი-ინსტრუმენტი” დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის დინამიკური ამოცანების კვლევის შედეგად, დრეკედობის კლასიკური თეორიის, კომპლექსური ცვლადისა და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით შექმნილი მათემატიკური მოდელის საფუძველზე ამოხსნილია შესაბამისი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები. აქედან გამომდინარე გამოკვლეულია ქანის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, როდესაც მის საზღვრებზე სხვადასხვა სიჩქარით მოქმედებენ სხვადასხვა სიდიდის შეყურსული ძალები. სხეულების რღვევისას დადგენილია, რომ ძაბვის ტენზორისა და გადაადგილების ვექტორების მდგენელების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ჰარმონიული ფუნქციის საშუალებით.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რამაზ ხუროძე

სტატია

„ნეირონების რაოდენობის განსაზღვრა კლასტერირების იდენტიფიკაციის მეთოდებით” (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში International Journal of Information Technology & Decision Making. World Scientific Publishing Co. Pte. Ltd).

განიხილება ფორმალური ნეირონის სწავლების პროცესი, ბინარული, თანაბარგანზომილებიანი რეალიზაციები, მაგალითად, ამოცნობის ამოცანების სწავლების პროცესი ხორციელდება ამოცნობის პროცედურების გამოყენებით, რაც მაქსიმალურად აახლოებს სწავლების, ანუ ნეირონის ნიშნით კოეფიციენტების ცვლილებებს (ეტალონური აღწერების აგებას) უშუალოდ ამოცნობის ალგორითმთან. სწავლების ალგორითმი შედგება ორი ეტაპისაგან: პირველი – საკუთარი სახის ეტალონური აღწერის აგება, მეორე – მიღებული აღწერის კორექტირება სხვა სახის აღწერებთან მიმართებაში სახეების სასწავლო ნაკრების რეალიზაციის გამოყენებით. ამოცანების პროცედურების დროის მიხედვით მეტობების გასწორება ხდება წონითი კოეფიციენტების შეცვლით, კერძოდ, დაჯილდოების ალგორითმის პროცედურების გამოყენებით.

აკად. წევრ-კორ. რ. ხუროძე არის შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ინფოკომუნიკაციური ქსელების საიმედოობრივი დაგეგმვის (სტრუქტურული მართვის) ახალი ნახევრადმარკოვული მოდელები” – თანაშემსრულებელი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან ჯაფარიძე

სტატიები

1) „არაწრიული კვეთის გვირაბის ირგვლივ ქანების მასივის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შეფასებისათვის ანალიზური და რიცხვითი მეთოდების შედარება“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №1, 38-43, ინგლისურ ენაზე).

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში მიწისქვეშა ნაგებობების გაანგარიშების მსოფლიო პრაქტიკაში უწყვეტი ტანის მექანიკის ანალიზური მეთოდები ფაქტიურად განდევნა რიცხვითმა მეთოდებმა. თუ ეს უკანასკნელი შეუცვლელია გეომექანიკის რთული სამგანზომილებიანი ამოცანებისათვის, ბრტყელი ამოცანების შემთხვევებში დრეკადობის თეორიის ანალიზური მეთოდები კვლავაც უნდა დარჩეს გამოყენებისა და განვითარების საგნად. ჩატარებულია მიწისქვეშა ნაგებობების კერძო ამოცანების ამოხსნა. გამოყენებულია საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებული, სასრულ ელემენტთა მეთოდზე დამყარებული სპეციალური კომპიუტერული პროგრამა და ნ. მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიის ანალიზური აპარატი. განივკვეთის მართკუთხედთან მიახლოებული ფორმის გვირაბის მაგალითზე მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზით ნაჩვენებია, რომ ანალიზური ამონახსნი გაცილებით ზუსტია, ამასთან ადვილიც, თუ პარალელურად გამოყენებულ იქნება კომპიუტერული პროგრამა „მათლაბი”.

2) „ანალიზური და რიცხვითი მეთოდები გვირაბის ირგვლივ დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შეფასებისათვის“ (თანაავტორობით; „სამთო ჟურნალი“, №1(30), თბილისი, 15-19).

ფირმა Rockscience-ის კომერციული პროგრამა Phase 2.7-ის, სასრულო ელემენტების რიცხვითი მეთოდისა და დრეკადობის თეორიის ნ. მუსხელიშვილის ანალიზური

აპარატის გამოყენებით ერთდროულად ამოხსნილია კონ-კრეტული მაგალითები. ელიფსური ფორმის განივკვეთის გვირაბის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ანალიზური მეთოდი რიცხვითთან შედარებით შეიძლება იყოს გაცილებით ზუსტიც და ადვილად განხორციელებადიც, განსაკუთრებით, პროგრამა Matlab-ის და Excel-ის დახმარებით.

3) „მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისას „კედელი – გრუნტში" ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ" (თანაავტორობით; „სამთო ჟურნალი", 2(31), თბილისი).

ნაჩვენებია, რომ შემკავებელი სამაგრის კონსტრუქციებიდან მეთოდი „კედელი – გრუნტში" შეიძლება მიჩნეულ იყოს ღია წესით მიწისქვეშა მშენებლობისას სუსტ ქანებში ქვაბულის გამაგრების ყველაზე პროგრესულ და უნივერსალურ ხერხად. გრუნტში საპროექტო სიღრმეზე ხდება ტრანშეის გათხრა (გამოიყენება ხისტი გრეიფერი ან მექანიზებული ტრანშეის მთხრელი; თხრილის სიგანე 60-100 სმ, სიღრმე h=40-50 მ-დე). სველი წესით მიწისქვეშა ნაგებობების კედლების აგებისას განსაკუთრებული როლი ენიჭება თიხის ხსნარს, რომლის მოცულობითი წონა γ უნდა იყოს 1,1-1,2 ტ/მ^3-ის ფარგლებში. წყალი ახდენს თიხის გაჯირჯვებას, რაც უზრუნველყოფს ტრანშეის მდგრადობას ვერტიკალურ მდგომარეობაში. დაბეტონება სრულდება ვერტიკალურად გადაადგილებული მილის მეთოდით ბეტონის ხსნარის თანაბრად განაწილებადი მიწოდებით მონაზომის მთელ სიგრძეზე და მისი ამოვსებით ქვევიდან ზევით, თიხის ხსნარის გამოდევნით. ამრიგად, „კედელი – გრუნტში" ტექნოლოგიით მიღებული ქვაბულის შემოფარგვლა ქმნის ერთიან კონსტრუქციას. შემდგომ ხდება თანმიმდევრულად ქვაბულის გრუნტის ამოღება ზევიდან ქვევით. რკინაბეტონის კედელს უკეთდება სი-

ხისტის ელემენტები, რომლებიც ასრულებენ გვერდული განმბრჯენების როლს.

4) „ბაზალტისა და ნახშირბადის ბოჭკოთი არმირებული კომპოზიციური მასალები“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – „თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები არაორგანულ მასალათა მეცნიერებებში“ – მასალები, 17-21, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია პოლიესტერის, რეზინის, ნახშირბადისა და ბაზალტის ბოჭკოების ბაზაზე დამზადებული ახალი ტიპის კომპოზიციური მასალების კვლევის შედეგები. კერძოდ, წარმოდგენილია ხუთფენოვანი ორთოგონალურად არმირებული კომპოზიტის საექსპლუატაციო კოეფიციენტების მნიშვნელობები სხვადასხვა ტემპერატურაზე (350K-მდე) ოპერირების პირობებში, როდესაც ორი ფენა შეცვლილია ბაზალტით. ორივე შემთხვევაში ქსოვილი დამზადებულია როვინგისგან. ნაჩვენებია, რომ არსებობს შესაძლებლობა კომპოზიტის მაარმირებელი ძვირადღირებული და დეფიციტური ნახშირბადის ბოჭკო ნაწილობრივ ჩანაცვლებულ იქნეს ბაზალტის ბოჭკოთი ისე, რომ მნიშვნელოვნად არ შეიცვალოს სხვადასხვა ტემპერატურაზე საექსპლუატაციო მახასიათებლები. კომპოზიტში გამოყენებული ბაზალტის ბოჭკო დამზადებულია ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, რომლის ქიმიური შედგენილობაა: SiO_2-49%, Al_2O_3-17%, Fe_2O_3-10%, CaO-10%, MgO-7%, Na_2O-4%, MnO-1%, TiO_2-1%.

აკად. წევრ-კორ. ლ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის თემას – „ღია წესით გაყვანილი სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ზღვრულ მდგომარეობებზე გაანგარიშების და დაპროექტების ტექნიკური სახელმძღვანელოს დამუშავება”.

იგი მონაწილეობდა აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის გრანტით დაფინანსებული პროგრამის – „რადიაციული ნარჩენების შესანახად ახალი ცილინდრული კონტეინერების დამზადება აფეთქების ენერგიის გამოყენებით“ – შესრულებაში.

აკად. წევრ-კორ. ლ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო პრობლემების, ენერგეტიკისა და მართვის თეორიის კომისიის წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების ქვეკომისიამ 2013 წელს ჩაატარა სამი სხდომა.

განხილული იყო:

– საკითხი საყდრისის ოქროს საბადოზე გამონამუშევრის გაყვანის ე.წ. „ცეცხლური მეთოდის“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ;

– ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოს უსაფრთხო დამუშავებასთან, მოპოვებული ნახშირის რაციონალურად გამოყენების პრობლემებთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხები;

– სპეციალური დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების გაანგარიშების და რაციონალური დაპროექტებამშენებლობის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები;

– ახალგაზრდა, კვალიფიციური სამეცნიერო-საინჟინრო კადრების მომზადების საკითხები.

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილებაში ჩატარდა 8 საერთო კრება. განხილულ იქნა შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები. ამ მიზნით განყოფილების მიერ აღნიშნული ანგარიშების შესაფასებლად გამოყოფილ იქნა რეცენზენტები (სულ განხილული იქნა 19 ასეთი ანგარიში).

საანგარიშო წელს განყოფილებამ ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების არჩევნები. აკადემიკოსებად არჩეულ იქნენ ა. ფრანგიშვილი, ლ. მახვილაძე და ე. მეძმარიაშვილი. განყოფილებამ ახალი ვადით აკადემიკოსმდივნად აირჩია აკად. მ. სალუქვაძე, სწავლულ მდივნად ტექნ. მეცნ. კანდ. ნ. კილასონია.

2013 წელს აქტიურად მუშაობდა განყოფილებასთან არსებული **საინჟინრო პრობლემების, ენერგეტიკისა და მართვის თეორიის კომისია** (თავმჯდომარე აკად. მ. სალუქვაძე, მოადგილე ტექნ. მეცნ. კანდ. გ. აბდუშელიშვილი). საანგარიშო წელს კომისიის ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იყო ენერგეტიკის პრობლემებისადმი: რამდენიმე სხდომა მიეძღვნა ხუდონჰესის მშენებლობის საკითხებს – კატასტროფების კომისიასთან ერთად ჩატარებულია გაერთიანებული კრება, რომელზეც განხილულ იქნა როგორც კომპანია „ტრანსელექტროს“ მიერ წარმოდგენილი მასალები, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მოსაზრებები; დასავლეთ საქართველოში, მდინარეების ენგურისა და რიონის ხეობებში წყალგამყოფისა და ჰიდრორესურსების სეზონურობის რეგულირების საკითხებს მიეძღვნა კომისიის გასვლითი სხდომები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ბაზაზე; სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელ კომისიასთან ერთად კომისიამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის პროექტის შემუშავებაში.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში 2014 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 7 წევრი, მათ შორის 5 აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2013 წელს გამოაქვეყნეს 2 წიგნი, 1 სახელმძღვანელო და 32 სამეცნიერო სტატია.

† აკადემიკოსი თეიმურაზ ანდრონიკაშვილი

სტატიები

1) აკად. ა. კორახაშვილთან და აკად. თ. ურუშაძესთან თანაავტორობით. „განვითარებული სოფლის მეურნეობა როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტია“ (j. „Annals of agrarian science“, ტ. 11, №1, 8-12, ინგლისურ ენაზე).

გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელობა და შესაძლებლობები საქართველოში, რეგიონის ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს შესაძლებლობების მქონე ქვეყნისათვის სასურსათო დამოუკიდებლობის კონკრეტული პოლიტიკის გატარების აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსი. ამ ღონისძიებების გატარების პირობები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად შესაძლებელს ხდის მოსახლეობის უვნებელი და ხარისხიანი საკვებით მომარაგებას.

2) აკად. თ. ურუშაძესთან თანაავტორობით. „ბუნებრივი ცეოლითები – ჯადოსნური ქვები“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, თბილისი, 31-43).

განხილულია ცეოლითების არსი და მათი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მრეწველობაში, გარემოს დაცვაში, ჩამდინარე წყლების გაწ-

მენდაში. დახასიათებულია საქართველოში არსებული ცეოლითების ძირითადი საბადოები.

აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია

სტატიები

1) „უსხმულო გლინვის აგრეგატის კრისტალიზატორის ჩამკეტი ფილების დამზადების ტექნოლოგიის დამუშავება“ (თანაავტორობით; კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, თბილისი, 81-84).

უკანასკნელ წლებში შავი მეტალურგიის სფეროში ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები ტექნოლოგიური პროცესების დისკრეტულობის შემჭიდროვებაზე, რათა რაც შეიძლება ნაკლები ოპერაციებით იქნეს მიღებული სასურველი სახეობის ლითონპროდუქცია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგიის შეთავსება ფურცლის პროფილის გაგლინვასთან. მსოფლიოს წამყვანი მეტალურგიული ლიდერები ამ მხრივ დიდ ძალისხმევას და კაპიტალს არ იშურებენ დასახული მიზნების მისაღწევად, რადგან აღნიშნული მაღალი კლასის ტექნოლოგიები უშუალოდ უკავშირდება მასშტაბურ ფინანსურ შედეგებს. ჯერჯერობით შემოთავაზებული სისტემებით აშენდა პირველი სამრეწველო ობიექტი აშშ-ში, რომელიც აქამდე გამართულად ვერ მუშაობს და სპეციალისტთა ყურადღება, ძირითადად, კონცენტრირებულია ტექნოლოგიური პარამეტრებისა და კონსტრუქციის დახვეწაზე. სტატიაში დაზუსტებულია კონსტრუქციული პარამეტრები. დადგენილია ცეცხლგამძლე მასალების შემადგენლობა და კონფიგურაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ გამდნარი ფოლადის ჰერმეტულ ჩაკეტვას და ნაგლინის გეომეტრიული ზომების უაღრესად მაღალ მაჩვენებელს.

2) „თანამედროვე მსოფლიო და საპატენტო გამოწვევები“ (თანაავტორობით; კრ. „მეცნიერება და კულტურა”, II, 166-176).

თანამედროვე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია გამოგონებებისა და სხვა ინტელექტუალური პროდუქციის ორიგინალობის განსაზღვრა მაღალ ექსპერტულ დონეზე. საპატენტო საქმიანობა დღევანდელ დღეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მასტიმულირებელი ფაქტორი, რადგან ტექნოლოგიური პროცესების დონე და შესაბამისი სირთულეები მოითხოვს ავტორთა განსაკუთრებულ კვალიფიკაციას, რაც საარბიტრაჟო პროცესებში მაღალი მოთხოვნების შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს. დღეს, ისე როგორც არასდროს, მკაცრ მოთხოვნებს ექვემდებარება საპატენტო საქმიანობა. სტატია უშუალოდ უკავშირდება აკად. ი. ჟორდანიას საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განსაზღვრის კომისიაში.

აკად. ი. ჟორდანიას სამეცნიერო საქმიანობა საანგარიშო წელს მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, როგორც აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების წევრი, მონაწილეობდა ლითონების უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგიისა და მოწყობილობის სრულყოფის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში და მეორე მხრივ, შედუღების პროცესების სრულყოფის სამუშაოებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. როგორც სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა ცენტრის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

აკად. ი. ჟორდანიამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეორე სამეცნიერო კონფერენციის – „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“ – მუშაობაში (თბილისი).

აკად. ი. ჟორდანია როგორც საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას იღებდა საინჟინრო აკადემიის ღონისძიებებში. მონაწილეობდა რუსეთისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობაში, როგორც ამ აკადემიების წევრი.

აკადემიკოსი შოთა სამსონია

სტატიები

1) „ბისინდოლები. 43. დიპიროლოქინოქსალინები. 2. ვილსმაიერის რეაქციის პირობებში „ფიშერის ალდეჰიდების“ ბის-ანალოგების სინთეზი“ (თანაავტორობით; ж. „Химия Гетероциклических Соединений“, №4, 580-584, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

ფიშერის ფუძის იზომერული ბის-ანალოგების ფორმილირებით ვილსმაიერის რეაქციის პირობებში მიღებულია შესაბამისი დიალდეჰიდები: 2,7-დი(ფორმილმეთილმეთილიდენ)-1,3,3,6,8,8-ჰექსამეთილინდოლინო[7,6-*g*] ინდოლინი და 2,9-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,1,3,8,10,10-ჰექსამეთილინდოლინო[4,5-*e*]ინდოლინი. ანალოგიურ პირობებში დიპიროლობენზოქინოქსალინის რიგის ფიშერის ფუძე წარმოქმნის საღებარს, რომლის სტრუქტურაც დაუდგენელია. ვილსმაიერის კომპლექსის დიდი სიჭარბის პირობებში, ჰელმუტ-ფრიცის რეაქციით მიღებული და დახასიათებულია დიალდეჰიდი 2,7-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრამეთილდი-

პიროლო[1,2,3,-*d,e*:3,2,1-*i,j*]ბენზო[*g*]ქინოქსალინი.

2) **აკად. კ. ჯაფარიძესთან და სხვებთან თანაავტორობით.** „იზომერული დიპიროლონაფთალინების ბაზაზე მიღებული ინდოლინური ბის-სპიროქრომენების ფოტოქრომული თვისებები" (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №3, 51-56, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია 6,6"-დინიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრანიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',3',3',6',8',8'-ჰექსამეთილდისპიროქრომენო-2,2'-ინდოლინო[7,6-*g*]ინდოლინო-9',2"-ქრომენების], 6,6"-დინიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრანიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',1',3',8',10',10'-ჰექსამეთილდისპიროქრომენო-2,2'-ინდოლინო[4,5-*e*]-ინდოლინო-9',2"-ქრომენების], 6,6"-დინიტრო-, 6,6"-დიბრომ- და 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',1',8',8' -ტეტრამეთილ-1',4',5',8' -ტეტრაჰიდროდისპიროქრომენო-2,2'-დიპიროლო[1,2,3-*d,e*:3,2,1-*i,j*]ბენზო[g]ქინოქსალინ-7',2"-ქრომენების] ახლად მომზადებული ხსნარების ფოტოქრომული თვისებები. ზემოთ აღნიშნული ნაერთების ხსნარების ვერცხლისწყლის ნათურით დასხივებისა და გაცხელების შემდეგ მიღებული ხსნარების ელექტრონული სპექტრების შესწავლით დადგენილია, რომ ბენზოდიპიროლოქინოქსალინის რიგის სპიროქრომენები ხასიათდებიან უფრო მკვეთრად გამოსახული ფოტოქრომულობით უკეთესი ხსნადობის გამო. შესწავლილია ერთ-ერთი ბის-სპიროქრომენის გაუფერულების კინეტიკა ხსნარის დასხივებისა და დღის სინათლეზე დაყოვნების შედეგად. ულტრაიისფერი (უი) სპექტრების მონაცემთა საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ახლად მომზადებულ ხსნარებში ფოტოქრომულ ნივთიერებებს აქვთ შეფერილი ბეტაინური სტრუქტურა, ხოლო ვერცხლისწყლის ნათურის უი სხივების მოქმედებით ხდება შეფერილი ხსნარების გაუფერულება. გაუფერულების პროცესის სიჩქარე შეს-

წავლილია შეფერილი ფორმის შთანთქმის ზოლის ოპ-ტიკური სიმკვრივის დროში შემცირების საფუძველზე.

აკად. შ. სამსონიამ 2013 წ. მონაწილეობა მიიღო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „აზოტის ატომის შემცველი ტრიციკლური სის-ტემების სინთეზი და წარმოებულები" (თანაავტორობით; 3 rd International Conference of Young Scientists – „Chemistry Today 2013", თბილისი, 24-25, ინგლისურ ენაზე);

– მეორე სამეცნიერო კონფერენციაზე „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებე-ბი", თბილისი, წაკითხული იქნა 6 მოხსენება:

1) „ახალი მონაცემები ინდოლის ქიმიაში: უჩვეუ-ლო რეაქციები, მექანიზმები, კვანტურ-ქიმიური გათვ-ლები" (თანაავტორობით; კონფერენციის თეზისები, 59-61);

2) „ადამანტანის ფრაგმენტების შემცველი ზოგიერ-თი წარმოებულის სინთეზი და სკრინინგი ანტიბაქტე-რიულ და ანტივირუსულ აქტიურობაზე" (თანაავტორო-ბით; 62-64);

3) „მულტიკომპონენტური რეაქციით ბიოლოგიუ-რად აქტიური ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი დი-პეპტიდის სინთეზი იზოციანიდების ბაზაზე" (თანა-ავტორობით; 65-66);

4) „ზოგიერთი ინდოლინური ბის-სპიროქრომენის ფოტოქრომული თვისებები" (თანაავტორობით; 76-78);

5) „ადამანტანშემცველი ზოგიერთი ბენზიმიდაზო-ლების სინთეზი და კვლევა" (თანაავტორობით; 84-85);

6) „პეპტიდის ფრაგმენტის სინთეზი უგის რეაქცი-ის საშუალებით" (თანაავტორობით; 86-88).

– 1st International Chemistry and Chemical Engineering Conference, ბაქო, აზერბაიჯანი, წაკითხული იქნა 4 მოხსენება:

1) „მნიშვნელოვანი ბიოლოგიურად აქტიური ინდოლური ნივთიერებების ბის- და პოლიანალოგები" (გვ. 76);

2) „დიპიროლოქინოაქსალინების რიგის ინდოლინური ბის-სპირიპირანების ფოტოქრომული თვისებები" (თანაავტორობით; გვ. 15).

3) „კლასიკური უგის რეაქციით დიპეპტიდების სინთეზი" (თანაავტორობით; გვ. 75).

4) „2-ჩანაცვლებული ინდოლების ზოგიერთი თავისებურებანი" (თანაავტორობით; გვ. 99).

აკად. შ. სამსონია იყო 2013 წელს დამთავრებული თსუ-ის ფაკულტეტთან არსებული ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თემის – „პრაქტიკული თვისებების მქონე ბუნებრივი და სინთეზური არომატული, ჰეტეროციკლური და ალიციკლური ნაერთები: სინთეზი, გამოკვლევა" – ხელმძღვანელი.

აკად. შ. სამსონია მონაწილეობს 3 გრანტის შესრულებაში:

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის – „სტაბილური 13C იზოტოპით მარკირებული, ზოგიერთი ფარმპრეპარატის მიღების მეთოდების შემუშავება" (AR/311/6-420/11, 2012-2014) – თანაშემსრულებელი;

– შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ერთწლიანი გრანტის – „უგის რეაქციის საფუძველზე ბიოლოგიურად აქტიური ადამანტანშემცველი ახალი დიპეპტიდების სინთეზი" (YS/33/6-420/12, 2013) – ხელმძღვანელი;

– შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებო პროგრამების გრანტის (DO/108/6-420/13) – ხელმძღვანელი.

აკად. შ. სამსონია არის საარბრიუკენის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორ-სტიპენდიატი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი.

აკად. შ. სამსონია არის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო დაცვის საბჭოს ქიმიის სექციის თავმჯდომარე.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე

სტატიები

1) „ტრიბუსპონინი და ათეროსპონინი – მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №3, 100-104, ინგლისურ ენაზე).

მცენარე Tribulus terrestris L. – კუროსთავის სტეროიდული გლიკოზიდების საფუძველზე შემუშავებულია პრეპარატი „ტრიბუსპონინი“, რომელიც ათეროსკლეროზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის განკუთვნილი არაჰორმონალური ანაბოლიტური საშუალებაა. ტრიბუსპონინის გამოყენების ჩვენებებია: თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, სისხლში ქოლესტერინის დონის მომატება, ათეროსკლეროზი ჰიპერტონიული დაავადებით, სტენოკარდია კორონალური სისხლძარღვების ათეროსკლეროზის ფონზე, სისხლის ჰიპერკოაგულაცია, მეზენტერიული სისხლძარღვების ათეროსკლეროზი მუცლის ღრუს ორგანოთა და ნაღველმდენი გზების ატონიით, შეკრულობა; რეაბილიტაცია მძიმე დაავადების და ქირურგიული ჩარევის შემდეგ, სპორტსმენთა გამძლეობის მომატება, მამაკაცთა უნაყოფობა. ტრიბუსპონინი გამოდის 0,1 გ ტაბლეტები №50-ის სახით. კუროსთავის მიწისზედა ნაწილებიდან მომზადებულია ნატურალური სამკურნალო ფორმა 0,25 გ კაფსულების სახით, რომელიც შეიცავს მცენარის სპირტ-წყლიანი მშრალი ექსტრაქტისა და წვრილდის-

პერსიული ფხვნილის ნარევს. მასში შენარჩუნებულია მცენარეში არსებული ნივთიერებები ბუნებრივი სახით და ტრიბუსპონინის იდენტური თერაპევტული მოქმედებით ხასიათდება. პრეპარატს Atherosponin – „ათეროსპონინი“ ეწოდა. ათეროსპონინი რეკომენდებულია, როგორც ბიოლოგიურად აქტიური კვების დანამატი და ტრიბუსპონინის ანალოგიურად გამოიყენება.

2) „უდიდესი სულიერი და გონებრივი წინამძღვარი“ (წიგნი „წერილები პატრიარქს“, თბილისი, 298-299).

პატრიარქისადმი წერილში მოკრძალებით აღნიშნულია მსოფლიო მართლმადიდებელი საქრისტიანოსათვის მისი უწმინდესობის საპატრიარქო მსახურების ისტორიული და ეპოქალური მნიშვნელობა, უღრმესი მადლობა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის გადმოცემის ფასდაუდებელი პატივისათვის.

აკად. ე. ქემერტელიძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში და გამოაქვეყნა თეზისები:

– „Digitalis ciliata Trautv. – სტეროიდული გლიკოზიდები“ (თანაავტორობით; International conference of Natural Products Utilization: from plants to pharmacy shelf, ICNPU, SL 25, ბანსკო, ბულგარეთი);

– „ქვერცეტინის და კემფეროლის წარმოებული ახალი გლიკოზიდები *Helleborus caucasicus* A. Br. ფოთლებიდან“ (თანაავტორობით; International conference of Natural Products Utilization: from plants to pharmacy shelf, ICNPU, 2013, SL 24, ბანსკო, ბულგარეთი);

– „Helleborus caucasicus A. Br. ფოთლების ფენოლური შედგენილობა“ (თანაავტორობით; X международный симпозиум по химии природных соединений, ტაშკენტი, ბუხარა, უზბეკეთი).

– „საქართველოს ფარმაკოქიმიური მეცნიერების ზოგიერთი მონაპოვარი წარმოებას“ (მეორე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, თბილისი, 31-32);

– „Yucca gloriosa L. – იუკა დიდებულის ნაყოფების ქიმიური შედგენილობა“ (თანაავტორობით; მეორე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, თბილისი, 111-113).

აკად. ე. ქემერტელიძე ხელმძღვანელობდა ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი გეგმით 2013 წელს შესასრულებელ თემას – „ბიოლოგიურად აქტიურ მცენარეულ ნივთიერებათა ფიტოქიმიური შესწავლა“.

მიღებული აქვს საქპატენტის 3 პატენტი გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე.

აკად. ე. ქემერტელიძეს მიღებული აქვს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი.

აკად. ე. ქემერტელიძე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა სამაგისტრო პროგრამას „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა“.

იგი უწევდა მეთოდურ ხელმძღვანელობას საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციისა და ტრადიციული მედიცინის ფაკულტეტს.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე

სახელმძღვანელო

1) „ზოგადი ქიმია“ (თანაავტორობით; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 265 გვ.).

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა სპეციალობის სტუდენტებისთვის. მასში გადმოცემულია თანამედროვე შეხედულებები ატომის აღნაგობის, ქიმიური ბმების, ქიმიური თერმოდინამიკის ძირითადი დებულებების, ქიმიური რეაქციების, ხსნარების, ჟანგვა-აღდგენის, გალვანური ელემენტებისა და კოროზიის შესახებ.

მონოგრაფია

„ციანატები და ფულმინატები“ (თანაავტორობით; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 77 გვ.).

მონოგრაფია ეძღვნება არაორგანული ნივთიერებების ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი კლასის – ფსევდოჰალოგენიდების, კერძოდ, ციანატების და თიოციანატების შესწავლას. დეტალურად არის განხილული ციანატ- და ფულმინატიონების შემცველი როგორც მარტივი, ისე კოორდინაციული ნაერთების სინთეზი, თვისებები, აღნაგობა, ციანატ- და ფულმინატიონების ლითონებთან კოორდინირების წესი. შედარებულია ნაერთების ინფრაწითელი სპექტრული და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მონაცემები, რომლებიც სრულ სურათს იძლევა როგორც ფულმინატ- და ციონატიონების, ასევე მათი შემცველი ნაერთების აღნაგობის შესახებ.

სტატიები

1) „გამხსნელის გავლენა ლითონებთან ფარმაცევტული პრეპარატების კომპლექსწარმოქმნის უნარზე. II. 2,6-დიეთილ-2,4,6,8-ტეტრააზაბიციკლო [3,3,0]-ოქტანდი-

ონ-3,7-2,6-დეტაბოდი“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 1, №13, 12-20).

ნახევრად ემპირიული კვანტურ-ქიმიური AM1 მეთოდით გამოთვლილია 2,6-დიეთილ-2,4,6,8-ტეტრააზაბიციკლო [3,3,0]-ოქტანდიონ-3,7-2,6-დეტაბოდის ენერგეტიკული, გეომეტრიული და სტრუქტურული მახასიათებლები. ელექტრონული სტრუქტურის საფუძველზე დადგენილია სხვადასხვა გამხსნელის გავლენა ლითონებთან მათი კომპლექსწარმოქმნის უნარის შესახებ.

2) „ურთიერთქმედების სპექტროფოტომეტრიული კვლევა მოლიბდენ(VI)-2,3,4-ტრიოქსი-4-სულფოაზონაფტოლჰიდროფობური ამინების სისტემაში“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 1, №13, 24-27).

სპექტროფოტომეტრიული მეთოდით გამოკვლეულია მოლიბდენის(VI) კომპლექსწარმოქმნა 2,3,4-ტრიოქსი-4-სულფოაზონაფტოლთან ფენანტროლინის, α, α^{I}-დიპირიდილის, დიფენილ- და ტრიფენილგუანიდინის თანაობისას. წარმოიქმნება სხვადასხვა ლიგანდური კომპლექსები კომპონენტთა თანაფარდობით 1:1:1. შესწავლილია დროის, pH-ის, ტემპერატურის და კომპონენტთა კონცენტრაციის გავლენა სხვადასხვა ლიგანდური კომპლექსური ნაერთების წარმოქმნაზე. შემუშავებულია სასმელ წყალში მოლიბდენის(VI) მიკროოდენობათა სპექტროფოტომეტრიული განსაზღვრის მაღალსელექტიური მეთოდიკა.

3) „ამიდების მეტალებთან – კომპლექსწარმომქმნელებთან კოორდინირების წესის შესახებ“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 1, №13, 21-23).

მოცემულია კვანტურ-ქიმიური გამოთვლების შედეგები AM1 მეთოდით, რომლებიც გამოყენებულია ამიდების მეტალებთან – კომპლექსწარმომქმნელებთან კოორდინირების წესის დასადგენად. აღნიშნული დას-

ტურდება როგორც სპექტრული, ასევე რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მონაცემებით.

4) „ოლდა მამულაიშვილისა და მარიამ ჭყონიას შრომები კოორდინაციული ნაერთების ქიმიის სინთეზის დარგში“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 1, №13, 178-181).

განხილულია ო. მამულაიშვილისა და მ. ჭყონიას მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომი „იშვიათი ლითონების კომპლექსური ქიმიისთვის“, რომელიც დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალში „ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის მოამბე“. ნაჩვენებია, თუ რა საეტაპო და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ნაშრომმა კომპლექსური ქიმიის განვითარებისა და კვლევის მიმართულებით საქართველოში.

5) „კალციუმის ფსევდოჰიდროაცეტატის დიჰიდრატის კრისტალური სტრუქტურის შესახებ“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 1, №13, 31-34.).

შესწავლილია (დაზუსტებულია) კალციუმის ფსევდოჰიდროაცეტატის დიჰიდრატის $Ca_2H_2(CH_3COO)_2(CH_3COO)_4 \cdot 2H_2O$ კრისტალური სტრუქტურა. შესაბამისი მონოკრისტალები გადაღებულია ავტოდიფრაქტომეტრულ კომპლექსზე CAD-4-SDP. აღსანიშნავია, რომ გამოკვლეული სტრუქტურის ატომთშორისი მანძილები და სავალენტო კუთხეები კარგ თანხვედრაშია ლიტერატურულ მონაცემებთან. ნაშრომი გაუმჯობესებული R ფაქტორით ქვეყნდება პირველად.

აკად. გ. ცინცაძე მონაწილეობდა მეორე სამეცნიერო კონფერენციის – „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების“ მუშაობაში და გააკეთა მოხსენება:

– „ფარმაცევტული პრეპარატების ელექტრონული სტრუქტურის და კომპლექსწარმოქმნის უნარის გამო-

კვლევისათვის კვანტური ფარმაკოლოგიის გამოყენების შესახებ“ (თანაავტორობით; თბილისი, 184-ე გვ., რუსულ ენაზე).

იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს (ქიმიის სერია) და საქართველოს ქიმიური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

† აკადემიკოსი კოხტა ჯაფარიძე

სტატიები

1) **აკად. შ. სამსონიასთან და სხვებთან თანაავტორობით.** „იზომერული დიპირილონაფთალინების ბაზაზე მიღებული ინდოლინური ბის-სპიროქრომენების ფოტოქრომული თვისებები” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №3, 51-56, ინგლისურ ენაზე). (ანოტაცია იხ. გვ. 112).

2) „სპიროპირანების შემცველი სისტემების ფოტომგრძნობიარობის გაზრდის ახალი მეთოდი“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №3, 57-62, ინგლისურ ენაზე).

ავტორების მოსაზრება, რომ მიცელირების პროცესი გარკვეული ტიპის სპიროპირანების შემცველ კომპოზიციებში გაზრდიდა ეფექტურ ფოტომგრძნობიარობას, დადასტურდა ექსპერიმენტულად. ქოლესტერულ თხევადკრისტალურ კომპოზიციას, დოპირებულს გრძელი ალკილის რადიკალის შემცველი სპიროპირანით, უფრო მაღალეფექტიანი ფოტომგრძნობიარობა ახასიათებს ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი, ვიდრე კომპოზიციებს მოკლერადიკალიანი ანალოგებით. სავარაუდოდ ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აზოტის ატომთან გრძელი ალკილის რადიკალის არსებობისას სპიროპირანის მეროციანინული ფორმა ამფიფილურია – ლიოფილური ცვიტერიონური თავით და ლიოფობური არაპოლარული კუდით. გარკვეულ

პირობებში ასეთი მოლეკულები თვითორგანიზდებიან მიცელებად, რომლებიც არღვევენ თერმოდინამიკურ წონასწორობას ძირითად ხსნარში. წონასწორობის აღსადგენად წარმოქმნილი მეროციანინული მოლეკულები ემატება უკვე არსებულ ფოტოინდუცირებულ მეროციანინულ მოლეკულებს, რაც საბოლოო ჯამში ზრდის შთამნთქმელი ცენტრების რაოდენობას.

აკადემიკოსი ბეჟან ჭანკვეტაძე

სტატიები

1) „კეტოპროფენის ენანტიომერების დაყოფის შედარებითი შესწავლა კაპილარულ ელექტროფორეზში ტრიმეთილირებული α-, β- და γ-ციკლოდექსტრინებით და სელექტორ-სელექტანდის ურთიერთქმედების კვლევა ბირთვულ – მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპიით“ (თანაავტორობით; Chirality, 25, 79-88, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია, რომ კეტოპროფენის ენანტიომერების აფინობა ციკლოდექსტრინების მიმართ იცვლება ამ უკანასკნელის შიგა ღრუს ზომებიდან გამომდინარე. კერძოდ, ტრიმეთილირებულ ალფა და ბეტა ციკლოდექსტრინებს უფრო მტკიცედ უკავშირდება ამ ნივთიერების S ენანტიომერი, ხოლო ტრიმეთილირებულ გამა ციკლოდექსტრინს R ენანტიომერი. ამ მოვლენის ახსნის მიზნით შესწავლილია კეტოპროფენის ენანტიომერების კომპლექსების სტრუქტურები აღნიშნულ ციკლოდექსტრინებთან და დადგენილია გარკვეული კანონზომიერებები.

2) „მწვანე ასიმეტრიული სინთეზი: ასიმეტრიული ალდოლის რეაქციები მიცელარულ წყალხსნარებში კატალიზატორებად ბეტა ამინო სპირტების გამოყენებით“ (თანაავტორობით; Chirality, 25, 119-125, ინგლისურ ენაზე).

პირველადაა შესწავლილი ბუნებრივი ამინმჟავებისაგან ადვილად მომზადებული ბეტა ამინო სპირტების კატალიზატორებად გამოყენების შესაძლებლობა მიცელარულ წყალხსნარებში მიმდინარე ასიმეტრიული ალდოლის რეაქციებისათვის. ოპტიმალურ ექსპერიმენტულ პირობებში შესაბამისი ქირალური ბეტა კეტონი მიღებულია 93%-იანი გამოსავლიანობითა და 89%-იანი ენანტიომერული სიჭარბით.

3) „არილპროპიონის მჟავას ქირალური ნაწარმების ენანტიომერების დაყოფა სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სვეტებისა და ნორმალური მოძრავი ფაზების გამოყენებით ძირითადი აქცენტით ენანტიომერების ელუირების რიგზე“ (თანაავტორობით; Journal of Separation Science, 36, 140-147, ინგლისურ ენაზე).

პირველადაა ჩატარებული სისტემატური გამოკვლევა არილპროპიონის მჟავას ქირალური ნაწარმების ენანტიომერების ელუირების რიგის აღდგენის თვალსაზრისით პოლისაქარიდული ბუნების სხვადასხვა ქირალური სელექტორებისა და მოძრავი ფაზების გამოყენებით. დადგენილია ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილების საინტერესო შემთხვევები ქირალური სელექტორის, მოძრავი ფაზის, მოძრავი ფაზის დანამატისა და დაყოფის ტემპერატურის მიხედვით.

4) „ახალი ზედაპირულად ფოროვანი ფენილჰექსილ სილიკაგელის გამოყენება ნანოქრომატოგრაფიაში“ (თანაავტორობით; Electrophoresis, 34, 1737-1742, ინგლისურ ენაზე).

ზედაპირულად ფოროვანი სილიკაგელები ქრომატოგრაფიის დარგში მომუშავე სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმის გამო, რომ მთლიანად ფოროვან სილიკაგელებთან შედარებით მათში გაცილებით სწრაფად ხდება მასის გადატანა

მოძრავ და უძრავ ფაზებს შორის. ეს უკანასკნელი კი მკვეთრად ზრდის თეორიული თეფშების რიცხვს ქრომატოგრაფიაში. სპეციალისტთა აზრით, ზედაპირულად ფოროვანი ადსორბენტები ვიწროდიამეტრიან ქრომატოგრაფიულ სვეტებში არ გამოირჩევიან იმ უპირატესობებით, რასაც ისინი ჩვეულებრივ (>2 მმ) დიამეტრიან სვეტებში იჩენენ. ამ აზრის საწინააღმდეგოდ ნაჩვენებია ზედაპირულად ფოროვანი ადსორბენტების გამოყენების შესაძლებლობა მაღალეფექტური ქრომატოგრაფიული დაყოფების განხორციელების მიზნით 25-150 მიკრომეტრი შიგა დიამეტრის მქონე კაპილარულ სვეტებშიც კი.

5) „ტრიაზოლის ჯგუფის ქირალური ფუნგიციდი დიფენოკონაზოლი: აბსოლუტური სტერეოქიმიური კონფიგურაცია, სტერეოიზომერების ბიოაქტივობა, სტერეოსელექტიური აქვატოქსიურობა და ქცევა ბოსტნეულსა და ნიადაგში” (თანაავტორობით; Environmental Science & Technology, 47, 3386-3394, ინგლისურ ენაზე).

პირველად განხორციელდა ტრიაზოლის ჯგუფის ქირალური ფუნგიციდი დიფენოკონაზოლის ოთხივე სტერეოიზომერის ქრომატოგრაფიული დაყოფა და თითოეული სტერეოიზომერის აბსოლუტური სტერეოქიმიური კონფიგურაციის დადგენა ქირაოპტიკური და თეორიული ქიმიის (სიმკვრივის ფუნქციონალი) მეთოდების გამოყენებით. გარდა ამისა, შესწავლილია სტერეოიზომერების ბიოაქტივობა, სტერეოსელექტიური აქვატოქსიურობა და ქცევა (დაგროვება და გარდაქმნა) ბოსტნეულსა და ნიადაგში.

6) „ზოგიერთი ქირალური ანტიმიკოტური საშუალების ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდულ ქირალურ სვეტებზე პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით განსაკუთრებული აქცენტით ენ-

ანტიომერების ელუირების რიგზე" (თანაავტორობით; Chromatographia, 76, 1449-1458, ინგლისურ ენაზე).

პირველად ჩატარდა სისტემატური გამოკვლევა ქირალური ანტიმიკოტური საშუალების ენანტიომერების ელუირების რიგის დადგენის თვალსაზრისით პოლისაქარიდული ბუნების სხვადასხვა ქირალური სელექტორებისა და მოძრავი ფაზების გამოყენებით. დადგენილია ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილების საინტერესო შემთხვევები ქირალური სელექტორის, მოძრავი ფაზის და დაყოფის ტემპერატურის მიხედვით.

7) „ელუენტის ფუძე და მჟავა დანამატების როლი ზოგიერთი ბეტა ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფაზე პოლისაქარიდული ქირალური სელექტორებით და პოლარული ორგანული მოძრავი ფაზებით" (თანაავტორობით; Journal of Chromatography A, 1317, 167-174, ინგლისურ ენაზე).

პირველადაა ჩატარებული სისტემატური გამოკვლევა ფუძე ბუნების მქონე ქირალური ნივთიერებების ენანტიომერების დაყოფაზე ფუძე (დიეთილამინი) და მჟავა (ჭიანჭველის მჟავა, ძმარმჟავა, ტრიფთიორძმარმჟავა) დანამატების ალტერნატიული ან ერთდროული გამოყენების გავლენის შესახებ. დადგენილია ადრე უცნობი მნიშვნელოვანი ეფექტები.

8) „პროქირალური კეტონების კატალიზური ასიმეტრიული აღდგენა ქირალური ბეტაამინო სპირტების N-ბორანებით და მათი შესაბამისი ტრის-(ოქსაზაბოროლიდენ)-ბორაზინებით" (თანაავტორობით; Synlett, 24, 2401-2446, ინგლისურ ენაზე).

ენანტიომერულად სუფთა 2-ამინო-2-ფენილეთანოლების საფუძველზე მომზადებულია N-ბორან ნაწარმები, რომლებიც გამოყენებულია პროქირალური კეტონების ქირალურ სპირტებად აღდგენის რეაქციებში.

მომზადებულია, აგრეთვე, ამ კატალიზატორის ციკლური ტრიმერი. ოპტიმალურ პირობებში მიღწეულია 82% ქიმიური გამოსავალი და 80% უფრო მაღალი ენანტიომერული სიჭარბე. ციკლური კატალიზატორი მდგრადია როგორც წყალხსნარებში, ასევე ორგანულ გამხსნელებში, მაშინ როდესაც ციკლური კატალიზატორი მდგრადია მხოლოდ აპროტონულ და უწყლო ორგანულ გამხსნელებში.

9) „Boraginaceae-ს ოჯახის ზოგიერთი სახეობის ახალი ბიოლოგიურად აქტიური დიჰიდროქსიდარიჩინატის წარმოებულის მარტივი პოლიეთერი" (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 136-142, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია Boraginaceae-ს ოჯახის სხვადასხვა მცენარიდან გამოყოფილი ბუნებრივი პოლიეთერი და განხორციელდა მისი სტრუქტურული დახასიათება ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის მეთოდის გამოყენებით.

აკად. ბ. ჭანკვეტაძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „უახლესი ტენდენციები ახალი მაღალეფექტური და ნაკლებად ტოქსიკური სამკურნალწამლო საშუალებების შესაქმნელად" (მეორე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები", თბილისი, 23-24).

– „უახლესი ტენდეციები ენანტიომერული ნარევების დასაყოფად კაპილარული ელექტრომიგრაციული მეთოდების გამოყენებით" (29th International Symposium on MicroScale Bioseparations, March 10-14, VA, ჩარლოტესვილი, აშშ).

– „ზოგიერთი უჩვეულო ეფექტის შესახებ ენანტიომერული ნარევების სითხურ-ქრომატოგრაფიული დაყოფისას პოლისაქარიდული ქირალური სტაციონა-

რული ფაზების გამოყენებით“ (XXXVI Symposium on Chromatographic Methods for Investigation of Organic Molecules, კატოვიცე, პოლონეთი).

– „უახლესი მიღწევები ქირალური სამკურნალწამლო საშუალებების ენანტიომერულ ანალიზში პოლისაქარიდული ქირალური სელექტორების გამოყენებით“ (24th International Symposium on Pharmaceutical and Biomedical Analysis (PBA 2013), ბოლონია, იტალია).

– „ფუძე და მჟავა დანამატების როლი ზოგიერთი ქირალური ბეტა ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფაზე პოლისაქარიდული ქირალური სორბენტებისა და პოლარულ-ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით“ (25th International Symposium on Chirality, შანჰაი, ჩინეთი).

– „ზოგიერთი უჩვეულო ეფექტის შესახებ ენანტიომერული ნარევების სითხურ-ქრომატოგრაფიული დაყოფისას პოლისაქარიდული ქირალური სელექტორების გამოყენებით“ (9th Balaton Symposium on High Performance Separation methods, შიოფოკი, უნგრეთი).

– „უახლოესი გამოკვლევები ენანტიომერების დაყოფის მექანიზმების შესახებ კაპილარულ ელექტრომიგრაციულ მეთოდებში” (20th International Symposium on Electro- and Liquid-phase Separation Techniques, La Laguna, კანარის კუნძულები, ესპანეთი).

– „Lux ქლორირებული ქირალური სტაციონარული ფაზები: უახლესი მიღწევები ენანტიომერების დასაყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში” (25th International Symposium on Chirality, შანჰაი, ჩინეთი).

აკად. ბ. ჭანკვეტაძე ატარებდა სემინარებს თემაზე – „Lux-ის სერიის ახალი ქირალური სტაციონარული ფაზები ენანტიომერული ნარევების დასაყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში” უნივერსიტეტებში, ფარმაცევტულ და ქიმიურ კომპანიებში შემდეგ ქვეყნებში: ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, საფრანგეთი,

ავსტრია, აშშ, იტალია, გერმანია, შვეიცარია. სემინარების საერთო რაოდენობა 30-ზე მეტია.

2013 წელს მას ჰქონდა სტენდური მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე:

1) „FMOC-ამინმჟავების ენანტიომერების შედარებითი დაყოფა ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში მთლიანად ფოროვანი და ზედაპირულად ფოროვანი პოლისაქარიდის ტიპის ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით“ (თანაავტორობით; 29th International Symposium on MicroScale Bioseparations, VA, ჩარლოტესვილი, აშშ);

2) „ახალი ტიპის ზედაპირულად ფოროვანი პოლისაქარიდის ტიპის ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენება ენანტიომერული ნარევების დასაყოფად ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში“ (თანაავტორობით; 29th International Symposium on MicroScale Bioseparations, Charlotesville, VA, ჩარლოტესვილი, აშშ);

3) „ფენოქსიმჟავას ქირალური ნაწარმების ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზებისა და პოლარულ-ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით” (თანაავტორობით; 24th International Symposium on Pharmaceutical and Biomedical Analysis (PBA 2013), ბოლონია, იტალია);

4) „FMOC-ამინმჟავების ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზებისა და პოლარულ-ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით“ (თანაავტორობით; 24th International Symposium on Pharmaceutical and Biomedical Analysis (PBA 2013), ბოლონია, იტალია);

5) „ქირალური ანტიმიკოტური საშუალებების ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზებისა და პოლარულ-ორგანული

მოძრავი ფაზების გამოყენებით განსაკუთრებული აქ-ცენტით ენანტიომერების ელუირების რიგზე“ (თანაავ-ტორობით; 24th International Symposium on Pharmaceutical and Biomedical Analysis (PBA 2013), ბოლონია, იტალია);

6) „ბეტა აგონისტების ჯგუფის ქირალური სამ-კურნალწამლო საშუალებების ენანტიომერების დაყო-ფა პოლისაქარიდულ ქირალურ სვეტებზე” (თანაავტო-რობით; 20th International Symposium on Electro- and Liquid-phase Separation Techniques, La Laguna, კანარის კუნძუ-ლები, ესპანეთი).

აკად. ბ. ჭანკვეტაძე ეწევა სამეცნიერო, პედაგოგი-ურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას როგორც ივ. ჯა-ვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიე-რებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე და ფაკულ-ტეტთან არსებული ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ხელმძღვანელობს სადოქტო-რო სამუშაოების შესრულებას პროგრამით „ფიზიკური ქიმია” და სამაგისტრო პროგრამას „ქიმიური ექსპერ-ტიზა”.

აკად. ბ. ჭანკვეტაძე არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევე-ბის ეროვნული ასოციაციის (CNR) საერთო საგრანტო პროექტის კოორდინატორი (2013-2015).

2004 წლიდან აკად. ბ. ჭანკვეტაძე მუშაობს საერ-თაშორისო ჟურნალის Journal of Pharmaceutical and Biome-dical Analysis (გამომცემლობა Elsevier, ამსტერდამი. ჰო-ლანდია) მთავარ რედაქტორად. გარდა ამისა, იგი მი-წვეულია შემდეგი საერთაშორისო ჟურნალების რედ-კოლეგიების წევრად: Journal of Chromatography A, Chira-lity, Electrophoresis, Journal of Separation Science, Current

Analytical Chemistry, Current Pharmaceutical Analysis, Current Chromatography, Acta Chromatographica.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი თავაძე

წიგნი

„სპეციალური მასალების მიღება თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით“ (თანაავტორობით; Springer, ჰაიდელბერგი, ნიუ-იორკი, დორტრეხტი, ლონდონი, 156 გვ., ინგლისურ ენაზე).

განხილულია თანამედროვეობის ერთ-ერთი პოპულარული ტექნოლოგიის – თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) გამოყენებით მხურვალმტკიცე, მხურვალმედეგი, ზესალი, კოროზიამედეგი და სხვა სპეციალური მასალების მიღების საკითხები. მასალათმცოდნეობის ამ მიმართულებამ ფართო აღიარება მოიპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (რუსეთი, იაპონია, შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ჩინეთი, გერმანია და სხვ.), მათ შორის საქართველოშიც. წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები:

– ელემენტური ბორისა და ბორის შემცველი მხურვალმტკიცე ნაერთების მიღება თმს ტექნოლოგიით წინასწარი ლითონთერმული აღდგენის პირობებში. თერმოდინამიკური გათვლების საფუძველზე დადგენილია მოსალოდნელ ქიმიურ რეაქციათა პარამეტრები, რაც საფუძვლად დაედო კალიუმის ტეტრაბორფტორატიდან და ბორის ჟანგეულებიდან კრისტალური ბორის, ბორის კარბიდისა და ბორის ნიტრიდის მიღებას;

– თმს ტექნოლოგიით ტიტანისა და ცირკონიუმის ბორიდების ფუძეზე სალი შენადნობების მიღება და მიღებული მასალების თვისებების კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტიტანის დიბორიდის მიღების შესაძლებლობას საწყის კაზმში ფხვნილების

გრანულომეტრიული თანაფარდობის ცვლის პირობებში;

– თმს პროცესები, მცირე გამონაკლისის გარდა, მიმდინარეობს აირწარმოქმნის პირობებში. ჩვეულებრივ, წვის დროს აირწარმოქმნა ხელს უწყობს რეაქციაში მონაწილე კომპონენტების „თვითგაწმენდას", რის შედეგად მიღებული პროდუქტი უფრო სუფთაა საწყისთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში აირწარმოქმნა, პირიქით, ხელს უშლის სინთეზის წარმატებულად შესრულებას და საჭიროებს ფილტრაციის პროცესების გათვალისწინებას;

– ფილტრაციის მაკროკინეტიკური პარამეტრების დადგენამ შესაძლებელი გახადა თმს მეთოდების მართვა, კერძოდ, თმს-ისა და სინთეზირებული პროდუქტის კომპაქტირება ერთ ციკლში და თმს-ით მიღებული მასალის ბანდაჟირება. ეს შესაძლებელი გახდა ტექნოლოგიური ელემენტების – მორეაგირე კომპონენტების მასათა თანაფარდობის, კონსტრუქციის გეომეტრიული პარმეტრების, კონსტრუქციაში აღძრული ძაბვებისა და სხვა საინჟინრო ამოცანების კორექტულად ამოხსნის შედეგად.

სტატიები

1) „ვოლფრამის შემცველი ნარჩენების გადამუშავებით კონკურენტუნარიანი სალი შენადნობების ნაკეთობების წარმოების ეკონომიკური შეფასება" (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 81-84, ინგლისურ ენაზე).

თანამედროვე ტექნიკის შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა ეკონომიკურად გამართლებული ისეთი სპეციალური თვისებების მქონე ფხვნილოვანი მასალების შექმნა, რომლებიც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს მანქანა-მექანიზმების დეტალების ექსპლუატაციური პარამეტრები. დამუშავებულია ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრები კომპონენტების

ნანოკრისტალურ (<50 ნმ) მდგომარეობაში მისაღებად. ანალიზით დადგენილია, რომ ცვეთამედეგი ფხვნილიდან 1 კგ მზა პროდუქციის წარმოების შემთხვევაში მისი თვითღირებულება 20-25%-ით ნაკლები იქნება ანალოგიური ტიპის ნაწარმის თვითღირებულებაზე და ამავე დროს მნიშვნელოვნად (3-ჯერ) იზრდება მიღებული ნაკეთობის ცვეთამედეგობა.

2) „ბორიდების, კარბიდების და ნიტრიდების შემცველი წვრილმარცვლოვანი კერამიკული მასალების თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი“ (თანაავტორობით; თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის საერთაშორისო ჟურნალი, ტ. 22, №4, 185-188, ინგლისურ ენაზე).

Ti-B-N-Me და Ti-B-N-C-Me სისტემებში წვის კანონზომიერების შესწავლა ხდებოდა სისტემის პარამეტრების ფართო ინტერვალში ცვლილებისას. სინთეზი, ძირითადად, მიმდინარეობდა მდგრად სტაციონარულ რეჟიმში.

სინთეზის კანონზომიერების შესწავლა პროცესის თავისებურებების შესახებ თვისობრივი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

Ti-B-N-Me და Ti-B-N-C-Me (Me-0-10%წონ) სისტემაში მიღებულ ნიმუშებს ჩაუტარდა ელექტრონოგრაფიული კვლევა, ტეხიდან არეკლილი მეორადი ელექტრონების (გამოსხივების) დიფრაქციის მეთოდის გამოყენებით. განსაზღვრულია მასალაში შემავალი ფაზების კრისტალების კრისტალოგრაფიული მიმართულებები. მიღებულ სურათებზე ნათლად ჩანს კიკუჩის ხაზები, რაც მიუთითებს მასალის შემადგენელი ფაზების კრისტალში სტრუქტურის სრულყოფილ აგებულებაზე. შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხელი თმს პროდუქტების დაწნეხვის მეთოდით კომპაქტური კერამიკული მასალების მიღებისას მეტად მნიშვნელოვანია ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრების შერჩევა. ეს პარა-

მეტრებია: დროის მახასიათებლები და წნევის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების სწორად შერჩევის შედეგად ავტორების მიერ სისტემებში: Ti-B-N-Me და Ti-B-N-C-Me მიღებულია კომპაქტური, პრაქტიკულად უფორო მასალები, შესაბამისად 0,4% და 1,2% ფორიანობით, სისალით შესაბამისად 91,5-92,5 HRA და 92,3-93,3 HRA, სიმკვრივით 4,3-4,4 გ/სმ^3 და 4,5-4,7 გ/სმ^3, რომლებიც ერთჯერადად უძლებენ 18000-20000 ჯოული ენერგიით დინამიურ დარტყმას 68-65 კგ/მ^2 მნიშვნელობისას (6,8-6,5 გ/სმ^2).

აკად. წევრ-კორ. გ. თავაძე 2013 წელს მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ნანოსტრუქტურული ფხვნილებისა და კომპაქტირებული ნაკეთობების მიღების ინოვაციური კომბინირებული ტექნოლოგია“ (თანაავტორობით; SHS 2013 XII International Symposium on Self-propaganting High-Temperature Synthesis in memori of Professor Alexander Merzhanov, 180-181, ტეხასი, აშშ).

– „კარბიდების, ნიტრიდებისა და ბორიდების ფუძეზე მრავალფუნქციური კერამიკული მასალების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება” (თანაავტორობით; SHS 2013 XII International Symposium on Self-propaganting High-Temperature Synthesis in memori of Professor Alexander Merzhanov, 291-292, ტეხასი, აშშ).

აკად. წევრ-კორ. გ. თავაძემ 2013 წელს მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გიორგი ნიკოლაძის აკადემიური სახელობითი პრემია ნაშრომისათვის: „ტიტან-ალუმინის ერთფაზიანი ნანოსტრუქტურული მასალების სინთეზის ტექნოლოგია“.

იგი არის ინსტიტუტში მიმდინარე საჯავშნე მასალების შექმნასთან დაკავშირებული 4 თემატიკის კოორდინატორი.

აკად. წევრ-კორ. გ. თავაძეს მოპოვებული აქვს გრანტი:

– „სამთო წარმოების ლითონებით დაბინძურებული რეგიონების შეფასება, რისკ-ფაქტორები, განახლებისა და გაწმენდის ტექნოლოგიები უკრაინასა და საქართველოში" (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და STCU-ს პარტნიორობით №P332b).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ვლადიმერ ციციშვილი

სტატიები

1) „სინთეზურ მიკროფოროვან მასალებში იმობილიზებული მოლიბდენის კარბიდის კატალიზური თვისებები ტოლუოლის ბენზალდეჰიდში ჟანგვის რეაქციაში" (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 2012, №2).

მიღებულია ინ-სიტუ მეთოდით საშუალო- და ფართოფოროვან ცეოლითებში (HMFI(ZSM-5), Si/Al=52, HBEA, Si/AI=19) მატრიცული იზოლაციით იმობილიზებული მოლიბდენის კარბიდის ნანოკატალიზატორები. შესწავლილია მათი კატალიზური თვისებები ტოლუოლის ბენზალდეჰიდში ჟანგვის რეაქციაში გამხსნელის გარეშე, მოლური თანაფარდობა ტოლუოლი/ჰაერი=1/4. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ რეაქციაში – MoC/HMFI (ZSM-5) არის ეფექტური კატალიზატორი, რომლის თანაობისას 15,8% ტოლუოლის გარდაქმნისას 473K-ზე სელექციურობა ბენზალდეჰიდის მიმართ არის 62%.

2) „მოკლე ლექსიკონი (გლოსარი) ნანოქიმიასა და ნანოტექნოლოგიაში" (თანაავტორობით; Nano Studies. http://www.nanoarchive.org 2013. №8).

მოყვანილია ნანოქიმიასა და ნანოტექნოლოგიაში გამოყენებული ტერმინები ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ლექსიკონებიდან და სამეცნიერო-

პერიოდული ლიტერატურიდან და მათი შესაბამისი ქართული ტერმინები. წინა მონაკვეთებთან შედარებით ამ ნაწილში უფრო ფართო ფორმითაა წარმოდგენილი ტერმინების განმარტებები.

3) „თეთრი ფერის ცეოლითური შემავსებლის მიღება შემფუთავი ქაღალდის წარმოებისთვის“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 39, №3-4, 248-251).

თეთრი ფერის კლინოპტილოლიტის ქაღალდის წარმოებაში გამოყენების მიზნით შესწავლილია საქართველოში რკონის უბნის კლინოპტილოლიტშემცველი ქანის ქიმიური შედგენილობის ცვლილება სხვადასხვა კონცენტრაციის მჟავებისა და ტუტის ურთიერთქმედებისას. გამოვლენილია გათეთრების ხარისხის დამოკიდებულება ქიმიური შედგენილობის ცვლილებაზე. დადგენილია გათეთრების პროცესის ოპტიმალური პირობები.

4) „ნანოცეოლითური მასალების გამოყენების შესაძლებლობა მედიცინასა და ფარმაციაში“ (თანაავტორობით; პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, 7-10).

განხილულია ცეოლითური ნანოსტრუქტურული მასალების მცირე დოზებით და მაღალი ეფექტურობით, სამკურნალწამლო პრეპარატების სახით გამოყენების შესაძლებლობა თერაპიასა და ქირურგიაში, სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, ონკოლოგიური წარმონაქმნების აღმოსაჩენად, სამკურნალოდ და სხვა.

5) „წყლის ორთქლის შთანთქმის უნარიანობის კვლევა საქართველოს ზოგიერთ ბუნებრივ ცეოლითზე“ (თანაავტორობით; პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, 11-13).

განხილულია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების – კლინოპტილოლიტის, ფილიპსიტისა და ანალ-

ციმის დეჰიდრატაცია-ადსორბციის საკითხები მათი შემდგომში პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

6) „ბუნებრივი ანალციმისა და ფილიპსიტის ბიოლოგიური აქტივობის იონმიმოცვლითი ბუნება“ (თანაავტორობით; პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, 14-16).

შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების – ფილიპსიტისა და ანალციმის იონმიმოცვლის მექანიზმით განპირობებული აქტივობა რიგ ბიოლოგიურ პროცესებში, რაც ამ ცეოლითებისა და მათი მოდიფიკატების სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და სხვა დარგებში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

7) „პიროყურძნის მჟავას ეთილის ეთერის 6-ბენზდიოქსილჰიდრაზონის მიღება“ (თანაავტორობით; პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, 40-42).

პიროყურძნის მჟავას ეთილის ეთერის 6-ბენზდიოქსილჰიდრაზონი დასინთეზებულ იქნა როგორც ინდოლების სინთეზის ფიშერის კლასიკური მეთოდის მიხედვით, ისე ამ მეთოდის ჯეპ-კლიგემანის მოდიფიკაციით.

აკად. წევრ-კორ. ვ. ციციშვილი 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „აცეტილსალიცილის მჟავას სინთეზი უგამხსნელოდ ბუნებრივი ცეოლით-კლინოპტილოლიტის მოდიფიცირებულ ფორმებზე“ (თანაავტორობით; მე-17 საერთაშორისო ცეოლითური კონფერენცია „ცეოლითები და ფოროვანი მასალები: ხიდი ნანომეცნიერებასა და ტექნოლოგიას შორის“, მოსკოვი, რფ);

– „კლინოპტილოლიტის ქიმიური მოდიფიცირება როგორც მეთოდი ახალი ცეოლითური მასალის მისაღებად“ (თანაავტორობით; სრულიად რუსეთის სამეცნიერო კონფერენცია ადსორბციის ფუნდამენტურ საკითხებში, ტვერი, რფ);

– „ცეოლითური სამედიცინო პრეპარატის შექმნის შესაძლებლობა“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“, ქუთაისი);

საანგარიშო პერიოდში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებამ ჩაატარა 11 საერთო კრება, სადაც განხილულ იქნა 23 სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხი.

განყოფილებამ მოისმინა და განიხილა სახელმწიფო უნივერსიტეტების შესაბამისი ფაკულტეტების და დეპარტამენტების და მასთან მიერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2012 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები. დასკვნები რეცენზიებთან ერთად გადაეცა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს.

განყოფილებამ განიხილა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების გიორგი ნიკოლაძისა და რაფიელ აგლაძის სახელობითი პრემიების მინიჭების საკითხი.

– გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლებს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გიორგი თავაძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ გიორგი ონიაშვილს, ტექნ. მეცნ. კანდიდატებს ზურაბ ასლამაზაშვილს და გარეგინ ზახაროვს ნაშრომთა ციკლისათვის – „ტიტან-ალუმინის ერთფაზიანი ნანოსტრუქტურული მასალების სინთეზის ტექნოლოგია“.

– რაფიელ აგლაძის პრემია მიენიჭა რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებს: ტექნ. მეცნ. დოქტ. გიორგი აგლაძეს (გარდაცვალების შემდეგ), საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორებს პაატა ნიკოლაიშვილს

და გიორგი გორელიშვილს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებს გიგლა წურწუმიასა და ვალენტინა კვესელავას ნაშრომთა ციკლისათვის: – „ელექტროქიმიურ სისტემებში წყალბადის პეროქსიდის გენერაციის ტექნოლოგიის საფუძვლების დამუშავება მდგრადი ორგანული მინარევებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით“.

განყოფილებამ ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების არჩევნები. გამოყოფილ ორ ვაკანსიაზე სპეციალობით „ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია“ აკადემიკოსებად არჩეულ იქნენ აკადემიის წევრ-კორესპონდენტები შოთა სამსონია და ბეჟან ჭანკვეტაძე.

განყოფილების აკადემიკოს-მდივნის თანამდებობაზე ახალი ვადით არჩეულ იქნა აკად. გ. ცინცაძე, სწავლულ მდივნად – ქიმ. მეცნ. კანდ. ზ. წინწკალაძე. ბიუროს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ აკად. გ. ცინცაძე, აკად. ი. ჟორდანია, აკად. ე. ქემერტელიძე, აკად შ. სამსონია, აკად. წევრ-კორ. ვ. ციციშვილი, ქიმიის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარედ – აკად. შ. სამსონია.

განყოფილებამ მოისმინა განყოფილების წევრების 2012 წლის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ანგარიშები, მოხდა მათი სათანადო ფორმით გაერთიანება და გადაეცა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს;

ფარმაკოქიმიისა და **ქიმიის დარგობრივ კომისიებთან** ერთად განყოფილებამ განიხილა, მოამზადა და ჩაატარა მეორე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“. დაისტამბა მოხსენებათა თეზისები.

გამოვიდა ჟურნალ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს, ქიმიის სერიის №1-2, გადაცემულია დასაბეჭდად №3-4.

მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგობრივმა კომისიამ (თავმჯდ. აკად. ი. ჟორდანია) ჩაატარა ორი სხდომა. პირველ სხდომაზე განხილული იყო საკითხი – „ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის პროცესის შერწყმის შესაძლებლობა გლინვის ტექნოლოგიებთან“. შემოთავაზებული ტექნოლოგიური სიახლე მეტად აქტუალურია დღეს მსოფლიო მეტალურგიის მასშტაბით.

კომისიის მეორე სხდომა მიეძღვნა ზემტკიცე მასალების მიღების ტექნოლოგიებს ბორის კარბიდისა და ბორის ნიტრიდის საფუძველზე მაღალტემპერატურული სინთეზის გამოყენებით. აღნიშნულ მასალებს ფართო გამოყენება აქვთ თავდაცვის სფეროში ჯავშანჟილეტების, ჩაფხუტებისა და ჯავშანტექნიკის დასამზადებლად.

ფარმაკოქიმიის დარგობრივმა კომისიამ (თავმჯდ. აკად. ე. ქემერტელიძე) **ორგანული ქიმიის დარგობრივ კომისიასთან** ერთად ჩაატარა მეორე სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებაში 2014 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 12 წევრი, აქედან 5 აკადემიკოსი, 7 წევრ-კორესპონდენტი.

2013 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 3 წიგნი, 2 სახელმძღვანელო და 27 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი თენგიზ ბერიძე

სტატია

„ვაზის თერთმეტი ჯიშის ქლოროპლასტური დნმ-ის სრული სტრუქტურა. ერთდროული რესეკვენირების

მეთოდოლოგია“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „American Journal of Enology and Viticulture“, ინგლისურ ენაზე).

აკად. თ. ბერიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის პრეზენტაციისადმი მიძღვნილი სესია, სადაც წარადგინა მოხსენება – „60 წელი დნმ-ის სტრუქტურის დადგენიდან“.

† აკადემიკოსი აბესალომ ვეკუა

სტატიები

1) **აკად. წევრ-კორ. დ. ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით.** „სრული თავის ქალა დმანისიდან, საქართველო და ადრეული ჰომინიდის ევოლუციური ბიოლოგია“ (Science, 18, v. 342, 326-331, ინგლისურ ენაზე).

სტატია ეძღვნება დმანისის ჰომინიდების აღმოჩენასა და კვლევის ისტორიას. აღნიშნულია, რომ დმანისის პალეოანთროპოლოგიურმა აღმოჩენებმა ძირფესვიანად შეცვალა ადრე აქსიომად მიღებული მოსაზრება ადრეული ჰომინიდების წარმოშობის, გავრცელებისა და მიგრაციის გზების შესახებ.

2) „გიგანტური სირაქლემა დმანისის ფაუნაში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 143-148, ინგლისურ ენაზე).

სტატია ეძღვნება სირაქლემის ძვლის ახალ აღმოჩენას, საქართველოს ტერიტორიაზე სირაქლემის გავრცელებასა და მისი ცხოვრების ნირის გაშუქებას.

3) **აკად. წევრ-კორ. დ. ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით.** „საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, 44-52).

4) „ჰომინიდების ნაშთები ორთვალა მღვიმეში“ (თანაავტორობით; საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, №5, 13-19).

სტატიაში ასახულია უახლესი აღმოჩენები ხერხემლიანთა პალეონტოლოგიაში, საქართველოს ფაუნისთვის ეგზოტიკური ფორმების აღმოჩენის ფაქტები. გამოთქმულია დასაბუთებული მოსაზრება შესწავლილი ცხოველების სტრატიგრაფიული ღირებულებისა და ეკოლოგიური თავისებურებების შესახებ.

5) „ბელემნიტის საკიდი საწურბლიას მღვიმიდან“ (თანაავტორობით; საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, №5, 20-23).

აკად. ა. ვეკუა 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციაში და წაიკითხა მოხსენება:

– „დმანისელი ჰომინიდები და მათი განვითარების გზა“ (საერთაშორისო კონფერენცია – „სამხრეთ კავკასიის როლი ადამიანის ადრე ევოლუციასა და განსახლებაში – რეფუგიუმი, გზაჯვარედინი თუ ხანგრძლივი საცხოვრებელი ადგილი?!“, თბილისი).

მისი ხელმძღვანელობით საანგარიშო წელს მოხდა მუზეუმის საფონდო მასალების შეჯერება, ახალი პალეონტოლოგიური მასალის ნომინაცია, პალეობიოლოგიის ინსტიტუტში პალეონტოლოგიური მასალის შერჩევა და მუზეუმის შენობაში გადმოტანა. შედგა სათანადო კატალოგი.

აკად. ა. ვეკუა მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის შესრულებაში.

მიმდინარე წელს აკად. წევრ-კორ. დ. ლორთქიფანიძესთან ერთად მას მიენიჭა ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია ნაშრომისათვის „დმანისელი ჰომინიდები“.

აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი ხელმძღვანელობდა ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით თემას – „განივზოლიანი და გლუვი კუნთის გიგანტური

ცილების სტრუქტურისა და ფუნქციის შესწავლა კუნთის ციტოსკელეტის არქიტექტონიკის დადგენის თვალთახედვით“ (2011-2013) – მესამე ეტაპს „გლუვი კუნთის გიგანტური ცილა c ტიტინის (სმიტინის) ლღობის პროცესისა და აქტომიოზინ - c ტიტინის ატეფ-აზური აქტივობის შესწავლა სხვადასხვა პირობებში“.

აკადემიკოსი გივი სანაძე

სტატია

„ბიოგენური იზოპრენის აღმოჩენა და მნიშვნელობა მეცნიერებისა და თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებისთვის“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, 19-30).

შეიქმნა ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც იერარქიული თერმოდინამიკის პრონციპებზე დაყრდნობით აერთიანებს მცენარეთა ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოენერგეტიკის სფეროში მიღებულ სამეცნიერო ცოდნას, რაც საფუძვლად დაედო მეტაბოლური ბიოინჟინერიის, ევოლუციისა და, საბოლოო ჯამში, სიცოცხლის არსის ახლებურად დანახვას სინერგეტიკის სიმაღლეებიდან.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ნუგზარ ალექსიძე

სახელმძღვანელო

„ფსიქობიოლოგიის სალექციო კურსი ფსიქოლოგებისათვის“ (საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 147 გვ., თბილისი).

სტატიები

1) „მარსის ზედაპირის ირადიაციის ახალი მოდელი კლიმატის სიმულაციის კამერისათვის „ხელოვნური მარსი“ (თანაავტორობით; International Journal of As-

trobiology, 1-10, Cambridge University Press, ინგლისურ ენაზე).

2) „განწყობის თეორიის ფსიქობიოლოგიური საფუძვლები“ (Advances in Psychology research. v. 98, ინგლისურ ენაზე).

3) „სეროტონინისა და სასქესო ჰორმონების მონაწილეობა „მკვლელი ვირთხების“ ფორმირებაში“ (Eurochemical Journal, v. 7, №4, 266-269, ინგლისურ ენაზე).

4) „განწყობის თეორიის ფსიქობიოლოგიური საფუძვლები“ (საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, თბილისი, 309-316).

5) „სასქესო ჰორმონების როლი „მკვლელი ვირთხების“ ჩამოყალიბების პროცესში“ (ж. „Нейрохимия“, ტ. 30, №4, 301-304, რუსულ ენაზე).

6) „მუსიკა – ფსიქობიოლოგიური მდგომარეობის სტრესფაქტორი“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, II, 177-179).

აკად. წევრ-კორ. ნ. ალექსიძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში და წაიკითხა მოხსენება – „განწყობა – ადაპტაციური სინდრომი – ქცევა“ (სამეცნიერო კონფერენცია „განწყობის თეორია – პრაქტიკა და იმპლემენტაცია“, თბილისი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
მარლენ გორდეზიანი

მონოგრაფია

„ფერმენტები. ჰემოპროტეინთა კონფორმაციული ცვლილებები, ქიმიური მოდიფიკაცია და მოდელირება“ (გამომცემლობა „აგრარიკოსი“, თბილისი, 190 გვ.).

განხილულია ფერმენტთა აღნაგობა და მათი კატალიზური მოქმედების ზოგიერთი მექანიზმი, ჰემოპროტეინების არსებული მოდელები და მათი სრულყოფილი ფორმების შექმნის აქტუალურობა. მოცემულია

ამ კლასის ფერმენტების ქიმიური მოდიფიკაცია და რეაქციის შედეგად მათი ტრანსფორმირების შედეგები.

სახელმძღვანელო

„ეკოლოგიური ქიმიის ზოგადი კურსი“ (გამომცემლობა „აგრარიკოსი“, თბილისი, 300 გვ.).

განხილულია ქსენობიოტიკ-ტოქსიკანტთა ძირითადი კლასების წარმომადგენლები და მათი ქემოდინამიკა, ბიოსფეროში ნივთიერებათა ეკოლოგიური წრებრუნვა და ცალკეულ კომპონენტებში მიგრაციის განხორციელების ზოგადი კანონზომიერებები. მოცემულია ეკოლოგიური ტოქსიკოლოგიის, ეკოლოგიური ბიოქიმიისა და რადიობიოლოგიის ძირითადი ასპექტები, ეკოლოგიური მონიტორინგის მეთოდები და ფორმები.

სტატიები

1) „ქსენობიოტიკთა ჰიდროქსილირება და ჟანგბადის აქტიურ ფორმათა გენერაცია” (ჟ. „მიკრობიოლოგია და ბიოტექნოლოგია“, ტ. 4, №4, 36-62).

განხილულია უჯრედში ქსენობიოტიკების ჰიდროქსილირების პროცესის მსვლელობისას ჟანგბადის აქტიური ფორმების (ჟაფ) გენერაციასთან დაკავშირებული ასპექტები. დახასიათებულია ცალკეული ჟაფ-ი და განხილულია ციტოქრომ P450-დამოკიდებულ სუბსტრატთა ჟანგვის რეაქციებში და, საერთოდ, შიდაუჯრედულ მეტაბოლიზმში მათი მონაწილეობის შესაძლებლობები. წარმოდგენილია თანამედროვე შეხედულებები ჟაფ-ების ნეგატიური ზემოქმედებისაგან უჯრედის დაცვის მექანიზმების შესახებ.

2) „ქსენობიოტიკთა მეტაბოლიზმის მონოოქსიგენაზური და პეროქსიდაზული მექანიზმები“ (აგრარული უნივერსიტეტის მაცნე, ტ. 4, №4, 36-62).

აკად. წევრ-კორ. მ. გორდეზიანმა 2013 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ნატურალური სორბენტებისა და მიკროორგანიზმების ერთობლივი გამოყენება ტრინიტროტოლუოლით დაბინძურებული ნიადაგების აღსადგენად“ (აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია, ბაქო, აზერბაიჯანი);

– „ბიოსორბენტი ქიმიურად დაბინძურებული ნიადაგების პრევენციისათვის და გასასუფთავებლად“ (მე-12 საერთაშორისო კონფერენცია ნიადაგებისა და წყლოვანი სივრცეების მენეჯმენტის შესახებ, ბარსელონა, ესპანეთი);

– „ახალი ტექნოლოგიური მიდგომა ეფექტური ფიტორემედიაციისათვის“ (მე-7 საერთაშორისო კონფერენცია – „ბიოტექნოლოგია – მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“, მოსკოვი, რფ).

აკად. წევრ-კორ. მ. გორდეზიანი მონაწილეობდა 2 საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში:

– საერთაშორისო პარტნიორული პროექტი P499 – „ბიოსორბენტი ქიმიურად დაბინძურებული ნიადაგებისთვის – ახალი რემედიაციული ტექნოლოგიის შექმნა“, როგორც პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

– საერთაშორისო პროექტი №5634 (GNSF-STCU), როგორც კონსულტანტი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი ელიავა

წიგნი

„ეკოლოგიური ლექსიკონი“ (თანაავტორობით; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 287 გვ.).

სტატია

„კარტოფილის ღეროს ნემატოდების (Ditylenchus destructor Thorne, 1945) ბიოეკოლოგიური მონიტორინგი ქვემო ქართლის კარტოფილის ოთხ ძირითად მეურ-

ნეობაში“ (თანაავტორობით; World Academy of Science, Engineering and Technology, v. 81, რომი, იტალია).

შესწავლილია ქვემო ქართლის 4 მუნიციპალიტეტის (წალკა, ბოლნისი, მარნეული და გარდაბანი) კარტოფილის მინდვრებზე კარტოფილის ღეროს ნემატოდას (Ditylenchus destructor) გავრცელების ხასიათი. დადგენილია პათოგენის ინვაზიის ექსტენსივობა, თანმდევი ფაუნის ბიომრავალფეროვნება, ეკოლოგიური ჯგუფები და რიცხოვნობა. შესწავლილ ეკოსისტემებში აღირიცხა ფიტოპარაზიტული და თავისუფლად მცხოვრები ნემატოდების 160 ფორმა, საიდანაც სახეობამდე გარკვეულია 118 ფორმა, გვარამდე – 48. დადგენილია, რომ თითქმის ყველა გამოკვლეულ ეკოსისტემაში დომინირებს ოჯახ Anguinidae-ს წარმომადგენელი პათოგენური ნემატოდა Ditylenchus destructor. ამ პათოგენური ნემატოდის არსებობა ფიქსირდება მასალის აღების მთელ პერიოდში და პიკს აღწევს ვეგეტაციის დასასრულს. ოთხივე ეკოსისტემაში ცალკეა შესწავლილი კარტოფილის ფესვების, ღეროსა და ტუბერების ნემატოდოფაუნა. აღმოჩნდა, რომ პათოგენური ნემატოდის რიცხოვნობამ ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა. ეგზემპლართა განსაკუთრებულად დიდი ოდენობა დაფიქსირდა ბოლნისისა და გარდაბნის ტუბერების მასალაში. გამოვლენილია დომინანტი სახეობები: Anaplectus granulosus, plectus parietinus, Eudorylaimus sp, Ecumenicus monochistera, Aporcelaimellus obtusicaudatus, Rhabditis sp. იდენტიფიცირებული ნემატოდებიდან ერთი ფორმა Sicaguttur sp., სავარაუდოდ, მეცნიერებისათვის ახალია და საჭიროებს დამატებით კვლევებს. ასევე კვლევის პროცესში აღირიცხა ნემატოდების ერთი იშვიათი გვარი Aprutides guidettii Scogamiglio, 1974 (ქვეოჯახი Paraseinurinae). ამ გვარის ნემატოდები მსოფლიოს სულ რამდენიმე წერტილშია რეგისტრირებული. ნემა-

ტოდის მუდმივი პრეპარატი ინახება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის ნემატოლოგიის ლაბორატორიაში.

აკად. წევრ-კორ. ი. ელიავა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის კითხულობს სალექციო კურსს „ბიოსფეროს ევოლუცია“, აგრძელებს მუშაობას „ზოოლოგიურ ლექსიკონზე“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
თენგიზ ზაალიშვილი

სტატია

„გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეების სკრინინგი დუპლექს პჯრ-ით“ (თანაავტორობით; აგრარული მეცნიერების მაცნე, ტ. 11, №1, 76-79).

გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეების სკრინინგისათვის შემუშავებულია ორი დუპლექს პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (პჯრ). პჯრ მეთოდების ოპტიმიზაციისა და ვალიდაციისათვის გამოყენებული იყო სერტიფიცირებული სტანდარტული მასალები მშრალი ფხვნილების სახით. გენომური დნმ-ების ექსტრაჰირება ხდებოდა Qiagen DNeasy მინი ქიტით მცენარეებისათვის და მათი ანალიზი ტარდებოდა სახეობა-სპეციფიკური და გმო სპეციფიკური კომპლექს პჯრ-ით. პჯრ პროდუქტების შეფასება წარმოებდა ელექტროფორეზით აგაროზას გელში. გმო სპეციფიკური პრაიმერების სხვადასხვა კომბინაცია გამოცდილი იყო დუპლექს პჯრ-თვის ვარგისიანობის თვალთახედვით. შემუშავებული და ოპტიმიზებულია ორი დუპლექს პჯრ მეთოდი, რაც ორი ტრანსგენური ელემენტის ერთდროული დეტექტირების საშუალებას იძლევა. ასეთებია, მაგალითად, თამბაქოს მოზაიკური ვირუსის (CaMV) 35S პრომოტორი და Agrobacterium tumefaciens-ის ნოპალინ სინთაზას (NOS) ტერმინატორი.

აკად. წევრ-კორ. თ. ზაალიშვილი ხელმძღვანელობდა ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით თემას: „ეუკარიოტულ უჯრედებში ADP-რიბოზილირების როლის შესწავლა ქრომატინის მაღალი დონის სტრუქტურულ ორგანიზაციაში“.

სამუშაოს ფარგლებში დახვეწილ იქნა ადამიანის პერიფერიული სისხლის მონონუკლეური ლეიკოციტების და ვირთაგვას ღვიძლის უჯრედების ბირთვული ჰალოს (Halo) მიღების ნატიფი მეთოდი. ფლუორესცენციული მიკროსკოპის გამოყენებით განსაზღვრულ იქნა ჰალოსა და ბირთვის რადიუსებს შორის სხვაობა, რის საშუალებითაც გამოვლენილია ADP-რიბოზილირებით ცილების პოსტტრანსლაციური მოდიფიკაციის მონაწილეობა ქრომატინის მაღალი დონის სტრუქტურულ ორგანიზაციაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
დავით ლორთქიფანიძე

სტატიები

1) **აკად. ა. ვეკუასთან თანაავტორობით.** „სრული თავის ქალა დმანისიდან, საქართველო და ადრეული ჰომინიდის ევოლუციური ბიოლოგია“ (Science, 18, v. 342, 326-331, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 140).

2) „კბილის ცვეთა და დენტოალვეოლური მოდელირება, როგორც დმანისელი ჰომინიდების ქვედა ყბის მორფოლოგიური ვარიაბელობის ძირითადი ფაქტორები“ (თანაავტორობით; Proceedings of the National Academy of Sciences, 110.43, 17278-17283, ინგლისურ ენაზე).

3) „ფარავნის ტბის (ჯავახეთი, სამხრეთ კავკასია) გვიანი მეოთხეული პერიოდის მცენარეულობისა და წყალშემკრებ პროცესებთან დაკავშირებული ცვლილე-

ბების აღწერა“ (თანაავტორობით; Quaternary Science Reviews, 77, 125-140, ინგლისურ ენაზე).

4) **აკად. ა. ვეკუასთან თანაავტორობით.** „საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, 44-52).

აკად. წევრ. კორ. დ. ლორთქიფანიძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციებზე და წაიკითხა მოხსენებები:

1) „პირველები აფრიკის გარეთ – რა ვიცით? რა გვჭირდება?“; 2) „დმანისი პალეოგარემო და კლიმატური კონტექსტი მცირე ზომის ხერხემლიანების მაგალითზე“ (საერთაშორისო კონფერენცია – „სამხრეთ კავკასიის როლი ადამიანის ადრეულ ევოლუციასა და განსახლებაში – რეფუგიუმი, გზაჯვარედინი თუ ხანგრძლივი საცხოვრებელი ადგილი?!“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი);

– „საქართველო და რეგიონის ევროპული ისტორია, ვაშენებთ მომავალს წარსულზე დაყრდნობით“ (ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებული ყოველწლიური დებატები, სტრასბურგი, საფრანგეთი).

იგი მონაწილეობდა ორი საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში:

– „დიგიტალური დოკუმენტირება და ახალი მონაპოვრების ანალიზი დმანისის ადგილსაპოვებლიდან“ (დამფინანსებელი SCOPES, პროექტის ხელმძღვანელი ქართული მხრიდან);

– „დმანისის ტაფონომიური ანალიზი“ (დამფინანსებელი NSF).

აკად. წევრ. კორ. დ. ლორთქიფანიძე კითხულობდა ლექციებს პიტსბურგის უნივერსიტეტში, ქუვეითში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. მონაწილეობდა UNESCOS მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის სემინარებში ტიუბინგენსა (გერმანია) და პარიზში (საფრანგეთი).

მიმდინარე წელს აკად. ა. ვეკუასთან ერთად მას მიენიჭა ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია ნაშრომისათვის „დმანისელი ჰომინიდები“.

2013 წლის აგვისტოში მისი ხელმძღვანელობით, გაიხსნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფილიალი – სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

გრძელდება საერთაშორისო გრძელვადიანი პროექტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ქუვეითის კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის საბჭოს შორის. ქართველი მეცნიერების მესამე მისია 2013 წელს მუშაობდა ქუვეითში. გაფორმდა ახალი მემორანდუმი ქუვეითთან, რომლის ფარგლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქიტექტორები გაემგზავრნენ ქუვეითში ისტორიული შენობის შესასწავლად და მისი სარესტავრაციო პროექტის მოსამზადებლად. 2014 წელს ქუვეითში გაემგზავრება როგორც არქეოლოგიური, ასევე არქიტექტორ-რესტავრატორთა მისიები.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გიორგი ნახუცრიშვილი

მონოგრაფია

1) „საქართველოს (კავკასია) მცენარეულობა“ (Springer-Verlag, ჰაიდელბერგი, ნიუ-იორკი, დორტრეხტი, ლონდონი, 235 გვ., ინგლისურ ენაზე).

განხილულია საქართველოს მცენარეულობის მრავალფეროვნება: უდაბნოს, სტეპის, ტყეების, მადალმთის და სხვ.

სტატიები

1) „ყაზბეგის რაიონში (საქართველო) მიწის მართვის მნიშვნელობის შეფასება და აბიოტური პირობები ფიტომრავალფეროვნებისთვის“ (თანაავტორობით; Phytocoenosis, 1-27).

კვლევის კონცეფცია დაკავშირებულია ალპურ მცენარეთა იმ ადაპტაციური სტრატეგიებისა და მექანიზმების შესწავლასთან, რომელთა საშუალებითაც მცენარე მაღალმთის სტრეს-დომინანტურ გარემოს ეგუება და რასაც ხიფათს უქმნის/მომავალში შეუქმნის გლობალური ცვლილებები (კლიმატის, მიწათსარგებლობის და სხვ.).

2) „ცენტრალური დიდი კავკასიონის ალპური ზონის მცენარეულობის მრავალფეროვნების მონიტორინგი“ (თანაავტორობით; Turk J Bot, 37: TUBİTAK, DOI:10. 3906/bot-1301-38, 1004-1014, ინგლისურ ენაზე).

კვლევის კონცეფცია დაკავშირებულია მაღალმთაში, როგორც კლიმატის ცვლილების უმთავრეს ინდიკატორში, მცენარეულობის ტრანსფორმაციასთან სივრცითი (ჰიფსომეტრული, ექსპოზიციური) გრადიენტების მიხედვით.

3) „ეკოლოგიური დერეფნის პერსპექტივა კავკასიაში ჯანმრთელი ეკოლოგიური პროცესების შესანარჩუნებლად“ (თანაავტორობით; Research in Protected Areas, Mittersill, 523-526, ზალცბურგი, ავსტრია, ინგლისურ ენაზე).

განხილულია საქართველოს დაცული ტერიტორიების მცენარეული საფარი და ეროვნული პარკების დაარსების მენეჯმენტი.

აკად. წევრ-კორ. გ. ნახუცრიშვილი 2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „საქართველოს მთიან რეგიონებში გარემოსა და სოციალური პროცესების მრავალმხრივი ურთიერთკავშირების ანალიზი – ინტერდისციპლინური კვლევა ტყის მიწების უსაფრთხო გამოყენებისა და განვითარებისათვის“ (AMIES Final meeting, თბილისი).

– „კავკასიის ენდემურ ჭურჭლოვან მცენარეთა წითელი ნუსხა” (Plant Life of SW Asia Conference. Royal Botanic Garden, ედინბურგი, შოტლანდია).

– „რატომ უნდა მივიჩნიოთ კოლხეთისა და ჰირკანის რელიქტური ტყეები კავკასიაში (დასავლეთ ევრაზია) „ზომიერი სარტყლის წვიმიან ტყეებად“ (Plant Life of SW Asia Conference. Royal Botanic Garden, ედინბურგი, შოტლანდია).

– „ცენტრალური დიდი კავკასიონის სენსიტიური ეკოსისტემები” (Snow and Landscape Research WSL, ბრემენსდორფი, შვეიცარია).

აკად. წევრ-კორ. გ. ნახუცრიშვილი მონაწილეობდა 2013 წელს დამთავრებული ორი საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში.

მან ხელისუფლებაში წარადგინა მოხსენებითი ბარათი საქართველოს ტყეების აღდგენის კონცეფციის შესახებ.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
თინათინ სადუნიშვილი

სტატიები

1) „საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელებული ლობიოს ბაქტერიოზების გამომწვევი პათოგენური ბაქტერიების ტაქსონომიის დადგენა 16S რიბოსომული დნმ-ის ფრაგმენტების მიხედვით“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 130-135, ინგლისურ ენაზე).

საქართველოს სხვადახვა რეგიონში გავრცელებული ლობიოს ბაქტერიოზის – მურა სილაქავის გამომწვევი პათოგენური ბაქტერიების ტაქსონომიის დასადგენად გამოყოფილი და გასუფთავებულია ბაქტერიების დნმ. 16S რიბოსომული დნმ-ის ფრაგმენტების მისაღებად ჩატარებულია პოლიმერაზული ჯაჭვური

რეაქცია წინასწარ დაპროექტებული ორი 20 ნუკლეოტიდიანი პრაიმერით: 5' TGG CGG ACG GGT GAG GAA TA 3'(forward) da 5' CGT CAT CCC CAC CTT CCT CC 3' (reverse). ჩატარდა მიღებული პჯრ ფრაგმენტების სექვენსი და შედეგების ანალიზი კომპიუტერული პროგრამების: Blasta, Lalign, ClustalW გამოყენებით. იდენტიფიცირებულია 2 შტამი: 1466 და 1475 როგორც Xanthomonas axonopodis pv. phaseoli.

2) **აკად. გ. კვესიტაძესთან და სხვებთან თანაავტორობით.** „მცენარეთა ეკოლოგიური პოტენციალი“ (NATO Science for Peace and Security series – A: Chemistry and Biology. Ed.Grant N.Pierce, Volodymyr I.Mizin and Alexander Omelchenko. Springer, 133-143, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 27).

3) **აკად. გ. კვესიტაძესთან და სხვებთან თანაავტორობით.** „ჟანგვითი ფერმენტები და პეროქსიდაზას იზოფორმები ბაქტერიული სილაქავითა და ბაქტერიული წყლულით დაავადებულ პომიდორში“ (Conference Book. 2nd International Scientific Conference dedicated to the 70th Aniversary of the National Academy of Sciences of Armenia, 124-128, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 27).

4) **აკად. გ. კვესიტაძესთან და სხვებთან თანაავტორობით.** „კატექინის ჟანგვის პროდუქტების გავლენის შესწავლა ვაშლის ფენოლოქსიდაზასა და პეროქსიდაზაზე“ (Conference Book. 2nd International Scientific Conference dedicated to the 70th Aniversary of the National Academy of Sciences of Armenia, 120-123, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 28).

აკად. წევრ-კორ. თ. სადუნიშვილი 2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში:

– საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (თბილისი);

– FEBS-ის 38-ე კონგრესი (სანკტ-პეტერბურგი, რფ);

– საერთაშორისო კონფერენცია – „გარემოს ცვლილებები და მცენარეთა მრავალფეროვნული კონსერვაცია“. წარადგინა 2 მოხსენება (ბაქო, აზერბაიჯანი);

– საერთაშორისო კონფერენცია EuroFood Chem. წარადგინა 2 მოხსენება (სტამბოლი, თურქეთი);

– პრაღის ქიმიური ტექნოლოგიების ინსტიტუტის VI საერთაშორისო სიმპოზიუმი. წარადგინა 5 მოხსენება (პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა).

იგი მონაწილეობდა 1 საზღვარგარეთული გრანტის (STCU-SRNSF, №5908) დამუშავებაში.

აკად. წევრ-კორ. თ. სადუნიშვილი მონაწილეობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან მოქმედი „სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განსაზღვრის კომისიის“ მუშაობაში.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებამ 2013 წელს ჩაატარა 9 საერთო კრება, რომლებზეც განიხილა და შეაფასა 10 სსიპ – სამეცნიერო დაწესებულების 2012 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის 13 ანგარიში.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებამ მედიცინის, ფიზიოლოგიის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებებთან ერთად ჩაატარა 5 გაერთიანებული კრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების ასარჩევად. „პალეობიოლოგიის“ სპეციალობით არჩეულ იქნა აკად. წევრ-კორ. ა. ვეკუა.

განყოფილებაში ჩატარდა აკადემიკოს-მდივნისა და სწავლული მდივნის არჩევნები. აკადემიკოს-მდივნად არჩეულ იქნა აკად. თენგიზ ბერიძე, სწავლულ მდივნად – ფიზ.-მათ. მეცნ. კანდ. მ. გრიგოლავა.

განყოფილების საერთო კრების დადგენილებით ლეო დავითაშვილის სახელობის 2013 წლის პრემია მიენიჭა ნაშრომს „დმანისელი ჰომინიდები“ (ავტორები აკად. აბესალომ ვეკუა და აკად. წევრ-კორ. დავით ლორთქიფანიძე).

განყოფილებამ ჩაატარა აკად. ვლადიმერ მენაბდის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებაში 2014 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 12 წევრი, მათ შორის 9 აკადემიკოსი და 3 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2013 წელს გამოაქვეყნეს 5 წიგნი, 1 სახელმძღვანელო და 46 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა

მონოგრაფიები

1) „კლინიკური ნეირორადიოლოგია” (თანაავტორობით; თბილისი, 182 გვ.).

მონოგრაფიაში ასახულია გამოსახვითი საშუალებების – კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევის უახლესი მიღწევები. წიგნი ეხება თავის ტვინისა და მისი მკვებავი სისხლძარღვების ნეიროვიზუალურ კვლევას. ნაშრომში განზოგადებულია ავტორთა მრავალწლიანი გამოცდილება.

შესავალში მოცემულია კომპიუტერული ტომოგრაფიის შექმნის ისტორია და მისი ტექნიკური ასპექტები, წარმოდგენილია, ასევე, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული

ანგიოგრაფიული და თავის ტვინის პერფუზიული კვლევის პროტოკოლი და მიღებული შედეგების შეფასების კრიტერიუმები. ცალკეულ თავებში განხილულია თავის ტვინის ნორმალური კტ ანატომია, თავის ტვინის განვითარების ანომალიების, ცერებრო-ვასკულური, ინფექციური და სიმსივნური დაავადებების, ქალა-ტვინის ტრავმული დაზიანებების და ქალას ძვლების პათოლოგიათა ნეიროვიზუალური სემიოტიკა. თითოეული თავის წინ აღწერილია ნევროლოგიურ დაავადებათა ეტიოპათოგენეზი და კლინიკური გამოვლინებები. განხილულია კომპიუტერულ ტომოგრაფიული ანგიოგრაფიის როლი ექსტრა- და ინტრაკრანიული სისხლძარღვების ანომალიების დიაგნოსტიკაში. წიგნი ფართოდ არის ილუსტრირებული – 500-ზე მეტი ტომოგრამით, ანგიოგრამით, პერფუზიული რუკებითა და ცხრილებით.

2) „ექსტრაკრანიული სისხლძარღვების პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა" (თანაავტორობით; გადაცემულია სტამბაში გამოცემისათვის).

მონოგრაფია ეძღვნება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის პათოლოგიათა დიაგნოსტიკის თანამედროვე ასპექტებს. ნაშრომი ემყარება კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პაციენტების კვლევის შედეგებს. დაწვრილებით არის განხილული ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცერებრალური სისხლის მიმოქცევის დარღვევების სინდრომები და რადიოლოგიური დიაგნოსტიკის კრიტერიუმები. მოცემულია საკუთარი შედეგებისა და უახლესი ლეტერატურული მონაცემების მიმოხილვა. განხილულია სხვადასხვა სისხლძარღვოვანი სინდრომის ფორმირების პათოგენეზური მექანიზმები, კოლატერალური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებანი. განხილულია თავის ტვინის იშემიური დისცირკულაციების, მაგისტრალური სისხლძარღვების სხვადასხვა პათოლოგიის, ანომალი-

ების ულტრაბგერითი, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული, მაგნიტურ-რეზონანსულ-ტომოგრაფიული სემიოტიკა. წიგნში ფართოდ არის განხილული კომპლექსური ულ-ტრაბგერითი დუპლექს-სკანირების, მრავალშრიანი კომ-პიუტერულ-ტომოგრაფიული ანგიოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიისა და ანგიოგრაფიის მნიშ-ვნელობა ექსტრაკრანიული სისხლძარღვების პათოლო-გიათა დიაგნოსტიკაში. ზემოაღნიშნულ მეთოდებს გა-დამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მკურნალობის რო-გორც მედიკამენტური, ასევე ქირურგიული მეთოდების ჩვენებების დაგეგმვაში და მკურნალობის ეფექტიანო-ბის შეფასებაში. ნაშრომი ფართოდ არის ილუსტრირე-ბული 400-ზე მეტი სურათით, სქემითა და ცხრილით.

სტატიები

1) „ენდოსკოპიური ულტრაბგერა ფატერის დვრი-ლის სიმსივნეების დიაგნოსტიკაში" (თანაავტორობით; ჟ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე", 1-2(40-41)).

ფატერის დვრილის სიმსივნეები შემთხვევათა 10%-ში გვხვდება. მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათ-ვის, კეთილსაიმედო გამოსავლისთვის მნიშვნელოვანია დაავადების გამოვლენა ადრეულ ეტაპზე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ენდოსკოპიური ულტრაბგერის შესაძლებლობების შესწავლა პროცესის ადგილობრივი გავრცელების შეფასებაში. კვლევის შედეგად დად-გინდა, რომ ენდოსკოპიური ულტრაბგერა გამოირჩევა მაღალი მგრძნობელობით და სიზუსტით დაავადების ადგილობრივი გავრცელების შეფასებაში, რაც, თავის მხრივ, მკურნალობის სწორი ტაქტიკის განსაზღვრის წინაპირობაა.

2) „რბილი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეე-ბის კომპლექსური დიაგნოსტიკა" (თანაავტორობით; ჟ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე", 1-2(40-41)).

რბილი ქსოვილების სარკომები ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 1%-ს შეადგენს. რბილი ქსოვილების სარკომების კლინიკური მიმდინარეობა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათი დიაგნოსტიკა რთულია. პათოგნომური სიმპტომატიკის არარსებობის გამო უფრო ხშირად დაავადების დიაგნოსტირება ხდება შორს წასულ შემთხვევაში პროცესის საკმაო გავრცელებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის შესაძლებლობების განსაზღვრა რბილი ქსოვილების სიმსივნეების დიაგნოსტიკაში. გამოკვლეულია 113 პაციენტი რბილი ქსოვილების პირველადი ავთვისებიანი სიმსივნით. ყველა პაციენტს ჩაუტარდა კომპლექსური რადიოლოგიური გამოკვლევა: ულტრაბგერითი კვლევა ფერადი ენერგეტიკული დოპლერით და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ ულტრაბგერითი კვლევა ფერადი ენერგეტიკული დოპლერით და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია მაღალინფორმატიული კვლევის მეთოდებია რბილი ქსოვილების სიმსივნეების დიაგნოსტიკაში. ულტრაბგერითი კვლევა ფერადი ენერგეტიკული დოპლერით ეფექტიან სკრინინგ მეთოდს წარმოადგენს, ხოლო მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია საკმაოდ პათოგნომურია რბილი ქსოვილების სიმსივნეების დიაგნოსტიკაში და ასახავს მათ მორფოგენეზს, მაღალი სიზუსტით ადგენს სიმსივნის ლოკალიზაციას, ზომას, სტრუქტურას და ადგილობრივ გავრცელებას. ულტრაბგერითი კვლევის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიისა და ანგიოგრაფიის კომპლექსური გამოყენებით შესაძლებელია შეფასდეს სიმსივნის ავთვისებიანობის ხარისხი, ახალწარმონაქმნის ვასკულარიზაცია, წარმონაქმნის ურთიერთობა მაგისტრალურ სისხლძარღვებთან და ძვლოვან სტრუქტურებთან, რაც მნიშვნელო-

ვანი კრიტერიუმებია მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის.

3) „თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიული პერფუზიული მახასიათებლები საძილე არტერიების სხვადასხვა პათოლოგიის დროს“ (თანაავტორობით; ჟ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“, 1-2(40-41)).

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის პათოგენეზში მაგისტრალური სისხლძარღვების (უმთავრესად საძილე არტერიების) დაზიანების უდავო მნიშვნელობის გამო, თანამედროვე ანგიონევროლოგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს აღნიშნული პათოლოგიების დროული დიაგნოსტირება, ამისთვის კი საჭიროა ახალი, არაინვაზიური მეთოდების დანერგვა და მოდიფიკაცია (კტ-ანგიოგრაფია, მრ-ანგიოგრაფია, ულტრაბგერითი დუპლექს-სკანირება ფერად-ენერგეტიკულ რეჟიმში და სხვ.). არანაკლებ მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სადიაგნოსტიკო მეთოდით თავის ტვინის მკვებავი სისხლძარღვების სხვადასხვა პათოლოგიის გამოვლენის ფონზე მისი ჰემოდინამიკური მნიშვნელობის განსაზღვრა, ცერებრული დარღვევების შეუქცევადი პროცესების თავიდან ასაცილებლად თავის ტვინის პერფუზიული კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევა მწვავე იშემიის გამოვლენის ეფექტიან საშუალებად ითვლება. პერფუზიული პარამეტრების შედარებითი ანალიზი მაღალი სიზუსტით (96-98%) გამოავლენს თავის ტვინის დაზიანების ხარისხს. კვლევა მიზნად ისახავდა საძილე არტერიების სხვადასხვა პათოლოგიის გამოვლენას და მათი ჰემოდინამიკური მნიშვნელობის დადგენას, რაც თავისთავად ახდენს ცერებრული იშემიისა და ინსულტის პრევენციას, ხოლო უკვე ჩამოყალიბებული იშემიური კერის პირობებში გვეხმარება მისი ლოკალიზაციისა და დაზიანების ფართობის განსაზღვრაში. გამოკვლევა

ტარდებოდა ანგიოგრაფიულ და პერფუზიულ რეჟიმებში. პერფუზიული მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით თითოეული მაჩვენებლისთვის ინდივიდუალურად იქმნებოდა თავის ტვინის პერფუზიული რუკები. კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ თავის ტვინის მკვებავი სისხლძარღვების სხვადასხვა პათოლოგიის დროული დიაგნოსტირება, ამასთან განვსაზღვროთ მათი ჰემოდინამიკური მნიშვნელობა და მოვახდინოთ თავის ტვინის ნივთიერებაში ამ პათოლოგიებით გამოწვეული პროცესების მონიტორირება. ეს ყველაფერი მეტად მნიშვნელოვანია იშემიური პროცესების პრევენციისა თუ მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის.

4) „სიცოცხლის განმავლობაში კანცერის განვითარების ალბათობა და მისი ასაკობრივი სტრუქტურა ქ. თბილისის პოპულაციაში“ (თანაავტორობით; ჟ. „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა”, №4).

აკად. ფ. თოდუა 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „მრავალშრიანი კტ ანგიოგრაფიის და პერფუზიის მონაცემები თავის ტვინის არტერიოვენური მალფორმაციების დროს“ (შავი ზღვის აუზის ნეიროქირურგთა მე-8 კონგრესი, თბილისი);

– „გულისცემის რიტმის ვარიაბელობის სპექტრული ანალიზის შედეგების რაოდენობრივი შეფასებისა და ფიზიოლოგიური ინტერპრეტაციის ზოგიერთი ასპექტი“ (საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი);

– „ლიპიდური ცვლის სტატუსის როლი წითელი სისხლის სისტემის ფუნქციური მდგომარეობის ინტერინდივიდუალურ ვარიაბელობაში“ (საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი).

აკადემიკოსი ლავრენტი მანაგაძე

სახელმძღვანელო

„შარდსასქესო სისტემის ტუბერკულოზი“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 19 გვ.).

შარდსასქესო ორგანოების ტუბერკულოზი მეორადი ტუბერკულოზის ფორმაა არამკაფიო სიმპტომატიკით. ამიტომ უროლოგებმა ყოველთვის ეჭვი უნდა მიიტანონ ამ დაავადებაზე იმ პაციენტებში, რომელთაც დაუდგენელი მიზეზის გამო აქვთ გახანგრძლივებული დიზურიული თუ სხვა უროლოგიური ჩივილები. შარდსასქესო ორგანოების ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა ხდება კულტურალური კვლევის საფუძველზე, მკურნალობა კი წარმოებს პირველი რიგის ქიმიოპრეპარატებით. გაურთულებელ შემთხვევაში აღნიშნული თერაპიის ხანგძლივობა 6 თვეა, ხოლო ტუბერკულოზის რეციდივის, იმუნოსუპრესიისა და HIV/AIDS დროს მიზანშეწონილია მკურნალობა 9-დან 12 თვემდე გაგრძელდეს. მამაკაცებში, რომელთაც დაუდგინდათ სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი, რეკომენდებულია ჩატარდეს საშარდე სისტემის სრულყოფილი გამოკვლევა.

სტატიები

1) „თირკმლის დონორების სიცოცხლის ხარისხის მაჩვენებლების ანალიზი” (თანაავტორობით; In: „Organ donation and organ donors: issues, challenges and perspectives“Ed. Saidi R. Nova Sciense Publisher Inc: ნიუ-იორკი, აშშ, 107-124, ინგლისურ ენაზე).

გაანალიზებული და შედარებულია სიცოცხლის ხარისხის მაჩვენებლები: 1) თირკმლის 45 დონორში (ჯგუფი I), 2) 120 საკონტროლო პირთა (ჯგუფი II) და 3) 52 პაციენტში, რომელთაც თირკმლის სიმსივნის გამო გაუკეთდათ რადიკალური ნეფრექტომია (ჯგუფი

III). სიცოცხლის ხარისხის მაჩვენებლების ანალიზისთვის გამოყენებული იყო SF-36, GBB-24 და Bf-S კითხვარები. კვლევის პროცესი იყო სრულად ანონიმური და უფასო ყველა მონაწილისთვის. SF-36 კითხვარის 8-დან 3 პარამეტრში („სოციალური ფუნქცია“, „სხეულის ტკივილი“ და „სიცოცხლისუნარიანობა“) დონორთა მაჩვენებლები სარწმუნოდ აღემატებოდა პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფის პირების მაჩვენებლებს. GBB-24 კითხვარის ყველა პარამეტრში დონორებმა აჩვენეს უკეთესი შედეგები, ვიდრე პაციენტებმა და საკონტროლო ჯგუფის პირებმა. Bf-S კითხვარის შედეგები საგრძნობლად უკეთესი იყო დონორებში დანარჩენ 2 ჯგუფთან შედარებით. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ თირკმლის დონორების ხარისხის მაჩვენებლები იდენტურია საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებისა და აღემატება პაციენტების სიცოცხლის ხარისხის მაჩვენებლებს. აუცილებელია დონორების ოპერაციის შემდგომი როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოსოციალური პარამეტრების მონიტორინგი.

2) „უჯრედის ციკლის მარეგულირებელი პროტეინებისა და პროლიფერაციის მარკერების როლი პროსტატის კიბოსა და კეთილთვისებიან ჰიპერპლაზიაში” (In.: Prostate cancer cells. Detection, growth and treatment. Ed. Zongbing you, Nova Science Publisher Inc., ნიუ-იორკი, აშშ, 103-115, ინგლისურ ენაზე).

კვლევის მიზანი იყო უჯრედის ციკლის მარეგულირებელი პროტეინებისა და პროლიფერაციის მარკერების როლის შესწავლა პროსტატის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი პათოლოგიების დროს. გაანალიზდა $P27^{kip-1}$-ის, Cyclin D3-ისა და Ki67-ის აქტივობის მაჩვენებლები: პროსტატის 32 კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის (პკჰ), პროსტატის 30 კიბოსა (პკ) და ჰორმონულად ნამკურნალები 10 პკ (ჰპკ) ქსოვილებში. მარკერე-

ბის აქტივობის ინტენსივობა შედარდა ჯგუფებს შორის და დაავადების კლინიკურ პარამეტრებს. P27 $^{kip-1}$-ის აქტივობა მნიშვნელოვნად მაღალი იყო პკჰ-ის დროს პკ-თან შედარებით. მარკერის ეპითელური აქტივობა მნიშვნელოვნად მაღალი იყო ჰპკ-ს დროს პკ-თან შედარებით. მარკერის აქტივობა პროსტატის ეპითელიუმში, სისხლძარღვებსა და სადინარებში უარყოფით კავშირში იყო დაავადების სტადიასა და დიფერენციაციის ხარისხთან. Ki67-ის აქტივობა კორელირდება პაციენტების ასაკსა და პსა-ის დონესთან. მისი აქტივობა სარწმუნოდ მაღალი იყო პკ-სა და ჰორმონ რეფრაქტერული პკ-ს დროს პკჰ-თან შედარებით. მარკერის ეპითელიური აქტივობა პოზიტიურ კორელაციურ კავშირში იყო დიფერენციაციის ხარისხთან. Cyclin D3 ნაკლებად ინტენსიურად გამოიყოფოდა პკჰ-ის დროს პკ-თან შედარებით. მისი აქტივობა მატულობდა დიფერენციაციის ხარისხის მატებასთან ერთად. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ P27 $^{kip-1}$-ის აქტივობა კლებულობს, ხოლო Cyclin D3-ისა და Ki67-ის აქტივობა მატულობს პკ-ს დროს. აღნიშნული მარკერების გამოყოფის ინტენსივობა სხვადასხვაგვარ კავშირშია დაავადების კლინიკურ პარამეტრებთან.

3) „პატარა სიმსივნეებით თირკმლების ტრანსპლანტაცია: თირკმლების გადანერგვის ახალი პოტენციური წყარო” (Georgian Medical News, 224, 11-15, ინგლისურ ენაზე).

პუბლიკაციების რაოდენობა მცირე ზომის ქსოვილოვანი წარმონაქმნის მქონე თირკმლების ტრანსპლანტაციის შესახებ ყოველწლიურად მატულობს. დღეისათვის უკვე არსებობს მინიმუმ 2 სამედიცინო ცენტრი, რომელიც გეგმურად აწარმოებს აღნიშნულ ოპერაციებს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა სადავოა სხვადასხვა ქვეყნის სპეციალის-

ტებს შორის. არსებული სამედიცინო გაიდლაინები ურთიერთგამომრიცხავ რეკომენდაციებს იძლევიან სიმსივნის მქონე თირკმლების ტრანსპლანტაციის შესახებ. ამ საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტი, კერძოდ, გამოთვლილია, რომ აღნიშნული პრაქტიკის დანერგვის შემთხვევაში ყოველწლიურად მხოლოდ აშშ-ში ჩატარდება თირკმლის ტრანსპლანტაციის 3000-მდე დამატებითი ოპერაცია.

4) „თირკმლის ტრანსპლანტაციის პირველი შემთხვევა აივ-ინფიცირებულ პაციენტებში საქართველოში" (Georgian Medical News, 224, 7-11, ინგლისურ ენაზე).

შიდს-ის მკურნალობის თანამედროვე მეთოდებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს შედეგები და გაზარდეს აივ-ინფიცირებულ პაციენტთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. აქედან გამომდინარე, თირკმლის ტრანსპლანტაცია უკვე განიხილება მკურნალობის ერთ-ერთ ალტერნატიულ მეთოდად თირკმლის ქრონიკული უკმარისობის (თქუ) მქონე აივ-ინფიცირებულ პაციენტებში. ჩატარდა საქართველოში თირკმლის ტრანსპლანტაციის პირველი წარმატებული ოპერაცია. დონორ-რეციპიენტის წყვილი არაიდენტური დები იყვნენ. შემთხვევა დეტალურადაა აღწერილი და მიმოხილულია ლიტერატურა აღნიშნულ საკითხზე. ეს არის პირველი პუბლიკაცია თირკმლის წარმატებული ტრანსპლანტაციის შემთხვევის შესახებ აივ-ინფიცირებულ პაციენტებში აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ცენტრალური აზიის ჩათვლით.

5) „ესტროგენის როლი ჰიპერაქტიური შარდის ბუშტის მართვაში" (The Journal of Urology, 4S, 426-426, ინგლისურ ენაზე).

შარდის ბუშტის პათოლოგია იწვევს პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუარესებას. კვლევის მიზანი იყო ტოლტეროდინისა და ესტრიოლის ვაგინალური კრემის კომბინაციის შედარება მხოლოდ ტოლტერო-

დინთან. მენოპაუზაში მყოფი 47 პაციენტი (ქალი) დაიყო 2 ჯგუფად: I ჯგუფი – 24 ქალი იღებდა 2 მგ ტოლტეროდინს ორჯერ დღეში და ესტრიოლის ვაგინალურ კრემს, ხოლო 23 ქალი (II ჯგუფი) – მხოლოდ 2 მგ ტოლტეროდინს ორჯერ დღეში. 12 კვირის შემდეგ მკურნალობის შედეგები ორივე ჯგუფში იდენტური იყო, ხოლო შემდგომი 12 კვირის თავზე მკურნალობის შედეგის შენარჩუნება დაფიქსირდა მხოლოდ I ჯგუფის პაციენტებში.

აკად. ლ. მანაგაძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო:

– ევროპის უროლოგთა ასოციაციის 28-ე კონგრესი (მილანი, იტალია);

– პოლონელ უროლოგთა ფორუმი (თბილისი).

– „პროსტატის სიმსივნეების თერაპიული მკურნალობის შესაძლო პერსპექტივები“ (მე-2 სამეცნიერო კონფერენცია – „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, თბილისი).

აკად. ლ. მანაგაძე მონაწილეობდა 2013 წელს დამთავრებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 2 გრანტის შესრულებაში:

– „ლოკალური და რეგიონული ანესთეზიის შედარება არტერიო-ვენური ფისტულების ფორმირებისთვის თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ტერმინალური სტადიის დროს“ (2012-2015);

– „აპოპტოზისა და უჯრედის ციკლის მარეგულირებელი პროტეინების როლი პროსტატისა და თირკმლის კიბოს დროს“ (2012-2013)

აგრეთვე, მონაწილეობდა 2 გარდამავალი საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში.

აკადემიკოსი ნოდარ მითაგვარია

წიგნი

„ადამიანის ფიზიოლოგია ყველასთვის“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „ბიომედი“, თბილისი, 71 გვ.).

წარმოდგენილია ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები. პირველ ნაწილში აღწერილია ცოცხალ უჯრედებში, კუნთებსა და პერიფერიულ ნერვებში მიმდინარე პროცესები და ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგადი გავლენა ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებზე. განხილულია ორგანიზმის შინაგანი გარემოს ისეთი სისტემების ფუნქციონირება, როგორიცაა სისხლი, გულსისხლძარღვთა სისტემა, სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი და გამომყოფი ორგანოები, ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი საკითხი და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. განხილულია გრძნობათა ორგანოები: მხედველობა, ყნოსვა, სმენა, გემოვნება და სხვ.

სტატიები

1) „თავის ტვინის ტემპერატურის აუტორეგულაცია მთელი სხეულის ჰიპერთერმიის პირობებში“ (თანაავტორობით; ჰინდავის საგამომცემლო კორპორაცია. სამედიცინო კონფერენციის სტატიები, 1-5).

2) „თავის ტვინის ტემპერატურის აუტორეგულაცია მთელი სხეულის ჰიპერთერმიის პირობებში“ (თანაავტორობით; http://dx.doi.org/10.1155/2013/928243, Oncothermia Journal, ტ. 7, ბუდაპეშტი, უნგრეთი, 61-68, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული ტემპერატურული ცვლილებების გამოვლენა ვირთაგვების თავის ტვინის ქსოვილში. მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ თავის ტვინს გააჩნია ტემპერატურის უაღრესად ეფექტური აუტორეგულაციის სისტემა, რომელიც

იცავს მას გარემოს ტემპერატურის ცვლილებების ზემოქმედებისგან. დადგინდა, რომ ამ აუტორეგულაციის ზედა ზღვარი (ვირთაგვების შემთხვევაში) არის გარემოს ტემპერატურის 45^0C ფარგლებში; გაირკვა, აგრეთვე, რომ აუტორეგულაციის ნორმალური ფუნქციობა ბევრად არის დამოკიდებული აზოტის ოქსიდზე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული ქცევითი დარღვევები უკავშირდებოდეს ტემპერატურის ცვლილებებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ისინი გაშუალედებულია ტვინის ქსოვილში სისხლის მიმოქცევისა და ჟანგბადის მიწოდების დარღვევით, რაც გამოწვეულია სისხლის რეოლოგიური თვისებების სწრაფი გაუარესებით.

3) „მთელი სხეულის ჰიპერთერმიის ჰორმეტული ეფექტი“ (თანაავტორობით; კლინიკური ჰიპერთერმიის საერთაშორისო საზოგადოების (ICHS) 32-ე კონფერენციის შრომები, გუანჯოუ, ჩინეთი, 107-116, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია მთელი სხეულის ჰიპერთერმიით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის პირობებში ჰორმეზისის ფენომენის ქცევითი მანიფესტაცია მრავალსვლიან ლაბირინთში ვირთაგვების ტესტირებისას. მიღებული შედეგები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰიპერთერმიის დადებითი სამკურნალო ეფექტი ონკოლოგიურ კლინიკაში უნდა უკავშირდებოდეს როგორც მის მიერ ინიცირებული ოქსიდაციური სტრესით გამოწვეულ ორგანიზმის ადაპტაციურ სტრეს-რეაქციას, ისე სიმსივნურ ქსოვილში მიკროცირკულაციის მოშლით წარმოქმნილ გლუკოზის მკვეთრ დეფიციტს.

4) „ცერებრული ინფარქტის ნეიროპროტექტორული მკურნალობა: ექსპერიმენტული კვლევა“ (თანაავტორობით; International J. Neurosci, 123, 2, 104-113, ინგლისურ ენაზე).

ინტაქტურ და პლაფერონ-ლბ-თი წინასწარ ნამკურნალებ ვირთაგვებში არაინვაზიური ფოტოქიმიური მეთოდით თავის ტვინის ქერქში გამოწვეული იყო თრომბული ინფარქტი. იზომებოდა ინფარქტის გეომეტრიული პარამეტრები. პლაფერონით ნამკურნალებ ცხოველებში (0,1 მგ/კგ ინსულტის გამოწვევამდე 30 წუთით ადრე) აღინიშნა ინფარქტის ზომების მნიშვნელოვანი შემცირება (3,3+/-0,8 კუბ.მმ) საკონტროლო ცხოველებთან შედარებით (21,9+/-3,3 კუბ.მმ). პლაფერონის აღნიშნულ დოზას არ მოუხდენია რაიმე ცვლილება საკონტროლო ცხოველების სისტემურ არტერიულ წნევაზე და სისხლის მიმოქცევის ინტენსივობაზე თავის ტვინის ქერქში. ნამკურნალებ ვირთაგვებში კი როგორც სისხლის მიმოქცევის ინტენსივობა, ისე ჟანგბადის პარციალური წნევა თავის ტვინის ქსოვილში შემცირდა, მაგრამ ორივე მაჩვენებელი შენარჩუნებული იყო კრიტიკულ დონეზე მაღლა. გაანალიზებულია პლაფერონის ცერებროპროტექტორული, ანტიჰიპოქსიური მოქმედების შესაძლო მექანიზმები.

5) „ვირთაგვებში ოქსიდაციურ სტრესთან ასოცირებული ჰორმეზისის ფენომენის ქცევითი გამოვლენები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, 39, 3-4, 113-123).

ოქსიდაციური სტრესი თავისი არსით წარმოადგენს თავისუფალი რადიკალების მასობრივ გამოთავისუფლებას. ამ პროცესის გამშვები მექანიზმები ბოლომდე არ არის შესწავლილი. ცნობილია, რომ ოქსიდაციური სტრესისადმი რეზისტენტობა სიცოცხლის ხანგრძლივობასთან ასოცირებს. კერძოდ, დადგენილია, რომ დაბალი დოზის ოქსიდაციური სტრესი ანელებს დაბერების პროცესს. ფაქტობრივად აქ ადგილი აქვს ისეთ ფენომენს, რომელიც ცნობილია „ჰორმეზისის“ სახელწოდებით. ბიომედიცინის თვალსაზრისით ამ

ტერმინით აღწერენ ისეთ მოვლენას, როდესაც ტოქსინების ან სხვა სტრესოგენული ფაქტორების დაბალი დოზით მოქმედების საპასუხოდ ორგანიზმში ვითარდება ბიოლოგიურად დადებითი რეაქცია – ადაპტური სტრესრეაქცია. უკანასკნელ წლებში ინტერესი ჰორმეზისის მოვლენისადმი მკვეთრად გაიზარდა. შეისწავლება რადიაციული ჰორმეზისიც, ანუ დაბალი დოზებით დასხივების პროტექტორული ეფექტები.

6) „მანგანუმის ქლორიდით ხანმოკლე ინტოქსიკაციის გავლენა მდედრობითი და მამრობითი სქესის ახალგაზრდა ვირთაგვების ქცევაზე“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, 39, 3-4, 101-112,).

წარმოდგენილ ნაშრომში აღწერილია მანგანუმის ქლორიდით ხანმოკლე ინტოქსიკაციის გავლენა მდედრობითი და მამრობითი სქესის ახალგაზრდა ვირთაგვების წონის მატებაზე და შფოთვისა და შიშის რეაქციების გამოვლინებაზე. დადგენილია, რომ მანგანუმით დატვირთვა გავლენას არ ახდენს მამრების წონის მატებაზე, მდედრებში კი აღინიშნება წონის მატების დაქვეითება. გენდერული სხვაობა არ აღინიშნებოდა ჯვარედინ ლაბირინთსა და „ღია ველში“ ტესტირებისას. საკონტროლო და მანგანუმით დატვირთული ცხოველების ქცევა ერთმანეთისგანაც არსებითად არ განსხვავდებოდა.

აკად. ნ. მითაგვარია 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „ოქსიდაციური სტრესი და ჰორმეზისის ფენომენი“ (თანაავტორობით; საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების III ეროვნული ყრილობა, თბილისი);

– „ჰიპერთერმიის ჰორმეტული ეფექტი” (კლინიკური ჰიპერთერმიის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICHS) XXXII კონგრესი, გუანჯოუ, ჩინეთი).

აკად. ნ. მითაგვარიას ხელმძღვანელობით ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში დასრულდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო – „სხვადასხვა მოდალობის სტრესით გამოწვეულ ქცევით დარღვევებსა და თავის ტვინის მორფო-ფიზიოლოგიურ ცვლილებებში აზოტის ოქსიდის როლის შესწავლა“.

იგი არჩეულია BAO Health Resources Corporation (Tarzana, California, USA) სამეცნიერო მრჩევლად და ჩინური მედიცინის საზოგადოებათა მსოფლიო ფედერაციის პროფესიულ-ტექნიკური სტანდარტების დამამტკიცებელი კომიტეტის (WFCMS-SCNT) წევრად.

აკადემიკოსი დავით მიქელაძე

სტატია

„თიროიდული ჰორმონები განსხვავებულად არეგულირებენ ERK და Akt ფოსფოლირილებას anb3 ინტეგრინული რეცეპტორის საშუალებით დიფერენცირებულ და არადიფერენცირებულ PC 12 უჯრედებში“ (თანაავტორობით; Cell Biochemistry and Function. DOI: 10. 1002/cbf.3013).

ნაშრომი შეეხება თიროიდული ჰორმონების არაგენომურ მოქმედებას უჯრედის გარსზე არსებული ინტეგრინების რეცეპტორების საშუალებით. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული რეცეპტორების მიმართ ტრი- და ტეტრაიოდთირონინები სხვადასხვა ეფექტს ამჟღავნებს, რაც გამოიხატება მათი მადიფერენცირებელი მოქმედებით, პროტეინკინაზების დიფერენცირებული აქტივაციით და ტრანსკრიპციის ფაქტორის FoxO6 სპეციფიკური ექსპრესიით.

აკად. დ. მიქელაძე 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „ნობილეტინი აღადგენს ჰიპოთირეოზის შედეგად დარღვეულ ბიოენერგეტიკას მიტოქონდრიებში სუბ-

სტრატული ფოსფორილირების გააქტივებით“ (მე-2 სამეცნიერო კონფერენცია – „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, თბილისი);

– „NMDA-რეცეპტორი ნაკლებად სენსიტიურია პოლიამინების მიმართ IL-10 გენით ნოკაუტირებული თაგვების ტვინში“ (5th EMBO meeting 2013, advancing the life sciences, ამსტერდამი, ნიდერლანდები);

– „ციტრულინირებული ცილების და პეპტიდების როლი ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებით დაავადებებში” (5th EMBO meeting 2013, advancing the life sciences, ამსტერდამი, ნიდერლანდები);

– „ნობილეტინის ნეიროპროტექტორული ეფექტი ჰიპოთირეოიდულ ვირთაგვებში მოიცავს მიტოქონდრიებში სუბსტრატული ფოსფორილირების გაძლიერებას” (Apoptosis and Cancer 2013, EMBO Workshop, სტოკჰოლმი, შვედეთი);

– „K-Ras-ის ეფექტი ჟანგბადის პეროქსიდის პროდუქციაზე, ჰექსოკინაზას და სუქცინატდეჰიდროგენაზას აქტივობებზე ტვინის მიტოქონდრიებში” (Apoptosis and Cancer 2013, EMBO Workshop, სტოკჰოლმი, შვედეთი).

აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი

სტატია

„წყლის აუზის პირობებში დასწავლის სტრატეგიათა კვლევა მედიალური სეპტუმის ელექტროლიზური და ქოლინერგული ნეირონების სელექტიური დაზიანების მქონე ვირთაგვებში“ (თანაავტორობით; საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების III ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი, 94-95).

დეკლარატიული და არადეკლარატიული მეხსიერების კვლევამ მორისის წყლის აუზში გამოავლინა, რომ MS-ის ქოლინერგული დაზიანების მქონე ცხოველებთან შედარებით MS-ის ელექტროლიზური დაზია-

ნების მქონე ცხოველები გაცილებით გვიან სწავლობენ ბაქნის ადგილმდებარეობას. სატესტო სინჯებში ასევე გამოვლინდა სივრცითი მეხსიერების დეფიციტი.

აკად. თ. ნანეიშვილი 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „სეპტუმის ქოლინერგული და არაქოლინერგული ნეირონებით ჰიპოკამპის ფუნქციის მოდულაცია“ (The 37th International Congress of Physiological Sciences, ბირმინგემი, დიდი ბრიტანეთი).

მედიალური სეპტუმის სხვადასხვა მეთოდით დაზიანების პირობებში ნაჩვენებია სეპტოჰიპოკამპური პროექციების ორ ძირითად კომპონენტს შორის ფუნქციათა დისოციაცია კვლევით ქცევაში. ქოლინერგული და არაქოლინერგული პროექციების სელექტიური დაზიანება არ მოქმედებს სივრცითი ამოცნობის მეხსიერებაზე.

– „ჰიპოკამპის უჯრეთგარე სივრცეში გლუტამატისა და გაემ-ის დონის ცვლილება სივრცითი მორიგეობის ტესტის შესრულებისას მემანტინისა და პლაცებოს ზემოქმედების ფონზე“ (The 37th International Congress of Physiological Sciences, ბირმინგემი, დიდი ბრიტანეთი).

ჯვრისმაგვარ ლაბირინთში სივრცითი ხანმოკლე მეხსიერების ამოცანით ტესტირებისას გლუტამატის დონე ცრუოპერირებულ და Ms-ის GABA-ერგული ნეირონების სელექტიური დაზიანების მქონე ცხოველებში მომატებულია, თუმცა ფონური მაჩვენებლებისაგან არ განსხვავდება. KCL-ით სტიმულირებული გლუტამატის დონე ცრუოპერირებულ ცხოველებთან შედარებით Ms-ის GABA-ერგული ნეირონების სელექტიური დაზიანების მქონე ცხოველებში მომატებულია. ამრიგად, KCL-ით სტიმულირებული გლუტამატის დონის ცვლილებები Ms-ის GABA-ერგული ნეირონების სე-

ლექტიური დაზიანების მქონე ცხოველებში არ მოქმედებს სივრცით ხანმოკლე მეხსიერებაზე.

აკად. თ. ნანეიშვილი მონაწილეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (13/10) – „ჰიპოკამპდამოკიდებული მეხსიერების მოდულაცია სეპტოჰიპოკამპური ქოლინერგული და არაქოლინერგული პროექციებით: ქცევითი და იმუნოციტოქიმიური კვლევა“ – შესრულებაში.

იმუნოტოქსინებით MS-ის ქოლინერგული და GABA-ერგული ნეირონების სელექტიური დაზიანების მქონე ცხოველებისაგან განსხვავებით, MS-ის იმუნოტოქსინებით თანადროული დაზიანების მქონე ცხოველებში სარწმუნოდ არის გაუარესებული ადგილის სიახლის დეტექცია. ობიექტების ფიზიკური მახასიათებლების ცვლილების დეტექციაში ჯგუფებს შორის განსხვავება არ გამოვლინდა. MS-ის ქოლინერგული და GABA-ერგული ნეირონების სელექტიური დაზიანების მქონე ცხოველებისაგან განსხვავებით, MS-ის იმუნოტოქსინებით თანადროული დაზიანების მქონე ცხოველები გვიან სწავლობენ ბაქნის ადგილმდებარეობას. სატესტო სინჯებში ასევე გამოვლინდა სივრცითი მეხსიერების დეფიციტი. მიმდინარეობს განსხვავებული დაზიანების მქონე ცხოველების ჰიპოკამპში სხვადასხვა რეცეპტორის ექსპრესიის კვლევა.

აკად. თ. ნანეიშვილი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს „მეხსიერების ნერვული მექანიზმების“ მიმართულებით დოქტორანტურას და კითხულობს ქცევათნეირომეცნიერებისა და ქცევის შესწავლის მეთოდების სასწავლო კურსებს. ასევე ხელმძღვანელობს დოქტორანტურას „ნეირობიოლოგიის“ მიმართულებით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თბილისის ივანე ჯავახიშვილის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე მიჰყავს სასწავლო კურსი ქცევის ფსიქოფიზიოლოგიაში.

აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი

სტატიები

1) „თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია საქართველოში. პოპულაციური კვლევის პირველი წლის შედეგები“ (თანაავტორობით; ჟ. Neurology, 80110.1007/S.1.,1060- 013-1054-1, ინგლისურ ენაზე).

გაანალიზებულია თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების გავრცობის, სიკვდილობის, გენდერული განაწილების, კომორბიდობის და სხვა ნოზოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოს პოპულაციაში.

2) „მაღალი ავთვისებიანობის მქონე გლიომების მკურნალობა TGF-β2 ინჰიბიტორით ტრაბედენსენით: რანდომული კონტროლირებული II ფაზის კვლევის მონაცემები” (თანაავტორობით; Neuro-oncology, 13(1), 132-142, ინგლისურ ენაზე)

წარმოდგენილია ავთვისებიანი თავის ტვინის გლიომების ქიმიოთერაპიული საშუალებით ტრაბედენსენით აპლიკაციური მკურნალობის მაღალი ეფექტიანობა, რომელიც ზრდის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას 7,1±2,6 თვით და მნიშნელოვნად აუმჯობესებს კარნოვსკის მაჩვენებელს რეციდიული ზრდის შემთხვევაში.

3) „ლოკალური დემიელინიზაციის ფენომენი გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის მქონე ავადმყოფებში” (თანაავტორობით; Georgia Medic. News, 15, 22-27, ინგლისურ ენაზე).

დადასტურებულია მოტორული ნეირონის დაზიანებით განპირობებული მოტორული ბოჭკოების ლოკალური დემიელინიზაციის ელექტროფიზიოლოგიური კორელატები.

4) „ლოკალური დემიელინიზაცია მოტონეირონის დაავადების დროს“ (თანაავტორობით; Nervenheilkunde, Suppl.1, A43-A44, ინგლისურ ენაზე).

გამოვლენილია გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის ფონზე მოტორული ბოჭკოების დემიელინიზაციის ფენომენი, რომელსაც ახასიათებს ვალერის დეგენერაციის საპირისპირო ცენტრიდან პერიფერიისაკენ გავრცობის ვექტორი.

5) „ნერვ-კუნთოვანი გადაცემის დაზიანების ელექტროფიზიოლოგიური თავისებურებები მიასთენიით და ლამბერტ-იტონის სინდრომით დაავადებულ პაციენტებში” (თანაავტორობით; საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი, 2013, 33-34).

მოცემულია ლამბერტ-იტონის მიასთენიური სინდრომის ელექტროფიზიოლოგიური კორელატების დინამიკურობა ავთვისებიანი მიასთენიის დეკრემენტის გამოკვეთით შორს წასულ პროგრესირებად ფორმებში.

6) „ნეირონთება და შფოთვითი აშლილობა: პათოფიზიოლოგიურ-ნეიროქიმიური მიმოხილვა“ (თანაავტორობით; In: Tbilisi IstInternational Conference “Merging neuroscience and medicine: implications for brain disorders”, თბილისი, 17).

განხილულია რიგი ფსიქონევროლოგიური დაავადების ნეირონთებითი მექანიზმები, მითითებულია რაციონალური მედიკამენტური მკურნალობის დიფერენცირებული ალგორითმი, ნეირონთება და შფოთვითი აშლილობა (პათოფიზიოლოგიურ-ნეიროქიმიური მიმოხილვა).

7) „ნერვის სტიმულაცია დაბალი და მაღალი სიხშირეებით მიასთენიის დიაგნოზირებაში” (თანაავტორობით; j. Neurology. Science, 333, e 459, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია მიასთენიის ელექტროფიზიოლოგიური დიაგნოზირების მოდიფიცირებული კრიტერიუმი, აგებული ცვალებად სტიმულაციურ პარამეტრებზე – რეაგირების ვარიაციებზე.

8) „ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის ეტიოლოგიური ფაქტორები საქართველოში“ (თანაავტორობით; j. Neurology. Science, 333, e 665, ინგლისურ ენაზე).

განხილულია თავისა და ზურგის ტვინის მწვავე ანთებითი პათოლოგიის გამომწვევი მიკროორგანიზმების გავლენა დაავადების კლინიკურ თავისებურებასა და მიმდინარეობის ხასიათზე.

9) „ინფექციური წარმოშობის დუნე დამბლების ეტიოლოგია და ეპიდემიოლოგია საქართველოში“ (თანაავტორობით; j. Neurology. Science, 333, e 667, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია მწვავე ინფექციით გამოწვეული დუნე დამბლების ეტიოლოგიური და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების სამხარეო-გეოგრაფიული დიფერენციაცია.

10) „არქიტექტურა ძილის აპნოეს სინდრომის მქონე პაციენტებში CPAP თერაპიამდე და მის შემდგომ“ (თანაავტორობით; Abstracts of the 5th World Congress of sleep medicine, ვალენსია, ესპანეთი, 102, ინგლისურ ენაზე).

განხილულია CPAP თერაპიის სეანსის დადებითი გავლენა თავის ტვინის ბიოპოტენციალების ცვლილებებზე ძილის აპნოეს პირობებში ძილის სხვადასხვა ფაზაში ქცევით პატერნებთან და პლეტიზმოგრაფიულ კორელაციაში.

11) „დაღლილობის გამოვლინება და ძილის დარღვევები გაფანტული სკლეროზის პირობებში“ (თანა-

ავტორობით; Abstracts of 5th World Congress on sleep medicine. ვალენსია, ესპანეთი, 190, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია გაფანტულ სკლეროზთან ასოცირებული დაღლილობის სინდრომისა და ძილის ღრმა ფაზები რედუქციასთან.

12) „გაფანტული სკლეროზის დაავადება – მოდიფიცირების თანამედროვე თერაპიული ალტერნატივები" (თანაავტორობით; მე-2 სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები", თბილისი, 28-30).

მოცემულია არგუმენტაცია გაფანტული სკლეროზის პროგრესირებად მიმდინარეობაში ნეიროგლიური ქსოვილოვანი ელემენტების პირველადი დეგენერაციის დომინანტური როლის შესახებ.

13) „თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ავადობის მაჩვენებელი საქართველოში – პროსპექტული პოპულაციური კვლევა" (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 149-156, ინგლისურ ენაზე).

დასახული იყო ამოცანა: თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ავადობისა და სხვა საბაზისო ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების შეფასება პოპულაციურ კოჰორტულ კვლევაში, რომელიც ჩატარდა საქართველოში 2009 წლის მარტიდან 2011 წლის მარტამდე. გამოყენებულია შემთხვევების გამოვლენის აქტიური მეთოდი, რაც გულისხმობდა ნეირორადიოლოგიური კვლევის დასკვნებისა და ნეიროქირურგიული განყოფილებების სამედიცინო ისტორიების მოძიებას კვლევაში ჩართული ყველა პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომლებიც პრაქტიკულად ასახავდა რესპუბლიკაში ნეიროონკოლოგიური პაციენტისადმი სამედიცინო აქტივობის 100%-ს. ორი წლის მანძილზე გამოვლინდა 980 ახალი შემთხვევა.

აკად. რ. შაქარიშვილი არის 4 გარდამავალი საზღვარგარეთული გრანტის ხელმძღვანელი და მთავარი შემსრულებელი:

– „მრავალცენტრული, რანდომიზებული, კონტროლირებადი კვლევა გაფანტული სკლეროზის რეციდივული ფორმით დაავადებულ პაციენტებში პრეპარატით RPC1063 მკურნალობის ეფექტურობისა და უსაფრთხოების დასადგენად“ (PPD Global LTD., 2012-2014);

– „რანდომიზებული მულტიცენტრული კოპაქსონის ეფექტურობის კვლევა გაფანტული სკლეროზის მორეციდივე ფორმით დაავადებულ პაციენტებში“ (PSI CR0A9, 2012-2015);

– „მულტიცენტრული საერთაშორისო რანდომიზებული კვლევა ლაქვინიმოდის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის დასადგენად გაფანტული სკლეროზის რეციდივულ-რემისიული მიმდინარეობის პირობებში“ („TEVA Pharmaceutical Industries“, 2012-2015);

– „რანდომიზებული, კონტროლირებადი კვლევა CVN2197944”-ს ეფექტურობისა და უსაფრთხოების დასადგენად პოსტჰერპესული ნევრალგიის მქონე პაციენტებში „SMO Pharmma“, 2013-2014).

იგი 2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ნერვკუნთოვანი გადაცემის დაზიანების ელექტროფიზიოლოგიური თავისებურებები მიასთენიით და ლამბერტ-იტონის სინდრომით დაავადებულ პაციენტებში“ (საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა მესამე ეროვნული ყრილობა, თბილისი);

– I საერთაშორისო კონფერენცია „აქტუალური ნეირომეცნიერება და მედიცინა“ (თბილისი);

– მე-2 სამეცნიერო კონფერენცია – „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“ (თბილისი);

– Kongress des Wissenschaftlichen Beirats der Deutschen gesellschaft fur Muskelkranke e.V vom 28 (აახენი, გერმანია).

– „საერთაშორისო სიმპოზიუმი ნეიროინფლამაციასა და ღეროვანი უჯრედების მედიცინაში“ (თბილისი).

აკადემიკოსი მიხეილ ხანანაშვილი

წიგნი

„ნორმასა და პათოლოგიას შორის (მეოთხე ძირითადი მდგომარეობის) თეორია“ (გადაცემულია გამოსაცემად).

სტატიები

1) „იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ვირთაგვების თვითრეგულაციური ქცევის თავისებურებები და მნიშვნელობა ფსიქოგენური სტრესის პირობებში“ (თანაავტორობით; საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების III ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი, 41-ე გვ.).

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ინდივიდების ნერვული სისტემის დამცველობითი, თვითრეგულაციური მექანიზმების მნიშვნელობის შესწავლა სტრესისადმი ორგანიზმის ადაპტაციის უნარის ფორმირებაში. შესწავლილია განსხვავებული იერარქიული სტატუსის მქონე ცხოველების (დომინანტი, სუბდომინანტი, დაქვემდებარებული) თვითრეგულაციური ქცევის თავისებურებები ფსიქოგენური სტრესის ორიგინალური მოდელის (მ. ხანანაშვილი, თ. დომიანიძე, 1992) პირობებში პათოლოგიური გამღიზიანებლების მიმართ უმაღლესი ნერვული მოქმედების მდგრადობის აწევის მიზნით. ცხოველების მცირე ჯგუფებში იერარქიული სტატუსის განსაზღვრის შემდეგ შესწავლილია მათი ქცევა სტრესირებამდე და სტრესირების შემდგომ „ღია ველის“ და „პროკონფლიქტური“ ტესტებით, ასევე, ხან-

მოკლე მეხსიერება დაყოვნებული რეაქციების მეთოდით. კვლევა შესრულებულია თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვებზე. გამოიკვეთა იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ცხოველების ქცევის განსხვავებული თავისებურებანი სტრესოგენური გამღიზიანებლების მიმართ. კერძოდ, დადგენილია, რომ იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი ვირთაგვები (დომინანტები და სუბდომინანტები) ხასიათდებიან თვითრეგულაციური ქცევითი მექანიზმების უფრო სრულყოფილი განვითარებით, ვიდრე დაქვემდებარებული ვირთაგვები.

2) „ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი – ცხოველმყოფელობის მეოთხე ძირითადი მდგომარეობის – თეორია“ (საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების III ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი, 111-ე გვ.).

ცხოველებზე (მღრღნელები, მტაცებლები, პრიმატები) ჩატარებული თავის ტვინის უმაღლესი ფუნქციების მულტიდისციპლინური (ქცევითი, ნეიროფიზიოლოგიური, ულტრასტრუქტურული, ნეიროქიმიური, ნეიროფარმაკოლოგიური მეთოდების გამოყენებით) შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა წარმოდგენა ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი – ცხოველმყოფელობის მეოთხე ძირითადი – მდგომარეობის შესახებ. გარდამავალი მდგომარეობა ნორმასა და პათოლოგიას შორის არის ფსიქობიოლოგიური მოვლენების ერთობა, რომელიც ნორმალურ ორგანიზმში პათოგენური ფაქტორის მოქმედების საპასუხოდ აღმოცენდება და შედგება როგორც პროცესებისგან, რომლებიც პათოლოგიურ მდგომარეობაში „გადადის” (ანუ, თავისი ბუნებით და მოქმედების საბოლოო შედეგით – პათოგენურია), ასევე სხვა ბუნების პროცესებისგან, რომლებიც დამცველობით როლს თამაშობს: ასუსტებს გამღიზიანებლის პათოგენურ ძალას, ეწინააღმდეგება პათოგენური პროცესის განვითარებას, მეტიც, ორგა-

ნიზმს პირვანდელ, ნორმალურ მდგომარეობაში „აბრუ-ნებს" და ა.შ. ამრიგად, იგულისხმება, რომ პათოგენური გამღიზიანებლის საპასუხოდ პათოლოგიური მდგომარეობის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს ორი ბიოლოგიურად განსხვავებული მოვლენის განვითარება, უარყოფითის – პათოგენურის და დადებითის – დამცველობითის. ვითვალისწინებთ რა გარდამავალი მდგომარეობის როლს ორგანიზმის (ზოგად) ბიო-სოციალური სტატუსის ჩამოყალიბებაში, მის მნიშვნელობას (ორგანიზმის) პათოგენური ფაქტორების მიმართ მდგრადობის რეგულაციის ამაღლებაში, ასევე, მის დიდ პოტენციალს დაავადების პრევენციასა და კორექციაში, მიგვაჩნია, რომ ის უნდა განიხილებოდეს ორგანიზმის სხვა სამ (კლასიკურად ცნობილ) ძირითად მდგომარეობათა (ნორმა-პათოლოგია-კლინიკური სიკვდილი) რანგში და, ამრიგად, აღიარებულ იქნეს ცოცხალი ორგანიზმის შემდეგი ოთხი ძირითადი მდგომარეობის არსებობა: ნორმა – გარდამავალი მდგომარეობა – პათოლოგია – კლინიკური სიკვდილი.

აკადემიკოსი შოთა ჯაფარიძე

სტატიები

1) **აკად. წევრ-კორ. ზურაბ ქევანიშვილთან თანაავტორობით.** „ვესტიბულური ნევრონიტის და ნეიროლაბირინთიტის თანმდევი მეორადი კპპთ: კეთილთვისებიანი პოზიციური პაროქსიზმული თავბრუ" (ოტოლარინგოლოგთა და თავ-კისრის ქირურგთა ევროპული აკადემიის მეორე კონფერენცია, ნიცა, საფრანგეთი).

მეორადი კეთილთვისებიანი პაროქსიზმული პოზიციური თავბრუდახვევა, კპპთ, დაფიქსირდა შიგნითა ყურის დაავადებების მქონე რვა პაციენტში. აქედან შვიდს – ვესტიბულური ნევრონიტი, ხოლო ერთს – ნეიროლაბირინთიტი ჰქონდა გადატანილი. კპპთ მანი-

ფესტირდებოდა პირველადი პათოლოგიის გადატანიდან ერთი წლის განმავლობაში. ვესტიბულური სისტემის გამოკვლევა მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ სპონტანური, პოზიციური, კალორიული ენგიით, რეტინო-ოკულარული და დინამიკური პოზიციური ტესტებით წარმოებდა. ყველა პაციენტში მკურნალობამდე სხვადასხვა სიმძიმის კალორიული ჰიპოაქტივობა და ჰორიზონტალურ-როტაციული სახის სპონტანური ნისტაგმი დაფიქსირდა. მკურნალობის შემდგომი ტესტირებისას გადატანილი პათოლოგიის მხარეს შვიდ შემთხვევაში უკანა ნახევარრკალოვანი არხის კპპთ გამოვლინდა, ერთ შემთხვევაში – ჰორიზონტალური არხის. მეორადი კპპთ-ს ჩამოყალიბებას ბაქტერიული ან ვირუსული ინტოქსიკაციის ფონზე ოტოლითური მემბრანიდან ოტოკონიების მოწყვეტა და ნახევარრკალოვან არხებში ტრანსპორტირება განაპირობებს. უკანა ნახევარრკალოვანი არხის კპპთ-ს სიხშირე შიგნითა ყურის ინერვაციის თავისებურებით აიხსნება. ჰორიზონტალური არხის კპპთ-ს მანიფესტირებას კი, ჩვენი აზრით, ინტენსიური თერაპიის ხარჯზე ზედა ვესტიბულური ნერვის ბოჭკოების აღდგენა უწყობს ხელს.

2) **აკად. წევრ-კორ. ზურაბ ქევანიშვილთან თანაავტორობით.** „სმენის ფუნქცია სიგარეტის მწეველებში: საქართველოს მასალები“ (ოტოლარინგოლოგთა და თავ-კისრის ქირურგთა ევროპული აკადემიის მეორე კონფერენცია, ნიცა, საფრანგეთი).

მოწევა უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ქმნის სერიოზულ პრობლემას ყურის, ცხვირის და ყელის დაავადებების მხრივ. კვლევის მიზანს მოწევასა და სმენის დაქვეითებას შორის კავშირის დადგენა წამოადგენდა. მოწევის ეფექტი შესწავლილია საქართველოს მოსახლეობაზე. გამოკვლეულია მწეველები და არამწეველები.

კვლევის მეთოდები: კვლევა ჩატარდა საქართველოს აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში. გამოკვლეულია 60 მწეველი პაციენტი სმენის დაქვეითებით (I ჯგუფი) და 28 არამწეველი პაციენტი (საკონტროლო ჯგუფი). გამოსაკვლევ პირთა ასაკი 29-59 წელი იყო. ყველა პირმა გამორიცხა ანამნეზში: ოტოტოქსიკური პრეპარატები, ბაროტრავმა, ჰიპერტენზია, ოტოტოქსიკური ვირუსული ინფექცია. 28 არამწეველიდან სმენის დაქვეითება აღენიშნა 6 პაციენტს (21,4%); ნორმალური სმენა – 22-ს (78,6%), მწეველთა ჯგუფის 60 პაციენტიდან სმენის დაქვეითება აღენიშნა 39 პაციენტს (75%); კვლევამ გვიჩვენა, რომ თამბაქოს მოწევა პირდაპირ კავშირშია სმენის დაქვეითებასთან.

3) **აკად. წევრ-კორ. ზურაბ ქევანიშვილთან თანაავტორობით.** „სმენის ფუნქცია ინდუსტრიულ მშენებლობაში ჩართულ მუშებში: გარე ხმაურის ეფექტები" (Occupational noise influence. Issues of Theoretical and Clinical Medicine, 85(8): 70-74, ინგლისურ ენაზე).

ინდუსტრიულ საქმიანობაში, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსკავკასიური ნავთობსადენის მშენებლობაში ჩართულ მუშებში სისტემატურად იქნა შესწავლილი სმენის ფუნქცია. ინტენსიურ საკონსტრუქციო პროცესებში აქტიური მონაწილეობის გამო ყველა მუშა მუშაობის პროცესში გარე ხმაურის რეგულარულ ზემოქმედებას განიცდიდა. რეფერენტული ჯგუფი ჰუმანიტარული პროფილის ადგილობრივი დაწესებულებების თანამშრომლებით იყო წარმოდგენილი. სმენის ზღურბლები 0,125-12 კჰც ანუ ფართო სიხშირულ ზოლში განისაზღვრებოდა. მშენებელთა ჯგუფში, საკონტროლოსთან შედარებით, 4-12 კჰც სპექტრში აღმოჩნდა სმენა შერჩევითად დაქვეითებული. ხმაურის მეტი ზემოქმედება 20-29, 30-39 და 40-49 წლების ანუ შედარებით ახალგაზრდა მუშებში აღინიშნა. 50-59 და 60-69 წლების ანუ უფრო ხანდაზმულ ინდივიდებში

სმენის ზღურბლების ასაკთან დაკავშირებულ, ძირითადად, მაღალ სიხშიროვან მატებათა გამო ხმაურის გავლენა უფრო სუსტი იყო ხარისხით და უფრო ვიწრო სპექტრით: ხმაურის მიმართ მგრძნობიარე ზოლის კომპონენტთაგან დაბალ სიხშიროვან ბგერებზე სმენა უპირატესად ან შერჩევითად იყო დაქვეითებული. ხმაურიან გარემოში მომუშავეთა რეგულარული აუდიომეტრიული გამოკვლევა, 10 და 12 კჰც სიხშირეებზე ზღურბლთა ინსპექტირების ჩათვლით, საწყის აუდიოდარღვევათა დროული წარმოჩენის მნიშვნელოვან პროცედურად არის მიჩნეული. სმენის დისფუნქციის გამოვლინებისთანავე რეკომენდებულია საპრევენციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება.

აკად. შ. ჯაფარიძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო ოტოლარინგოლოგთა და თავ-კისრის ქირურგთა ევროპული აკადემიის მეორე კონფერენციის მუშაობაში (ნიცა, საფრანგეთი), აგრეთვე, მოხსენებით გამოვიდა ოტოლარინგოლოგთა ასოციაციის სხდომაზე: „შუა ყურის ქრონიკული ჩირქოვანი ანთების ქირურგიული მკურნალობა“ (საქართველო).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქეთევან ნემსაძე

წიგნი

„ნეონატალური ბაქტერიული ინფექციები“ (თანაავტორობით; ელექტრონული პუბლიკაცია, 50 გვ, INTECH, www.intechopen.com, ინგლისურ ენაზე).

წიგნში აღწერილია ახალშობილთა სეფსისის ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდოლოგია.

სტატიები

1) „ინჰალაციის ეფექტი ბრონქიოლიტის დროს ბავშვებში“ (აბსტრაქტი P2066, ელექტრონული პუბლი-

კაცია, ევროპის რესპირაციული ასოციაციის კონგრესის მასალები, ინგლისურ ენაზე).

ელექტრონულ პუბლიკაციაში აღწერილია 3%-იანი ჰიპერტონიული მარილის ხსნარის გამოყენების ეფექტურობა ბრონქიოლიტით დაავადებულ ჩვილებში.

2) „ქრონიკული ხველის ევალუაცია ბავშვებში“ (იმუნორეაბილიტაციის ინტერნაციონალური ჟურნალი; ტ. 15, №2; 96-ე გვ, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია ქრონიკული ხველის მიზეზები და კლინიკური შეფასება, პროტოკოლის გამოყენების მეთოდოლოგია.

3) „ბიოეთიკა და პაციენტთა უფლებები: იმპლემენტაციის გზები“ (საექთნო საქმიანობის სტანდარტები: ეთიკა და დეონტოლოგია, 6-7; ყირიმის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროსა და ექთანთა ასოციაციის ყირიმის 1 კონფერენცია, USAID; სიმფეროპოლი, უკრაინა, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია ბიოეთიკის და პაციენტის უფლებების, ინფორმირებული თანხმობისა და კონფიდენციალურობის იმპლემენტაციის გზები.

აკად წევრ-კორ ქ. ნემსაძე 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციებში და წაიკითხა მოხსენებები:

–„იშვიათი დაავადებების სფეროში საქართველოს პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება 2013-2017 წლებისათვის“ (სამეცნიერო კვლევები იშვიათი დაავადებების სფეროში; საერთაშორისო მიმოხილვა და ეროვნული პერსპექტივები, თბილისი);

– „ნუტრიციული სერვისების ინტეგრირებული პორტფოლიო“ (საქართველოს მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის სამუშაო შეხვედრა – „ინვესტიცია საქართველოს მომავალში“, თბილისი);

– „ადრეული ასაკის ბავშვთა ზრდა-განვითარების შეფერხების ტენდენციები საქართველოში” (ერევანი, სომხეთი);

– „ინჰალაციის ეფექტი ბრონქიოლიტის დროს ბავშვებში“ (ევროპის რესპირაციული საზოგადოების კონგრესი, ბარსელონა, ესპანეთი);

– „ბიოეთიკა და პაციენტთა უფლებები: იმპლემენტაციის გზები” (უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროსა და ექთანთა ასოციაციის ყირიმის 1 კონფერენცია, USAID, სიმფეროპოლი, უკრაინა);

– „ქრონიკული ხველის ევალუაცია ბავშვებში” (დუბაი, არაბეთის ემირატები).

აკად. წევრ-კორ. ქ. ნემსაძე არჩეულია აშშ-ს ძუძუთი კვების მედიცინის აკადემიის და ბავშვთა ძალადობისა და უგულებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების (ISPACAN) საპატიო წევრად და ევროპის რესპირაციული ასოციაციის „ოქროს წევრად“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ზურაბ ქევანიშვილი

სტატიები

1) **აკად. შოთა ჯაფარიძესთან თანაავტორობით.** „სმენის ფუნქცია ინდუსტრიულ მშენებლობაში ჩართულ მუშებში: გარეხმაურის ეფექტები”, (Occupational noise influence. Iss Theor Pract Med 2013; 85(8): 70-74) (ანოტაცია იხ. გვ. 183).

2) **აკად. შოთა ჯაფარიძესთან თანაავტორობით.** „ვესტიბულური ნევრონიტის და ნეიროლაბირინთიტის თანმდევი მეორადი კპპთ: კეთილთვისებიანი პაროქსიზმული პოზიციური თავბრუ” (თანაავტორობით; In: 2nd Meeting of European Academy of ORL-HNS and CE ORL-HNS. Abstract Book. Nice, 219, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 181).

3) **აკად. შოთა ჯაფარიძესთან თანაავტორობით.** „სმენის ფუნქცია სიგარეტის მწეველებში: საქართველოს მასალები“ (ოტოლარინგოლოგთა და თავ-კისრის

ქირურგთა ევროპული აკადემიის მეორე კონფერენცია, ნიცა, საფრანგეთი) (ანოტაცია იხ. გვ. 182).

4) „სენსონევრალური ტიპის სმენაჩლუნგი ბავშვების კოგნიტური ფუნქცია: კოხლეარული იმპლანტაციის ეფექტი" (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია 39(1-2): 15-24).

კვლევის ძირითადი კონტინგენტი სენსონევრალური ტიპის მსუბუქი და საშუალო ხარისხის სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებმა შეადგინა. სმენაჩლუნგობის შესაძლო მიზეზის გასარკვევად enzyme-linked immunosorbent assay-ის ანუ ELISA-ს მეთოდით სისხლში განისაზღვრებოდა ციტომეგალოვირუსის (ცმვ) მატარებლობა. კვლევაში ცალკე ჯგუფად იყვნენ ჩართული მძიმე და უმძიმესი ხარისხის სმენის დაქვეითების მქონე ბავშვები, რომელთაც 6-12 თვით ადრე კოხლეარული იმპლანტაცია ჰქონდათ ჩატარებული. საკონტროლო ჯგუფს ნორმალური სმენის ბავშვები წარმოადგენდნენ. როგორც ტესტურ ჯგუფებში, ისე საკონტროლოში გამოკვლეულთა ასაკი 3-7 წლის ფარგლებში თავსდებოდა. ბავშვთა ინტელექტის მონაცემების ჯგუფთაშორისი შედარება Mann-Whitney-ს არაპარამეტრული ტესტით ხორციელდებოდა. დადასტურდა, რომ ინტელექტის მაჩვენებლები ორივე ჯგუფის არაიმპლანტირებულ სმენადაქვეითებულებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჯანმრთელების, აგრეთვე, იმპლანტირებულთა ჯგუფებისას. გაირკვა, რომ კოგნიტური ფუნქციის განვითარებისათვის სმენის დაქვეითების მიზეზს – ცმვ-ით თუ სხვა ფაქტორით გამოწვეულს – არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. განსხვავება იმპლანტირებული და საკონტროლო ბავშვების ინტელექტის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად არ იყო სარწმუნო. შესაბამისად, დამტკიცდა, რომ სმენაჩლუნგო-

ბის რეაბილიტაციის მიზნით ჩატარებული კოხლეარული იმპლანტაცია ბავშვის ნორმალური ინტელექტუალური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

5) „შემეცნების მახასიათებლები ლოკოკინაში იმპლანტირებული და არაიმპლანტირებული სენსონევრალური სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებში“ (თანაავტორობით; In: ESPCI 2013. 11th European Symposium on Paediatric Cochlear Implantation. Congress Book. სტამბოლი, თურქეთი, 93-ე გვ.).

სენსონევრალური ტიპის სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებში შემეცნებითი ფუნქცია ფასდებოდა რაოდენობრივად ფერადი პროგრესული მატრიცის რავენისეული მეთოდით. სმენადაქვეითებულთა ერთი ჯგუფის სისხლში ციტომეგალოვირუსის, ცმვ-ის მატარებლობა დასტურდებოდა. მეორეში ცმვ-ის სინჯი უარყოფითი იყო. სმენადაქვეითებულთა მესამე ჯგუფის ბავშვებს კოხლეარული იმპლანტაცია ჰქონდათ ჩატარებული. საკონტროლო ჯგუფი ნორმალური სმენის ბავშვებით იყო წარმოდგენილი. როგორც ტესტურ ჯგუფებში, ისე საკონტროლოში ბავშვთა ასაკი 3-7 წლის ფარგლებში თავსდებოდა. აღინიშნა, რომ შემეცნებითი ფუნქციის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალია იმპლანტირებულებში, ვიდრე არაიმპლანტირებულებში. მეტიც, დამტკიცდა, რომ იმპლანტაციიდან 6-12 თვის შემდეგ შემეცნების ხარისხი იმპლანტირებულ და ნორმალური სმენის ბავშვებში სტატისტიკურად თანაბარია.

6) „არეკვლის ფსიქოაკუსტიკური ფენომენი: ელექტროაკუსტიკური კორელატები” (თანაავტორობით; საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი, 8-9).

დაბალი სიხშირის, მაღალი ინტენსივობის ტონით ექსპოზიციის თანმდევი სმენის სიმახვილის ცვლილე-

ბები ანუ არეკვლის ფენომენი შესწავლილია გამოწვეული ოტოაკუსტიკური ემისიის, გოაე-ის რეგისტრაციის ანუ ობიექტური მეთოდით. კვლევა ჩატარდა ნორმალური სმენის მქონე პირებში. გაირკვა, რომ არეკვლა შიგნითა ყურის ფართო ზოლს ან სულაც მთელ მის არეალს მოიცავს. არეკვლის მიმართ მკვეთრი ინდივიდთაშორისი განსხვავებები, ცალკეულ პირებში კი გამოხატული ინტერაურალური თანაბრობა დაფიქსირდა. გოაე-ის არეკვლისეულ ცვლილებებს მხოლოდ იპსი- და არა კონტრალატერალური ექსპოზიციისას ჰქონდა ადგილი. ამდენად, შედეგებმა დაადასტურა ფენომენში პერიფერიული რეცეპტორული მექანიზმების ჩართულობა და ცენტრალური ნერვული პროცესების ინდიფერენტობა.

7) „თბილისის მასშტაბით სმენის მასობრივი სკრინინგი ახალშობილებში“ (თანაავტორობით; საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი, 14-15).

ახალშობილთა მასობრივი და სისტემატური აუდიოსკრინინგი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოში ხორციელდება. 2006 წლიდან სკრინინგი თბილისში დაბადებულ ყველა ახალშობილს უტარდება. პროცედურა ოტოაკუსტიკური ემისიის რეგისტრაციას ეფუძნება. გაირკვა, რომ დაბადებიდან მხოლოდ მეხუთე და მომდევნო დღეებში ჩატარებული სკრინინგის ნეგატიური შედეგი შეიძლება იქნეს მიჩნეული ახალშობილის სმენის სანდო შეფასებად. პროექტის ფარგლებში უკვე 200000-მდე ახალშობილია გამოკვლეული. სმენის დაქვეითება ინსპექტირებულთა 0,4%-ში დადასტურდა. სმენაჩლუნგობის ყველა შემთხვევაში ობიექტური (კომპიუტერული) აუდიომეტრიით სმენის ფუნქციის დეტალიზება ხდება და სმენის რეაბილიტაციის კონკრეტული სქემა მუშავდე-

ბა. კერძოდ, იგეგმება სასმენი აპარატების გამოყენება, კოხლეარული იმპლანტაცია, ლოგოპედიური სერვისი.

8) „სმენის ფუნქციის ასაკობრივ ცვლილებათა დინამიკა ქალებში და მამაკაცებში“ (თანაავტორობით; საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობის მასალები, თბილისი, 96-97).

ასაკობრივი სმენაჩლუნგობის ანუ პრესბიაკუზისის დინამიკის გენდერული თავისებურებები შეისწავლებოდა ქალებში და მამაკაცებში. გაირკვა, რომ პრესბიაკუზისის პირველი ნიშნები მამაკაცებში უფრო ადრე იჩენს თავს, ვიდრე ქალებში – შესაბამისად 30-39 და 40-49 წლების ასაკში. ცვლილებათა დინამიკა დასაწყისში, ასევე, მამაკაცებში უფრო სწრაფია, ვიდრე ქალებში. შედეგად, გენდერული განსხვავებები სმენის სიმახვილეში ასაკთან ერთად მატულობს და მაქსიმუმს 50-59 წლებში აღწევს. მომდევნო ასაკობრივ პერიოდში, 60-69 და 70-79 წლებში, სმენის ასაკობრივ ცვლილებებს, პირიქით, უკვე ქალებში აქვთ უფრო სწრაფი დინამიკა და არა მამაკაცებში. შედეგად, გენდერული განსხვავებები სმენის სიმახვილეში თანდათანობით ნიველირდება, ცალკეულ სიხშირეებზე კი ინვერტირდება კიდეც – აღქმის უარესი ზღურბლები უკვე ქალებში ფიქსირდება და არა მამაკაცებში. წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომ ანალოგიურ გენდერულ ასაკობრივ დინამიკას ადამიანის სხვა სენსორულ სისტემებშიც აქვს ადგილი.

9) „იუვენილური მიოკლონური ეპილეფსიის და იუვენილური აბსანს ეპილეფსიის ეეგ კორელატები” (თანაავტორობით; საქართველოს ივ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობის მასალები. თბილისი, 115-116).

იდიოპათიური გენერალიზებული ეპილეფსიის (იგე) ორი ძირითადი ქვეტიპის – იუვენილური მიოკლონური

ეპილეფსიის (იმე) და იუვენილური აბსანს ეპილეფსიის (იაე) ეეგ კორელატები სისტემატურად შედარდა ერთმანეთს. ანტიეპილეფსოთერაპიის შესაძლო ეეგ ეფექტების გასაკონტროლებლად, კვლევაში მხოლოდ ახლად დიაგნოსტირებული და, ამდენად, არანამკურნალები პაციენტები იყვნენ ჩართულნი. სტატისტიკური გათვლებით არარეგულარული სპაიკ-ტალღოვანი ეეგ კომპლექსები, გენერალიზებული ასიმეტრიული განმუხტვები, მაღალი სიხშირის ფოტოსენსიტივობა, ფოკალური ეპილეპტიფორმული ძვრები სტატისტიკურად თანაბარი პროპორციით სდევს თან იმე-ს და იაე-ს, რაც პათოლოგიათა დიფერენციაციას ართულებს.

აკად. წევრ-კორ. ზ. ქევანიშვილი ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე სახელმწიფო პროგრამაში სახელწოდებით: სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა. პროგრამა ხორციელდება ოტორინოლარინგოლოგიის ეროვნულ ცენტრთან კავშირში.

იგი არის აშშ-ში გამომავალი საერთაშორისო ჟურნალის „The Open Otorhinolaryngology Journal“ სარედაქციო/მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებაში საანგარიშო წელს ჩატარდა განყოფილების 6 კრება და ბიუროს 1 სხდომა, მათ შორის, 5 გაერთიანებული სხდომა ბიოლოგიურ მეცნიერებათა, ფიზიოლოგიის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებებთან ერთად. ამ სხდომებზე შედგა გასაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიკოსობის კანდიდატებთან.

2013 წლის 29 აპრილს განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე ჩატარებული არჩევნების შედეგად აკადემიკოსობის კანდიდატებად არჩეულ იქნენ:

ფიზიოლოგიის განყოფილებაში – თემურ ნანეიშვილი (ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია), ნოდარ მითაგვარია (ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია) და დავით მიქელაძე (ნეიროფიზიოლოგია);

მედიცინის განყოფილებაში – ლავრენტი მანაგაძე (უროლოგია), რომან შაქარიშვილი (ნევროლოგია) და შოთა ჯაფარიძე (ოტოლარინგოლოგია).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, აკადემიური საბჭოს 25 ივნისის №30 დადგენილებით, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ (2013 წლის 26 ივნისი, დადგენილება №9), ორი სამეცნიერო განყოფილების (ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებები) ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება. განყოფილების აკადემიკოს-მდივნად არჩეულია აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა. სწავლულ მდივნად – მედიც. მეცნ. კანდ. დ. გაგუა. ბიუროს წევრებად – აკადემიკოსები: ფ. თოდუა, ლ. მანაგაძე, ნ. მითაგვარია, რ. შაქარიშვილი და მ. ხანანაშვილი.

განყოფილებაში ჩამოყალიბდა 3 დარგობრივი კომისია, რომელთა თავმჯდომარეებად არჩეული არიან:

ა) კლინიკური მედიცინის დარგობრივი კომისია – აკად. რ. შაქარიშვილი;

ბ) ფიზიოლოგიის დარგობრივი კომისია – აკად. ნ. მითაგვარია;

გ) ექსპერიმენტული მედიცინის დარგობრივი კომისია – აკად. ლ. მანაგაძე.

გარდა ამისა, განყოფილებამ განიხილა და საექსპერტო შეფასება მისცა 7 საჯარო სამართლის იურიდიული სტატუსის სამედიცინო პროფილის დაწესებულებების 2012 წლის სამეცნიერო ანგარიშებს;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად ასარჩევად განყოფილების მიერ წარდგენილ იქნენ:

– რუსეთის ნ. ბლოხინის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, რუსეთის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი მამედ ჯავადის-ძე ალიევი.

– რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს ნ. პრიოროვის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი სერგეი პავლეს-ძე მირონოვი.

2013 წელს ზაზა ფანასკენტელის სახელობის პრემია მიენიჭა პროფესორ რამაზ შენგელიას ნაშრომთა ციკლისათვის – „მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია“ (წიგნი პირველი: ძველი აღმოსავლეთი, 2009 წ.); „Caucasian Longevity and Georgian Traditional Medicine“ (2010 წ.); „ბიოსამედიცინო ეთიკა“ (2011 წ.); „მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია“ (I-II წიგნი: ძველი აღმოსავლეთი; დასავლეთის სამედიცინო ტრადიციები, 2012 წ.).

2013 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტთან და საქართველოს პათოლოგანატომთა ასოციაციასთან ერთობლივად ჩაატარა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამარ დეკანოსიძის დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია და საიუბილეო სხდომა.

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების მიერ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემი-

ის აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნა 11 საკითხი, მათ შორის, ისეთი აქტუალური მნიშვნელობის, როგორიცაა:

აკადემიკოს კიაზო ნადარეიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ (მომხს. აკადემიკოს-მდივანი ფრიდონ თოდუა);

საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისიის დამტკიცების შესახებ;

„ონკოლოგიური ორთოპედიის მიღწევები და პერსპექტივები“ (მომხს. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი მ. ალიევი); „საქართველოს გენოფონდის შესწავლის შესახებ“ (მომხს. პროფესორი რამაზ შენგელია).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში 2014 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 6 წევრი, მათ შორის 4 აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2013 წელს გამოაქვეყნეს 2 წიგნი, 7 სახელმძღვანელო და 33 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ავთანდილ კორახაშვილი

სახელმძღვანელოები

1) „მემცენარეობა“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად, თბილისი, გამომცემლობა „ლომთა“, თბილისი, 346 გვ.).

მოცემულია საქართველოს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური კულტურების მორფოლოგიური მონაცემები და კომერციული მნიშვნელობა, მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიები. აღწერილია ამ კულტურების აღებისა და პირველადი დამუშავების მეთოდები აგრო-, ბიო-, ნანო- და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

2) „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად, გამომცემლობა „ლომთა“, თბილისი, 248 გვ.).

მოცემულია სურსათისა და საკვების უვნებლობის ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები, თვით ამ სტანდარტების კონკრეტული ნიმუშები საკვებისა და სურსათის ტიპიური სამრეწველო კლასების მიხედვით, მათი გავრცელების საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმატიული აქტები.

წიგნი

1) „ეტიკეტირება“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად, გამომცემლობა „ლომთა“, თბილისი, 68 გვ.).

მოცემულია ზოგადი მითითებები სურსათის ეტიკეტირებისათვის, საკვები და სასურსათო პროდუქტების შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის განთავსებით ეტიკეტზე. ამ პროდუქტების ეტიკეტზე შედგენილობის შესახებ ინფორმაციის დატანა სავალდებულო გახდა სურსათის ხარისხისა და უვნებლობის შესახებ საქართველოს კანონის შესწორებების მოთხოვნების შესაბამისად. იგი განკუთვნილია სურსათის მწარმოებლების, მომხმარებლებისა და ამ სფეროს სპეციალისტებისათვის.

სტატიები

1) „საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, II, თბილისი, 75-90,).

განხილულია საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა იმ გამოწვევებისა და რეალობების შესაბამისად, რომლებიც შეიქმნა ახალი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განხორციელების პირობების შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდეგ.

2) **აკად. თ. ანდრონიკაშვილთან და აკად. თ. ურუშაძესთან თანაავტორობით.** „განვითარებული სოფლის მეურნეობა როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტია“ (თანაავტორობით; ჟ. „Annals of Agrarian Science“, ტ. 11, №1, 8-12, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 108).

3) „გარემოს დაცვის ინოვაციური ტექნოლოგიები აზოტოვანი სასუქების გახანგრძლივებული ეფექტის მისაღწევად საქართველოს მარცვლოვან კულტურებში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად გამომცემლობაში „ტეილორი და ფრენსისი“, აშშ, ინგლისურ ენაზე).

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს „ბეღლებად“ წოდებულ რაიონებში 4-წლიანი კვლევებით მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგენილია საშემოდგომო თავთავიანებისა და სხვა მარცვლოვანი კულტურების შემდეგი წლის მოსავლის ფორმირებაში წინა წელს შეტანილი აზოტოვანი სასუქების მოქმედების კვალი. მიღებულია აზოტის შემდგომ წელს გამოყენების რეკომენდაციები კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად.

4) „ტოპინმზესუმზირას ნიადაგის ზედაპირზე მოყვანის ტექნოლოგია“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №2, თბილისი).

მოცემულია ტუბერიანი კულტურების, კერძოდ, ამ ჰიბრიდული კულტურის სრულიად ახალი ტექნოლოგიით მოყვანის შესაძლებლობები მინიმალური დანა-

ხარჯებით, რომელიც მისაღებია ექსტენსიური და მეგობრული ტექნოლოგიების გამოსაყენებლად თანამედროვე მიწათმოქმედებაში, მსგავსი კულტურების კონკრეტულ ეკოლოგიურ გარემოში მოსაყვანად.

აკად. ა. კორახაშვილი მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან შექმნილი „მიწის პრობლემათა კომისიის“ მუშაობაში, რომლის კულმინაცია იყო აკადემიის გაფართოებულ აკადემიურ საბჭოზე წარმოდგენილი პრეზენტაცია გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

2013 წელს განყოფილებაში აკად. ა. კორახაშვილის ხელმძღვანელობით დამუშავდა „მეცნიერების განვითარების სტრატეგია საქართველოში 2013-2017 წლებში“, რომლის განხილვა გრძელდება.

აკად. ა. კორახაშვილი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მუშაობაში როგორც ამ ორგანიზაციის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი

სტატიები

1) „ნიუტონური და არანიუტონური სითხეებისათვის ხარჯის განსაზღვრის განზოგადებული მეთოდი ნაკადის თანაბარი რეჟიმით მოძრაობისას“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, 124-128, ინგლისურ ენაზე).

სითხის ლამინალური რეჟიმით თანაბარი უდაწნეო მოძრაობის დასახასიათებლად შემოთავაზებულია ხარჯის განსაზღვრის განზოგადებული მეთოდი როგორც ნიუტონური, ასევე არანიუტონური სითხეებისათვის.

2) „მცირე სიმაღლის მიწის კაშხლების ნგრევის გამომწვევი ტალღის პარამეტრების დადგენა“ (ж. „Эко-

логические системы и приборы“, №6, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

შემოთავაზებულია ჰიდრავლიკური გაანგარიშების მეთოდიკა, რომელიც საშუალებას იძლევა, მყარი მონატანის რაოდენობის მხედველობაში მიღებით, დადგინდეს ერთი მიმართულების გრძივი ტალღის პარამეტრები, რაც იწვევს მცირე სიმაღლის მქონე მიწის კაშხალზე მონატანით დატვირთული ნაკადის გადადინებას და კაშხლის წყობიდან გამოყვანას.

3) „მონატანით ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის ცვლადი მასით მოძრაობის პარამეტრების დადგენა რიცხვითი მეთოდის გამოყენებით” (თანაავტორობით; სტუ-ის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. 68, 153-156, რუსულ ენაზე).

მონატანით ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფული ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის ასაგებად შემოთავაზებულია საანგარიშო გამოსახულება, რაც ითვალისწინებს ეროზიულ კერებში ღვარცოფის წონასწორობის პირობას, შემდგომ მისი მოძრაობის დაწყებას და წყალსადინარში გადაადგილებისას მდინარის კალაპოტიდან მყარი მასის გატაცების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, იწვევს მოძრაობის მიმართულებით ღვარცოფის ხარჯის მნიშვნელოვან ზრდას.

4) „ეროზიულ ღრანტეებში ღვარცოფის წყვეტილი (მცირე მოცულობის) ტალღების სახით ფორმირების თეორიული საფუძვლები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Метеорология и гидрология“, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

მიღებული განტოლებები საშუალებას იძლევა ახლებურად შეფასდეს ეროზიულ ღრანტეებში მცირე მოცულობის ბმული ღვარცოფის დაგროვების და ტალღის სახით გადაადგილების დაწყების პროცესი. როდესაც დაგროვილი მასა ეროზიულ კერაში მიაღწევს ზღვრულ მნიშვნელობას, იგი იწყებს მდინარის კა-

ლაპოტში ფორმირებული დიდი მოცულობის მქონე ღვარცოფული მასის ტალღის სახით გადიდებას, რომელიც, თავის მხრივ, დროსთან უწყვეტ კავშირში იმყოფება.

5) „კინეტიკური ენერგიის დანაკარგის განსაზღვრა ღვარცოფული ნაკადების ურთიერთშერევისას“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Гидротехническое строительство“, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

დადგენილია ღვარცოფული ნაკადების შერევისა და შემდგომ გაწონასწორებული ჯამური ნაკადის კინეტიკური ენერგიის სიდიდე. გაირკვა, რომ შერეული ნაკადის კინეტიკური ენერგიის სიდიდე მნიშვნელოვნად ნაკლებია ცალ-ცალკე მოძრავი ღვარცოფული ნაკადების კინეტიკური ენერგიის ჯამურ სიდიდეზე.

6) **აკად. თ. ურუშაძესთან თანაავტორობით.** „ფერდობზე ჩამონადენის ტალღური რეჟიმით მოძრაობის ზეგავლენა ნიადაგის ეროზიის ინტენსივობაზე“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Почвоведение“, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

დადგენილია, რომ ზედაპირული ჩამონადენის ტალღის ფორმით გადაადგილების სიჩქარე ერთნახევარჯერ აღემატება იმავე ნაკადის ხარჯის შესაბამის თანაბარი რეჟიმით მოძრავ სიჩქარეს, რაც, თავის მხრივ, იწვევს ნიადაგის ეროზიული პროცესების მნიშვნელოვან გაზრდას. რეკომენდებული დამოკიდებულებანი საშუალებას იძლევა ეროზიის რეალური სიდიდის შესაფასებლად არსებულ შესაბამის კლასიკურ განტოლებებში შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები ტალღის ჰიდრავლიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

7) **აკად. თ. ურუშაძესთან თანაავტორობით.** „მცირე სიღრმის მქონე ნაკადებში ნიადაგის ხაზოვანი ეროზიისას ტალღების შესაძლო წარმოქმნის პროგნო-

ზი“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Почвоведение“, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

მონატანატივნარებული ნაკადების ერთგანზომილებიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე „მცირე“ აღშფოთების მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს ნაკადის თავისუფალ ზედაპირზე ტალღის წარმოქმნის შემთხვევაში შევიტანოთ შემასწორებელი კოეფიციენტი ხაზოვანი ეროზიის შესაფასებელ არსებულ დამოკიდებულებებში, რაც ხაზოვანი ეროზიის შეფასებისას რეალური სურათის მიღების შესაძლებლობას მოგვცემს.

აკად. ო. ნათიშვილი ხელმძღვანელობს სტუ-ის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საბიუჯეტო თემას – „ღვარცოფების ტალღის ფორმით გადაადგილების გამოკვლევა და მათთან კომპლექსური ბრძოლის მეთოდების შემუშავება“.

იგი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ამასთანავე ხელმძღვანელობს აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებულ „ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელ კომისიას” (ანგარიში იხ. გვ. 301).

აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი

მონოგრაფია

„საქართველოს ხორბალი და სელექციური მუშაობა მასზე“ (კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, თბილისი, 750 გვ.).

მონოგრაფიაში პირველადაა შეჯამებული საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრაზე და სხვა დაწესებულებებში ქართული ხორბლის ბოტანიკური, სისტემატიკური, გენეტიკური და სელექციური შესწავლის 90

წლის შედეგები. მოცემულია ქართული ხორბლისა და მის საფუძველზე მიღებული ექსპერიმენტული მასალის ამსახველი მცენარეთა ორიგინალური ფერადი ფოტომასალა.

სტატიები

1) „ძირითადი მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები“ (თანაავტორობით; წიგნში – „საქართველო, ჩვენი ფასეულობები, სოფლის მეურნეობა“, საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის ცენტრი, გამომცემლობა „ივერიონი”, თბილისი, 123-137).

ნაჩვენებია საქართველოს ხორბლის, სიმინდის, ლობიოსა და სოიის კულტურების სახეობრივი, სახესხვაობრივი და ჯიშური შედგენილობა შესაბამისი ფერადი ფოტოსურათებით.

2) „ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და მეკარტოფილეობა” (თანაავტორობით; წიგნში – „საქართველო, ჩვენი ფასეულობები, სოფლის მეურნეობა“, საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის ცენტრი, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 138-144).

აღწერილია საქართველოს ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და კარტოფილი, შესაბამისი ფერადი ფოტომასალით.

3) „ქართული ხორბალი“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, II, თბილისი, 110-135).

ნაჩვენებია ქართული ხორბლის სახეობრივი, სახესხვაობრივი და ჯიშური შედგენილობა, მათი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება და როლი ხორბლის გვარის ევოლუციაში და მსოფლიო სელექციაში.

4) „საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობებისა და რბილი ხორბლის მეორე თაობის ჰიბრიდებში ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობა“ (თანაავტორობით; სა-

ქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №1, თბილისი, 93-99, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ მშობლიური ფორმების მორფოლოგიური დომინანტური ნიშნების მემკვიდრეობა მონოგენური ხასიათისაა და მეორე თაობაში მიღებული დათიშვა შეესაბამება თეორიულად მოსალოდნელ დათიშვას შემდეგნაირი შეფარდებით – 3(დომინანტური): 1(რეცესიული). ნაჩვენებია, რომ მეორე თაობაში მცენარის სიმაღლის მიხედვით დათიშვა დიგენურია და დომინირებს მაღალმოზარდობა. მიღებული დათიშვა შეესაბამება თეორიულად მოსალოდნელ დათიშვას – 13(მაღალმოზარდი):3(მოკლეღეროიანი) ან 15(მაღალმოზარდი):1(მოკლეღეროიანი). გარდა ამისა, მეორე თაობაში ვლინდება ბიოტიპების მრავალფეროვნება, რომელთა ბოტანიკური კუთვნილების დადგენა შეუძლებელი ხდება.

5) „ქართლურ ხორბალ დიკას (T.carthlicum Nevski) როლი გვარ Triticum-ის ევოლუციაში და მსოფლიო სელექციაში“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 177-178).

ნაჩვენებია, რომ საქართველოს ხორბლის ენდემურმა სახეობამ – დიკამ (T.carthlicum) დიდი როლი შეასრულა ხორბლის გვარის ევოლუციაში და მსოფლიო სელექციაში. საქართველოს ხორბლის სხვა ენდემურ სახეობებთან შედარებით, ხორბალი დიკა კოსმოპოლიტური სახეობაა და შეიჭრა სხვა ქვეყნებშიც.

6) „ქართლურ ხორბალ დიკას (T.carthlicum Nevski) შეჯვარებადობისა და პირველი თაობის ჰიბრიდების შესწავლის შედეგები” (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასა-

ლები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 180-182).

დადგენილია, რომ ქართლურ ხორბალ დიკას (T.carthlicum) შეჯვარება ხორბლის გვარის სხვა სახეობებთან არ საჭიროებს დამატებითი ღონისძიებების ჩატარებას, მაგრამ ახასიათებს ე.წ. „ბიოლოგიური ჯიუტობა“.

7) „ქართლურ ხორბალ დიკას (T.carthlicum) საფუძველზე მიღებულ სახეობათა შორის ჰიბრიდებში დათიშვის შესწავლის შედეგები” (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 182-183).

ნაჩვენებია, რომ ქართლურ ხორბალ დიკას ხორბლის სხვა სახეობებთან შეჯვარებით მიღებულ ჰიბრიდებში დათიშვა წარიმართება ისეთი კანონზომიერებებით, რასაც ადგილი აქვს სხვა სახეობების შეჯვარებების დროს, მაგრამ მათგან განირჩევა დიკასათვის დამახასიათებელი ე.წ. „ბიოლოგიური ჯიუტობით“. საჭიროა ამ „ჯიუტი თვისების“ გამომწვევი გენეტიკური ფაქტორების დადგენა.

8) „მეტი ყურადღება საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობებისა და აბორიგენული ჯიშების შენარჩუნებას“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №32, თბილისი, 145-148).

ნაჩვენებია ქართული ხორბლის ენდემური სახეობებისა და აბორიგენული ჯიშების მეცნიერული და პრაქტიკული ღირსება. გამოთქმულია სინანული იმის შესახებ, რომ ამ უძვირფასეს გენეტიკურ ფონდს გადაშენების საშიშროება ელის.

9) „საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენული და სელექციური ჯიშების მაგარ ხორბალთან შეჯვარებით მიღებული მეორე და შემდგომ თაობებში

ფორმათა წარმოქმნის პროცესი და საინტერესო მცენარეთა გამორჩევა“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №32, თბილისი, 174-181).

დადგენილია, რომ რბილი და მაგარი ხორბლის შეჯვარებით მიღებულ მეორე და მესამე თაობებში მიმდინარეობს ახალ ფორმათა წარმოქმნის ფართო პროცესი, ხოლო მეოთხე და შემდგომ თაობებში ახალ ფორმათა წარმოქმნა წყდება.

10) „პროგრამა „მარცვალი“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი, №2(49), 11-12).

ნაჩვენებია საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდების აუცილებლობა და დასახულია ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები.

აკად. პ. ნასყიდაშვილი 2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ქართლურ ხორბალ დიკას (T.carthlicum) როლი ხორბლის გვარის ევოლუციაში და მსოფლიო სელექციაში“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი);

– „საქართველო იმუნური და მარცვლის მაღალი ხარისხის მქონე ხორბლის სამშობლოა“ (გორის სუხიშვილის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია).

აკად. პ. ნასყიდაშვილის მონაწილეობით მთავრობას წარედგინა შემდეგი პროექტები და წინადადებები:

1. საქართველოს ხორბლის წარმოების აღდგენისა და გაფართოების შესახებ (პროგრამა „მარცვალი“);

2. საქართველოს სელექციური მიღწევების სახელმწიფო ჯიშთგამოცდის სამსახურის აღდგენის შესახებ;

3. საქართველში საშემოდგომო ხორბლის სახელწიფო ჯიშთგამოცდის სადგურების აღდგენის შესახებ;

4. სიმინდისა და სოიის სახელწიფო ჯიშთგამოცდის სადგურების აღდგენის შესახებ.

5. სასოფლო-სამეურნეო კულტურების საკონკურსო და საწარმოო სახელმწიფო გამოცდის მეთოდიკის შესახებ.

აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე

სახელმძღვანელოები

1) „ნიადაგების კლასიფიკაცია“ (თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 198 გვ.).

განხილულია ნიადაგების კლასიფიკაციის საკითხები, მათ შორის ზოგადი ცნება, კლასიფიკაციის განვითარების პერიოდები, კლასიფიკაციის თანამედროვე სისტემები, მსოფლიოს ნიადაგური ბაზა – გასაღები, ობიექტები, დიაგნოსტიკური ჰორიზონტები, ნიშნები და სუბსტრატები, მსოფლიოს ნიადაგური ჯგუფების დახასიათება, თანამედროვე ანალიზების მოკლე მიმოხილვა, ტერმინთა ლექსიკონი.

2) „გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები“ (თანაავტორობით; თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 258 გვ.).

განხილულია გარემოს დაცვის, ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ცნებების ურთიერთკავშირი. პირველი ნაწილი ეხება ეკოლოგიის საფუძვლებს, მეორე – გარემოს კომპონენტებს, ხოლო მესამე – გარემოს დაცვის მექანიზმებს.

სტატიები

1) **აკად. თ. ანდრონიკაშვილთან თანაავტორობით.** „ბუნებრივი ცეოლითები – ჯადოსნური ქვები“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, თბილისი, 31-43) (ანოტაცია იხ. გვ. 109).

2) „საქართველოში ბუნებრივი სტიქიური კატასტროფებისა და გეოლოგიური გარემოს ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მასშტაბები და საშიშროების რისკი XX1 საუკუნეში" (თანაავტორობით; კრ. „მეცნიერება და კულტურა", II, თბილისი, 40-58).

განხილულია საქართველოში ბუნებრივი სტიქიური კატასტროფების მასშტაბები, მათი ცვალებადობა უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, საქართველოს ტერიტორიის დარაიონების რუკა მეწყრებით დაზიანებისა და საშიშროების რისკის, ღვარცოფული მოვლენებით დაზიანების ხარისხისა და აქტიურობის რისკის მიხედვით, საქართველოს სტრატეგიული სახაზო ობიექტების გეოლოგიური პროცესებით დაზიანებადობის მაჩვენებელი და სხვ.

3) **აკად. თ. ანდრონიკაშვილთან და აკად. ა. კორახაშვილთან თანაავტორობით.** „განვითარებული სოფლის მეურნეობა როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტია" (თანაავტორობით; j. „Annals of Agrarian Science", ტ. 11, №1, 8-12, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 108).

4) **აკად. ო. ნათიშვილთან თანაავტორობით.** „ფერდობზე ჩამონადენის ტალღური რეჟიმით მოძრაობის ზეგავლენა ნიადაგის ეროზიის ინტენსივობაზე" (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Почвоведение", მოსკოვი, რუსულ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 199).

5) **აკად. ო. ნათიშვილთან თანაავტორობით.** „მცირე სიღრმის მქონე ნაკადებში ნიადაგის ხაზოვანი ეროზიისას ტალღების შესაძლო წარმოქმნის პროგნოზი" (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „Почвоведение", მოსკოვი, რუსულ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 200).

აკად. თ. ურუშაძე 2013 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში და გააკეთა მოხსენებები:

– „დასავლეთ საქართველოს ნიადაგები და ახალი საერთაშორისო კლასიფიკაცია“ (თანაავტორობით; თსუ-ის II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“, თბილისი);

– „საქართველოს ძირითადი ნიადაგები და ნიადაგური საფარი“ (თანაავტორობით; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“, ქუთაისი);

– „ყომრალი ნიადაგების ზოგიერთი მაჩვენებლის ცვლა მთავარი სარგებლობის ჭრის გავლენით აჭარის წიფლნარებში“ (თანაავტორობით; ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავისადმი და მისი პირველი დირექტორის, მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზატორის ვასილ ლომინაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია – „ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“, თბილისი);

– „საქართველოს ნიადაგები, მათი დაცვის პრობლემები“ (თანაავტორობით; ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნება, მცენარეთა სელექცია და მცენარეთა დაცვა“, ბათუმი);

– „ყვითელმიწა ეწერი ნიადაგების კორელაცია ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის საფუძველზე” (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფე-

რენცია „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები – დაცვა და რაციონალური გამოყენება“, თბილისი);

– „საქართველოს ნიადაგები როგორც ბიომრავალფეროვნების საფუძველი“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „ტყეების მდგრადი მართვის თანამედროვე გამოწვევები კავკასიაში”, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი);

– „საქართველოს ნიადაგები: მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „მოლდოვას შავმიწები – განვითარება, დაცვა და ნაყოფიერების აღდგენა“, მიძღვნილი მოლდავეთის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავისადმი, ჩისინაუ, მოლდოვა);

– „საქართველოში მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგებისა და ფაიოზიომების კორელაციის შესახებ“ (სომხეთის ნაციონალური აგრარული უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „სასურსათო უსაფრთხოებისა და ბიომრავალფეროვნების პრობლემები“, ერევანი, სომხეთი);

– „საქართველოს ანდოსოლების ზოგადი დახასიათება“ (თანაავტორობით; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“, ქუთაისი);

– „აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები და მათი გეოეკოლოგიური თავისებურებანი“ (თანაავტორობით; თსუ-ის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „გეოფიზიკის აქტუალური პრობლემები“, თბილისი);

– „საქართველოს ნიადაგური რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის გამოყენების გამოცდილება“

(თანაავტორობით; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ნიადაგმცოდნეობაში, თბილისი);

– საერთაშორისო კონფერენცია კიევში – „Open Air Museum of Soils".

აკად. თ. ურუშაძეს მიღებული აქვს გრანტები:

– საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გრანტი „საქართველოს ნიადაგების მონაცემთა ბანკის შექმნა";

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 გრანტი:

ა) საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება – „ნიადაგმცოდნეობის კლასიფიკაციის თანამედროვე პრობლემები" (ხელმძღვანელი).

ბ) სკოლის მოწაფეების ჩართვა სამეცნიერო მუშაობაში (ხელმძღვანელი).

– ფოლკსვაგენის (გერმანია) გრანტი – „მთავარ კავკასიონზე მდგრადი განვითარების სცენარის დამუშავება".

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ალექსანდრე დიდებულიძე

ხახელმძღვანელოები

1) „ელექტრული მიკრომანქანები" (სალექციო კურსი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 80 გვ., ელექტრონული ვერსია).

ჩამოყალიბებულია ავტო-სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო ხელის იარაღების, აგრეთვე, ავტომატიკის სისტემების ელექტრული მიკრომანქანების ელექტრული სქემები, აღწერილია ამ მიკრომანქანების კონსტრუქციები და გამოყენების მაგალითები, გაანალიზე-

ბულია მიკრომანქანების მახასიათებლები და ენერგეტიკული, ეკონომიკური და ერგონომიკული მაჩვენებლები, ჩატარებულია სხვადასხვა ტიპის მიკრომანქანების დადებითი და უარყოფითი მხარეების შედარება.

2) „მექატრონიკის კურსი" (თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი, 85 გვ., ელექტრონული ვერსია).

მექატრონიკა არის მეცნიერებისა და ტექნიკის სფერო, რომელიც წარმოადგენს ზუსტი მექანიკის, კვანძების ელექტრონულ, ელექტროტექნიკურ და კომპიუტერულ კომპონენტებთან სინერგიულ გაერთიანებას. ელექტროამძრავების განვითარებასთან ერთად ცხადი გახდა მისი ელექტრული მანქანების, ძალური ელექტრონიკის, მიკროპროცესორული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის სრული ინტეგრირების აუცილებლობა ელექტროამძრავის შესაძლებლობათა სრული გამოყენების და, ზოგ შემთხვევაში, პრეციზიული მოძრაობის შესასრულებლად. განხილულია მექატრონული მოწყობილობის მათემატიკური აღწერის მეთოდები, მისი მდგრადობისა და ხარისხის კვლევის საკითხები.

3) „ელექტრული მიკრომანქანები" (პრაქტიკუმი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 29 გვ., ელექტრონული ვერსია).

სახელმძღვანელო წარმოადგენს სასწავლო კურსში ცოდნის გასაღრმავებლად და საკურსო სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი 8 მაგალითის ერთობლიობას. ბოლოში მოყვანილია სხვადასხვა ტიპის თანამედროვე მიკრომანქანების საკატალოგო მონაცემები.

სტატიები

1) „ფერმერული მეურნეობებისათვის განკუთვნილი ელექტრიფიცირებული ხიდური აგრეგატის ამძრავი" (საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული

სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ – მასალები, თბილისი, 374–376, რუსულ ენაზე).

ძვირადღირებული პროდუქციის (ყვავილები, ვაზის ჩითილები, ჩაი და ა.შ.) წარმოებაზე ორიენტირებულ მცირე ფერმებში, აგრეთვე სათბურებში, სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების ნიადაგის დატკეპნის შემცირების, მუშა ორგანოს მცენარის მიმართ ზუსტი პოზიციონირების, მოსავლიანობის ზრდისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების მიზნით შემოთავაზებულია 12 მ მოდების განის მქონე ხიდური ელექტრიფიცირებული აგრეგატის გამოყენება, რომლის ამძრავში ორი 2,2 კვტ სიმძლავრის ასინქრონული ფაზურროტორიანი ძრავა ჩართულია მუშა ელექტრული ლილვის სქემაში. აგრეგატის გამოცდებმა და ექსპლუატაციამ დაამტკიცა მისი მუშაობისუნარიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობა; უზრუნველყოფილია 0,4 მწმ$^{-2}$ აჩქარებით ამუშავება, ხოლო 20%-ის ფარგლებში ასიმეტრიის კომპენსაციისათვის საჭირო დრო არ აღემატება 0,9 წამს.

2) „საქართველოს სოფლის მეურნეობა: რეფორმები, გლობალიზაციის ზემოქმედება და პერსპექტივები“ (ევროკავშირის პროექტის „ბიოპარტნიორები“-ს საერთაშორისო სესია – „უახლესი დამუშავებები კვების მრეწველობასა და ტექნოლოგიებში ევროპულ და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“, პრაღა).

გამოკვლეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამოცდილება. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ახასიათებს სხვადასხვა კულტურის მოსაყვანად ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ამავე დროს აღინიშნება წყლის სიუხვე დასავლეთში და დეფიციტი აღმოსავლეთში, ხშირია სტიქიური მოვლენები (გვალვა, სეტყვა), რის გამოც პროდუქციის წარმოება არამდგრადია. გაანალიზებულია საქართველოს აგრარული პროდუქციის

ექსპორტის და იმპორტის სტრუქტურა და დინამიკა, შემოთავაზებულია ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებას და სოფლად მოსახლეობის სიღარიბის დაძლევას.

3) „ელექტრომაგნიტური ვიბრაციული ძრავას მუშაობის რეჟიმები“ (საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ – მასალები, თბილისი, 376-379).

მოყვანილია საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დამუშავებული ტრანსპორტიორების, დამხარისხებლების, ცხავების და ა.შ. ამძრავებში გამოსაყენებლად განკუთვნილი ღუზის ექსტრემალური ასიმეტრიის გამოყენებაზე აგებული მძლავრი ელექტრომაგნიტური რეზონანსული კუთხით რხევადი ვიბროძრავას კონსტრუქციული შესრულების ანალიზი და გამოკვლეულია მისი ელექტრომაგნიტური და ელექტრომექანიკური პროცესების თავისებურებანი, ჩანაცვლების სქემის საფუძველზე განხილულია ვიბროძრავას გამომავალი მახასიათებლები. ვიბროძრავას აქვს მაღალი მარგი ქმედებისა და სიმძლავრის კოეფიციენტები, არ საჭიროებს რეგულირებას. მანქანის სიახლე დაცული იყო აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, ბრაზილიის, კანადის, საქართველოს და სხვა ქვეყნების პატენტებით.

4) „სურსათის ხარისხის გავლენა საქართველოს ქალაქების მაცხოვრებელთა თმებში მძიმე ლითონების შემცველობაზე“ (თანაავტორობით; მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, პრაღა, 257-ე გვ.).

დიფერენციალური პულსური პოლაროგრაფიის მეთოდებით ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ თბილისის ცენტრალური რაიონებისა და გარეუბნების, აგრეთვე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სიახლოვეს და მისგან შორს მცხოვრებთა თმებში მძიმე ლი-

თონების (სპილენძი, ტყვია, კადმიუმი, თუთია) ნორმასთან გადახრებში არ იქნა გამოვლენილი მნიშვნელოვანი განსხვავებები; დადგენილია, რომ ერთი და იმავე კვარტლის მაცხოვრებელთათვის ადგილი ჰქონდა ამგვარ განსხვავებებს, მაშინ, როდესაც ერთი ოჯახის წევრთათვის განსხვავებები არ აღინიშნებოდა, რის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ თმაში მძიმე ლითონების შემცველობის ნორმიდან გადახრაში ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ კვების პროდუქტების რაციონი.

5) „ელექტრომაგნიტურ ვიბრაციულ ამგზნებში ენერგიის გარდაქმნის პროცესი“ (კონფერენციის – „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“ – შრომების კრებული, ქუთაისი, 17-23).

განხილულია ენერგიის გარდაქმნის საკითხი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დამუშავებულ ორტაქტა უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრომაგნიტურ ვიბრაციულ ამგზნებში, რომელიც ჩვეულებრივი ელექტრული მანქანებისგან განსხვავებით მუშაობს მუდმივად გარდამავალ რეჟიმში ცვალებადი სიჩქარით და საჰაერო ღრეჩოთი. ამ ვიბრატორში ელექტრომექანიკური გარდაქმნის ენერგეტიკული მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით პირველად მოხერხდა მექანიკური და ფერომაგნიტური რეზონანსის მოვლენების ერთდროულად გამოყენება, რის მიღწევას ადრე ართულებდა ინდუქციურობის ცვალებადობა. მოყვანილია გარდაქმნის თეორიული საფუძვლები და ქსელიდან მოხმარებული ენერგიის გაანგარიშების მეთოდიკა. სიახლე დაცული იყო საქართველოს პატენტით.

6) „რეკომენდაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის 2013-2017 წლებში განვითარების თაობაზე“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 194-207).

აღნიშნულია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ მისაღწევია შემდეგი მიზანი: მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეყნის აგრარულ სექტორში შემოსავლების გაზრდა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის შემცირება, რისთვისაც საჭიროა:

ა) აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის შიდა და საგარეო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

ბ) აგრარული პროდუქციის გასაღების არსებული ბაზრების გაფართოება და ახალი ბაზრების ათვისება;

გ) ქვეყნის აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ყოველივე ეს უნდა მოხდეს იმ არსებული რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში არ აღემატება 10%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 50%; ამ ორი მონაცემიდან გამომდინარეობს, რომ სოფლის მეურნეობაში ერთი დასაქმებული დაახლოებით ხუთჯერ ნაკლებ პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში; ცხადია, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული 50%-ის დასაქმება არის არასრული სამუშაო დროით, და სოფლად დასაქმებულები პარალელურად მუშაობენ მშენებლობაზე, ტრანსპორტში და სხვა სფეროებში. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ ქვეყნის აგრარული პროდუქციის ექსპორტი ბევრად ნაკლებია იმპორტზე. მიზნისა და ამოცანების განხორციელებისთვის აუცილებელია გაგვაჩნდეს ხელმისაწვდომი და მდგრადი საფინანსო ინსტიტუტები სოფლად, მაღალი დონის სამეცნიერო უზრუნველყოფა და ექსტენცია, განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიებით აღ-

ჭურვილი პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების საწარმოები, ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო დასაქმება სოფლად, ფალსიფიცირებული და დემპინგური პროდუქციისგან დაცული თავისუფალი შიდა ბაზარი, შენარჩუნებული აგრობიომრავალფეროვნება, ეფექტიანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა.

7) „აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზონაში ტრადიციული მეცხვარეობის პრობლემები“ (რუსეთის თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების სამეცნიერო შრომები, ტ. 177, მოსკოვი, 6, რუსულ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ საქართველოს მეცხვარეობა შეიძლება აღმოჩნდეს დიდი ხიფათის წინაშე, თუ არ იქნება ზუსტად დადგენილი არსებული სულადობის პირობებში ცოცხალი პირუტყვის დასაშვები ექსპორტის მოცულობა და თუ არ გამოაშკარავდება დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. პირველ რიგში, ეს ეხება ზამთრის საძოვრების გაუმჯობესებას, ფარის სტრუქტურის რეგულირებას და საკვებწარმოების განვითარებას. საძოვრების არსებულ პირობებში ცხვრის სულადობა საქართველოში ზამთარში არ უნდა აღემატებოდეს 2 მლნ სულს, ხოლო ზაფხულში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. დასახულია პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული გზები.

აკად. წევრ-კორ. ა. დიდებულიძეს მიღებული აქვს საქართველოს პატენტი: №5947 „კომბინირებული მაგნიტური ძრავა“ (თანაავტორობით; განაცხადის საიდენტიფიკაციო №12207/01, 27 აპრილი 2011, გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე გამოქვეყნებულია „საქპატენტის ოფიციალურ ბიულეტენში“ №20, 2013, 15).

აკად. წვრ-კორ. ა. დიდებულიძე მონაწილეობდა ტემპუსის პროექტში: „სამაგისტრო პროგრამა გამოყენებით ბიოტექნოლოგიაში“ (საქართველო, სომხეთი,

ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, 2011-2013).

აკად. წევრ-კორ. ა. დიდებულიძე მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან მოქმედი სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და პერსპექტივების განმსაზღვრელი კომისიის შექმნაში და შემდგომ კომისიის მუშაობაში სწავლული მდივნის მოვალეობის შესრულების ჩარჩოებში; აკადემიის აკადემიური საბჭოს დავალებით, ენციკლოპედია „საქართველოს“ მესამე ტომის სამი ნაწილის მასალებთან დაკავშირებით მოამზადა შენიშვნები.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვანო პაპუნიძე

სტატიები

1) „ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ჩატარებული მეცნიერული კვლევების ძირითადი შედეგები და სტრატეგიული მიმართულებები“ (ბათუმის ბოტანიკური ბაღის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული „ბოტანიკური ბაღების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში“, ბათუმი, 192-193).

გაანალიზებულია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, მთელი მისი არსებობის მანძილზე, განხორციელებული სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ძირითადი ასპექტები; განხილულია სახალხო მეურნეობისათვის პერსპექტიულ ინტროდუცირებულ მცენარეთა ეკოფიზიოლოგიური და ადგილობრივ პირობებში მათი შეგუების საკითხები; წარმოდგენილია ბაღში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევართა მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მცენარეთა ინტროდუქციის, ადგილობრივი ფლორისა და ბუნების დაცვის, მცენარეთა სელექციისა და გენეტიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, მეყვავილეობისა და დეკორატიული მე-

ბაღეობის, მცენარეთა დაცვის, მთის ტყეების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიმართულებით.

2) „საქართველოს ზღვის სანაპიროს გეოეკოლოგიური პრობლემები“ (თანაავტორობით; აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 11, №1, ბაქო, 425-426, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე).

განხილულია ადამიანის მსხვილმასშტაბიანი ტექნოლოგიური დატვირთვების შედეგად ზღვის ნაპირების მორფოლოგიურ ფორმებში ნეგატიური ტენდენციების საკითხები; საყოველთაო გლობალური დათბობის ფონზე გაშუქებულია ზღვის სანაპირო ზონის კლიმატის ცვლილებების, ზღვის დონის სიმაღლეში მომატების, ძლიერი შტორმების შედეგად გამოწვეული ზღვის ნაპირების ჩამოშლის პროცესების გააქტიურების საკითხები; დასახულია ბუნებრივი კომპლექსების ოპტიმალური მდგრადობის, ეკოლოგიური ოპტიმიზაციის ბალანსირების უზრუნველყოფისა და ზღვის სანაპირო ზონის სასარგებლო სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების სტაბილიზაციის შენარჩუნება-გაძლიერების ღონისძიებები.

3) „მთის ტყეების ეკოლოგიური პრობლემები“ (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შრომათა კრებული – „ტყეების მდგრადი მართვის თანამედროვე გამოწვევები საქართველოში. ტყის ეკოლოგია და ბიომრავალფეროვნება“, თბილისი, 51-52, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

განხილულია მთის ტყეების კომპლექსური გამოყენების, ტყის რესურსების დაცვის პრობლემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე; ფაქტობრივი მაგალითების ფონზე გაშუქებულია წარსულში ტყეების უსისტემო, გადაჭარბებული ექსპლოატაციით გამოწვეული არასასურველი ჯიშთა ცვლის, ჰიდროლოგიური რეჟიმის რღვევის, კურორტოლოგიური და

რეკრეაციული დანიშნულების განმაპირობებელი ფუნ-ქციების დაქვეითებისა და ბუნების სხვა უარყოფითი შედეგების საკითხები. შესწავლილია მთის ტყეების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა.

4) „ყველა თაობას ეკისრება პასუხისმგებლობა შემდგომი თაობებისათვის ტყის შენარჩუნებაზე“ (სა-მეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, ართვინი, თურქეთი, 52-53, ინგლისურ ენაზე).

განხილულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და თურქეთის ტრანსსასაზღვრო ზონის მთის ტყეების მრავალფუნქციური გამოყენების, რეგიონის ტყეების თანამედროვე და წარსული მეურნეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები; მოტანილია აჭარისა და თურ-ქეთის მოსაზღვრე რეგიონებში ახლანდელი და მომა-ვალი თაობებისათვის მთის ტყეების ეკოლოგიური ფუნქციების გაუმჯობესების, ტყის მეურნეობის გაძღო-ლის ძირითადი მიმართულებები და მეთოდები.

5) „პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულე-ბა აჭარაში“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, 159-167).

განხილულია ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარ-სების (1912) წინა პირობები; წარმოდგენილია დაარსე-ბის შემდგომ პერიოდში ბაღის ცალკეული ფლორის-ტული და სამეცნიერო განყოფილებების ჩამოყალიბე-ბის, ბაღის დეკორატიული კუთხეებისა და ექსპონა-ტების მშენებლობის, საკოლექციო ნაკვეთების, სანერ-გე მეურნეობის ფორმირებისა და სხვა ისტორიული ასპექტები. მოტანილია ცნობა ბოტანიკური ბაღის მშე-ნებლობის, მისი განვითარების ცალკეულ პერიოდში ცნობილ მეცნიერთა და სხვა ღვაწლმოსილ ადამიანთა მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; განხილულია გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, ახალ ურ-თიერთობაზე გადასვლის შედეგად, ბათუმის ბოტანი-კური ბაღის, როგორც აკადემიური სამეცნიერო-კვლე-

ვითი დაწესებულების, რეფორმაში დაშვებული შეცდომებით გამოწვეული ნეგატიური ტენდენციები, დასახულია დაკარგული პოზიციების აღდგენის ძირითადი მიმართულებები.

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძემ 2013 წ. მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციებში:

– ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (ბათუმი);

– მიკრობიოლოგიისა და ეკოლოგიის საერთაშორისო კონფერენცია – „ინტეგრაციისა და პერსპექტივების გზები“ (ბაქო, აზერბაიჯანი);

– „ტყეების მდგრადი მართვის თანამედროვე გამოწვევები საქართველოში (ტყის ეკოლოგია და ბიომრავალფეროვნება)“ (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი).

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძე მონაწილეობდა შემდეგ სამეცნიერო, სამეცნიერო-პრაქტიკულ და სახელმწიფო მიზნობრივ პროექტებში:

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლებში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების დანერგვის ორგანიზაცია; კოოპერატივების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით საჭირო სწავლება-კონსულტირება;

– აგროტექნოლოგიებისა და გადამუშავების ტექნოლოგიების გამოყენება, ნიადაგის ანალიზი, მცენარეთა მავნებელ-დაავადებების გავრცელების ხარისხის დადგენა, მარკეტინგული სამსახური, მართვის ორგანიზაცია, საწარმოო პროგრამების შედგენა;

– აგრარულ სასურსათო სექტორში არსებული საწარმოო პოტენციალის სრულყოფილად გამოყენების, კონკურენტუნარიანი აგრარული სასურსათო კომპლექსის განვითარების, სურსათზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის აღდგენა-შენარჩუნების, სამომხმარებ-

ლო ბაზრის მოთხოვნათა კონიუნქტურის გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების ხელშეწყობა;

– აგრარულ სასურსათო სექტორში მცირე ბიზნესის განვითრების, ინვესტირებისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირების, დარგში უახლესი ტექნოლოგიების, ახალი საწარმოო მიმართულებების, ახალი კულტურების, ბიოლოგიური აგროსაწარმოების დანერგვისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

– თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებელი საწარმოებისა და კომპლექსური აგრარული მომსახურების ცენტრების ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა;

– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ფიტოსანიტარიული და ეპიზოდური კეთილსაიმედოობის, საკარანტინო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა, მწარმოებელთა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძის მიერ ხელისუფლებაში წარდგენილია შემდეგი წინადადებები:

– საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შრომითი რესურსებისა და საწარმოო ფაქტორების გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები საბაზრო ურთიერთობების პირობებში;

– ბათუმის ბოტანიკურ ბაღში განხორციელებული რეფორმების შედეგებით გამოწვეული ნეგატიური ტენდენციები და დაკარგული პოზიციების აღდგენისა და გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები;

– აჭარის ტყეებში გავრცელებული ტყის მავნებელ-დაავადებები და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები.

იგი 2013 წელს არჩეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ საკითხთა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს აგრარული სექტორის განვითარების კომისიის თავმჯდომარედ.

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძე 2013 წელს არჩეულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროტექნოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიუჯეტო სამეცნიერო თემის – „მავნებელ-დაავადებებისაგან გამხმარი და ხანძრების შედეგად განადგურებული ტყის კორომების ბუნებრივი განახლების მსვლელობის შესწავლა ხულოს სატყეო მეურნეობის მაგალითზე“ – ხელმძღვანელი.

იგი არის ძირითადი შემსრულებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის – „ზეთისხილის ყინვაგამძლე ჯიშების შემოტანა და გავრცელება აჭარაში“.

აკად. წევრ-კორ. ვ. პაპუნიძე 2013 წელს არჩეულია სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

2013 წელს ჩატარდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 13 საერთო კრება. განყოფილებამ შეაფასა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის დარგის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2012 წლის სამეცნიერო ანგარიშები. ჩაატარა აკადემიის წევრთა არჩევნები. აკადემიკოსებად არჩეული არიან აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ა. კორახაშვილი, პ. ნას-

ყიდაშვილი და თ. ურუშაძე. განყოფილების აკადემიკოს-მდივნად არჩეულ იქნა აკად. ო. ნათიშვილი, სწავლულ მდივნად – ტექნ. მეცნ. კანდ. გ. ჯაფარიძე.

მოსმენილ იქნა განყოფილების წევრთა პირადი ანგარიშები. ჩატარდა აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის ნაშრომის „საქართველოს ხორბალი და სელექციური მუშაობა მასზე“ განხილვა, ასევე განხილულ იქნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში დამუშავებული „საქართველოს მეცნიერების ძირითადი მიმართულებები (2013-2017 წწ.)“, „მეცნიერების განვითარების სტრატეგია საქართველოში 2013-2017 წლებში“ და განყოფილებასთან შექმნილი „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ მუშაობის შედეგები, რომელიც შემდგომ მოსმენილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გაფართოებულ აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში 2014 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა აკადემიის 18 წევრი, მათ შორის 12 აკადემიკოსი და 6 წევრ-კორესპონდენტი.

2013 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 18 წიგნი, 2 სახელმძღვანელო და 68 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ლევან ალექსიძე

წიგნი

„საერთაშორისო სამართალი და საქართველო. ანტიკური ხანიდან დღემდე“ (აკად. ლ. ალექსიძის ნაშ-

რომთა კრებული, ტ. I, ისტორია, კონცეფცია, პოლემიკა; თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 850 გვ.).

სახელმძღვანელო

„თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“ (გადამუშავებული და განახლებული; გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 400 გვ.).

სტატია

„დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთგულება გაეროს წევრ სახელმწიფოთა, საქართველოს ჩათვლით, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისადმი?“ (ჟ. „ქართული პოლიტიკა“, №1, თბილისი, 14-33).

გამოსაცემად მომზადდა „საერთაშორისო სამართლის კურსი“ (800 გვ.).

გადაცემულია დასაბეჭდად „საერთაშორისო სამართლის ჟურნალის“ მორიგი ნომერი.

აკად. ლ. ალექსიძე არის სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე

სტატიები

1) „საქართველოს ადგილი აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შორის შუა საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა თვალთახედვით“ (ჟ. „ქართული პოლიტიკა“, №1, თბილისი, 34-40).

ნაჩვენებია, რომ ძველი ქართველი ისტორიკოსების თვალთახედვით, საქართველოს სამეფო დინასტია წარმოშობით შერეულია აღმოსავლურ, ირანის სამეფო დინასტიასთან. რაც შეეხება ქვეყნის სახელმწიფო წყობას, იგი აღმოსავლურია, ხოლო სოციალური სისტემა, კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია და სარწმუნოებრივი ღირებულებები – დასავლური.

2) „ვინ იყო აბუქაბ ზოლავარი? (საისტორიო კრებული, III, გამომცემლობა „მხედარი“, თბილისი, 11-21).

სინას მთის XI ს-ის 30-იანი წლების ქართული ხელნაწერის (O/Sin-78) ორ ანდერძ-მინაწერში მოხსენიებულია აბუქაბ ზოლავარი (სარდალი) შვილებით, რომელიც უნდა იყოს ბაგრატ კურაპალატის საწოლის მცველი და 1031 წლიდან ედესის დუკა, ანუ ჩრდილო სირიის გამგებელი.

3) „რელიგიური სიტუაცია კავკასიაში VI ს-ის ბოლო მეოთხედში. იოანე იერუსალიმელის ეპისტოლე“ (წელიწდეული, III, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 255-281).

მოცემულია 574-595 წლებს შორის დაწერილი იოანე იერუსალიმელის ეპისტოლე აბას ალბანთა კათალიკოსის მიმართ, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, ვრცელი კომენტარებით და გამოკვლევით. ნაჩვენებია დაძაბული პოლემიკა, რომელიც მიმდინარეობდა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში თეოლოგიის საკითხებზე.

აკად. ზ. ალექსიძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „N/Sin-7-ის სამასამდე გვერდის პალიმფსესტის იდენტიფიკაცია და გამოსაცემად მომზადება“ (სინას პალიმფსესტების პროექტის საერთაშორისო ვორკშოპი, ვენა, ავსტრია);

– „ქართველი სარდლები ბიზანტიის სამსახურში. XI ს.” (გელათის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, გელათი);

– „ვინ იყო აბუქაბ ზოლავარი?” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება, თბილისი);

– „ბიზანტიის იმპერიის კიდევ ერთი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო” (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სემინარი, თბილისი).

აკად. ზ. ალექსიძე ხელმძღვანელობს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამწლიან გრანტს – „ქართული დამწერლობა; პალეოგრაფიული ალბომი და მონაცემთა ბაზა“ (2012-2014).

აკადემიკოსი ბაჩანა ბრეგვაძე

წიგნები

1) პლატონი, „ადრეული დიალოგები“, ტ. I, 5 დიალოგი – ევთიფრონი, ლახესი, მცირე ჰიპია, პირველი ალკიბიადე, თეაგე (თარგმანი ძველი ბერძნულიდან, ვრცელი წინათქმები და შენიშვნები; „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 317 გვ.).

2) პლატონი, „ადრეული დიალოგები“, ტ. II, 5 დიალოგი – მეორე ალკიბიადე, მენექსენე, იონი, სოკრატეს აპოლოგია, კრიტონი (თარგმანი ძველი ბერძნულიდან, ვრცელი წინათქმები და შენიშვნები; „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 372 გვ.).

3) პლატონი, „სახელმწიფო“, ტ. III (თარგმანი ძველი ბერძნულიდან; „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 409 გვ.).

დასრულდა მუშაობა ტომზე, რომელიც ორ ავტორს მოიცავს: მარკუს ავრელიუსის „ფიქრებს“ და ფსევდო-ლონგინეს „ამაღლებულისთვის“, ვრცელი წინათქმებით და შენიშვნებით.

აკადემიკოსი გურამ თევზაძე

სტატიები

1) „კაპადოკიელთა რენესანსი X-XI სს. საქართველოში“ („ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“, ტ. I, მეოთხე თავი, „უნივერსალი“, თბილისი, 109-122).

2) „იოანე პეტრიწის ფილოსოფია“ („ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“, ტ. I, მერვე თავი, „უნივერსალი“, თბილისი, 209-289).

3) „XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის სააზროვნო ვითარება საქართველოში“ – არჩილ ჯორჯაძე, სტალინი (ი. ჯუღაშვილი), შალვა ნუცუბიძე, მიხაკო წერეთელი, გერონტი ქიქოძე, სერგი დანელია, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე („ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“, ტ. IV, პირველი თავი, „უნივერსალი“, თბილისი, 14-65).

აკად. გ. თევზაძე არის „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ ოთხტომეულის I ტომის მთავარი რედაქტორის მოადგილე, III და IV ტომების მთავარი რედაქტორი.

აკად. გ. თევზაძემ დაასრულა მუშაობა ნარკვევის – „პეტრე იბერი” მეორე გამოცემაზე. პირველ გამოცემას დაემატა ამ დიდი ქართველი მოაზროვნის შესახებ ახალი ლიტერატურისა და ახლად შემჩნეული ასპექტების ანალიზი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შეკვეთით მოამზადა და გადასცა დასაბეჭდად გერმანელი ფილოსოფოსის მ. ჰაიდეგერის ძირითადი შრომის – „ყოფიერება და დრო” – თარგმანის ახალი გამოცემა, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც XX ს. უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური ნაშრომის შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურა (ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე), ასევე ამ ნაშრომის თარგმანები სხვა ევროპულ ენებზე.

აკად. გ. თევზაძემ: აკად. წევრ-კორ. ნ. ჭავჭავაძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „30-წლიანი ბრძოლა ქართული ფილოსოფიის დასაცავად”; მონაწილეობა მიიღო გრ. რობაქიძის უნივერსიტეტში გამართულ გერმანელი ფილოსოფოსის ჰ. შნაიდერის მოხსენების გან-

ხილვაში, რომელიც ეხებოდა მ. გოგიბერიძის კონცეფციას ქართული სახლის ფილოსოფიის შესახებ, მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, ს. წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მუშაობაში, რომელზეც განიხილებოდა ცნობიერების ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემები და ინსტიტუტის ჩართულობა ამ პროცესში.

საანგარიშო წელს აკად. გ. თევზაძე ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემათა კომისიას და „იოანე პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოებას“.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

წიგნი

„საქართველოს დიდი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე“ (შემდგენელი აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილი; თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 251 გვ.).

მკითხველი გაეცნობა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოსის, მრავალი თაობის აღმზრდელის, ამაგდარი პედაგოგის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის მარიამ ლორთქიფანიძის ავტობიოგრაფიულ მონათხრობს, სადაც იგი იხსენებს მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, აცოცხლებს იმ პერიოდის ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრებას, რომელიც მის ოჯახზეც აისახა. აკად. მ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებული სიყვარულით ახასიათებს და იგონებს სკოლის მასწავლებლებსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგებს, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის კოლეგებს, მეგობრებსა და ცალკეულ პიროვნებებს. წიგნში თავმოყრილია მის მიერ გამოქვეყნებული წერილები, ინტერვიუები, რომლებიც შეეხება თანამედროვე

საქართველოს ისტორიის, ქვეყნის კულტურისა და ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

სახელმძღვანელო

„საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო მეცხრე კლასელთათვის“ (თანაავტორობით; „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 2012, 428 გვ.).

აკად. მ. ლორთქიფანიძეს მიენიჭა სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია ნაშრომისათვის „აფხაზები და აფხაზეთი“, მეორე შევსებული გამოცემა („მერიდიანი“, თბილისი, 2012, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

აკად. მ. ლორთქიფანიძე არის ჟურნალ „Georgika”-ს რედაქტორი საქართველოს მხრიდან და ჟურნალ „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი კითხულობს ლექციებს არჩევით კურსში („მთისა და ბარის ურთიერთობა”).

აკადემიკოსი როინ მეტრეველი

წიგნები

1) „წმინდა დავით აღმაშენებელი“ (Издательский дом CA&CC PressR, სტოკჰოლმი, 263 გვ., რუსულ ენაზე).

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. მასში პოპულარულადაა მოთხრობილი გამოჩენილი ქართველი მეფისა და საქართველოს გამაერთიანებლის, წმინდა დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

2) „რაჭა. შტრიხები წარსულიდან“ („არტანუჯი“, თბილისი, 176 გვ.).

გადმოცემულია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის – რაჭის წარსული, მის ბინადართა ეთ-

ნოგრაფიული ყოფა. აღწერილია ხუროთმოძღვრებისა და ჭედურობის ძეგლები. განხილულია ისტორიული ვითარება. შეფასებულია რაჭის საერისთავოს შექმნა-განვითარება და ქვეყანაში მისი მნიშვნელობა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ამ კუთხის დღევანდელ პრობლემებს.

2013 წლის 29 მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლამ (ფაკულტეტმა) მოაწყო წიგნის – „რაჭა. შტრიხები წარსულიდან“ – წარდგინება.

3) „ექვთიმე ღვთისკაცი. 150 წელი ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 24 გვ.).

სახელმძღვანელო

„საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო მეცხრე კლასელთათვის“ (თანაავტორობით; „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 2012, 428 გვ.).

სტატიები

1) „დიალოგი ძველ საქართველოში (XII საუკუნის პირველი მეოთხედი)“ (ჟ. „ქართული პოლიტიკა“, №1, თბილისი, 8-13).

2) „წინ კიდევ დიდი გზაა“ (კრებულში „ზურაბ პაპასქირი – 60“, სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010-2013, 21-22).

3) „რეცენზია ზურაბ ვალერიანის ძე პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომზე „შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე“ (კრებულში „ზურაბ პაპასქირი – 60“, სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010-2013, 79-84).

აკად. რ. მეტრეველი არის წელიწდეულის – „ქართული დიპლომატია“, ტ. 16 (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 479 გვ.) და ჟურნალ „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების

ისტორიის სერიის“ (გამოვიდა ორი ნომერი) მთავარი რედაქტორი; სამეცნიერო ჟურნალის – „ქართული პოლიტიკა“ – სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე.

აკად. რ. მეტრეველმა გააკეთა მოხსენება – „სიტყვა ექვთიმე თაყაიშვილზე“ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს საპატრიარქოს საიუბილეო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის (ექვთიმე ღვთისკაცის) დაბადების 150-ე წლისთავს.

აკად. რ. მეტრეველმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების სამეცნიერო სხდომის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე და დაბადების 80 წლისთავს.

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი

სტატიები

1) „ივერიის (ქართლის) და ალვანეთის (კავკასიის ალბანეთის) პოლიტიკური ურთიერთობებიდან (კამბისენე//კამბეჩანის ქვეყანა)“ (ჟ. „ანალები“, №9, „უნივერსალი“, თბილისი, 28-38, რუსულ ენაზე).

2) „გამოსვლა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე“ (ჟ. „ანალები“, №9, „უნივერსალი“, თბილისი, 7-11).

3) „დასკვნა ზურაბ პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომზე“ (კრებულში „ზურაბ პაპასქირი – 60“, სო-

ხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010-2013, 102-103).

აკად. დ. მუსხელიშვილმა მონაწილეობა მიიღო ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის მუშაობაში (თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია); ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება „ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს ისტორიული გეოგრაფია“ (თბილისი).

აკად. დ. მუსხელიშვილი, ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, დაჯილდოვდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

მონოგრაფიები

1) „ეკონომიკური რეფორმები პოსტკომუნისტურ საქართველოში: ოცი წლის შემდეგ” (მეორე გამოცემა; Nova Science Publishers, ნიუ-იორკი, აშშ, 152 გვ., ინგლისურ ენაზე).

განხილულია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში გატარებული რეფორმების არსი. ნაჩვენებია ის ძირითადი სირთულეები, რისი გადალახვაც მოუწია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. გაანალიზებულია ძირითადი მიღწევები და შეცდომები, დასახულია ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები.

2) „პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკის რეფორმირება 1991-2011 წლებში” (ელექტრონულად გამოქვეყნდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის გამოყენებითი

ეკონომიკის კვლევის ცენტრის მიერ, თბილისი, 144 გვ., ინგლისურ ენაზე; http://gfsis.org/media/download/library/articles/papava/Papava_Reforming_of_the_Post-Soviet_Georgia_Economy_in_1991-2011. pdf; http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2291142).

3) „ლაფერ-ქეინზიანური სინთეზის შესახებ" (თანაავტორობით; ელექტრონულად გამოქვეყნდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის გამოყენებითი ეკონომიკის კვლევის ცენტრის მიერ, თბილისი, 84 გვ., ინგლისურ ენაზე; http://gfsis.org/media/download/library/articles/papava/Ananiashvili_Papava_On_the_Laffer-Keynesian_Synthesis.pdf).

ბროშურები

1) „პოსტვარდისფერი" საქართველოს საშუალოვადიანი განვითარების მთავარი გამოწვევები" (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, სერია „ექსპერტის აზრი", №4, თბილისი, 16 გვ., ქართულ და ინგლისურ ენებზე).

2) „პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ" (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, სერია „ექსპერტის აზრი", №7, თბილისი, 16 გვ., ქართულ და ინგლისურ ენებზე).

3) „ჯავახეთი: გამოწვევები და პერსპექტივები" (თანაავტორობით; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 40 გვ., რუსულ ენაზე).

სტატიები

1) „პოსტრევოლუციური საქართველოს ეკონომიკური მიღწევები. მითები და სინამდვილე" (j. „Problems of Economic Transition", ტ. 56, №2, აშშ, 51-65, ინგლისურ ენაზე).

2) „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება: საშუალოვადიანი პერსპექტივა“ (ელექტრონულ გამოცემაში „International Alert” - „საერთაშორისო განგაში”, იანვარი, დიდი ბრიტანეთი, 8 გვ., ინგლისურ და რუსულ ენებზე, http://www.international-alert.org/content/socio-economic-development-english-vp და http://www.international-alert.org/content/socio-economic-development-russian_vp.

ამავე სტატიის ქართული ვერსია გამოიცა კრებულში „საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში: სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“ („საერთაშორისო განგაში”, თბილისი, 37-44).

3) „სწრაფი ზრდის ეფექტის პრობლემა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების სივრცობრივი შედარება (აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მაგალითზე)” (ж. „Экономика Украины, Економіка України“, №1, კიევი, რუსულ (59-66) და უკრაინულ (59-66) ენებზე).

4) „რუსული ანტივესტერნიზმის ევრაზიიზმი „ცენტრალური კავკაზიის” კონცეფცია” (ელექტრონულ ჟურნალში „Идеология и политика”, №1(3), http://ideopol.org/ru/node/29), კიევი, 68-98, რუსულ ენაზე).

5) „ქართველი ეკონომისტის ლიტვაში გამოქვეყნებული პლაგიატური სტატიის შესახებ” (თანაავტორობით; ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი”, №1, თბილისი, 171-191).

ამავე სტატიის ინგლისურენოვანი ელექტრონული ვერსია გამოქვეყნდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის გამოყენებითი ეკონომიკის კვლევის ცენტრის მიერ, http://gfsis.org/media/download/library/articles/papava/Ananiashvili_Papava_On_the_OptimalTax_Burden.pdf).

6) „პოსტვარდისფერი“ საქართველოს საშუალოვადიანი განვითარების მთავარი გამოწვევები” (ელექტრონულად გამოქვეყნდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის გამოყენებითი ეკონომიკის კვლევის ცენტრის მიერ, თბილისი, 16 გვ., ინგლისურ ენაზე, http://www.gfsis.org/media/download/library/articles/papava/Papava_The_Main_Challenges_of_Post-Rosy_Economic_Development.pdf).

7) „ლაფერის ფისკალური წერტილების შეფასების ქცევითი მოდელი” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №1, თბილისი, 142-149, ინგლისურ ენაზე).

8) „წონასწორული და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთები ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელში. ლაფერ-კეინზიანური სინთეზი“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 7, №2, თბილისი, ინგლისურ ენაზე, 166-178).

9) „თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები” (კრებულში – „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღე”, თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი).

10) „რუსეთთან ომის შემდგომ საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურების შესახებ” (ჟ. „ქართული პოლიტიკა“, №1, თბილისი, 65-70).

11) „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივის შესახებ” (თანაავტორობით; ჟ. „ეკონომისტი”, № 2, თბილისი, 6-16).

12) „საქართველოს ეკონომიკა: განვითარების მოდელის ძიებაში” (ж. „Мир перемен”, №3, მოსკოვი, 47-58, რუსულ ენაზე).

13) „პოსტვარდისფერი” საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანი” (კრებულში „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. პროფ. გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები”, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 53-56).

14) „გლობალური ფინანსური კრიზისის გაკვეთილები და საფრთხე, რომელიც მომდინარეობს zombie economicus-დან” (კრებულში „Материалы бакинского международного гуманитарного форума, ბაქო, 81-86, რუსულ ენაზე).

აკად. ვ. პაპავამ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო:

– თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მიერ ორგანიზებულ სემინარში „პოსტსაარჩევნო პოლიტიკური კულტურა” (გუდაური);

– რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარების შესახებ ევროკომისიის სტრუქტურებში გამართულ დისკუსიებში (ბრიუსელი, ბელგია);

– თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში თემაზე: „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღე” (თბილისი);

– თბილისის და მოსკოვის პოლიტიკური სწავლების სკოლების ექსპერტთა ერთობლივ სემინარში (თბილისი);

– პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში თემაზე: „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე” (თბილისი);

– ქართველი და რუსი ექსპერტების სამუშაო სემინარში (სტამბოლი, თურქეთი);

– საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე: „კონფლიქტები კავკასიაში. ისტორია, აწმყო და გადაწყვეტის პერსპექტივები" (ბაქო, თბილისი);

– „მაგნა კარტას" ხელმოწერის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციაში (ბოლონია, იტალია);

– „ბაქოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ ფორუმში", რომლის ფარგლებშიც ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკური განვითარების ჰუმანიტარული ასპექტები" (ბაქო, აზერბაიჯანი).

2013 წელს აკად. ვ. პაპავა აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრად.

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

სტატიები

1) „ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მაკროეკონომიკური მოდელი" (თანაავტორობით; ჟ. Central Asia and the Caucasus. CA&CC Press,Vol.16. Issue 4. Sweden, 118-144; ინგლისურ და რუსულ ენებზე).

2) „პოსტსაბჭოური ეკონომიკა: საქართველოს ეკონომიკის ასპექტები" (http://georgiamonitor.org/upload/medialibrary/dbd/dbd913e338d8e77bc832bebe67ae8e18. pdf).

3) „საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე ასპექტები" (ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი", 4, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 11-14, ინგლისურ ენაზე).

4) „საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი საგარეო ფაქტორი თანამედროვე პერიოდში" (Moldavian journal of Internacional law and Internacional relations, №4

(30), 143-149, ინგლისურ, რუსულ და მოლდოვურ ენებზე).

5) „პოსტსაბჭოური ეკონომიკის განვითარების ზოგადი ასპექტები" (კრებულში „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე". პროფ. გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები", პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 66-69).

აკად. ა. სილაგაძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო:

– პროფ. გ. პაპავას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში – „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე" (თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი).

– საერთაშორისო ეკონომიკურ სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე: „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები გუშინ, დღეს, ხვალ (სტუ, თბილისი).

– საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ვილნიუსის სამიტი: შედეგები და პერსპექტივები" წაიკითხა მოხსენება „მაკროეკონომიკური ინდიკატორები: საქართველოსა და ევროკავშირის შედარებითი მაჩვენებლები" (თსუ-ის საქართველოს კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი, თბილისი).

აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე

სტატიები

1) „მევენახეობის აღმნიშვნელი იეროგლიფურ-ლუვიური იეროგლიფის ინტერპრეტაციისათვის" (კავ-

კასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XV, „ლოგოსი“, თბილისი, 163-168, ინგლისურ ენაზე).

ძვ. წ. XVI ს-ში ლუვიელების მიერ შექმნილ იეროგლიფურ დამწერლობაში ღვინის, ვენახის აღმნიშვნელი სემანტიკური კოდის ახსნის მიზნით შესწავლილია ხეთური და გვიანხეთური წერილობითი ძეგლები. დადგენილია, რომ როგორც ხეთურ საზოგადოებაში, ასევე გვიანხეთურ სამეფო-სამთავროებში მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა.

2) „ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტისათვის“ (თანაავტორობით; ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი”, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 274-277).

ძვ. წ. VIII საუკუნის ურარტული ლურსმული წერილობითი ძეგლების მონაცემთა საფუძველზე წარმოჩენილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ადრესახელმწიფოებრივ წარმონაქმნში, დიაოხში (ქართული პროვინცია ტაოში) არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება. დადგენილია, რომ ქართველთა ამ უძველეს პოლიტიკურ ერთეულში ძვ. წ. VIII ს-ში სულ ცოტა 900000 ადამიანს უნდა ეცხოვრა, ხოლო ეკონომიკაში წამყვანი როლი მესაქონლეობას და მეტალურგიას ეკავა.

3) „ქართველების აღმნიშვნელი ძველი ბერძნული ტერმინები როგორც საისტორიო წყარო“ (თანაავტორობით; ივანე გვარამაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმის შრომები „ევროპული კვლევები”, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 189-200).

დადგენილია, რომ ძველბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში უმნიშვნელოვანესი მონაცემებია დაცული არა მხოლოდ ქართველთა ეთნოგენეზისის, ის-

ტორიული გეოგრაფიის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, არამედ ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების დასახლების ტიპების, რწმენა-წარმოდგენების, ყოფითი რეალიების, კვების რაციონისა და ანთროპოლოგიური ნიშნების წარმოსაჩენად. კვლევა, ძირითადად, კოლხეთსა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავს.

4) „ქვეყანა და გარედან მოსულის ფენომენი“ (თანაავტორობით; ჟ. „საისტორიო ვერტიკალები”, №27, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 35-41).

ხაზგასმულია, რომ „გარე” და „შიდა” სივრცეებად სამყაროს დაყოფის უნივერსალური თვალსაზრისი ეთნოსის გენეზისისთანავე ყალიბდება, რადგან ადამიანთა უბრალო ერთობიდან ეთნოსის წარმოქმნა, როგორც წესი, ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილ იზოლირებულ შიდა სამყაროში ხორციელდება. აღნიშნულია, რომ ამ ტერიტორიაზე განსახლებულთ უკვე აქვთ ეთნოგენეზისისათვის აუცილებელი ყველა წინა პირობა: ვერბალური კომუნიკაცია – საკუთარი ენა; თვითდასახელება – ეთნონიმი, რომელიც ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის განსხვავებულობის ნიშან-თვისებების მატარებელია; სულიერი და მატერიალური კულტურა; სოციალური სტრუქტურა. გარე სამყაროსთან ეთნოსის ურთიერთობა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მისი განვითარების ადრეულ ეტაპზევე აღინიშნება. ნაჩვენებია გარედან მოსულისადმი ქართველთა დამოკიდებულების სხვადასხვა ვარიანტები.

5) „ანტიკური ხანის საბერძნეთის დემოკრატიული პოლისები“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჟურნალი „მსოფლიო და გენდერი”, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 71-75).

შესწავლილია ანტიკური ხანის დემოკრატიულ პოლისებში ქალთა და მამაკაცთა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებების თანაფარდობა. დადგენილია, რომ ანტიკური ხანის საბერძნეთის პოლისებში, რომელთა მართვა-გამგეობა დემოკრატიულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული, გენდერული თანასწორობა ყოველმხრივ დარღვეული იყო. ნაჩვენებია, რომ წინაანტიკური ხანის საბერძნეთში დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება. ძველ ახლოაღმოსავლეთსა და ძველ ეგვიპტეშიც, ავტოკრატიული მმართველობის სისტემის პირობებშიც კი, ქალი გაცილებით თავისუფალი იყო, ვიდრე ანტიკური ხანის ბერძნულ პოლისებში.

6) „დიდი მეცნიერის ბავშვობა და ყრმობა“ (კრებულში „ექვთიმე თაყაიშვილი. 150“, „გლობალ-პრინტი”, თბილისი, 921-923).

ნაშრომი ეძღვნება ერისკაცისა და ღვთისკაცის, ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავს.

7) „ექვთიმე თაყაიშვილის ერთი პუბლიკაციის შესახებ“ (თანაავტორობით; საისტორიო სამეცნიერო ჟურნალი „სვეტიცხოველი”, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 127-131).

შემოთავაზებულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სიგელ-გუჯრის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, ახსნილია მისი სიმბოლიკა. ამ დოკუმენტის მონაცემთა კონტექსტში შეფასებულია მისი მნიშვნელობა XVII ს. წმინდა მიწაზე საუკუნეების მანძილზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების, სამლოცველოების სავალალო, საგანგაშო მდგომარეობა. ექვთიმე თაყაიშვილის ეს პუბლიკაცია მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ძველბედობის ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის შესასწავლად.

8) „სამშობლოს აღმნიშვნელი ქართული და უცხოური ტერმინები“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „მსოფლიო და კავკასია” – მასალები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 151-153).

დადგენილია, რომ სამშობლოს აღმნიშვნელი ტერმინები საბოლოო ჯამში მიწას უკავშირდება. გარკვეულია, რომ ყველაზე პოპულარული ტერმინები „მამული” და „ქვეყანაა”. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ სამშობლოს აღმნიშვნელი ქართული ტერმინი „ქვეყანა” სემანტიკურად შორეულ პარალელს სამხრეთ-აფრიკის რეგიონში გავრცელებულ Land-თან (სახნავ-სათესი მიწა) ავლენს, იმ განსხვავებით, რომ ქართულში ის მიწა იგულისხმება, რომელიც მაინცდამაინც ყანას ასაზრდოებს. მოძიებული მონაცემები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მატარებელი ეთნოსების ურთიერთმსგავს დამოკიდებულებას ისეთი ღირებულებისადმი, როგორიცაა სამშობლო (მშობლიური მიწა).

9) „მეგობრის გახსენება. ნოდარ ასათიანი – 1931-2013“ (Memoria, ჟ. „ანალები“, №9, „უნივერსალი“, თბილისი, 454-457).

წარმოჩენილია ამაგდარი ქართველი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ ასათიანის მეცნიერული მემკვიდრეობა.

10) „იური კაჭარავა – 100“ (Memoria, თანაავტორობით; ჟ. „საისტორიო ვერტიკალები“, 27, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 10-14).

ეძღვნება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს იური კაჭარავას დაბადების 100 წლისთავს.

განხილულია მეცნიერის მიერ შექმნილი მემკვიდრეობა, მისი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა.

აკად. ნ. ხაზარაძე:

– რედაქტორია წიგნისა „საქართველოს დიდი ქალ-ბატონი – მარიამ ლორთქიფანიძე" (თსუ-ის გამომცემ-ლობა, თბილისი);

– მონაწილეობდა ჟურნალების – „ანალები" და „საისტორიო ვერტიკალები" – სარედაქციო კოლეგიე-ბის მუშაობაში;

– იყო ენციკლოპედიის „საქართველო", ტ. II და წიგნის „საქართველო და ქართველები" კონსულტანტი;

– ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამას საქართველოს ისტორიასა და ქართული კულტურის ისტორიაში.

– ხელმძღვანელობდა საქართველოს საისტორიო სა-ზოგადოებას;

– მონაწილეობდა ი. ჭავჭავაძის სახელობის საქარ-თველოს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობისა და სა-ქართველოს მწიგნობართა კლუბის მუშაობაში. კლუბის წევრებისათვის წაიკითხა მოხსენება „ექვთიმე თაყაი-შვილი – ღირსეულად გავლილი ცხოვრების გზა";

– მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნი-ვერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადი-სერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო კოლეგიების მუშაობაში.

აკად. ნ. ხაზარაძემ 2013 წელს მონაწილეობა მი-იღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსე-ნებები:

– „ქვეყანა და გარედან მოსული ფენომენი" და „სამშობლოს აღმნიშვნელი ქართული და უცხოური ტერმინების ისტორიისათვის" (საერთაშორისო სამეც-ნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია", სტუ, თბილისი);

– „ლეხოურიდან მთაწმინდამდე“ (ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენცია „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე”, სტუ, თბილისი);

– „ანტიკური ხანის საბერძნეთის დემოკრატიული პოლისები და გენდერის პრობლემა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი”, სტუ, თბილისი);

– „ქვეყნის ცენტრალიზაცია, დეცენტრალიზაცია და ეკონომიკური ფაქტორები“ (პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ”, სტუ, თბილისი);

– „საქართველოს აღმნიშვნელი უცხოური ტერმინების გენეზისისათვის“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება”, სტუ, თბილისი);

– „ცის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის სემანტიკისათვის“ (ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „მითი, კულტი, რიტუალი”, თსუ, თბილისი).

აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი

წიგნი

„სახელმწიფო და ეკლესია. ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები“ („ფავორიტი-პრინტი“, თბილისი, 110 გვ.).

განხილულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის, აგრეთვე, საქართველოში მოქმედი რელიგიური გაერთიანებების სტატუსის სამართლებრივი ასპექტები. გაანალიზებულია კონსტიტუციური შეთანხმებისა და სხვა საკა-

ნონმდებლო აქტების იურიდიული ბუნება, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. დასახულია ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები.

სტატიები

1) „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის კონსტიტუციური საფუძვლები“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კრებულში „გული ბრძენი, გონიერი“, თბილისი, 4-15, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

2) „სახელმწიფოს მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში“ (ჟ. „ქართული პოლიტიკა“, №1, თბილისი, 49-56).

აკად. ჯ. ხეცურიანმა წაიკითხა მოხსენება – „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის კონსტიტუციური საფუძვლები“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (თბილისი).

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე

წიგნი

„საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები. სტატიები, წერილები, მოგონებები“ (თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 625 გვ.).

წიგნი წარმოადგენს აკად. ო. ჯაფარიძის ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომთა კრებულს.

სტატია

„კავკასიის წინა აზიასთან ადრეული კონტაქტების საკითხისათვის“ (საერთაშორისო არქეოლოგიური სიმპოზიუმის – „მაიკოპური კულტურის პრობლემები კავკასიურ-ანატოლიური ურთიერთობის კონტექსტში“ – მასალები, „მერანი“, თბილისი, 12-17).

წინა აზიასთან ურთიერთობა ძლიერდება ურუკის ხანაში, ძვ. წ. IV ათასწლეულში. ამ დროს იღვიძებს ინტერესი კავკასიის სპილენძით მდიდარი რეგიონებისადმი. ურუკის გავლენის ქვეშ ექცევა ჭოროხის აუზი, რიონ-ყვირილის ორმდინარეთი, შიდა და ქვემო ქართლი მიმდგომი მხარეებით. ურუკის გავლენა ჩრდილო კავკასიაშიც გადადის, სადაც მაიკოპის ბრწყინვალე კულტურას ეყრება საფუძველი.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე – „მაიკოპური კულტურის პრობლემები კავკასიურ-ანატოლიური ურთიერთობების კონტექსტში“ – აკად. ო. ჯაფარიძემ წაიკითხა მოხსენება „კავკასიის წინა აზიასთან ადრეული კონტაქტების საკითხისათვის“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი იმედაძე

წიგნი

„გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში” („Carpe diem”, თბილისი, 371 გვ.).

განხილულია ფსიქოლოგიის ოთხ ძირეულ კატეგორიასთან – ცნობიერება, არაცნობიერი, ქცევა და პიროვნება – დაკავშირებული საკითხების ფართო წრე. ნაშრომი შესრულებულია განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პოზიციიდან. მისი დანიშნულებაა განავითაროს ეს თეორიული სისტემა – დააზუსტოს ცნებები, მოხსნას ზოგიერთი შინაგანი წინააღმდეგობა, სრულყოს კონცეფციის აღწერითი და ახსნითი ნაწი-

ლის კონსტრუქციები თანამდეროვე ფსიქოლოგიის მონაცემების გათვალისწინებით.

სტატიები

1) „ფსიქოლოგია საქართველოში: მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები" (ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე", „მწიგნობარი", თბილისი, 12-19).

დახასიათებულია საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები. დაფიქსირებულია მთავარი სირთულეები, დასახულია წინსვლის პერსპექტივები.

2) „აღქმის პარადოქსი განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელის თვალსაზრისით" (ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე", თბილისი, 47-54).

გაანალიზებულია დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის „აღქმის პარადოქსის" სახელით ცნობილი პრობლემა/სირთულე. ნაჩვენებია, რომ განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელის ფარგლებში, განწყობის სიტუაციური ფაქტორისთვის საკუთარი განწყობის დაშვების აუცილებლობა საერთოდ არ წარმოიქმნება. ამდენად, "აღქმის პარადოქსი" ცრუ პრობლემად უნდა იყოს მიჩნეული.

3) უშუალობის პოსტულატი და მისი დაძლევის გზები (კრებულში „The Current Issues in Theoretical and Applied Psychology", ერევანი, 274-276, რუსულ ენაზე).

დასაბუთებულია ფსიქოლოგიური თეორიის აგების უზნაძის მიერ შემოტანილი მეთოდოლოგიური პრინციპის – „უშუალობის პოსტულატის" გააზრების სხვადასხვა ვარიანტების არსებობა. ნაჩვენებია, რომ გამაშუალებელ რგოლად გარემოსა და ფსიქიკურს შორის არ გამოდგება არც ნიშანი (ლ. ვიგოტსკი), არც ქმედება (ა. ლეონტიევი). არც განწყობას შეუძლია შეასრულოს ეს ფუნქცია, თუ კი იგი ცალსახად ფსიქიკურ ფენომენად იქნება მიჩნეული. საუკეთესო კანდიდატი ამ როლზე არის ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური „ბიო-

სფერული მდგომარეობა", რომელიც უზნაძის ბიოსფერულ კონცეფციაში არის დახასიათებული.

4) „უზნაძე: ნაცნობი და უცნობი" (ж. „Культурно-историческая психология", მოსკოვი, 2012, №3, 106-114, რუსულ ენაზე).

მოცემულია უზნაძის იდეების ანალიზი ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის სფეროში იმ შრომების საფუძველზე, რომლებიც ან სულ არ ყოფილა ნათარგმნი, ან ძნელად მისაწვდომია დღევანდელი რუსულენოვანი მკითხველისათვის.

აკად. წევრ-კორ. ი. იმედაძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „უშუალობის პოსტულატი და მისი დაძლევის გზები" (საერთაშორისო კონფერენცია „თეორიული და გამოყენებითი ფსიქოლოგიის თანამედროვე პრობლემები", ერევანი).

– „ფსიქოლოგია და განათლება საქართველოში – ზოგიერთი პრობლემა" (საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის მიერ ორგანიზებული კონფერენცია: „საქართველოში განათლების რეფორმირების მეცნიერული მართვის პრობლემები", თბილისი).

– „ფსიქოლოგია საქართველოში" (საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების მიერ ჩატარებული კონფერენცია „განწყობის თეორია – იმპლემენტაცია და განვითარების პერსპექტივა", თბილისი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
გურამ ლორთქიფანიძე

სტატიები

1) „დავით გვირგვინოსანი აკაკის აგადა" (თანაავტორობით; კრებულში „დავითის გვირგვინი. ქართვე-

ლი ებრაელების ლეგენდა“, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 7-29, ქართულ და ებრაულ ენებზე).

არქივში მოკვლეულია აკაკი წერეთლის ხელნაწერი ნაშრომი „დავითის გვირგვინი“. ებრაული აგადა – ხალხური გადმოცემა დავით წინასწარმეტყველის შესახებ. ნაჩვენებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაშრომს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის XIX ს-ის მეორე ნახევარში. აკაკი წერეთელი პირველია, ვინც დააფიქსირა ქართველ ებრაელთა ფოლკლორის ნიმუში.

2) „საქართველო (იბერია) და რომაული სამყარო I-II სს. ახ. წ.“ (კრებულში „ინტერდისციპლინარული არქეოლოგია“, II, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 68-72).

არქეოლოგიური მასალებისა და ბერძნულ-რომაული წყაროების საფუძველზე შესწავლილია საქართველოს, როგორც რომის იმპერიის სტრატეგიული მოკავშირის, მნიშვნელობა I-III სს. ქვეყნის „რომანიზაციის” პროცესი მიჩნეულია ქრისტიანობის გავრცელების წინაპირობად.

3) „ხუფათის” (ხოფი) ხეობის და არქაბის ლაზური სოფლები“ (კრებულში „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები”, ნაკვ. XXVII, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 53-60).

განხილულია ჭანეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. დადგენილია ხოფისა და არქაბის ხეობების სოფლების ძველი ჭანური (ლაზური) სახელწოდებები, რომლებიც დღეს თურქული სახელებით არის შეცვლილი. სოფელ კისში (დღევანდელი სუგერონ კოი), რომელიც პტოლემაიოსის (II ს.) რუკაზეა აღნიშნული, დაფიქსირებულია 17 მეტრის სიგრძისა და მეტრი სიგანის თაღიანი ხიდი (ლაზ. კისიხინჯი), რომელსაც დღესაც იყენებს მოსახლეობა. გამყოლის გადმოცემით მის ბავშვობაში კარგად ჩანდა ხიდის ბურჯის

თავზე ჩადგმული ქართულწარწერიანი ფილა, რომლის კვალი ვერ იქნა მიგნებული.

4) „ექვთიმე თაყაიშვილი – პროფესიონალი არქეოლოგი“ (კრებულში „ექვთიმე თაყაიშვილი. 150“, „გლობალ-პრინტი”, თბილისი, 895-898).

განხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის, არქეოლოგიის პირველი პროფესორის დამსახურება ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში.

5) „რომის მოქალაქე (Civitas Romana). ქართველები ახ. წ. II-IV სს.“ (თანაავტორობით; ჟ. „ქართული პოლიტიკა”, თბილისი, 90-95).

არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები მოწმობს, რომ რომის წინაშე განსაკუთრებული, უპირატესად მხედრული დამსახურებისთვის, იმპერატორები და სენატი, ქართველ დიდებულებს და, მათ შორის, ქვეყნის მეფეებს, უფლისწულებს „რომის მოქალაქეობის” ტიტულს ანიჭებდნენ. ეს წოდება „რომის სამართლის” შესაბამისად მთელ რიგ პრივილეგიებთან ერთად, გარკვეულ ვალდებულება-მოვალეობებს ითვალისწინებდა, მათ შორის, რომაული ტანსაცმლის (ტოგა) აუცილებელ ტარებასა და რომაული გვარის მიღებას.

6) „Portaltu“ – ბათუმის შემოგარენი ახ. წ. IV საუკუნის საგზაო სამხედრო რუკაზე“ (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული – „ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა”, ბათუმი, 20-30).

1950 წელს ავსტრიაში ერთ-ერთი სამინისტროს ბიბლიოთეკაში მიაკვლიეს პერგამენტის გრაგნილზე დატანილ რომის იმპერიის IV ს-ის ფერად რუკას, რომელიც XIII ს. გადაუწერიათ. მასზე დატანილია მსოფლიოს სტრატეგიული გზები, მათ შორის, საქართველოზე გამავალი კომუნიკაციები. განხილულია არ-

ქავი-ავსაროსის, ბათუმი-ფასისის მონაკვეთი, რომაული რიცხვებით. ამ რუკაზე დატანილი მანძილები, ტოპოგრაფიული ნიშნები იძლევა საგზაო სადგურების ლოკალიზაციას, არქეოლოგიური არტეფაქტების გააზრების საშუალებას.

დასრულდა მუშაობა სახელმძღვანელოს – „კულტუროლოგია ყმაწვილთათვის (ბერძნული ცივილიზაცია)" მეორე ნაწილზე.

აკად. წევრ-კორ. გ. ლორთქიფანიძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო:

– ბათუმის IV საერთაშორისო კონფერენციის – „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – მუშაობაში (ბათუმი);

– იუდაიკის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა-სემინარში მოხსენებით „ებრაული სიძველეები საქართველოში" (თბილისი, ბაკურიანი).

თსუ-ის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ხელმღვანელობდა ისრაელის ცენტრს, რომელიც მუშაობს ებრაულ დიასპორასთან დაკავშირებული საარქივო მასალის დამუშავებაზე.

აკად. წევრ-კორ. გ. ლორთქიფანიძეს მოპოვებული აქვს ამერიკის ებრაელთა საერთაშორისო სააგენტო „ჯოინთის" 2012-2013 წლების გრანტი.

იგი არის ვარშავაში გამომავალი საერთაშორისო ქართველოლოგიური ჟურნალის „Pro Georgia-ს" (Jornal of kartvelological studes-ის) და ჟურნალ „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის" სარედაქციო კოლეგიების წევრი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ლიანა მელიქიშვილი

წიგნი

1) „საქართველოს დიდი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე“ (შემდგენელი, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 251 გვ.).

მოცემულია აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ბიოგრაფია და მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

სტატიები

1) „კონფესიურობა და დეზინტეგრაციული ტენდენციები. საქართველო, პანკისის ხეობა“ (Материалы Лавровских (среднеазиатско-кавказских) чтений, Музей антропологии и этнографии имени Петра Великого (Кунсткамера), РАН, სანკტ-პეტერბურგი, რფ, 439-443, რუსულ ენაზე).

ჩეჩნეთის ომის შემდეგ, როდესაც ლტოლვილების დიდმა ნაკადმა თავი შეაფარა პანკისის ხეობას, კონფესიური სხვაობის გამო საზოგადოებაში კრიზისი დაიწყო. ვაჰაბიზმის შეჭრა ხეობაში საზოგადოებამ ერთმნიშვნელოვნად არ მიიღო. ქისტების ახალგაზრდა თაობამ ორიენტაცია „გმირი“ მოძმე ჩეჩნებისკენ მიმართა და უფროსი თაობის კონფესიურობა შეცდომად მიიჩნია. სინკრეტიზმი ვაჰაბიზმით შეიცვალა და საზოგადოება კრიზისში ჩავარდა. დაიწყო დეზინტეგრაციის პროცესი და საუკუნეობით ნაშენმა ტრადიციულმა კულტურამ, რომელიც უსაფრთხოებაზე იყო ორიენტირებული, რღვევა განიცადა.

2) „კონფლიქტი როგორც სოციალური მოვლენა“ (Материалы Лавровских (среднеазиатско-кавказских) чтений, Музей антропологии и этнографии имени Петра Великого (Кунсткамера) РАН, სანკტ-პეტერბურგი, რფ, 552-556, რუსულ ენაზე).

განხილულია კონფლიქტი, როგორც მრავალმხრივი სოციალური ფენომენი, რომლის მოქმედების არეალი, ვიწრო პიროვნებათაშორისი ურთიერთობის გარდა, ისეთი სოციალური დაჯგუფების თანმხლებია, როგორიცაა ოჯახი, გვარი, ნათესაობა, სოციუმი, სოფელი, ქალაქი, სახელმწიფო, კულტურები და ცივილიზაციებიც კი.

3) „ქართველოლოგის დღე. 25 წლისთავი“ (ჟ. „ანალები“, №9, „უნივერსალი“, თბილისი, 438-444).

განხილულია გაერთიანებულ სამეფოში – ლონდონში (ინგლისი) დაარსებული ყოველწლიური კონფერენციის „ქართველოლოგის დღის” დაარსებისა და 25 წლის შემოქმედებითი ისტორია.

4) „ეთნიკური საზღვარი და მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური კომპონენტი“ (ჟ. „ქართული პოლიტიკა“, №1, თბილისი, 96-101).

ეთნიკური საზღვარი აღიქმება არა როგორც ტერიტორიული საზღვარი, არამედ როგორც სუბიექტურად გაცნობიერებული და განცდადი დისტანცია, რომელიც განიხილება ერთაშორის ურთიერთობის კონტექსტში. ეთნიკური საზღვარი არის აზროვნების აქტი. ეთნიკური საზღვრები თავის თავში შეიცავს კულტურულ და სოციალურ დისტანციას. გამოხატული ეთნიკური საზღვარი აქვეითებს ტოლერანტობას და ზღუდავს ეთნოსთა შორის ურთიერთობას. ამ დროს ეთნიკური საზღვარი უკვე ეთნიკურ შეტაკებათა ადგილი გახდება და, შესაძლოა, საზოგადოებაში თავდაცვითიდან დეზინტეგრაციისა და გაუცხოების იარაღად იქცეს.

5) „ენა და ეთნიკური საზღვარი“ (Internationale tagung, Sprachlicht Konstruktion sozialer Grenzen, Europa-Universitet Viagrina, ფრანკფურტი ოდერზე, გფრ, 24, გერმანულ ენაზე).

ენამ, როგორც სოციალურმა მოვლენამ, მულტი-ეთნიკური სასაზღვრო საზოგადოება კონფლიქტური თანაცხოვრების, სოციალური და პოლიტიკური პრობ-ლემების დაძაბულობის კერად აქცია. ეთნოუმცირე-სობა ქართულის არცოდნის გამო ინფორმაციულ ვა-კუუმში იმყოფება და ამიტომ გაუცხოებულია. უფრო მეტიც, ეთნოუმცირესობის იდენტიფიკაცია ხდება მე-ზობელ სახელმწიფოებთან, რაც დაკავშირებულია ეთ-ნიკური საზღვრის და არა პოლიტიკური საზღვრის აღქმასთან. ეს კი ხელს უწყობს საკუთარი სამშობ-ლოს ეთნიკურ საზღვრებში აღქმას და პოლიტიკური საზღვრების აზროვნებაში შეცვლას, რაც ეთნიკური დაპირისპირების საფუძველი ხდება.

6) „მეცნიერის თანადგომა. ექვთიმე თაყაიშვილი და შალვა ამირანაშვილი“ (ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი”, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბი-ლისი, 58-65).

მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილ ქართულ საგანძურზე ფიქრი შ. ამირანაშვილს არ აძლევდა მო-სვენებას. განძი ხომ სულ ახალგაზრდა შალვას მიერ იყო შეფუთული. იგი მეოთხედი საუკუნე ცდილობდა მხარში ამოდგომოდა საყვარელ მასწავლებელს – ექვ-თიმე თაყაიშვილს, რომელთანაც მიმოწერა ჰქონდა და პარალელურად შეუსვენებლად იღვწოდა განძის დაბ-რუნებისთვის. მეოთხედი საუკუნის შემდეგ ისევ შალ-ვას ხვდა წილად განძის აღწერა, შეფუთვა და ჩამო-ტანა.

7) „უსაფრთხოება და ეთნიკურობა“ (საერთაშორი-სო სამეცნიერო კონფერენციის – „მსოფლიო და კავკა-სია” – მასალები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 62-64).

ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ეთნიკური უმცირესობისა და ერთა შო-რის ურთიერთობის პრობლემასთან. ეროვნული უმცი-

რესობის საკითხი ყველა სახელმწიფოსთვის მეტ-ნაკლებად პრობლემურია, თუმცა, უსაფრთხოების კონცეფციებში ზოგჯერ ეთნიკური ასპექტი გათვალისწინებული არ არის. სოციალურ მეცნიერებებში დღეს აღიარებულია, რომ კონფლიქტების პრობლემა ყველაზე მწვავედ მრავალეროვან საზოგადოებაში იჩენს თავს და მსოფლიო ეთნოკონფლიქტების უმრავლესობაც სწორედ იქ ხდება. როცა ეს პრობლემა რეფორმებით სწორად არ წარიმართება, შესაძლებელია ქვეყნის უსაფრთხოებას დიდი ზიანი მიადგეს, რასაც საფუძვლად ყველაზე პრობლემური საკითხი – ეთნიკურობა დაედება.

აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილმა დაამთავრა რედაქტირება წიგნისა „ქართველები“ („Грузины“), რომელიც გაიგზავნა მოსკოვში გამოსაცემად.

მან 2013 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „უსაფრთხოება და ეთნიკურობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი);

– „ქალი კონფესიურ სამყაროში“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი);

– „მეცნიერის თანადგომა. ექვთიმე თაყაიშვილი და შალვა ამირანაშვილი“ (ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენცია „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი);

– „სოციალური საზღვრის ლინგვისტური კონსტრუქცია“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ვიადრანას ევროპული უნივერსიტეტი, ფრანკფურტი ოდერზე, გფრ).

აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილი არის:

– შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის „ეთნიკური უმცირესობა სამცხე-ჯავახეთში” კონსულტანტი-მონაწილე;

– ბელეფილდისა და ვიადრანას (გერმანია) უნივერსიტეტების პროექტის – „თანამედროვე ტრანსფორმაციული პროცესების გავლენა ენასა და ეთნიკურ იდენტობაზე“ – მონაწილე-ექსპერტი (ფოლკსვაგენის ფონდი) 2013-2015.

– „კავკასიური მიმომხილველი – კავკასიური კვლევების ასოციაციის ჟურნალის“ (სორბონის უნივერსიტეტი, პარიზი) საერთაშორისო საბჭოს წევრი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
კონსტანტინე ფიცხელაური

წიგნი

„სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში“ (კ. ფიცხელაურის ნაშრომთა კრებული; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 559 გვ).

წიგნი ეძღვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის მასალებს და საქართველოში, ევროპაში, რუსეთში და სომხეთში გამოქვეყნებულ ყველა ქრონოლოგიური სქემის ინგლისურ ვარიანტს. პირველად გამოიცა მის მიერ 1978 წელს შედგენილი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგური კულტურების ქრონოლოგიური სქემა (რუსული ტექსტით).

სტატია

„ივრის ზეგნის პალეოჰიდროლოგიური სისტემა“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, თბილისი, 53-57).

ხაზგასმულია პალეოეკოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციის მნიშვნელობა არქეოლოგიური კვლევაძიების დროს.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ჩარკვიანი

სტატია

„განწყობის განმსაზღვრელი ძირითადი ცვლადების თავისებურებათა მნიშვნელობა შრომითი ქცევის კანონზომიერებათა ახსნაში" (ჟ. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე", „მწიგნობარი", თბილისი, 206-213).

განწყობის ზოგადი თეორიის თანახმად, ადამიანის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობას მასში ფორმირებული შრომითი განწყობები განაპირობებს. ორგანიზაციულ და სამუშაო გარემოსთან კავშირს ადამიანი, როგორც მთლიანობითი ბუნების მქონე პიროვნება, ანუ შრომის სუბიექტი, ამყარებს. დიმიტრი უზნაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შრომის სუბიექტის არსი მისი ნებელობითი ქცევის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა დახასიათდეს. ნიშანდობლივია, რომ განწყობის თეორიაში გატარებულ ამგვარ მიდგომას შრომითი ქცევის კანონზომიერებათა შესწავლაში ჩართული თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს, რაც განსაკუთრებით ნათლად ადამიანის შრომითი მოტივაციის შესახებ არსებულ მნიშვნელოვან კონცეფციებში გამოვლინდა. ძირითადად ყურადღება შრომით და საორგანიზაციო გარემოსთან მომუშავის მრავალგანზომილებიანი ხასიათის მქონე ინტერაქციაზეა გამახვილებული. ამგვარი კონცეპტური მიდგომა ინდივიდის ან ჯგუფის შრომითი საქმიანობის დეტერმინაციაში სიტუაციური, პიროვნული მახასიათებლების და მათი ურთიერთქმედების, როგორც ცალკეული სამი ფაქტორის, სათანადო ხვედრითი წონის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. განხილულია ემპირიული კვლევების ის ძირითადი მონაცემები, რომელთა თანახმად, შრომით და საორგანიზაციო გარემოსთან ურთიერთობის დროს, მომუშავე მიზანდასახული ქცევის განმახორციელებელ აქ-

ტიურ პიროვნებად გვევლინება. ნაჩვენებია, რომ შრომითი ქცევის დეტერმინაციაში პიროვნული მახასიათებლების წვლილი, ძირითადად, შემეცნებითი და მოტივაციური პროცესებით შემოიფარგლება, ხოლო სიტუაციური ფაქტორების წვლილი, არსებითად, თვით შრომის სუბიექტზე ფსიქოფიზიოლოგიური და სოციალური ზემოქმედებით განისაზღვრება. აღნიშნულ ფაქტორთა ინტერაქციის მნიშვნელობას რაც შეეხება, ის უშუალოდ განაპირობებს თვით შრომითი განწყობების ჩამოყალიბებას.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა

სტატიები

1) „სოციალური უთანასწორობა და მისი გამოთანაბრების გზები“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, II, თბილისი, 5-20).

სოციალური უთანასწორობა ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის მდიდარი უმცირესობა ფლობს სიმდიდრისა და შემოსავლების უდიდეს ნაწილს, ხოლო ღარიბი უმრავლესობა, პირიქით, იძულებულია მათ შედარებით მცირე ნაწილს დასჯერდეს. დეცილური და კვინტილური კოეფიციენტების, აგრეთვე, ჯინის კოეფიციენტის მოშველიებით მოცემულია სოციალური უთანასწორობის მხრივ ქვეყნების კლასიფიკაცია და ამ კლასიფიკაციაში საქართველოს ადგილი. გაანალიზებულია სოციალური უთანასწორობის განმსაზღვრელი როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორები, ამ მოვლენის ნეგატიური შედეგები და შემოთავაზებულია სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის გამოთანაბრების გზები: მოქნილი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, ეკონომიკის ანტიმონოპოლიური რეგულირება, დანაშაულებრივი ბიზნესის აღკვეთა, შრომის ანაზღაურების ოპტიმალური დიფერენციაცია,

სისტემატური ზრუნვა სოციალურად დაუცველი პირების უზრუნველყოფაზე, ამ მიმართულებით პროფკავშირების როლის გაძლიერება და სხვ.

2) „დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი გაღრმავების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემა“ (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტომი 11, „სიახლე“, თბილისი, 7-45).

საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გაუარესება მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისიდან წარმოქმნილ არაორდინარულ გარემოებათა მეოხებით, თანდათან აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. მისი გამოვლენის ძირითადი მახასიათებლებია: ქორწინებათა რიცხოვნობის მკვეთრი შემცირება, შობადობის ინტენსიური კლება, მოკვდაობის მატება და, როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლეობის გამრავლების თითქმის ნულოვან ზღვრამდე დაცემა, დემოგრაფიული დაბერების გაღრმავება, დემოგრაფიული დატვირთვის ზრდა და ა.შ. გაშუქებულია დემოგრაფიული კრიზისის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, დემოგრაფიული ვითარების გამწვავების განმსაზღვრელი ფაქტორები, დემოგრაფიული კრიზისის შემდგომი გაღრმავების თავიდან აცილების ღონისძიებები, მათი ფინანსური უზრუნველყოფა; გაკეთებულია პრაქტიკული მნიშვნელობის შესაბამისი დასკვნები.

3) „დემოგრაფიული დატვირთვა და მისი ზრდის ნეგატიური ასპექტები“ (ჟ. „ქართული პოლიტიკა”, თბილისი, 79-89).

დემოგრაფიული დატვირთვა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენი ადამიანი (ძირითადად ბავშვები და მოხუცები) იმყოფება თითოეული შრომისუნარიანი პიროვნების (დოვლათის რეალურად შემქმნელი თითოეული მუშაკის) კმაყოფაზე. ამ მაჩვენებლის ზრდა ნე-

გატიური, ხოლო შესაძლო მინიმუმამდე დაყვანა პროგ-
რესული მოვლენაა. მოცემულია ამ მხრივ საქართველ-
ოში არსებული ვითარების მეცნიერული ანალიზი.
ახსნილია თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს მა-
სობრივი და ქრონიკული უმუშევრობა დემოგრაფიულ
დატვირთვაზე. ამასთან დაკავშირებით, სამუშაო ძალის
დასაქმებისა და უმუშევრობის მხრივ რეალურად არსე-
ბული ვითარების სრულად აღქმის მიზნით, შემოთავა-
ზებულია მეთოდური და მეთოდოლოგიური ხასიათის
წინადადებები, რომელთა გათვალისწინებას შეუძლია
დადებითი წვლილი შეიტანოს დემოგრაფიული დატ-
ვირთვის სრულყოფის მაჩვენებელთა გაანგარიშებაში.

4) „უმუშევრობა საქართველოში“ (ჟ. „ბიზნეს-ინ-
ჟინერინგი”, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნი-
ვერსიტეტი“, თბილისი, 26-34).

ასაკობრივ, სქესობრივ, რეგიონულ, ტერიტორიულ
(ქალაქი-სოფელი) ჭრილში გაანალიზებულია უმუშევ-
რობის მხრივ საქართველოში არსებული ვითარება და
მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. ავტორის მტკიცე-
ბით, უმუშევრობის დონე საქართველოში გაცილებით
მაღალია, ვიდრე ამის შესახებ ინფორმაციას იძლევა
ოფიციალური სტატისტიკა. მოცემული მსჯელობით, ეს
გარემოება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:
ა) არასრულყოფილი მეთოდიკით სარგებლობის გამო
ბევრ ისეთ მოქალაქეს აქვს მინიჭებული დასაქმე-
ბულის სტატუსი, რომელიც სინამდვილეში უმუშევა-
რია; ბ) უმუშევრებში არ არიან ჩართული პირები,
რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ სამუ-
შაოს, მაგრამ ვერ დასაქმდნენ, ამიტომ ხელი ჩაიქნიეს
და უკვე აქტიურად აღარ ეძებენ სამუშაოს; გ) დასაქ-
მებულებში არ აღირიცხებიან, აგრეთვე, ფარული უმუ-
შევრები, სეზონურ დარგებში მცირე ხნით დასაქმე-
ბულები და გარე შრომითი მიგრანტები.

აკად. წევრ-კორ. ლ. ჩიქავამ 2013 წელს წაიკითხა სამეცნიერო მოხსენებები:

– „დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი შემდგომი გაღრმავების თავიდან აცილების გზები" (საქართველოს ეკონომიკური, ბიზნესისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიების გაერთნებული სამეცნიერო კონფერენცია, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი);

– „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები" (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, თბილისი);

– „დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში" (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი);

– „უმუშევრობა საქართველოში და მისი გავლენა დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე" (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებაზე, თბილისი).

აკად. წევრ-კორ. ლ. ჩიქავა მონაწილეობდა სტუ-ის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიერ შესრულებული მონოგრაფიის – „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება" – მომზადებაში.

იგი სტუ-ის თანადაფინანსებით ხელმძღვანელობას უწევს გრანტის თემის – „სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და ადგილობრივი წარმოების სურსათით საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პრობლემები" – დამუშავებას.

ჩატარდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ***ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის***

კომისიისა და ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო სემინარები: „ბიოეთიკის ქრისტიანული ასპექტები“, „ეკლესია და კულტურა“, „ეკლესია და სოფლის მეურნეობა“, „ქრისტიანული შემწყნარებლობა და ადამიანთა უფლებები“, „ეკლესია და მასმედია“.

ამავე ცენტრთან ერთად გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი.

მოეწყო ნიკოლას ვიტსენის წიგნის – „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი. საქართველო ანუ იბერია და სამეგრელო“ – წარდგინება.

ინგლისურად ითარგმნა, რედაქტირება გაუკეთდა და აშშ-ში გამოსაცემად გაიგზავნა კრებული „ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში“, რომელიც 2010 წელს დაიბეჭდა თბილისში რუსულ ენაზე.

საანგარიშო წელს ორჯერ დაიბეჭდა „საქართველოს ისტორიის“ ერთტომეული (გამომცემლობა „გუმბათი“).

გამოქვეყნდა ჟურნალი „ანალები“, №9.

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემათა კომისიის გაერთიანებული სხდომა მიეძღვნა ცნობილი გერმანულენოვანი ქართველი მწერლისა და ფილოსოფოსის გივი მარგველაშვილის დაბადების 85 წლისთავს. სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს ამ შესანიშნავი ადამიანის გაცნობისა და მოსმენის შესაძლებლობა მიეცათ. გ. მარგველაშვილმა მიიღო გერმანიის პრეზიდენტის მილოცვა. მას გადაეცა ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო – საპატიო ჯვრის ორდენი. აღსანიშნავია, რომ გ. მარგველაშვილი საქართველოში დაბრუნდა საცხოვრებლად.

კომისია გაეცნო თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლის, მეცნ. დოქტ. გ. ფერაძის ლონდონში მივლინების დროს ჩატარებულ სამუშაოს. კომისიამ მიიღო ინფორმაცია, რომ აკად. გ. თევზაძის ყოფილმა ასპირანტმა, ფილოსოფიის დოქტორმა ნ. კობახიძემ გაიმარჯვა კონკურსში ჩინეთის ჰონგკონგის ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე და წარმატებით განაგრძობს იქ მუშაობას.

კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია. დასრულდა საერთაშორისი სამეცნიერო კონფერენციის „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“ მოხსენებათა კრებულის რედაქტირება და ელექტრონული ვერსიის შექმნა.

მოეწყო არქეოლოგიისა და კავკასიოლოგიის საკითხებზე სატელევიზიო გადაცემები; დაიბეჭდა საგაზეთო პუბლიკაციები.

გამოქვეყნდა პროფ. გ. ღამბაშიძის სტატია „საქართველოს სამოციქულო ეკლესია და ქრისტიანული კულტურის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების 35-ე და დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში).

2013 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში ჩატარდა 20 სხდომა; აქედან 6 – ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან ერთად. განყოფილების საერთო კრებამ: შეარჩია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატები; ჩაატარა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, ბიუროს წევრთა და სწავლული მდივნის არჩევნები; განყოფილების აკადემიკოს-მდივნად არჩეულ იქნა აკად. რ. მეტრეველი, სწავლულ მდივნად – ლ. ფუტკარაძე. განიხილა

განყოფილების წევრების, სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა 2012 წლის საქმიანობის ანგარიშები და 2013 წლისათვის დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებათა პროექტები, 2013-2017 წლების განყოფილების ძირითადი მიმართულებები; მიანიჭა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა (სიმონ ჯანაშიას და დიმიტრი უზნაძის) სახელობითი პრემიები. განყოფილების გაფართოებულ სხდომებზე მოსმენილ იქნა სამეცნიერო მოხსენებები: აკად. ზ. ალექსიძის – „ვინ იყო აბუქაბ ზოლავარი?“, აკად. წევრ-კორ. კ. ფიცხელაურის – „საქართველოს პალეოეკოლოგიური სისტემისა და საზოგადოების განვითარების შესახებ (კახეთის მაგალითზე)“, აკად. წევრ-კორ. ლ. ჩიქავას „უმუშევრობა და დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში“, პროფ. მ. მახარაძის – „თანამედროვე ქართული ფილოსოფია (პრობლემები და პერსპექტივები“), პროფ. გ. ოთხმეზურის – „ანგარიში ქვემო ქართლის (დმანისი, ლორე-ტაშირი) ეპიგრაფიკული ძეგლების შესასწავლად ჩატარებული ექსპედიციის შესახებ“.

ჩატარდა განყოფილების საიუბილეო სხდომები, მიძღვნილი აკად. წევრ-კორ. ნიკო ჭავჭავაძის დაბადების 90 და აკად. წევრ-კორ. აკაკი სურგულაძის დაბადების 100 წლისთავისადმი.

2013 წელს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები მიენიჭათ:

1) სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია – აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს ნაშრომისათვის „აფხაზები და აფხაზეთი“ (მეორე შევსებული გამოცემა) (გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

2) დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემია – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მარინა ბალიაშვილს ნაშრომისათვის „პიროვნების ფსიქოლოგიის

საფუძვლები“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012).

საანგარიშო წელს გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებულმა დარგობრივმა კომისიებმა. კომისიების წევრებმა გამოაქვეყნეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა 2012 წლის საქმიანობის ანგარიშების განხილვა-შეფასებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისათვის დასკვნების წარდგენაში.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში 2014 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 13 წევრი, მათ შორის 8 აკადემიკოსი და 5 წევრ-კორესპონდენტი.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების წევრების მიერ გამოქვეყნებულია 4 წიგნი და 30 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

აკად. თ. გამყრელიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „რუსთაველის კომიტეტის“ მუშაობას („ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენა; ქართული ენის „თესაურუსის“ შედგენა; ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე მუშაობა; რუსთველოლოგიური ბიბლიოგრაფიის შედგენა...).

სტატია

„საქართველო ევროპაა თუ აზია?“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, 5-8).

აკად. თ. გამყრელიძე მონაწილეობდა მოსკოვში ინდოევროპეისტიკის პრობლემატიკაზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში და წაიკითხა მოხსენება: „ინდოევროპელთა წინარესამშობლო და ინდოევროპელების განსახლება: გამოკვლევებისა და მსჯელობის ნახევარი საუკუნე“ (კრებულში „Вопросы Языкового Родства“, №9, მოსკოვი, რფ, 109-136, რუსულ ენაზე).

აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი

წიგნი

„არგონავტები“ (მესამე შესწორებული გამოცემა, „ლოგოსი“, თბილისი, 157 გვ.).

წიგნში დეტალურად არის გადმოცემული არგონავტების თქმულება, მოცემულია არგონავტიკის თითოეულ ეპიზოდთან დაკავშირებით ვრცელი გამოკვლევა და კომენტარები და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი. მესამე გამოცემაში შესულია შესწორებები და დამატებითი ინფორმაცია.

სტატიები

1) „ევროპული იდენტობის კონცეფცია ანტიკურობასა და თანამედროვეობაში“ („ფაზისი“, ტ. 15-16, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ევროპული იდენტობის შესახებ არსებული თანამედროვე თეორიები და გამოკვლეულია თუ რა მიმართებაში არიან ისინი ანტიკურ ეპოქაში, კერძოდ, კლასიკურ საბერძნეთში, ე.წ. ანტიკური იდენტობის პრინციპებთან. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ევროპული იდენტობის ის ნიშნები, რომლებიც XIX საუკუნეში გამოიკვეთა, ფაქტობრივად, გაცილებით უფრო სისტემატიზებული და მწყობრი სახით არის ჩამოყალიბებული კლასიკური ეპოქის საბერძნეთის მოდვაწეთა თვალსაზრისებში სახელმწიფოს მოწყობისა და ევროპული იდენტობის შესახებ.

2) „დიდი ნაშრომის დიდი თანმხლები“ („ფაზისი“, ტ. 15-16, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი, გერმანულ ენაზე).

სტატია წარმოადგენს გამოხმაურებას ცნობილი მეცნიერის, მიხაელ ფონ ალბრეხტის ახალ სამტომეულზე, რომელიც 2013 წელს გამოიცა: დიდი რომაელი ავტორები, ტექსტები და თემები. ეს სამტომეული, თავის მხრივ, წარმოადგენს ამავე ავტორის თანმხლებს ცნობილი რომაული ლიტერატურის ისტორიისა, რომელიც 90-იანი წლებიდან მოყოლებული უკვე სამჯერ გამოიცა გერმანულ ენაზე და ითარგმნა 7 ენაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. განხილულია სამტომეულში წარმოდგენილი თითოეული თავი და ნაჩვენებია, თუ როგორ ოსტატურად ახერხებს ცნობილი მეცნიერი, აზიაროს მკითხველები დიდი რომაელი ავტორების შემოქმედების იმ ასპექტებს, რომლებიც ჩვეულებრივ ლიტერატურის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ყურადღების მიღმა რჩება.

3) „ევროპული იდენტობის გაგებისათვის კლასიკურ ათენსა და თანამედროვე სამყაროში“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, II, 21-25).

განხილულია ევროპული დემოკრატიის მამის, პერიკლესის სიტყვა, რომელშიც იგი წარმოგვიდგენს ათენური დემოკრატიის ძირითად ნიშნებს, კერძოდ, როგორი უნდა იყოს პიროვნება, საზოგადოება და სახელმწიფო დემოკრატიის პირობებში. გამოთქმულია აზრი, რომ პერიკლესის თვალსაზრისი სრულიად ეხმიანება ევროპული იდენტობის შესახებ არსებულ თანამედროვე კონცეფციებს, რომელთა თანახმადაც ევროპა დღეს არის იდეა, რომლის ქვაკუთხედსაც წარმოადგენს დემოკრატია.

4) „ძველი ბერძნები და ჩვენ“ (ჟ. „ჩემი სამყარო“, №1, თბილისი, 69-77).

კომპაქტურადაა განხილული ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ძირითადი მომენტები ანტიკურ ეპოქაში: ეგეოსური ცივილიზაციებიდან მოყოლებული ელინისტური პერიოდით დამთავრებული.

5) „ძველი რომი და ჩვენ“ (ჟ. „ჩემი სამყარო“, №2, თბილისი, 70-77).

განხილულია ქართულ-რომაული ურთიერთობების ძირითადი მომენტები რომაული ბატონობის ეპოქიდან დაწყებული ანტიკური კულტურის დაქვეითებით დამთავრებული.

6) „ენციკლოპედისტიდან წმინდანამდე. ექვთიმე თაყაიშვილი“ (ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 924-926).

სტატია ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილს, როგორც კლასიკურ სიძველეთა და ქართველოლოგიის დიდ მოამაგეს, რომელმაც წმინდანად შერაცხვის უფლება მოიპოვა.

აკად. რ. გორდეზიანი არის საქსონიის (გფრ) მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, ვინკელმანის საზოგადოების წევრი (გფრ).

აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია

სტატიები

1) „ლექსიკური სემანტიკა და თანამედროვე პარადიგმები“ (არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIV, თბილისი, 24-26).

ლექსიკური სემანტიკის, როგორც სემანტიკური დისციპლინის მიმართება ლექსიკოლოგიასთან აქტუალურია დისციპლინარული დიფერენციაციის თვალსაზრისით. ლექსიკური სემანტიკის სფეროში დამუშავებული თეორიები ერთიანდებიან განსხვავებულ მეცნიერულ პარადიგმებში, რომელთაგან შეიძლება გამოვ-

ყოთ იზოლაციონისტური, ანთროპოცენტრული და სოციოკულტურული პარადიგმები.

2) „რიზომის ცნების შესახებ“ (საერთაშორისო კონფერენციის – „ზოგადი და ადიღური ფილოლოგიის პრობლემები“ – მასალები, მაიკოპი, რფ, 314-316, რუსულ ენაზე).

განხილულია რიზომის ცნებისა და ტერმინის შექმნის პირობები და სამეცნიერო მიმოქცევაში მისი შემოტანის აუცილებლობის დასაბუთება. რიზომა, როგორც სტრუქტურის საპირისპირო და, ამასთანავე, საპირწონე ცნება, გამოყენებულია სემიოტიკასა და პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში. იგი საწინააღმდეგოა ტრადიციული მხატვრული სტრუქტურის, რომელიც იდეალური წარმონაქმნია. სტრუქტურისაგან განსხვავებით, რიზომა განისაზღვრება როგორც „მთლიანობის“ ორგანიზაციის არასტრუქტურული და არახაზოვანი საშუალება, რომელიც იძლევა კრეატიული პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობას.

3) „მეცნიერული გაბედულება და უდრეკი პრინციპულობა (VI ტომის რედაქტორისაგან)“ (არნოლდ ჩიქობავა, შრომები VI, თბილისი, 349-358).

წერილი ეხება არნ. ჩიქობავას ერთ-ერთი თეორიული სახელმძღვანელოს – „ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკული ნაწილი“ – მნიშვნელობასა და მისი შექმნისა და გამოცემის სიძნელეებს 1935 წელს, როცა საბჭოთა ენათმეცნიერებაში გაბატონებული პოზიცია ეკავათ „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევრებს და როცა აღნიშნული მოძღვრება ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებად ითვლებოდა. მისმა მარქსისტულ მოძღვრებად გამოცხადებამ გარდაუვალი გახადა შეუქცევადი კანონიზაცია აშკარად მცდარი და მეცნიერების ჩიხში შემყვანი დებულებებისა. არნ. ჩიქობავა მაშინაც, როცა მას პოლიტიკურ ბრალდებებს უყენებდნენ და პოლიტიკურ შანტაჟს უწყობდნენ, რაც

ძალიან სახიფათო იყო, უკომპრომისოდ იცავდა ჭეშ-მარიტებას და მეცნიერებისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითს იძლეოდა.

4) „პირველი ქართული ზოგადლინგვისტიკური მოძღვრება“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად კრებულში „არნოლდ ჩიქობავა, შრომები“, VIII, თბილისი).

განხილულია აკად. არნ. ჩიქობავას, როგორც ენათმეცნიერების თეორეტიკოსის, ღვაწლი თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების სფეროში. აღწერილია მისი ზოგადი კონცეფცია ენისა და ენის შემსწავლელი მეცნიერების შესახებ. დასაბუთებულია აღნიშნული მოძღვრების მთლიანობა, არაწინააღმდეგობრიობა და სისრულე.

5) „მუდამ ქვეყნისა და მეცნიერების სამსახურში“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 85, 9 მაისი, 2013).

წარმოდგენილია აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის, როგორც გამოჩენილი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, დამსახურება მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. განხილულია მისი ფუძემდებლური ნაშრომები როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკის მიმართულებით, ისე პედაგოგიკასა და მეთოდიკაში.

6) „ირინე მელიქიშვილი“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №234, 5 დეკემბერი, 2013).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის ირინე მელიქიშვილის სამეცნიერო ნაშრომებს იცნობენ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ისინი გამოქვეყნებულია ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე, ფართოდ ერუდირებულმა მკვლევარმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლინგვისტური ტიპოლოგიის თეორიისა და ინდოევროპული ენათმეცნიერების განვითარებაში.

აკად. გ. კვარაცხელიამ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში და გამოვიდა მოხსენებებით:

– „ლექსიკური სემანტიკა და თანამედროვე პარადიგმები“ (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, XXIV, თბილისი);

– „გიორგი ჯიბლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამართული საიუბილეო სხდომა, მიძღვნილი აკად. გიორგი ჯიბლაძის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბილისი);

– „რიზომის ცნების შესახებ“ (საერთაშორისო კონფერენცია „ზოგადი და ადიღური ფილოლოგიის პრობლემები“, მაიკოპი, რფ);

დასრულებულია „ქართული ლექსიკის იდეოგრაფიული შესწავლის“ მორიგი ეტაპი – ადამიანის ცნებასთან დაკავშირებული სიტყვების დაჯგუფება. სამუშაო ხორციელდება არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში (განყოფილების ხელმძღვანელი აკად. გ. კვარაცხელია).

აკად. გ. კვარაცხელიას მიერ შესრულდა არნ. ჩიქობავას თხზულებათა მრავალტომეულის VIII ტომის (490 გვ.) რედაქცია, დაიწერა კომენტარები და რედაქტორის ბოლოსიტყვაობა (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

აკად. გ. კვარაცხელიამ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე წაიკითხა ლექციათა სამაგისტრო კურსი – „სემიოტიკა“.

აკადემიკოსმა მერაბ მერაბიშვილმა 2013 წელს შექმნა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის ძეგლი.

აკადემიკოსი მზექალა შანიძე

სტატია

„სინური ხელნაწერები“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, №1, 113-131).

განხილულია დაკარგულად მიჩნეული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერის ძიება და მისი კვლევა გერმანიაში, სადაც იგი სირიულად ითვლებოდა.

იბეჭდება:

– ბიბლია (ძველი და ახალი აღთქმა). საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. ტექსტი მომზადებულია აკად. მ. შანიძის მიერ.

აკად. მ. შანიძე 2013 წელს მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში და წაიკითხა მოხსენება:

– „ბიბლიის ქართული თარგმანი და მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა“ (საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი).

აკად. მ. შანიძე არის შოთა რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტის – „ლუკას სახარების კრიტიკული ტექსტის დადგენა“ – თანაშემსრულებელი. იგი, აგრეთვე, მონაწილეობს ფოლკსვაგენის საერთაშორისო გრანტით დაფინანსებულ პროექტში – „ქართული ენის ეროვნული კორპუსის“ მოსამზადებელ ეტაპში.

2013 წელს აკად. მ. შანიძეს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე

სტატიები

1) „რუსთველის ადგილისათვის შუასაუკუნეების ევროპულ-ქრისტიანული აზროვნების პროცესში“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად საერთაშორისო კრებულში „ქართული აზროვნება და მისი კულტურული კონტექსტი“, გამომცემლობა Brill, აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისურ ენაზე).

რეზიუმირებულია ახლებური თვალსაზრისი რუსთაველის მსოფლმხედველობაზე იმ ასპექტით, რომ გამოკვეთილ იქნეს რუსთველის ადგილი ევროპული ქრისტიანული აზროვნების პროცესში. კვლევა-ძიება დაფუძნებულია „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი მხატვრული სახეების, ფილოსოფიურ-თეოლოგიური, ეთიკური, სქოლასტიკური და იურიდიული ცნებების, სიუჟეტის სტრუქტურისა და მსოფლმხედველობითი დატვირთვის ცენტრალური ეპიზოდების ანალიზზე. გათვალისწინებული და კრიტიკულადაა მიმოხილული ფილოლოგიური და ფილოსოფიური მეცნიერებების უმთავრესი მიდწევები რუსთველოლოგიის დარგში.

2) „ათონის ლიტერატურული სკოლა და ახალი მხატვრული სტილი ქართულ აგიოგრაფიაში“ (კრებულში „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო სერია – „გზამკვლევი“, №4).

შეჯამებულია X-XI საუკუნეების ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურული აზრის განვითარების პროცესში; ათონელთა წვლილი ქართული ინტელექტუალური ცხოვრების ამაღლებაში და ქართული კულტურის გატანაში იმდროინდელ ევროპაში. გაანალიზებულია ის სიახლე, რაც ათონელთა მოღვაწეობამ შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ საღვთისმეტყველო და ლიტერატუ-

რულ პროცესში. საგანგებო კვლევის საგნადაა ქცეული აგიოგრაფიული სტილის ცვლილება, რომელიც ათონელთა შექმნილ ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებებში ჩანს.

3) „ვეფხისტყაოსანი“ – შექსპირის ლიტერატურული წყარო“ (ჟ. „ქართველოლოგი“, №19, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ქვეყნდება პირველი პუბლიკაცია ქართველოლოგიური მეცნიერებისა და ინგლისური ლიტერატურის ისტორიისათვის სრულიად ახალი და ძალზე მნიშვნელოვანი სიახლისა. „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურ წყაროდაა გამოყენებული უილიამ შექსპირის მიერ. კერძოდ, შექსპირი პიესა „ციმბელინში“, რომელიც შექმნილია XVII საუკუნის დასაწყისში, სიუჟეტურ წყაროდ იყენებს რუსთველის პოემას, კერძოდ, ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალს. იგივე სიუჟეტი რომ გამოყენებული იყო შექსპირის თეატრში, კერძოდ შექსპირის უმცროსი თანამედროვეების, ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ, აკად. ე. ხინთიბიძემ გამოავლინა და საერთაშორისო დონეზე გაავრცელა ამ ხუთიოდე წლის წინათ.

4) აკად. ე. ხინთიბიძის ინტერვიუ „შექსპირის „ვეფხისტყაოსანი“ (ჟ. „თბილისი OUT“, №35, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ინტერვიუში საუბარია შექსპირის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გამოყენებაზე. კერძოდ, ინგლისელი დრამატურგის პიესა „ციმბელინი“ ამჟღავნებს თემატურად, იდეურად და კომპოზიციურად მსგავსებას ნესტანისა და ტარიელის რომანტიკულ თავგადასავალთან. აშკარაა ცალკეული სიუჟეტური დეტალების დამთხვევა და მსგავსება მხატვრული პერსონაჟის სახის შექმნაში.

აკად. ე. ხინთიბიძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო სესიის მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება:

– „სიყვარულის რენესანსული კონცეფცია შუასაუკუნეობრივ მოდელზე“ (აკად. შალვა ნუცუბიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სესია, თბილისი).

მან წაიკითხა სამეცნიერო მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში: „ვეფხისტყაოსანი“ – შექსპირის ლიტერატურული წყარო“. წაიკითხა, აგრეთვე, საჯარო ლექციები:

– „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული საზოგადოება“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა).

– „ვეფხისტყაოსანი“ – უილიამ შექსპირის „ციმბელინის“ წყარო“ (თსუ-ის სტუდენტთა ქართველოლოგიური კლუბი).

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე

მონოგრაფია

„თურქული ლიტერატურის სათავეებთან“, III, აშიკ ფაშა (თბილისი, 499 გვ.).

მონოგრაფია ეძღვნება თურქული ლიტერატურის ადრეულ პერიოდს და წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელშიც გამოწვლილვით არის შესწავლილი იმ პერიოდის სახელგანთქმული სუფი შეიხისა და ჩინებული პოეტის აშიკ ფაშას შემოქმედების ძირეული პრობლემები – დაწყებული ენობრივი თავისებურებებითა და დამთავრებული სემანტიკური დონით. ნაშრომში ყველაზე დიდი ყურადღება დათმობილი აქვს პოეტის დიდტანიან მერნევის – „ყარიბ ნამეს“, სუფიზმის ენციკლოპედიად მიჩნეული ქმნილების, არქიტექტონიკის ანალიზს, რომელიც აღმოსავლური პოეტიკისათვის უცნობი პრინციპით არის აგებული და სიახლეს წარმოადგენს. ასევე გაშუქებულია პოეტის ფილოსოფიური თვალთახედვანი, სუფიზმის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების კარდინალურ საკითხებს რომ მიესადაგება.

სტატიები

1) „სამშობლო ჩემო, უფლის ალაგო – ეს მერამდენედ გიხვევ ჭრილობას“ (ფიქრები ლაშა ნადარეიშვილის პოეზიაზე) (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2013 წ. №№53,54).

2) „კაცის კაცი ანუ პლასტელინის ფარშავანგი“ (გ. მარგველაშვილის მცირე ტრაქტატის გამო) (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2013 წ. №№38,39).

3) „შხამიანი ბუზები ალპობენ სურნელოვან ზეთს“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2013, №№1,2).

4) „ილია მართლის შეგონებანი მცირე კომენტარებით“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ კრებულში).

ოცდათორმეტი წერილი გამოქვეყნებულია სხვადასხვა გაზეთებში („ასავალ დასავალი“, „ახალი თაობა“, „ქრონიკა“, „საერთო გაზეთი“...)

მიმდინარე წელს აკად. ე. ჯაველიძეს მიღებული აქვს პრემია „საგურამო“ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილის გამო.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ავთანდილ არაბული

წიგნი

„ენა ჩვენი არსობისა“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 398 გვ.).

წიგნში გაერთიანებულია სტატიების ორი ციკლი: ერთი შეეხება სამწერლობო ენის განვითარების საკითხებს, მოკიდებული ძველი ქართულიდან ვიდრე თანამედროვე მწერლობამდე, ხოლო წერილების მეორე ნაწილში დასმულია საკითხები სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და განვითარების აქტუალურ თემებზე.

სტატიები

1) „ერთი ტიპის ქცევის ფორმათა გრამატიკული ომონიმიის ასახვისათვის ქეგლში“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი) (თანაავტორობით; იკე (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება), XLI, თბილისი, 9-24).

საკითხი შეეხება თავისებურ ზმნათა ერთ რიგს, რომელთა ფორმები ისტორიული ტრანსფორმაციის შედეგად იძენს არსებით განსხვავებულ გრამატიკულ მნიშვნელობებს (მაგალითად, „გადაიფრენს“ ფორმა შეიძლება იყოს ტიპური სათავისო ქცევა: „თავზე ბუზს არ გადაიფრენს“ და შეიძლება იყოს ვნებითის მნიშვნელობით: „ხანდახან ფრინველი გადაიფრენს“).

2) „როგორ „კეთდება“ ლექსიკონი?“ (კრ. „მეცნიერება და კულტურა“, I, თბილისი, 132-139).

სამეცნიერო-პოპულარული სტატია ეძღვნება ლექსიკონის შედგენის „ხელოვნებას“.

3) „ვინფრიდ ბოედერის ღვაწლისათვის ქართველთა ენობრივი სამყაროს კვლევაში“ (ჟ. „კადმოსი“, თბილისი, 240-248).

წერილი ეძღვნება ცნობილი ქართველოლოგის, ვინფრიდ ბოედერის სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვან შედეგებს.

4) „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა (ლექსიკოგრაფიული ამოცანები)“ (თანაავტორობით; კონფერენციის – „ქართული ენა – XXI საუკუნის გამოწვევები“ – მასალები, ქუთაისი, 7-13).

ჩამოყალიბებულია გარკვეული ხედვა იმ ძირითადი „გამოწვევების“ შესახებ, რასაც უახლესი ეპოქა სთავაზობს დიდი ისტორიის მქონე ქართულ სახელმწიფო ენას.

აკად. წევრ-კორ. ა. არაბული 2013 წელს მონაწილეობდა კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის ახალი რედაქციის პრინციპები“ (Материалы международной конференции – „Актуальные проблемы общей и адыгской филологии“, მაიკოპი, რფ, 86-87, რუსულ ენაზე);

– „ქართული სალიტერატურო ენის პრობლემები იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობაში“ (იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი);

– „შე- ზმნისწინის ფუნქციური გააქტიურებისა და ბრალ- ფუძის ახალი სემანტიკისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXIV, თბილისი);

– „სოფელ ჯუთის ტოპონიმია“ (რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში, ახალციხე);

– „ადრეული ქრისტიანობის ზოგი ენობრივი გამოვლენისათვის ხევსურულში“ (XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გორი);

– „დაღესტნური წარმომავლობის ერთი გვარის შესახებ“ (თანაავტორობით; კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი, თბილისი);

– „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი (აგების პრინციპებისათვის)“ (თანაავტორობით; კონფერენცია – „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღე“, თბილისი);

– „სპეციალური ტერმინოლოგიის ადგილისათვის განმარტებით ლექსიკონში“ (კონფერენცია – „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალინდელი დღე“, თბილისი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
აპოლონ სილაგაძე

მონოგრაფია

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსი და მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 130 გვ.).

განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის ფორმალური მხარე ქართული პოეზიის (ლიტერატურის) ისტორიის, კერძოდ, XII-XVIII სს. პერიოდის კონტექსტში. გარდა იმისა, რომ ახლებურადაა გაანალიზებული და კვალიფიცირებული „ვეფხისტყაოსნის“ საკუთრივი ვერსიფიკაცია, პირველადაა დადგენილი კანონზომიერი განვითარების დინამიკა და მასში „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი და როლი. აღდგენილია საერთო სურათის ზოგიერთი მოვლენა, რომელიც არ დევს ლიტერატურის ისტორიის ზედაპირზე. გამოვლენილია გარკვეული ლიტერატურული ნორმები, პოეტური ნაწარმოების ფორმალური კომპოზიციის ტიპები და სხვ.

სტატიები

1) „მუჰამმადის სიტყვები ყურანში“ (ჟ. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, II, 77-102, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ყურანის ტექსტი თავისი შედგენილობის მიხედვით პირველად არის დიფერენცირებული ალაჰის სიტყვად და მუჰამმადის ჩანართებად. ეს უკანასკნელნი ტექსტის ძალიან მცირე ნაწილს ქმნიან და წარმოადგენენ მყარი და გამეორებადი ხასიათის მოკლე ფრაზებს. მათი პოზიციაა აიების აბსოლუტური ბოლო. წარმოდგენილია ის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც ტექსტის შესაბამისი პასაჟები შეიძლება მუჰამმადის სიტყვებად იქნეს მიჩნეულნი.

2) „კოდის გადართვა არაბულში: ბილინგვიზმი და დიგლოსია“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეც-

ნიერო კონფერენციის – „ენა და კულტურა“ – მასალები, II, 173-180).

განხილულია ე.წ. Code switching-ის (CS) მოვლენა. ანალიზი, ძირითადად, განხორციელებულია CS-ის ორი სახეობის მიხედვით: ბილინგვური და დიგლოსიური (ეს უკანასკნელი ნაშრომის ავტორთა ტერმინია, რომელიც შეესაბამება იმ სახეობას, რომელსაც ჩვეულებრივ სიტუაციურს უწოდებენ). ბილინგვური CS არაბულში დღეს, ძირითადად, გულისხმობს არაბულსა და ინგლისურს შორის მიმართებას (რეალურია ასევე არაბულ-ბერბერული, არაბულ-ფრანგული და სხვ.; ისტორიულად ასევე – არაბულ-თურქული და სხვ.). დიგლოსიური CS ერთი ენის შიგნით მიმდინარე მოვლენაა, კერძოდ, სალიტერატურო არაბულსა და არაბულის რომელსამე დიალექტს შორის. CS-ის კიდევ ერთი ვარიანტია ე.წ. პროპორციული CS, როდესაც კოდის გადართვა ხდება გრადაციის გარეშე, ჰორიზონტულად – ერთი დიალექტიდან მეორეზე. ნაშრომში ყველა ეს მოვლენა განხილულია კონკრეტულ მასალაზე და მოტანილია შესაბამისი ილუსტრაციები. ანალიზის შედეგად გამოყოფილია აღმავალი და დაღმავალი CS.

აკად. წევრ-კორ. ა. სილაგაძემ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში და წაიკითხა მოხსენება:

– „კოდის გადართვა არაბულში: ბილინგვიზმი და დიგლოსია“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, II, ქუთაისი).

მისი რედაქტორობით გამოიცა თსუ-ის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის – „აღმოსავლეთმცოდნეობა“ – მორიგი, მეორე ნომერი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა შენგელია

სტატიები

1) „ოდნაობის გამოხატვისათვის მეგრულში“ („ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. 12, თბილისი, 267-273).

2) „ფლორასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში“ (იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 149-152).

3) „რამდენიმე მეგრული ტოპონიმის შესახებ“ (ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 278-283).

აკად. წევრ-კორ. ვ. შენგელიამ 2013 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციებისა და სესიების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ფრანგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე“ (სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, XXIV, თბილისი);

– „არნოლდ ჩიქობავა ნიკო მარის საენათმეცნიერო მემკვიდრეობის შესახებ“ (საერთაშორისო კონფერენცია „ენა და კულტურა“, ქუთაისი);

– „ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკის შესახებ მეგრულში“ (იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი);

– „გერიშ გემახვენჯი (მიმღეობა – იდიომის ერთერთი კომპონენტი მეგრულში)“ (XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, გორი);

– „ოდნაობითი ხარისხის გამოხატვისათვის სხვადასხვა სისტემის ენებში“ (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 72-ე სამეცნიერო სესია, თბილისი);

– „ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ზოგიერთი ჯგუფის ზმნისსართთა ტიპოლოგიური ანალიზი“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენ-

ცია „ზოგადი და ადიღური ფილოლოგიის აქტუალური პრობლემები“, მაიკოპი, რფ);

– „გენეტიკური და ტიპოლოგიური შეხვედრები ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ნაცვალსახელებში“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენცია „ზოგადი და ადიღური ფილოლოგიის აქტუალური პრობლემები“, მაიკოპი, რფ).

აკად. წევრ-კორ. ვ. შენგელიამ მოიპოვა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი პროექტისათვის „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“.

იგი იყო არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ 41-ე ტომისა და სამეცნიერო სესიის – „არნოლდ ჩიქობავას საკითხავების“ – მასალების რედაქტორი.

განყოფილებასთან არსებული ***აფხაზური ენისა და კულტურის დარგობრივი კომისია***. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი პროგრამის – „აფხაზური ენციკლოპედია“ განსახორციელებლად, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზური ეთნოკულტურული სივრცის აღწერას. პროგრამაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა აფხაზურმა მხარემ. ძირითადი შემსრულებელია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული აფხაზური ენისა და კულტურის კომისია და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ინსტიტუტი. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა მეცნ. დოქტ. ზ. შენგელია, პასუხისმგებელ მდივნად ნ. ბერძნიშვილი. დაისახა ჯგუფის მუშაობის გრაფიკი და წესი.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების წევრები აკად. თ. გამყრელიძე და აკად. წევრ-კორ. ა. არაბული (თანათავმჯდომარეები), აკად. გ. კვარაცხელია, აკად. მ. შანიძე, აკად. წევრ-კორ. ვ. შენგელია ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან შექმნილი „ქართული სახელმწიფო ენის“ კანონპროექტის კომისიის მუშაობას.

განყოფილებაში განხილულ და შესწავლილ იქნა: ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობის ანგარიშები. დასკვნები რეცენზიებთან ერთად გადაეცა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს.

განყოფილებამ აკად. გიორგი წერეთლის სახელობის პრემია მიანიჭა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფ. ნინო ეჯიბაძეს ნაშრომთა ციკლისათვის არაბული ენის ეგვიპტური დიალექტების შესახებ: „ზარის რიტუალი ეგვიპტეში“ (2012 წ.), „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკა, I, ფონეტიკა. მორფოლოგია, მორფოფონეტიკა“, (2010 წ.), „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკა, II, სინტაქსი“ (2012 წ.), „ეგვიპტის არაბული მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ასპექტი“ (2012 წ.).

აკად. არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. გიორგი გოგოლაშვილს ნაშრომთა ციკლისათვის: „ქარ-

თული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა, 2009 წ.)“, „ქართული ზმნა“ (ფორმაწარმოების საკითხები, 2010 წ.)“, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა, 2011 წ., თანაავტორობით)“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებად არჩეულ იქნენ აკად. წევრ-კორესპონდენტები – მზექალა შანიძე, გუჩა კვარაცხელია, ელიზბარ ჯაველიძე, ელგუჯა ხინთიბიძე და რისმაგ გორდეზიანი.

განყოფილების აკადემიკოს-მდივნის თანამდებობაზე ახალი ვადით არჩეულ იქნა აკად. გ. კვარაცხელია, სწავლულ მდივნად – ფილოლ. მეცნ. კანდ. ლ. დუმბაძე.

ბიუროს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ აკად. გ. კვარაცხელია (თავმჯდომარე), აკად. რ. გორდეზიანი, აკად. მ. შანიძე, აკად. ე. ხინთიბიძე, აკად. ე. ჯაველიძე.

ქართული ენის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკად. მ. შანიძე, ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარედ აკად. ე. ხინთიბიძე, აფხაზური ენისა და კულტურის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარედ აკად. გ. გ. კვარაცხელია.

საანგარიშო პერიოდში ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში ჩატარდა 9 საერთო კრება, მათ შორის 6 კრება საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან ერთად, სადაც მოსმენილ და განხილულ იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. „ვეფხისტყაოსანი“ – შექსპირის ლიტერატურული წყარო“ (მომხს. აკად. ე. ხინთიბიძე);

2. „ქართულენოვანი ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი“ (მომხს. პროფ. პ. მარგველაშვილი);

3. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსი – ქართული ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში“ (მომხს. აკად. წევრ-კორ. აპ. სილაგაძე).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული სტრუქტურული ერთეულები, კომისიები, რედაქციები

ქართული ენციკლოპედიის ირ.აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

1) მომზადდა და ტიპოგრაფიულად გამოიცა ენციკლოპედია „საქართველოს“ მე-2 ტომი;

2) მომზადდა ენციკლოპედია „საქართველოს“ მე-2 ტომის ელექტრონული ვერსია, რომელიც განთავსდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებ-გვერდზე;

3) ტიპოგრაფიულად გამოიცა „საქართველოს ისტორიისა და ძეგლთა აღწერილობის“ მე-3 წიგნი;

4) გამოსაცემად მომზადდა მე-2 წიგნი სერიიდან „საქართველოს ცნობილი მოღვაწეები“;

5) დასრულდა მუშაობა „ქართულ სამხედრო ენციკლოპედიაზე“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით) (პროექტის ხელმძღვანელი აკად. ე. მეძმარიაშვილი).

აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი („რუსთაველის კომიტეტი“) 2013 წელს სამეცნიერო მუშაობას განაგრძობდა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

ა) რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისა და „რუსთაველის კომიტეტის“ არქივის მოწესრიგება, „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო პროექტების ხელშეწყობა;

ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმების მომზადება და პუბლიკაცია;

გ) ქართული ენის თესაურუსის შედგენა.

I. გამოიცა:

1. „რუსთაველის კომიტეტის“ არქივის შესწავლისა და გამოცემის ჯგუფმა (გ. არაბული, ნ. ციხისთავი, მ. ქავთარია) 2013 წელს გამოსაცემად მოამზადა და დაბეჭდა: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები, წიგნი II (1979-2006 წწ.);

2. კომპანია მაგთიკომის მხარდაჭერით სტამბურად გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქცია (ტექსტი მოამზადა პ. მარგველაშვილმა, რედაქტორი ა. არაბული);

3. განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე საგამომცემლო პროექტის პირველი ნაწილი (საგამომცემლო პროექტის ავტორი პ. მარგველაშვილი, პროგრამული უზრუნველყოფა გ. შერვაშიძისა) თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების მოხმობით მომზადდა, საძიებო სისტემით აღიჭურვა, კომპაქტდისკის სახით გამოიცა და ინტერნეტში განთავსდა:

ა) „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში დადასტურებული უკლებლივ ყველა სტროფი (1960-1963 წლებში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების“ მიხედვით);

ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია თარგმანითურთ (1937 წელს აკაკი შანიძის მიერ აღდგენილი გამოცემის მიხედვით);

გ) „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის რედაქცია (1988 წლის გამოცემის მიხედვით);

დ) „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლოდ აღიარებული გამოცემის ტექსტი ნოდარ ნათაძის კომენტარებით;

ე) „ვეფხისტყაოსნის“ იოანე ავალიშვილის მიერ გადაწერილი უძველესი, XVI საუკუნის მიწურულის ნუსხა (2005 წლის ე.წ. დიპლომატიური გამოცემის მიხედვით);

ვ) „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქცია.

II. მომზადდა:

1. რუსთველოლოგიური ლიტერატურა (ანოტირებული ბიბლიოგრაფია), III ტომი (ორ წიგნად). კრებული საარქივო მასალებით შეავსო, გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო გ. არაბულმა (I ნაწილი დასაბეჭდად გადაეცა მეცნიერებათა აკადემიის სტამბას);

2. ბ. გიგინეიშვილი, „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ)“. გამოსაცემად მოამზადეს თ. გიგინეიშვილმა და ი. ალასანიამ;

3. ქართული ენის თესაურუსის ბაზისათვის დამუშავდა (კორექტურა, იკითხვისები და კომპიუტერში შეტანა) ძველი ქართული ენის შემდეგი ძეგლები: მრავალთავები (სინური, უდაბნოს, კლარჯული); აგიოგრაფიული ძეგლები (I, II, III), ნათარგმნი აგიოგრაფიული ძეგლები, შატბერდის კრებული, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, „ბალავარიანი“, „რუსუდანიანი“, ამონიოს ერმისის თხზულებანი, ეფრემ მცირის „უწყებაᲲ“, თეოდორე აბუკურას თხზულებანი, იოანე პეტრიწის შრომები (I-II ტომი), იოანე მოსხის „ლიმონარი“, პავლენი, ფსევდომაკარი, ქართლის ცხოვრება (ახალი გამოცემა), ასურელ მამათა ცხოვრება, იოანე ოქროპირის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი I-II ნაწილი, მათეს სახარება.

ქართული ენის თესაურუსის ავტომატური ლემატიზაციის პროგრამის შესაბამისად დამუშავდა და განთავსდა ინტერნეტში შემდეგი ტექსტები: „ბიბლია“, „მამათა ცხორებანი“, „ვეფხისტყაოსანი“ (society.nekeri.net/language/vt/).

III. წარდგენა და საზოგადოებრივი აქტივობა

„ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე საგამომცემლო პროექტის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკო-

ლის მასწავლებლებისა და დაინტერესებული პირებისათვის მოეწყო რამდენიმე წარდგენა (თბილისში, ქუთაისში, აბაშაში, სენაკში, ჩხოროწყუსა და მარტვილში). წარდგენებზე სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის საჩუქრად განაწილდა მაგთიკომის მხარდაჭერით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქციის 1200-ზე მეტი კომპლექტი და ელექტრონულ გამოცემათა კომპაქტდისკები.

IV. „რუსთაველის კომიტეტის“ მეცნიერ-თანამშრომელთა ავტორობითა და რედაქტორობით გამოქვეყნდა:

1. აკად. თ. გამყრელიძე (იხ. გვ. 264);
2. აკად. ბ. ბრეგვაძე (იხ. გვ. 225);
3. აკად. წევრ-კორ. ა. არაბული (იხ. გვ. 275);
4. „მწიგნობრობა ქართული“, ტ.ტ. 15,16 (შემდგენელ-რედაქტორი მ. ქავთარია);
5. მ. ქავთარია, „პოემის ნაწყვეტი ერეკლე მეფის პერიოდზე“ („მწიგნობარი“);
6. მ. ქავთარია, „ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ხელნაწერები“ (ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, რედ. რ. მეტრეველი);
7. გ. არაბული, ლიტერატურული წერილები და სხვა... (სტატიათა კრებული), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი;
8. პ. მარგველაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული ხელნაწერები“, მხატვრული ალბომი გამოკვლევებითურთ, მიძღვნილი აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი, გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით;
9. ე. სოსელია, „თავისებური ი-ხმოვანპრეფიქსიანი ზმნური ფორმები ქართულში“ (თანაავტორი მ. ქარქაშაძე), კრ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა;

10. ე. სოსელია, „ენათმეცნიერება და ტრანსდისციპლინარიზმი“ (კრებული „ნოოსფერო“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“).

11. რ. ასათიანი, „საინფორმაციო სტრუქტურა და ქართული პასიური კონსტრუქციების ტიპოლოგიური თავისებურებანი“ (ენის, ლოგიკისა და კომპიუტერიზაციის თბილისის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმი, გადამუშავებული რჩეული შრომები, ბერლინი, გერმანია, 17-35);

12. რ. ასათიანი, „პროტო-ქართველურისა და პროტო-ინდოევროპულის საერთო ტიპოლოგიური მახასიათებელი: აქტიური წყობა(?), თეორიული და გამოყენებითი ლინგვისტიკის ძირითადი ტენდენციები“ (ISTAL-ის გადამუშავებული რჩეული შრომები, პოლონეთი, 215 -232);

13. რ. ასათიანი, „აკუზატივის გაქრობა კავკასიის ენებში: არეალური თუ უნივერსალური ნიშანი?“ (კრ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თსუ-ის გამომცემლობა);

14. რ. ასათიანი, „ძიგა ვერტოვი, ადამიანი კინოაპარატით“ (გამომცემლობა „სა.გა“, თარგმნილი ტექსტის რედაქტორი);

15. რ. ასათიანი, „სერგეი ეიზენშტეინი, ინტელექტუალური მონტაჟი“ (გამომცემლობა „სა.გა“, თარგმნილი ტექსტის რედაქტორი);

16. რ. ასათიანი, „გერმანე გოგიტიძე. ქართული კინოს წარსულიდან“ (საარქივო მასალები, გამომცემლობა „სა.გა“, რედაქტორი);

17. მ. ივანიშვილი, „ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და სემანტიკური რეკონსტრუქციები: მცენარეთა სახელები ქართველურში“ („ნეკერი“, თბილისი);

18. მ. ივანიშვილი, „მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში“ („ნეკერი“, თბილისი);

19. მ. ჯიქია, „სამამულო ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი – ნუნუ ბეროზაშვილი“, „ქართულ-

არაბული დიპლომატიური ლექსიკონი“ (აპ. სილაგაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი);

20. მ. ჯიქია, „ფემინურ-მასკულინური კომპონენტების დისტრიბუცია თხზულ სახელებში (ქართველურ ენათა მაგალითზე)“ (ენათმეცნიერების საკითხები, ეძღვნება პროფ. ტოგო გუდავას დაბადების 90 წლისთავს, თსუ-ის გამომცემლობა.

21. მ. ჯიქია, „ანთროპონიმიული უნივერსალიები“ (კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 121-122, 192);

22. მ. ჯიქია, `აგენტურ-პროფესიული ნომინანტები გენდერული იდენტიფიკაციის თვალსაზრისით“ (ქალის ისტორიის მკვლევართა რუსეთის ასოციაციის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტომი II, ნალჩიკი-მოსკოვი, რფ, 101-102).

V. „რუსთაველის კომიტეტის“ მეცნიერ-თანამშრომლებმა სამეცნიერო სესიების მასალების სახით გამოაქვეყნეს:

1. რ. ასათიანი, „წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: „გახლეჩილი“ კითხვები მეგრულსა და ლაზურში“ (ენათმეცნიერების მე-19 საერთაშორისო კონგრესი, ჟენევა, შვეიცარია);

2. რ. ასათიანი, „შუა საუკენეების ქართული ძველსა და ახალ ქართულს შორის: სტრუქტურული ცვლილებები“ (შუა საუკუნეების კვლევების 48-ე საერთაშორისო კონგრესი, კალამაზუ, აშშ);

3. რ. ასათიანი, „ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ლაზურში“ (მე-10 საერთაშორისო სიმპოზიუმი „ენა, ლოგიკა, გამოთვლები“, გუდაური);

4. მ. ივანიშვილი, „მეგრული ყ, ღ თანხმოვნების დისტრიბუციული და ექსპერიმენტული ანალიზი“ (თეორიული და გამოყენებითი ლინგვისტიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ბაქარ გიგინეიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი, თსუ);

5. მ. ივანიშვილი, „მცენარეთა სახელები ქართველურში შუა საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით“ (შუა საუკუნეების კვლევათა 48-ე საერთაშორისო კონგრესი, კალამაზუ, აშშ);

6. ე. სოსელია, სასტენდო მოხსენება „არგუმენტის კოდირება გენიტივით“ (ლინგვისტთა საერთაშორისო მე-19 კონგრესი, ჟენევა, შვეიცარია);

7. მ. ჯიქია, „თურქული წარმომავლობის რამდენიმე საკუთარი სახელისათვის ქართულში“ (თსუ, თბილისი);

8. მ. ჯიქია, „თურქოლოგია საქართველოში“ (კავკასიის უნივერსიტეტთა ასოციაციის (KÜNİB) თურქოლოგიის განყოფილების გამგეთა სემინარი, ესქიშეჰირი, თურქეთი);

9. მ. ჯიქია, „თურქული ლექსიკა იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში“ (იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის VII სამეცნიერო სესია);

10. მ. ჯიქია, „ანთროპონიმული უნივერსალიები“ (კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი, მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში);

11. მ. ჯიქია, „წინადადება თურქულ ანთროპონიმიაში“ (თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის VI რესპუბლიკური ონომატოლოგიური სესია);

12. მ. ჯიქია, „წინადადებები საკუთარ სახელად“ (ილიას უნივერსიტეტის აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია);

VI. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

1. თ. გამყრელიძე, რ. ასათიანი, მ. ივანიშვილი, ე. სოსელია, მ. ჯიქია, ზ. ბარათაშვილი, შემსრულებლები საგრანტო პროექტში „ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (საერთო-ქართველური სემანტიკური ლექსიკონით)“ 2013-2015;

2. რ. ასათიანი, „ქართული სამეტყველო ენის კორპუსი“ (ძირითადი შემსრულებელი გერმანიის სამეცნიერო ფონდი, ბილეფელდის უნივერსიტეტი, 2012-2013);

3. რ. ასათიანი, „მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების გავლენა ენასა და ეთნიკურ იდენტობაზე: ურუმები და პონტოელი ბერძნები საქართველოში“ (ძირითადი შემსრულებელი, გერმანიის სამეცნიერო ფონდი, ბილეფელდის უნივერსიტეტი, 2013-2015).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მუშაობის ძირითადი მიმართულებები ორიენტირებული იყო რეგიონში სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესრულებული მეცნიერული კვლევების განხილვა-შეფასების, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში სახელმწიფო ორგანოებთან კონსულტირება-თანამშრომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელების, აგრობიზნესის განვითარების ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მართვის სისტემის ჩამოყალიბების პროგრამულ (მიზნობრივ) მიდგომებზე.

საანგარიშო პერიოდში შეფასებულ იქნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურებისა და ცალკეული დეპარტამენტების მიერ გაწეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები.

მნიშვნელოვანი იყო რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მუშაობა აჭარის სოფლის მეურნეობის სა-

მინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – „სასოფლო სამეურნეო გაერთიანებების (კოოპერატივების) სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზაცია“ – შესრულებაში. ჩამოყალიბებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაეწიათ კონსულტაციები საწარმოო პროგრამების შემუშავებისა და დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრაში, გადამამუშავებელი საწარმოების შერჩევაში, დარგთა შორის გაადგილების, ტექნოლოგიური და ტექნიკური აღჭურვილობის შერჩევა-დანერგვაში. კოოპერატივების გამგეობებს მიეცათ რჩევები მარკეტინგული და მენეჯერული პრობლემების გადაჭრაში.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში რეგიონული სამეცნიერო ცენტრის უშუალო თაოსნობითა და მონაწილეობით ჩამოყალიბდა აგრარული ფაკულტეტი, სადაც სწავლება მიმდინარეობს 2013 წლის სექტემბრიდან სხვადასხვა სპეციალობაზე. რეგიონული ცენტრის ცალკეული დარგობრივი კომისიების წევრების მიერ მომზადდა სასწავლო პროგრამები და ჩატარდა პროფესორ-მასწავლებლების საკონკურსო შერჩევა. განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა, რომელიც ითვალისწინებს აჭარის მთიანი ზონის სასოფლო-სამეურნეო რესურსების ათვისება-გამოყენების რეალური პოტენციალის გამოვლენას და რეკომენდაციების შემუშავებას.

ბალტიის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების დარგობრივ სტრუქტურებთან, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა რეკომენდაციები (წინადადებები) ერთობლივი გადამამუშავებელი საწარმოების (მანდარინის ყვავილის ექსტრაქტი, ლიქიორი, უალკო-

ჰოლო სასმელები, ნახევარფაბრიკატები, საკონდიტრო ნაწარმისათვის ტრადიციული ქართული კვების პროდუქტები) შექმნის, სოფლის ტურიზმის, საგარეო ვაჭრობის, ხე-ტყის რესურსების ათვისების პროექტებზე.

ცენტრის შესაბამისმა დარგობრივმა კომისიებმა მონაწილეობა მიიღეს თათრეთის ბიზნესწრეებთან კომერციულ სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაში (საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანა და თათრეთიდან საჭირო პროდუქციის შემოტანა).

რეგიონული ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიაში აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში; ცენტრის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ შტაბების მიერ ჩამოყალიბებულ ჯგუფებში; ცენტრის დარგობრივი კომისიების წევრებმა მოამზადეს პუბლიკაციები, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა თემატიკის სატელევიზიო გადაცემებში, მოამზადეს მოხსენებები სხვადასხვა კონფერენციისთვის.

აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ ბათუმის კლუბი და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართველებისა და აფხაზების შერიგების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

ქ. ბათუმის ხელოვნების ცენტრში გაიმართა მეცნიერებათა დოქტორის, ნ. დუმბაძის წიგნის „ფერიდე“-ს წარდგენა, მიძღვნილი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის, ფერიდე აცამბას საქმიანობისადმი, რომელსაც იგი ახორციელებს ქართველთა და აფხაზთა შერიგების აღსადგენად. ღონისძიებას ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს, სამინისტროების წარმომადგენლები, აფხაზი მოსახლეობის ფართო წრეები;

აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით აჭარაში ჩატარებულ ღონისძიებებში.

ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრები და დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები ეწეოდნენ შემოქმედებით საქმიანობას. საბჭოს წევრებმა გამოაქვეყნეს 50 სტატია, 14 წიგნი და მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, მონაწილეობდნენ საგრანტო და მიზნობრივი პროექტების განხორციელებაში, სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელი – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იურისტთა მსოფლიო ასოციაციის მიერ დაჯილდოვდა სამართლიანობის უმაღლესი ჯილდოთი.

კომისიამ გამოსაცემად მოამზადა „რელიგიის ისტორიის“ II და III ტომები.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია განაგრძობდა მუშაობას „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამოსაცემად მომზადებაზე. გაგრძელდა მუშაობა პროექტზე: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ინგლისურად მომზადება და გამოცემა. კომისიამ მოამზადა „ქართლის ცხოვრების“ ინგლისურად გამოცემის ინდექსები – პირის, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების და გადასცა დასაბეჭდად.

გაგრძელდა მუშაობა ოქსფორდისა და ბირმინგემის უნივერსიტეტების პროექტზე, რომელშიც საქართველოც მონაწილეობს. მომზადდა ნაშრომი: „მეფე

ლუარსაბ I“ (ავტ. მ. აბაშიძე, გამომცემლობა „ბრილი“; ლეიდენი და ბოსტონი).

კომისიამ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ მოაწყვეს: დმანისი-ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკული ექსპედიცია (კოორდინატორი მ. აბაშიძე, ხელმძღვანელი გ. ოთხმეზური).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და სინოდის გადაწყვეტილებით 2013 წელს აღდგა დმანისის (დმანისი-ლორე-ტაშირის) ეპარქია. ეპიგრაფიკული მასალა საუკეთესო პირველწყაროა აღნიშნული რეგიონის ქართული სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიისადმი ისტორიული კუთვნილების დასასაბუთებლად (განსაკუთრებით მწვავედ დგას თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეული ქართული ეკლესია-მონასტრების საკითხი).

წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოს (წყაროებისა და ლიტერატურის დამუშავება) და ადგილზე გაწეული დახმარების (ჯ. კოპალიანის) შედეგად შესაძლებელი გახდა დასახული მიზნის შემჭიდროვებულ ვადებში შესრულება. აღრიცხული, დაფიქსირებული და, შეძლებისდაგვარად, ადგილზე შესწავლილ იქნა დმანისის რაიონის 28 გეოგრაფიული პუნქტის 140-მდე ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი (დმანისი – 80, ლორე-ტაშირი – 60). მიკვლეულ იქნა 24 სრული და რამდენიმე ფრაგმენტული უცნობი წარწერა (დმანისი: XI ს. – 4, XV ს. – 1, XVII-XVIII სს. – 2; ლორე-ტაშირი: ქობაირი – XIII ს-ის 3 ეპიტაფია; ახტალა XV ს. – 1, 1831-1908 წწ-ის ეპიტაფიები – 12).

საანგარიშო წელს საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს შრომები და მონაწილეობდნენ სიმპოზიუმებში:

მ. აბაშიძე მუშაობდა ნაშრომზე „ჯ. კენანი და მ. ჯორჯაძე“, ჯ. კენანის დღიურის მიხედვით. მონაწი-

ლეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში: „Рукописи – первичный источник изучения национального наследия“ (აშხაბადი, თურქმენეთი), სადაც გააკეთა მოხსენება „უორდროპები საქართველოში და დიდ ბრიტანეთში“.

გ. ბერაძემ გამოაქვეყნა თანაავტორებთან ერთად „ახალი მხატვრული ტენდენციები და პორტრეტის პრობლემა XIX საუკუნის ირანულ მინიატიურულ ხელოვნებაში“ (საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, №4(49-B)); მონაწილეობდა საერთაშორისო ირანოლოგიურ კონფერენციაში (სარაევო, ბოსნია-ჰერცეგოვინა); მონაწილეობდა გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაში შემდეგი ორი სამეცნიერო მოხსენებით (თანაავტორებთან ერთად): 1) „იმამ ‘ალის სახელთან დაკავშირებული ერთი ჰადისის შესახებ (ეძღვნება პროფ. ანემარი შიმელის ხსოვნას)“, 2) „ყაჯართა პერიოდის ირანული ყალამქარები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში“.

ა. თვარაძემ მოამზადა ნაშრომები: 1) „ბიბლიის ისტორიული ატლასი და მისი კარტოგრაფიული მასალა“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1); 2) „კავკასია მონღოლთა პერიოდში (XIII-XIV სს.)“ (ჟ. „ქართველოლოგი“, №4); 3) „აღმოსავლური ცნობები – აღმოსავლეთის გეოგრაფიული სურათი ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“; 4) „ორიენს ქრისტიანუსი“, „ვენდ გრაფ ფონ კალნაინის „ქართული დღიური“ – გვიანი სტალინიზმის ეპოქის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო“ (ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი 15). იგი მოხსენებით – „კონსტანტინეპოლის დაპყრობა 1204 წელს და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ცნო-

ბა“ – გამოვიდა გერმანიის ორიენტალისტთა 32-ე კონ-ფერენციაზე (მიუნსტერის ვესტფალიის უნივერსიტეტი).

ო. ჟორდანია მუშაობდა ნაშრომზე: „კავკასიის არმიის ოფიცრები (1901-1914), ბიბლიოგრაფიული ლექ-სიკონი.

გ. საითიძემ მოამზადა ნაშრომი „გერმანელი მეცნიერი და მოგზაური გუსტავ რადე საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის 70-იანი წლები)“ (კრ. ქართული დიპლომატია (წელიწდეული); მონაწილეობა მიიღო თამარ მეფის გარდაცვალების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით „გენერალი გიორგი კვინიტაძე – საქართველოს მხედართმთავარი“ (დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, გორი); მოხსენება გააკეთა ტოკიოს (იაპონია) სამეცნიერო ფორუმზე: „გვიან შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიიდან“; მოხსენებით „პირადი საარქივო ფონდები საქართველოს სიძველეთ-საცავებში“ გამოვიდა კონფერენციაზე „Рукописи – первичный источник изучения национального наследия” (აშხაბადი, თურქმენეთი).

ე. ცაგარეიშვილი მუშაობდა ნაშრომზე: „ილ. აბაულაძის ძველ ქართულ-ძველ სომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“ და „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია ძველ სომხურ წყაროებში (ტაო-კლარჯეთი)“.

საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია მონაწილეობდა ხუდონჰესის მშენებლობის პროექტის განხილვაში და აკადემიურ საბჭოს წარუდგინა თავისი მოსაზრება, განიხილა ბოლნისის რაიონში დაცულ ტერიტორიებზე სამთო სამუშაოების (ოქროს ძიება) წარმოების საკითხი და დასკვნა გაუგზავნა სათანადო სამინისტროებს. აქტიურად მონაწილეობდა მესტიის მუზეუმში არსებული უნიკა-

ლური ექსპონატების დაცვისა და მათი სათანადო პირობებში შენახვა-მოვლის საკითხებში და თავისი მოსაზრება წერილობით გაუგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

კომისია აქტიური წევრი და ორგანიზატორია საპატრიარქოში შექმნილი საგვარეულო შეკრებებისა, რომელთაც შემდგომ ლოცავს პატრიარქი.

გამოსაცემად მომზადებულია შრომათა კრებული „თუშეთი“ და სტატია „აი, სად უჭირს საქართველოს“.

კომისია თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტთან, მისი თავმჯდომარე ბატონი ერეკლე ტრიპოლსკი გახდა საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის ოფიციალური წევრი.

კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება „საქართველოს მეძროხეობის მდგომარეობა, პრობლემები და მათი მოგვარება“ (მომხს. სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტ. ლევან თორთლაძე).

გაიმართა გ. ჭინჭარაულის წიგნის – „ხევსურული ადათ-სამართალი“ – წარდგენა.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელ კომისიასთან ერთად ჩატარდა ორი სემინარი:

ა) „აგრო-ტექნოპარკების შემოღების მეცნიერული დასაბუთება“ (მომხს. მეცნ. დოქტ. ნ. ბაღათურია);

ბ) „საქართველოს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებისა და უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (მომხს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა).

ბირთვული ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისიამ 2013 წლის განმავლობაში ჩაატარა 8 ღია და 3 დახურული სხდომა.

დახურულ სხდომებზე კომისიის წევრები შეხვდნენ ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის ფიზიკის საზოგადოების პრეზიდენტს, პროფესორ დარელ ფიშერს და ამავე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს, ლოს-ანჟელესის ირვაინის ჰოსპიტლის ჯანმრთელობის დაცვის ფიზიკის სამსახურის უფროსს ბარბარა ჰამრიკს. შეხვედრებისას განხილული იყო თანამშრომლობის საკითხები რადიაციული უსაფრთხოების ფიზიკის დარგში, საუნივერსიტეტო განათლებისა და სპეციალისტების მომზადების საქმეში.

გაიმართა შეხვედრა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ევროპის დივიზიონის ტექნიკური კოოპერაციის დეპარტამენტის დირექტორთან მანასა პეტერ სალემასთან. შეხვედრებისას განხილული იყო საქართველოში რადიაციული უსაფრთხოების დარგში არსებული პრობლემები და, აგრეთვე, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს პროგრამებში ქართველი ექსპერტების მონაწილეობის საკითხები.

კომისიის ღია სხდომები მიეძღვნა შემდეგ საკითხებს:

1. „ადამიანის ჯანმრთელობაზე რადონით განპირობებული რისკების შეფასების ეროვნული პროგრამა" (მომხს. პროფ. ს. ფაღავა, თსუ);

2. „რადიოაქტიური ნარჩენების მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები: ფუკუშიმას, ჩერნობილისა და სემიპალატინსკის მაგალითები" (მომხს. პროფ. გ. ნაბახტიანი, სტუ);

3. „საქართველოსა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე" (მომხს. ლ. ჭელიძე, ა. თვალჭრელიძის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი);

4. „ნიადაგის ლითონებით დაბინძურების პრობლემა საქართველოში და ფიტორემედიაცია, როგორც მისი გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება“ (მომხს. ქ. წაქაძე, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი);

5. „რადიოაქტიური ცეზიუმით დაბინძურებული ნიადაგის რემედიაციისა და მის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის თანამედროვე მეთოდები (მარშალის კუნძულების, სემიპალატინსკის, ჩერნობილისა და ფუკუშიმას მაგალითზე). საქართველოში მიმდინარე კვლევების ძირითადი მიმართულებები და შედეგები“ (მომხს. პროფ. ა. ჭირაქაძე, სტუ);

6. „ბაზალტის გამოყენება რადიაციულად მდგრად კომპოზიტურ მასალებში“ (მომხს. გ. ბეგიაშვილი, ა. თვალჭრელიძის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი);

7. „რადიოაქტიური მასალებით დაბინძურებული ნიადაგის ფიტორემედიაცია“ (მომხს. პროფ. მ. გოგებაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი);

8. „განვლადი რეაქტიული ბარიერის მოწყობა და ოპერირება უკრაინის „ჟოლტიე ვოდის“ ურანის სამთოგამამდიდრებელ კომბინატში – სამწლიანი გამოცდილების შედეგები” (მომხს. მაიკ უაირმანი, აშშ-ის ბუნების დაცვის ეროვნული სააგენტოს ნაციონალური ექსპერტი საგრუნტო წყლების დარგში).

ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეწყობის ცენტრთან ერთად კომისიამ მოამზადა ორი პუბლიკაცია:

1. მ. ჭაბაშვილი, გ. ჯაფარიძე, შ. ლორთქიფანიძე, თ. პატარაია, ზ. როსტომაშვილი, „ბირთვული ფიზიკის დარგში კვლევები საბჭოთა საქართველოში“ წიგნში: „საქართველოს ბირთვული ოდისეა: გზა საბჭოთა ატომური მემკვიდრეობიდან გლობალური გაუვრცელებლობლობის რეჟიმამდე”, გვ. 5-36, 2013.

2. მ. ჭაბაშვილი, გ. ჯაფარიძე, შ. ლორთქიფანიძე, გ. ნაბახტიანი, თ. პატარაია, ზ. როსტომაშვილი „ბირთვული გაუვრცელებლობის პოლიტიკის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ საქართველოში“ წიგნში: „საქართველოს ბირთვული ოდისეა: გზა საბჭოთა ატომური მემკვიდრეობიდან გლობალური გაუვრცელებლობლობის რეჟიმამდე”, გვ. 63-99, 2013.

შრომები მოხსენებულ იქნა ბირთვული მასალების მენეჯმენტის ინსტიტუტის (The Institute of Nuclear Materials Management) 54-ე ყოველწლიურ შეკრებაზე (14-18 ივლისი, 2013 წ.).

ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელმა კომისიამ 2013 წელს განიხილა შემდეგი საკითხები:

1. შავი ზღვის გოგირდწყალბადის სიღრმისეულ ფენასთან დაკავშირებული ეკოლოგიური საფრთხისა და ამ ფენის შესაძლო რეაქტივაციის რისკების კვლევა.

შავი ზღვა უმნიშვნელოვანეს რეკრეაციულ ზონას წარმოადგენს მისი მიმდებარე ქვეყნებისა და მთლიანად ევროპისათვის. მისი მოცულობა შეადგენს 555000 კუბურ კილომეტრს. აქედან მხოლოდ 5% შეადგენს 200 მეტრზე უფრო ნაკლები სისქის სუფთა წყლის შრეს, რომლის ქვემოთაც განლაგებულია დაახლოებით 1,5 კილომეტრის სისქის გოგირდწყალბადის მომწამლავი, ადვილად აალებადი სიღრმისეული ფენა. შავი ზღვის ზოგიერთ რეგიონში ეს ფენა განლაგებულია მცირე სიღრმეზე და წარმოადგენს გარკვეულ საშიშროებას. 2012 წლის დეკემბერში შავ ზღვაში მომხდარმა საკმაოდ ძლიერმა მიწისძვრამ მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრების გაზრდილი ინტერესი გამოიწვია და ისევ წინა პლანზე წამოიწია შავი ზღვის ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებმა.

კომისიამ დაადგინა:

– შემუშავდეს თემატური პროგრამა: „შავი ზღვის გოგირდწყალბადის სიღრმისეულ ფენასთან დაკავშირებული ეკოლოგიური საფრთხისა და ამ ფენის შესაძლო რეაქტივაციასთან დაკავშირებული რისკების კვლევა".

– ამ პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სავარაუდოდ, შესწავლილ იქნეს რისკის შემდეგი ფაქტორები: გოგირდწყალბადის ფენის ბუნებრივი დონის აწევა, გოგირდწყალბადის ფენის ენერგეტიკული მიზნებით ათვისების ტექნოლოგიების უსაფრთხოება, შავ ზღვაში მოსალოდნელი ძლიერი მიწისძვრების პროგნოზი და შედეგების შეფასება, ენგურის მაღლივი კაშხლის შესაძლო ავარიისას შავ ზღვაში წყლის მაღალი ტალღების შემოდინების შედეგები.

– აღნიშნული პროგრამის კურირება და ფინანსირება ეთხოვოს შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური კავშირის (BSEC) ორგანიზაციას ან მის სტრუქტურებს. პროგრამაში მონაწილეობა შევთავაზოთ ამ გაერთიანებაში შემავალ სახელმწიფოებსაც.

2. ხუდონჰესის პროექტირებისა და მისი მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი (კომპანია „Trans Electrica LTD"-ს მოხსენება).

2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას კომპანია „Trans Electrica LTD"-თან ხუდონჰესის პროექტის განხორციელების თაობაზე. ამ კომპანიის დაკვეთით შემუშავდა ხუდონჰესის მშენებლობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც განიხილა კომისიამ და დასკვნა გადაუგზავნა ენერგეტიკის სამინისტროსა და აღნიშნულ კომპანიას.

კომისიამ დაადგინა:

– პერიოდულად მოხდეს ხუდონის ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გაფორმდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და კომპანია „Trans Electrica LTD”-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

3. საქართველოში მოქმედი სეისმური საშიშროების ნორმატიული რუკის ხარვეზებისა და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის სეისმური უსაფრთხოების პრობლემები (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის განხილვა).

1999 წელს, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს დაკვეთით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ დაამუშავა საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური საშიშროების ალბათური რუკების კომპლექტი. ამ რუკებიდან ერთ-ერთი საფუძვლად დაედო ოფიციალურ ნორმატიულ დოკუმენტს „სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09). 1999 წლიდან გავიდა 13 წელიწადზე მეტი, ამ ხნის განმავლობაში დაგროვდა ახალი სეისმოლოგიური ინფორმაცია, შეიცვალა მეცნიერული შეხედულებები, ჩამოყალიბდა სეისმოდარაიონების რუკების დამუშავების ახალი ტექნოლოგიები.

კომისიამ დაადგინა:

– ეთხოვოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გამოაცხადოს ტენდერი საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების ალბათური რუკების ახალი კომპლექტის დამუშავების თაობაზე.

– ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტერიტორიის სეისმური საფრთხის შეფასება, რომელიც განხორციელდა 2007 წელს, ჩატარებულია სა-

ერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შერბილების მიმართულებით კომისიის მიერ მიღებული წინადადებების აქტუალიზაცია.

სტიქიური უბედურებების საშიროების შემცირების მიმართულებით საქართველოში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, განსაკუთრებით მათი პრევენციის თვალსაზრისით. სხდომაზე ყურადღება გამახვილდა მაღალი რისკის შემცველ ნაგებობებზე, როგორიცაა ენგურის და ჟინვალის კაშხლები და სხვა ობიექტები.

კომისიამ დაადგინა:

– უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირების დოკუმენტების (ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა უსაფრთხოების კანონი, სეისმური უსაფრთხოების კანონი და სხვა დოკუმენტები) აქტუალიზაციის დასაჩქარებლად შესაბამის სამინისტროებთან გაფორმდეს მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ.

2013 წლის 30 ნოემბერს თბილისში ჩატარდა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე „სეისმომედეგი მშენებლობის ეროვნული ნორმები (პნ 01.01-09) და მისი აქტუალიზაციის პრობლემები". ამ კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია.

ნანოტექნოლოგიების პრობლემების შემსწავლელმა სამუშაო ჯგუფმა 2013 წელს ჩაატარა რამდენიმე სემინარი თემაზე „ნანოტექნოლოგიების სხვა ტექნოლოგიებთან შერწყმის შესაძლებლობები". საანგარიშო პერიოდში ჯგუფი დაკავებული იყო საქართველოში, კერძოდ, თბილისში, 2014 წლის ოქტომბერში, მე-3 საერთაშორისო კონფერენციის – „ნანოტექნოლოგიები"

ჩატარების ორგანიზაციით. კონფერენციის ჩატარება ითავა საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა. კონფერენციის ორგკომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკად. ა. ფრანგიშვილი. შეიქმნა პროგრამული კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ა. გერასიმოვი (თავმჯდომარე), ა. გიგინეიშვილი, ლ. მაცაბერიძე, შ. სიდამონიძე, რ. ჩიქოვანი, ნ. ჩიხრაძე, ლ. ჩხარტიშვილი, დ. ჯიშიაშვილი, გ. ჩირაძე, გ. დგებუაძე და მ. ვეფხვაძე. საერთაშორისო პროგრამულ კომიტეტში მოწვეული არიან გამოჩენილი უცხოელი მეცნიერები. გაგზავნილია ინფორმაცია მსოფლიოს ყველა სათანადო ცენტრში. მიღებულია რამდენიმე ათეული ნაშრომი.

საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი 2013 წელს განაგრძობდა თანამშრომლობას ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ისტორიკოსებთან.

კომიტეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. 2013 წლის 16 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საპატრიარქოს ერთობლივი საიუბილეო სხდომა, მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150-ე წლისთავისადმი. მოხსენებით ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა კომიტეტის პრეზიდენტი აკად. რ. მეტრეველი. გამოიცა აკად. რ. მეტრეველის ნაშრომი „ექვთიმე ღვთისკაცი“ (თბ., 2013), მისივე ხელმძღვანელობით მომზადდა და გამომცემლობას გადაეცა ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული.

2013 წლის 26 მარტს კომიტეტმა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასა და ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო საზოგადოებასთან ერთად მოიწვია სამეც-

ნიერო სხდომა, მიძღვნილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე და დაბადებიდან 80 წლისთავისადმი.

2013 წლის 26 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნულმა კომიტეტმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა გამართეს ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აფხაზეთის უახლესი ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი.

2013 წლის 4 ოქტომბერს კომიტეტმა მონაწილეობა მიიღო აკად. წევრ-კორ. აკაკი სურგულაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზებაში.

პერიოდული გამოცემები

2013 წელს გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემდეგი ჟურნალები:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე – სამი ნომერი ტ. 7, №1 (164 გვ., 26 სტატია, 68 ავტორი), №2 (178 გვ., 23 სტატია, 58 ავტორი), №3 (144 გვ., 23 სტატია, 67 ავტორი) (ინგლისურ ენაზე);

ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს“ სერიები:

„ქიმია“ – 2013 წელს გამოიცა ქიმიის სერიის 2012 წლის ტ. 38, №4 (19 სამეცნიერო სტატია – 12 ქართულ, 7 რუსულ ენაზე და 2 მემორიალური პუბლიკაცია, სულ 87 გვ.), 2013 წელს გამოიცა ტ. 39, №1-2 (11 ქართულ, 3 ინგლისურ, 10 რუსულ ენაზე და 1 მემორიალური პუბლიკაცია, სულ 120 გვ.), ტ. 39, №3-4 (39 სამეცნიერო

სტატია – 29 ქართულ, 2 ინგლისურ, 3 რუსულ ენაზე და 3 მემორიალური პუბლიკაცია, სულ 166 გვ.);

„ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორია“ – დაიბეჭდა ჟურნალის ორი ნომერი. სულ გამოქვეყნდა 40 ქართველი და უცხოელი ავტორის სტატია.

„ბიომედიცინა“ – ტ. 39, №№1-2, 3-4, 5-6 (35 სტატია, აქედან 5 საზღვარგარეთიდან);

„საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ – მე-20 ტომის 4 ნომერი (832 გვ. ინგლისურ ენაზე). ტომი შეიცავს 27 ქვეყნის 79 ავტორის 45 სტატიას (10 სტატია ქართველი ავტორის, 33 უცხოელი, 2 ერთობლივი);

ჟურნალი „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ – 58-ე (160 გვ), 59-ე (148 გვ.) და მე-60 (182 გვ.) ტომები (ინგლისურ ენაზე). სულ გამოქვეყნდა 9 ქვეყნის 20 ავტორის შრომა;

ჟურნალი „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“ – №1-2.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 22 მარტის №13 დადგენილების საფუძველზე 2013 წელს გამოიცა სამეცნიერო-პოპულარულ სტატიათა კრებული **„მეცნიერება და კულტურა“** 2 ტომად: პირველ ტომში დაიბეჭდა 22 სტატია, მეორე ტომში – 19.

საორგანიზაციო საქმიანობა

სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურმა აკადემიის წევრების სამეცნიერო ანგარიშების, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, აკადემიის სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული აპარატის სამსახურების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2012 წლის ანგარიში (365 გვ.), რომელიც დაამტკიცა აკადემიის საერთო კრებამ 2013 წლის 12 ნოემბერს.

სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახური მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის 2013 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების მომზადებაში.

თანახმად საქართველოს კანონისა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შეფასდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების 2012 წლის სამეცნიერო საქმიანობა.

სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურში შემოსული ანგარიშები კლასიფიცირებულ იქნა სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით და საექსპერტო შემოწმებისათვის გადაეცა შესაბამის სამეცნიერო განყოფილებებს.

სულ შეფასდა 7 სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მათთან მიერთებული 32 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, 2 დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრისა და რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულების 216 სამეცნიერო ანგარიში, მათ შორის დადებითად შეფას-

და 206, უარყოფითად – 3, არ შეფასდა 7 ანგარიში არასრულყოფილების გამო.

ანგარიშები შეაფასა 116 ექსპერტმა, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 52-მა წევრმა (დანართი 1, 2).

კადრების სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის 1 იანვრისათვის აკადემიაში იყო 65 აკადემიკოსი (ნამდვილი წევრი), 41 წევრ-კორესპონდენტი (ნაფი ჯუსოითის გარდა), 4 საპატიო აკადემიკოსი, 1 საპატიო უცხოელი წევრი და 96 უცხოელი წევრი.

აკადემია შედგებოდა აკადემიური საბჭოსაგან, 9 სამეცნიერო განყოფილებისა და აკადემიასთან სტრუქტურული ფორმით არსებული 3 ერთეულისაგან:

– ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (44 თანამშრომელი);

– აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი (23 თანამშრომელი);

– აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი (4 თანამშრომელი).

აკადემიურ საბჭოსთან არსებობს, აგრეთვე, 9 კომისია:

– ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი (2 თანამშრომელი);

– საქართველოს ისტორიის წყაროების (სწავლული მდივანი – 1);

– საქართველოს მთიანეთის პრობლემების კომპლექსური შესწავლის (სწავლული მდივანი – 1, რომელიც ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას);

– ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი (სწავლული მდივანი – 1);

– ბირთვული ენერგიისა და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისია;

– სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელი კომისია;

– ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათშორისი კომისია;

– საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისია;

– მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის პრობლემების საკოორდინაციო კომისია – საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებთან ფუნქციონირებდა 30 დარგობრივი კომისია.

აკადემიის აკადემიურ საბჭოში იყო 22 წევრი, მ.შ. პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი – 2, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი – 1, სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი – 9 და საბჭოს სხვა წევრები – 9.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებში დასაქმებული იყო სწავლული მდივანი – 9, მ.შ. მეცნიერებათა კანდიდატი – 8.

აკადემიურ საბჭოს ემსახურება ადმინისტრაციული აპარატი, სადაც 2014 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 68 თანამშრომელი, მ.შ. მეცნიერებათა დოქტორი 2, მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი) – 16, ვადიანი ხელშეკრულებით აკადემიაში დასაქმებული იყო 21 თანამშრომელი.

2013 წელს აკადემიის თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდნენ თვალსაჩინო მეცნიერები – აკადემიკოსები თეიმურაზ ანდრონიკაშვილი, კოხტა ჯაფარიძე, თეიმურაზ იოსელიანი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირინე მელიქიშვილი.

გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი-პროზაიკოსი, აკადემიის საპატიო აკადემიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი.

აკადემიის რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ცნობილი ჟურნალისტი თამაზ ებანოიძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში რესპუბლიკის პრესაში ფართოდ ასახავდა ქართული მეცნიერების საჭირბოროტო საკითხებს.

საინფორმაციო და უცხოეთთან ურთიერთობის სამსახურმა 2013 წლის განმავლობაში უზრუნველყო აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის მივლინებები უცხოეთში (ლატვია, უკრაინა, სომხეთი, იტალია, ჩეხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ჩინეთი).

საანგარიშო წელს ხელი მოეწერა სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეკრულებებს უცხო ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებთან. ასე მაგალითად: ლატვიაში მიკრობიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მიწვევით მყოფი პრეზიდენტი შეხვდა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ახლად არჩეულ პრეზიდენტს – პროფ. ოიარს სპარიტის და ხელი მოეწერა აღნიშნულ ხელშეკრულებას, რომელიც მუდმივმოქმედია. რამდენიმეწლიანი მცდელობის შემდეგ დაიდო (ზოგადი ხასიათის) ორმხრივი ხელშეკრულება ბრიტანეთის აკადემიასთან ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში. განახლდა მემორანდუმი ბაქოს უნივერსიტეტთან, რომელსაც ხელი მოეწერა აკად. გიორგი კვესიტაძისა და აკად. გივი ცინცაძის ბაქოში მივლინებით ყოფნის დროს. ბაქოს უნივერსიტეტის რექტორმა, აკად. აბელ მაჰარამოვმა ორივე მეცნიერს საზეიმო ვითარებაში გადასცა „ბაქოს უნივერსიტეტის საპატიო მეგობრის“ დიპლომი და ჰეიდარ ალიევის მედალი.

ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით 2013 წლის 12-17 მაისს აკად. თ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით 3 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი (აკად. წევრ-კორ. გ. ნახუცრიშვილი, სამსახურის უფროსი ზ. ჯორ-

ბენაძე) იმყოფებოდა ავსტრიაში, ქ. ვენაში. გამგზავრების მიზანი იყო ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის საერთო სხდომაზე დასწრება და ავსტრიელ კოლეგებთან შეხვედრა, რათა მომხდარიყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიას შორის დადებული ხელშეკრულების – „ალპები-კავკასია: მაღალმთის მცენარეულობის შედარებითი ანალიზი“ – ადმინისტრაციული მექანიზმების შეჯერება ერთობლივი პროექტის განსახორციელებლად; ასევე, შეხვედრა იმ ავსტრიელ მეცნიერებთან, რომლებიც ითანამშრომლებენ კავკასიელ მეცნიერ-მკვლევრებთან აღნიშნული პროექტის ფარგლებში. ავსტრიელმა მეცნიერებმა ხაზგასმით აღნიშნეს ქართველ კოლეგებთან მაღალპროფესიული თანამშრომლობის შედეგები.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით აკად. ე. გამყრელიძე იმყოფებოდა უკრაინაში, ქ. კიევში, მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით მან მისასალმებელი ადრესი გადასცა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიას და ზემოხსენებული ასოციაციის პრეზიდენტს, აკად. ბ. პატონს, რომელსაც 95 წელი შეუსრულდა.

თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მიწვევით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში – „ნავრუზი – მშვიდობის და სიკეთის ზეიმია“ მონაწილეობის მისაღებად ქ. აშხაბადში იმყოფებოდნენ აკად. გ. კვესიტაძე (წაიკითხა მოხსენება – „ფოტოსინთეზი – ენერგიის ძირითადი წყარო“) და ისტ. მეცნ. კანდ. მ. აბაშიძე (წაიკითხა მოხსენება – „ქართული ხელნაწერები ინგლისში”).

ქ. მოსკოვში, აკად. რ. საგდეევის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე, კოსმოსურ გამოკვლევათა ინსტიტუტში ერთობლივი სამუშაოების განხილვასთან დაკავშირებით იმყოფებოდა აკად. ჯ. ლომინაძე, რომელმაც იუბილარს გადასცა მისასალმებელი ადრესი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, 75 წლისადმი მიძღვნილი მისასალმებელი ადრესი გადაეცა ბატონ ისლამ კარიმოვს – უზბეკეთის პრეზიდენტს, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს.

აკად. გ. ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. მან აკადემიკოს შ. ი. სალიხოვს გადასცა საიუბილეო მისასალმებელი ადრესი.

სამსახურმა უზრუნველყო აკადემიაში 2013 წლის განმავლობაში უცხოელი სტუმრებისა და სხვა საქმიანი დელეგაციის ვიზიტების მხარდაჭერა:

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ინიციატივით აკადემიას ეწვია ირანის ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება **აბას თალები ფარი.** ელჩის ვიზიტის მიზანი იყო აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების გაცნობა. იგი დაინტერესდა პროექტებით, რომლებზეც ქართველი მეცნიერები მუშაობენ. ელჩის სურვილია ქართველმა და ირანელმა მეცნიერებმა ერთობლივად აწარმოონ კვლევები და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. მისი აღმატებულება პირველ რიგში დაინტერესდა ფილოსოფიის დარგით, რადგან თავად არის ფილოსოფოსი. გამოქვეყნებული აქვს 8 მონოგრაფია სპარსულ ენაზე. მას, ასევე, აინტერესებს მეცნიერების სხვა დარგებიც: აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, საინ-

ჟინრო მიმართულებები და თანამედროვე ბიოტექნოლოგიები. გამომდინარე იქიდან, რომ ირანში როგორც ზღვის, ასევე ხმელეთის აკვატორიის დიდი ნაწილი დაბინძურებულია ნავთობის ნარჩენებით, ელჩის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქართველი მეცნიერების მიღწევებმა ეკოლოგიურ ბიოტექნოლოგიაში.

აკადემიის მოწვევით სტუმრად იმყოფებოდა ეთნოგენეტიკაში საყოველთაოდ აღიარებული ამერიკელი მეცნიერი, პროფ. **ანატოლი კლიოსოვი,** რომელმაც წაიკითხა ლექცია თემაზე – „დნმ – კავკასიის გენეალოგია" და შეხვდა ქართველ მეცნიერებს გამოცდილების გასაზიარებლად და შემდგომი თანამშრომლობის დასაგეგმად. პროფესორ კლიოსოვის ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმ ქართველ მეცნიერთათვის, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ საკითხებზე.

აკადემიას სტუმრობდა ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ფედერაციის პრეზიდენტი, პროფ. **იზრაელ პეხტი** და უცხოელ ბიოქიმიკოსთა დელეგაცია. სტუმრები ჯერ აკადემიის პრეზიდენტმა მიიღო, ხოლო შემდეგ დისკუსია საინტერესო თემებზე აკადემიური საბჭოს სხდომათა დარბაზში გაგრძელდა. ცნობისათვის, ზემოაღნიშნული ფედერაცია 1964 წელს დაარსდა და 40000-ზე მეტ წევრს აერთიანებს. იგი ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაციაა ევროპის სამეცნიერო საზოგადოებათა შორის.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მოწვევით საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, დრეზდენის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჰანს ვიესმეთმა,** რომელიც საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, წაიკითხა საჯარო ლექცია ეკონომიკის ეკოლოგიაში თემაზე – „ინტეგრირებული გარემოს დაცვითი პოლიტიკა: საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა".

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელმა წევრმა აკად. **მამედ ალიევმა,** აკადემიური საბჭოს სხდომაზე წაიკითხა მოხსენება – „ონკოლოგიური ორთოპედიის მიღწევები და პერსპექტივები".

აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. კვესიტაძე შეხვდა პიზის უნივერსიტეტის პროფესორს **კლაუდია პრინჩიპეს,** რომელმაც ასევე გააკეთა მოხსენება – „გეოლოგიური მეთოდები არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში – ტოსკანის არქიპელაგის პიანოზას კუნძულის მაგალითზე".

აკადემიის მოწვევით ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი არქეოლოგი **მერლინ კელი-ბუჩელატი,** რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქართულ-იტალიურ არქეოლოგიურ ექსპედიციაში „არადეთის გორაზე", შეხვდა ქართველ მეცნიერებს და წაიკითხა საჯარო ლექცია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში 2012 წლისათვის დაცული იყო 119562 შესანახი ერთეული. 2013 წელს ამ ერთეულებს დაემატა პაატა გუგუშვილის ეკონომიკისა და თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტებიდან შემოტანილი 860 შესანახი ერთეული. სპეციალურად შექმნილი ფონოტეკისათვის შემოსულია 45 ვიდეო- და ფოტომასალა. დაწესებულებებსა და კერძო პირებზე გაცემულია 77 ცნობა. 2013 წელს არქივში დაცული სამეცნიერო მასალებით ისარგებლა 37-მა მეცნიერ-მკვლევარმა, მათ შორის, აშშ-ს პენსილვანიის უნივერსიტეტის ასპირანტმა **კლერ კაიზერმა** და აზერბაიჯანის ეროვნული აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორმა **ასიფ გეიდარ ოღლი რუსტამლიმ**. 35658 შესანახ ერთეულს ჩაუტარდა სისტემატიზაცია წლებისა და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით. გასანადგურებლად გამოიყო სამეცნიერო, ტექნიკური და პირადი წარმოშობის 2986 საქმე. შედგა საქმეთა

ანაწერები. საქმეები მოთავსდა ყუთებში, გაუკეთდა იარლიყები და დალაგდა თაროებზე.

აკადემიურ გამოცემათა კომპიუტერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა ერთი წლის განმავლობაში მოამზადა ჟურნალ „მოამბის“ სამი ნომრის ელექტრონული ვერსია (7-1; 7-2; 7-3). სამივე განთავსდა ვებგვერდზე.

განყოფილებამ ასევე დაბეჭდა და ინტერნეტში განათავსა:

– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2012 წლის ანგარიში;

– 2013 წელს ჩატარებული ღონისძიებების მოსაწვევები და ბუკლეტები;

– უცხოელი წევრების არჩევის დიპლომები და CV;

– აკადემიის მიერ გაცემული პრემიების დიპლომები.

მომზადდა ელექტრონული ვერსიები და დაიბეჭდა აკადემიის კომისიებისა და განყოფილებების მიერ წარმოდგენილი წიგნები და ბუკლეტები:

1. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს“ ქიმიის სერიის სამი ნომერი;

2. „ისტორიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის მაცნეს“ 2013 წლის 1-2 ნომერი;

3. კრებულის „მეცნიერება და კულტურა“ 2013 წლის 1-2 ნომერი;

4. ო. გოგიაშვილის „ილია ჭავჭავაძე – ქართველი ერის ეროვნული იდეოლოგი“;

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიერ მომზადებული მონოგრაფია „თბილისის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“;

6. სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურის მიერ მომზადებული ბროშურა „საქართველოს მეცნიერების ძირითადი მიმართულებები. 2013-2017 წწ.“;

7. საქართველოს ისტორიის წყაროების შემსწავლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი წიგნი – ბერი ეგნატაშვილი. „საქართველოს ახალი ისტორია“ (გ. წულაიას რედაქციით, რუსულ ენაზე).

განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აკადემიის პრეზიდენტისა და აკადემიის ახალი წევრების არჩევნების ჩატარებაში, რამდენიმე წიგნის პრეზენტაციასა და ტენდერების ტექნიკურად უზრუნველყოფაში.

განახლდა კომპიუტერული ტექნიკის ნაწილი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით.

საფინანსო სამსახური. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2013 წლის დამტკიცებული დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტით შეადგენდა 3610 ათას ლარს. წლის განმავლობაში აკადემიის საბიუჯეტო დაფინანსება არ შეცვლილა და დანახარჯების სახეების მიხედვით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა (იხ. ცხრილი 3):

(ცხრილი 3)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურა

ხარჯების ჩამონათვალი	თანხა (ათას ლარებში)
ხელფასები	**3335**
თანამდებობრივი სარგო	1130
წოდებრივი სარგო	1955
პრემია	194
შტატგარეშე მომუშავეთა სარგო	56
მივლინება	44
საქონელი და მომსახურება	**201**
ელექტროენერგია, გაზი, წყალი, დასუფთავება	52
კავშირგაბმულობა	15
ფოსტა	10
ინტერნეტი	5

პრესაში ინფორმაციის გამოქვეყნება	5
სატრანსპორტო ხარჯები	34
ავეჯის შეძენა	10
სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა	30
სხვა	40
არაფინანსური აქტივების ზრდა (კომპიუტერული ტექნიკა და კომპიუტერული პროგრამები, ავეჯი)	30

აკადემიის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით 2013 წლის ხარჯებმა ასეთი სახე მიიღო:

– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – 3119 ათასი ლარი;

– ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია – 375 ათასი ლარი;

– გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტი – 105 ათასი ლარი;

– აჭარის სამეცნიერო ცენტრი – 11 ათასი ლარი.

აკადემიის 2013 წლის დარიცხულმა ეკონომიკურმა შემოსავლებმა (იჯარა, საგამომცემლო საქმიანობა) შეადგინა 150 ათასი ლარი, ჩარიცხულმა თანხამ (საკასო შემოსავალი) – 200 ათასი ლარი, ხოლო ხარჯებმა – 225 ათასი ლარი. საკუთარი შემოსავლებით გაწეული დანახარჯების სტრუქტურა ასეთია:

– ხელფასები – 37 ათასი ლარი;

– დახმარება – 58 ათასი ლარი;

– საქონელი და მომსახურება – 84 ათასი ლარი;

– კაპიტალური ხარჯები – 21 ათასი ლარი;

– საგადასახადო ვალდებულებები – 23 ათასი ლარი.

სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების 2012 წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება

1. ა(ა)იპ – ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1	2	3	4	5
1.	**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი** *1. ეკონომიკის მიმართულება* *2. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება*	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ეკონ.მეცნ.დოქტ., პროფ. **მ. კაკულია**	+
2.	**იურიდიული ფაკულტეტი**	– “ –	აკად. **ჯ. ხეცურიანი**	+
3.	**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**	– “ –	აკად. **გ. თევზაძე**	+
4.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ლ. მელიქიშვილი**	+
	2. არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ. **გ. ფხაკაძე**	+
	3. ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. მაისურაძე**	+

1	2	3	4	5
	4. საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. ვაჩნაძე**	+
	5. აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. ვაჩნაძე**	+
	6. კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **გ. ლორთქიფანიძე**	+
	7. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ლ. მელიქიშვილი**	+
	8. ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. **გ. თევზაძე**	+
	9. ამერიკანისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. **ლ. ალექსიძე**	+
	10. პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ი. იმედაძე**	+
	11. მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. ვაჩნაძე**	+
	12. ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ლ. მელიქიშვილი**	+

1	2	3	4	5
	13. ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	14. ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	15. თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	16. თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	17. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. რაბული**	+
	18. თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	19. კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+

1	2	3	4	5
	20. აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	21. დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად.წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	22. რუსისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	აკად.წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	23. უკრაინისტიკის ცენტრი	– “ –	აკად.წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	24. ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი	– “ –	აკად.წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	25. ლექსიკოგრაფიული ცენტრი	– “ –	აკად.წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
5.	**მედიცინის ფაკულტეტი**	მედიცინის განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ქ. ნემსაძე**	+
6.	**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი** *1. მათემატიკის დეპარტამენტი*			
	1) მათემატიკური ანალიზის ქვემიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ალბათურ-	+

1	2	3	4	5
			სტატისტიკური მეთოდების განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ვ. ტარიელაძე**	
	2) დიფერენციალური განტოლებების ქვემიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთ. მეცნ.თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ს. ხარიბეგაშვილი**	+
	3) მექანიკის ქვემიმართულება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **რ. ბანცური** თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ნ. შავლაყაძე**	+
	4) ალგებრა-გეომეტრიის ქვემიმართულება	– “ –	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სსთ, გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **თ. ქადეიშვილი**	+
	5) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ქვემიმართულება	– “ –	სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. **ვ. კვარაცხელია**	+

1	2	3	4	5
	2. ინტერდისციპლინური – მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები			
	1) რიცხვითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნოლოგიების ქვემიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ჯ. სანიკიძე**	+
	2) მათემატიკური ლოგიკა, დისკრეტული სტრუქტურები	– “ –	სტუ-ის სრული პროფ. **ა. კირთაძე**	+
	3. ფიზიკის დეპარტამენტი			
	1) არაწრფივი მოვლენების ფიზიკის, ასტროფიზიკის, რადიოფიზიკის, ფიზიკური პროცესების მოდელირების და პლაზმის ფიზიკის ქვემიმართულებები	– “ –	აკად. **გ. ჩაგელიშვილი**	+
	2) ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების, ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის ქვემიმართულებები	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	+

1	2	3	4	5
	3) კონდენსირებული გარემოს ფიზიკის ქვემიმართულება და კონდენსირებული გარემოს ფიზიკისა და პერსპექტიულ მასალათა ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. **გ. ჯაფარიძე**	+
	4) მიკრო და ნანოელექტრონიკის ქვემიმართულება	– “ –	აკად. **გ. ჯაფარიძე**	+
7.	**ილია ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი**	– “ –	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **რ. დუდუჩავა** უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ო. ჭკადუა**	+
8.	**მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი**	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. კვინიხიძე**	+
	4. კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის საექსპერტო კომისია, პროფ. **ნ. ჯიბლაძე** (თავმჯ.), პროფ. **თ. ობგაძე**, პროფ. **თ. მაჭარაშვილი**	+

1	2	3	4	5
	5. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის საექსპერტო კომისია, პროფ. **ნ. ჯიბლაძე** (თავმჯ.), პროფ. **თ. ობგაძე**, პროფ. **თ. მაჭარაშვილი**	+
	6. ქიმიის დეპარტამენტი 1) ორგანული ქიმიის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი, ქიმ. მეცნ. დოქტ. **ე. ელიზბარაშვილი** სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, ტექნ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. წერეთელი**	+
	2) ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტი	– “ –	თსუ-ის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **შ. ჯაფარიძე**	+

1	2	3	4	5
	3) ბიოორგანულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი, ქიმ. მეცნ. დოქტ. **ე. ლიზბარაშვილი**	+
	4) ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის ქვემიმართულება	– “ –	თსუ-ის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **შ. ჯაფარიძე**	+
	5) მაკრომოლეკულების ქიმიის ქვემიმართულება და პოლიმერებისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო ინსტიტუტი	– “ –	თსუ-ის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **შ. ჯაფარიძე**	+
	7. ბიოლოგიის დეპარტამენტი 1) გენეტიკის ინსტიტუტი 2) ბიოფიზიკისა და ბიონანომეცნიერების ინსტიტუტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **თ. ზაალიშვილი**	+
	3) ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა	ფიზიოლოგიის განყოფილება	აკად. **დ. მიქელაძე**	+

1	2	3	4	5
	8. გეოგრაფიის დეპარტამენტი			
	1) გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის მიმართულება 2) ნიადაგების გეოგრაფიის მიმართულება	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის განყოფილების ხელმძ., გეოგრ. დოქტ. **გ. ლომინაძე**	+
	3) რეგიონული გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების მიმართულება და გეოგრაფიული ლაბორატორია	– “ –	1) თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძ., უფრ. მეცნ. თანამშრ., გეოგრ. დოქტ. **კ. ხარაძე** 2) თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების უფრ. მეცნ. თანამშრ., გეოგრ. დოქტ. **ე. სალუქვაძე**	+ +
	4) ჰიდროლოგიის, მეტეოროლოგიისა და ოკეანოლოგიის ქვემიმართულება	– “ –	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილების ხელმძ., მთ. მეცნ. თანამშრ., გეოგრ. დოქტ. **დ. მუმლაძე**	+

1	2	3	4	5
	5) ბუნებათსარგებ-ლობის გეოგრაფიის ქვემიმართულება	დედამიწის შემ-სწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძ., უფრ. მეცნ. თანამშრ., გეოგრ. დოქტ. **კ. ხარაძე**	+
	9. გეოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **მ. კაკაბაძე**	+
	10. ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო სტრუქტურული ერთეულები			
	1) ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	სტუ-ის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **რ. ჩიქოვანი**	+
	2) ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	– “ –	სტუ-ის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **რ. ჩიქოვანი**	+
	3) გამოთვლითი ფიზიკის ინსტიტუტი	– “ –	სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ჰ. მელაძე**	+
	4) მათემატიკური მოდელირების და გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორია	– “ –	სოხუმის სახელმწ. უნივერსიტეტის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **თ. ჩილაჩავა**	+

1	2	3	4	5
	5) გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიების ს/კ ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	სტუ-ის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **რ. ჩიქოვანი**	+
	6) ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. კვინიხიძე**	+
	7) გეოფიზიკისა და იონოსფეროს ფიზიკის ლაბორატორია	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **თ. ჭელიძე** ანგარიში არ შეფასდა არასრულყოფილების გამო (განყოფილების საერთო კრების დადგენილება №1, 21.05.2013)	**x**
	8) გამოყენებითი ეკოლოგიის ინსტიტუტი	– “ –	სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სსთ, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ნ. ბეგალიშვილი**	+
	9) ჰიდრომექანიკისა და ოკეანოლოგიის ლაბორატორია	– “ –	თსუ-ის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის ხელმძ., პროფ. **ა. კორძაძე** აკად. **თ. ჭელიძე**	+

1	2	3	4	5
	10) მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **შ. სამსონია**	+
	11) არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების ს/კ ინსტიტუტი	– “ –	აკად. **შ. სამსონია**	+
	12) მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის ლაბორატორია	– “ –	აკად. **შ. სამსონია**	+
	ინსტიტუტები			
1.	ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	სტუ-ის მათემატიკის დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **დ. ნატროშვილი**	+
2.	ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი	– “ –	თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **მ. ნიორაძე**	+
	1) ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის განყოფილება	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	ი.ბერიტაშვილის ექსპ. ბიომედიცინის ცენტრის ბიოინფორმატიკის ლაბორატორიის ხელმძ., ბიოლ. მეცნ. დოქტ. **მ. ფირცხალავა**	+

1	2	3	4	5
3.	მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის მთ. სპეც., მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. კანდ. **ჯ. სოლოღაშვილი**	+
4.	ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი	– “ –	თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძ., გეოლ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ბ. თუთბერიძე**	+
5.	კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი	– “ –	აკად. **დ. შენგელია**	+
6.	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **რ. გაჩეჩილაძე**	+
7.	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **შ. სამსონია**	+
8.	რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი	– “ –	აკად. **გ. ცინცაძე**	+

1	2	3	4	5
9.	ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი	მედიცინის განყოფილება	აკად. **რ. შაქარიშვილი**	+
10.	პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **ა. სილაგაძე**	+
11.	ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **გ. ლორთქიფანიძე**	+
12.	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი	– “ –	აკად. **ჯ. ხეცურიანი**	+
13.	არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
14.	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+

2. ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1	2	3	4	5
1.	**ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი**	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	სტუ-ის ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ტექნ. მეცნ. დოქტ. **თ. მაგრაქველიძე**	+
2.	**სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი**	– “ –	რ.დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტ. **თ. ნატრიაშვილი**	+
3.	**სამშენებლო ფაკულტეტი**	– “ –	აკად. წევრ-კორ. **გ. გაბრიჩიძე**	+
4.	**არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი**	– “ –	აკად. წევრ-კორ. **გ. გაბრიჩიძე**	+
5.	**ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი** *1. მათემატიკის დეპარტამენტი*	– “ – მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **რ. ხუროძე** აკად. **ვ. კოკილაშვილი**	+ +

1	2	3	4	5
6.	**ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი**	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. გაბრიჩიძე**	+
7.	**სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი**	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **მ. თოფჩიშვილი**	+
8.	**ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი**			
	1. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	ქიმ. მეცნ. დოქ. **ი. შათირიშვილი** ქიმ. მეცნ. დოქტ. **თ. მაჩალაძე**	+
	2. მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი	– “ –	ფ.თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი, ტექნ. მეცნ. დოქტ., პროფ. **გ. ონიაშვილი**	+
	3. ფარმაციის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **შ. სამსონია**	+

1	2	3	4	5
9.	**ბიზნეს-ინჟინერინ-გის ფაკულტეტი**			
	1) ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი	საზოგადოებ-რივ მეცნიერე-ბათა განყოფი-ლება	ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფ. **თ. ბერიძე**	+
	2) საბანკო ტექნო-ლოგიების დეპარტა-მენტი			
	3) საერთაშორისო გერმანულენოვანი ინსტიტუტი			
	4) საზოგადოებრივ მეცნიერებათა დე-პარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ლ. მელიქიშვილი**	+
	5) ლიბერალურ მეც-ნიერებათა დეპარტა-მენტი	ენის, ლიტერა-ტურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	ინსტიტუტები			
1.	ვ.ჭავჭანიძის კიბერ-ნეტიკის ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილე-ბის მათემატიკის კო-მისიის წევრი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტ., პროფ. **თ. თადუმაძე**	+
	1) ოპტიკურ-ქიმიურ კვლევათა ლაბორა-ტორია	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ვ. ციციშვილი**	+
	2) ფიზიკის მიმარ-თულება	– “ –	აკად. **გ. ჯაფარიძე**	+

1	2	3	4	5
2.	ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშ. **გ. ბერიკელაშვილი**	+
	1) ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. ხარაზიშვილი**	+
3.	ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **დ. თავხელიძე**	+
4.	„ანალიზხელსაწყო“	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. თავხელიძე**	+
5.	ინსტიტუტი „ტალღა”	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. თავხელიძე**	+
6.	მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი	– “ –	აკად.წევრ-კორ. **დ. თავხელიძე**	+
7.	ინსტიტუტი „ტექინფორმი”	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ლ. ჯაფარიძე**	+
8.	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის აკადემიური დოქტორი, უფრ. მეცნ. თანამშრომელი **ვ. ჩიხლაძე**	+
9.	ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ფ. მაისაძე**	+

1	2	3	4	5
10.	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფ., ტექნ. მეცნ. დოქტ. **დ. კერესელიძე**	+
11.	საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	– “ –	1) აკად. **გ. ცინცაძე** 2) აკად. **პ. ნასყიდაშვილი** 3) აკად. წევრ-კორ. **ა. დიდებულიძე**	+ + +
12.	კვების მრეწველობის ინსტიტუტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მთ. მეცნ. თანამშრ., მეცნ. დოქტ. **ნ. ომიაძე**	+
13.	ბიოტექნოლოგიის ცენტრი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **თ. სადუნიშვილი**	+

3. ა(ა)იპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1	2	3	4	5
1.	სადოქტორო კვლევის პროგრამები			
	1) „ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები და რეპროდუქციული სისტემის ჰორმონდამოკიდებული სიმსივნეები“	მედიცინის განყოფილება	აკად. **რ. შაქარიშვილი**	+
	2) „მრავალშრიანი სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფიის როლი და ადგილი პოლიტრავმის სადიაგნოსტიკო რადიოლოგიურ ალგორითმში“			
	3) „ახალშობილ ვირთაგვებში დექსამეტაზონის სუბქრონიკული შეყვანით გამოწვეული ცვლილებების მექანიზმი“			
	4) „პარადონტიტის დროს განვითარებული იმუნური მაჩვენებლების ცვლილებები იმუნომოდულაციის პროცესში“	– “ –	აკად. **რ. შაქარიშვილი**	+

1	2	3	4	5
	5) „სალმონელოზის ეპიდემიოლოგია საქართველოში“ 6) „ულტრასონოგრა-ფიული კვლევა ტერ-ფის სახსრების და პარაარტიკულური რბილი ქსოვილების დაზიანების დიფე-რენციულ დიაგნოს-ტიკაში“			
	ინსტიტუტები			
1.	სამედიცინო ბიოტექ-ნოლოგიის ინსტიტუ-ტი	მედიცინის განყოფილება	აკად. **ფ. თოდუა**	+
2.	იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქი-მიური ტექნო-ლოგიების გან-ყოფილება	აკად. **შ. სამსონია**	+

4. ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1	2	3	4	5
1.	**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. მათემატიკის დეპარტამენტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის ასოც. პროფ. **თ. კოპალიანი**	+
	2. ფიზიკის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. ხელაშვილი**	+
	3. ქიმიის დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	სტუ-ის ზოგადი არაორგანული და ანალიზური ქიმიის მიმართულების ხელმძ., ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. **მ. ცინცაძე**	+
	4. გეოგრაფიის დეპარტამენტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილების ხელმძ., მთ. მეცნ. თანამშრ., გეოგრ. დოქტ. **დ. მუმლაძე**	+

1	2	3	4	5
	5. ბიოლოგიის დეპარტამენტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **მ. გორდეზიანი**	+
2.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი *2. ქუთაისისა და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ს/კ მიმართულება*	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ. **ა. დაუშვილი**	–
	3. აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	4. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	5. სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
	6. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული**	+
3.	**აგრარული ფაკულტეტი**			
	1. აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **პ. ნასყიდაშვილი**	+

1	2	3	4	5
	2. აგროინჟინერიის დეპარტამენტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **პ. ნასყიდაშვილი**	+
	3. სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტი	– “ –	აკად. **პ. ნასყიდაშვილი**	+
	4. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **პ. ნასყიდაშვილი**	+
	5. ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **პ. ნასყიდაშვილი**	+
4.	**ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი *2. ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტი*	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფ., ეკონ. მეცნ. დოქტ. **ე. მექვაბიშვილი**	+
	3. სამართლის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **ლ. ალექსიძე**	+
	4. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **გ. თევზაძე** ანგარიში არ შეფასდა არასრულყოფილების გამო (განყოფილების საერთო კრების დადგენილება №9, 21.05.2013)	**x**

1	2	3	4	5
5.	**პედაგოგიური ფა-კულტეტი**			
	1. პედაგოგიკის დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ი. იმედაძე**	+
	2. სწავლების მეთოდიკის დეპარტამენტი			
	ა) მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. აკად. დოქტ. **ხ. რუხაია**	+
	ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მიმართულება	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული** ანგარიში არ შეფასდა არასრულყოფილების გამო (განყოფილების საერთო კრების დადგენილება №6, 5.06.2013)	**x**
6.	**ჯანდაცვის ფაკულტეტი**			
	1. სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტი გ.შელიას ნაშრომი „ცნობარი ბებიაქალებისათვის“	მედიცინის განყოფილება	საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+

1	2	3	4	5
	2. სტომატოლოგიისა და ფარმაციის დეპარტამენტი ნ. აბულაძის პუბლიკაციები	მედიცინის განყოფილება	საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+
7.	**საინჟინრო-ტექნიკური და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტები** *1. მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტი* *2. ტრანსპორტის მიმართულება* *3. მშენებლობის მიმართულება* *4. მექანიკა-მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი* *5. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტი* *6. გამოყენებითი დიზაინის, ტექსტილისა და მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგიის დეპარტამენტი*	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. გოგიჩაიშვილი**	+

1	2	3	4	5
	7. კვების პროდუქტების ტექნოლოგიების დეპარტამენტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **მ. გორდეზიანი**	+
	8. ქიმიური ტექნოლოგიის დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **შ. სამსონია**	+

5. ა(ა)იპ – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1	2	3	4	5
1.	**განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. მათემატიკის დეპარტამენტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სსთ, გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების გამგე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **თ. ქადეიშვილი**	+
	2. ფიზიკის დეპარტამენტი	– “ –	სტუ-ის სრული პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **ა. გერასიმოვი**	+
	3. გეოგრაფიის დეპარტამენტი	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის განყოფილების ხელმძ., გეოგრ. დოქტ. **გ. ლომინაძე**	+
	4. ქიმიის დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **გ. ცინცაძე**	+

1	2	3	4	5
	5. ბიოლოგიის დეპარტამენტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. ნახუცრიშვილი**	+
	6. ფილოსოფიის დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **გ. თევზაძე**	+
	7. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ. **ა. დაუშვილი**	+
	8. პედაგოგიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. ჩარკვიანი**	+
	9. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **გ. კვარაცხელია**	+
	10. ევროპეისტიკის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **გ. კვარაცხელია**	+
	11. სლავისტიკის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **გ. კვარაცხელია**	+
	12. კლინიკური თერაპიის დეპარტამენტი	მედიცინის განყოფილება	საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+

1	2	3	4	5
	13. კლინიკური ქირურგიის დეპარტამენტი	მედიცინის განყოფილება	საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+
	14. საბაზისო მედიცინის დეპარტამენტი	– “ –	საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+
	15. სტომატოლოგიის დეპარტამენტი	– “ –	საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+
	16. ფარმაცევტულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	– “ –	საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+

1	2	3	4	5
2.	**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი**			
	1. იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **ლ. ალექსიძე**	+
	2. ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძ., პროფ. **ი. ანანიაშვილი**	+
	3. სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი			
	1) ფსიქოლოგიის მიმართულება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. ჩარკვიანი**	+
	2) საერთაშორისო ურთიერთობა, ევროპისმცოდნეობა	– “ –	თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძ., პროფ. **ი. ანანიაშვილი** ანგარიში არ შეფასდა არასრულყოფილების გამო (განყოფილების საერთო კრების დადგენილება №9, 21.05.2013)	**x**

1	2	3	4	5
	4. ფინანსების, აღრიცხვისა და აუდიტის დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძ., პროფ. **ი. ანანიაშვილი**	+
3.	**ტურიზმის ფაკულტეტი**			
	1. ტურიზმის დეპარტამენტი	– “ –	თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძ., პროფ. **ი. ანანიაშვილი**	+
4.	**აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტი**			
	1. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. გოგიჩაიშვილი**	+
	2. ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტი	– “ –	აკად. წევრ-კორ. **გ. გოგიჩაიშვილი**	+
	3. ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ვ. ციციშვილი**	+

1	2	3	4	5
	4 აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ვ. პაპუნიძე**	+
	5. აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი	– “ –	1) სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტ. **ზ. მანველიძე** 2) საქ. სოფლ. მეურნ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორ. **გ. პაპუნიძე** 3) ბათუმის ბოტანიკური ბაღის მთ. სპეციალისტი, სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდ. **ნ.ლეონიძე**	+ + +
	ინსტიტუტები			
1.	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. ლორთქიფანიძე**	+
2.	ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **გ. ნახუცრიშვილი**	+
3.	აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო ინსტიტუტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ვ. პაპუნიძე**	+

6. ა(ა)იპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1	2	3	4	5
1.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. ქართული ენის მიმართულება 2. ქართული ლიტერატურის მიმართულება 3. გერმანული ენისა და ლიტერატურის მიმართულება 4. ინგლისური ენისა და ლიტერატურის მიმართულება 5. რუსული ენისა და ლიტერატურის მიმართულება 6. ფრანგული ფილოლოგიის მიმართულება	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ი. მელიქიშვილი**	+
	7. არქეოლოგიის მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **გ. ფხაკაძე**	+
	8. ისტორიის მიმართულება	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. ვაჩნაძე**	+

1	2	3	4	5
	9. თურქოლოგიის მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ნ. ვაჩნაძე**	+
2.	**მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. წმინდა მათემატიკის მიმართულება 2. გამოყენებითი მათემატიკის მიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის პროფ., ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. **რ. გრიგოლია**	+
3.	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი**			
	1. ეკოლოგიის მიმართულება 2. გეოგრაფიის მიმართულება	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების გამგე, გეოგრ. დოქტ. **ვ. ნეიძე**	+
	3. ბიოლოგიის მიმართულება	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ი. ელიავა**	+
	4. ქიმიის მიმართულება	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ვ. ციციშვილი**	+

1	2	3	4	5
	5. ფარმაციის მიმართულება	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	აკად. **ე. ქემერტელიძე** ანგარიში არ შეფასდა არასრულყოფილების გამო (განყოფილების საერთო კრების დადგენილება №5, 15.05.2013)	**x**
	6. ფიზიკის მიმართულება	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **თ. ჭელიძე** ანგარიში არ შეფასდა არასრულყოფილების გამო (განყოფილების საერთო კრების დადგენილება №1, 21.05.2013)	**x**
4.	**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**			
	1. ეკონომიკის მიმართულება 2. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის სრული პროფ., ეკონ. მეცნ. დოქტ. **ი. მესხია**	+
5.	**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**			
	1. სოციოლოგიის მიმართულება	– “ –	აკად. **გ. თევზაძე**	+
	2. პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულება	– “ –	აკად. **გ. თევზაძე**	+

1	2	3	4	5
	3. ფსიქოლოგიის მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **დ. ჩარკვიანი**	+
	4. სისხლის სამართლის, საერთაშორისო სამართლის, საჯარო სამართლის მიმართულებები (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტები)	– “ –	აკად. **ლ. ალექსიძე**	+
6.	**განათლების ფაკულტეტი**			
	1. სწავლების მეთოდიკის მიმართულება	– “ –	აკად. წევრ-კორ. **დ. ჩარკვიანი**	+
	ა) მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მიმართულება	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	თსუ-ის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის გამგე **ხ. რუხაია**	+
	ბ) ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მიმართულება	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ა. არაბული** ანგარიში არ შეფასდა არასრულყოფილების გამო (განყოფილების საერთო კრების დადგენილება №6, 5.06.2013)	**x**

1	2	3	4	5
	2. პედაგოგიკის მიმართულება 3. მეთოდიკის მიმართულება 4. განათლების ფსიქოლოგიის მიმართულება 5. განათლების სოციოლოგიის მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ი. იმედაძე**	+

7. ა(ა)იპ – იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1	2	3	4	5
1.	**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლა**			
	1. ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	თსუ-ის სრული პროფ., ეკონ.მეცნ. დოქტ. **ი. მესხია**	+
	2. სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი	– “ –	აკად. **გ. თევზაძე**	–
2.	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა**			
	1. ისტორიის დეპარტამენტი	– “ –	ისტ. მეცნ. დოქტ. **ა. დაუშვილი**	+
	2. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **მ. შანიძე**	+
	3. უცხო ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის დეპარტამენტი	– “ –	აკად. **მ. შანიძე**	–

1	2	3	4	5
3.	**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და აგრარულ მეცნიერებათა სკოლები**			
	1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **თ. ბერიძე**	+
	2. სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტი			
	ა) ეკოლოგიისა და გეოგრაფიის მიმართულება	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. აკად. დოქტ. **თ. ცინცაძე**	+
	3. ჯანდაცვის დეპარტამენტი	მედიცინის განყოფილება	საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. **რ. გაგუა**	+

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1	2	3	4	5
1.	სსიპ – სოხუმის ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი	მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	აკად. **გ. ჩაგელიშვილი**	+
2.	სსიპ – მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი	– “ –	აკად. **გ. ჯაფარიძე**	+
3.	სსიპ – ინსტიტუტი „ოპტიკა“ (2 სამეცნიერო მიმართულება)	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	აკად. **ე. მეძმარიაშვილი**	+
4.	სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	– “ –	აკად. **ე. მეძმარიაშვილი**	+
5.	სსიპ – რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	– “ –	აკად. **ე. მეძმარიაშვილი**	+

1	2	3	4	5
6.	სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, ტექნ. მეცნ. დოქტ., სრული პროფ. **ნ. წერეთელი** სტუ-ის მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის სრული პროფ., ტექნ. მეცნ. დოქტ. **მ. ოქროსაშვილი**	+

9. სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
1.	ბიოფიზიკის განყოფილება, გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის და ბიოინფორმატიკის ლაბორატორიები	ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. **გ. კვესიტაძე**	+
2.	ნევროლოგიის ლაბორატორია	მედიცინის განყოფილება	აკად. **რ. შაქარიშვილი**	+
3.	ფიზიოლოგიის მიმართულება	ფიზიოლოგიის განყოფილება	თსუ-ის ასოც.პროფ., ბიოლ. მეცნ. დოქტ. **ს. ცაგარელი**	+
4.	რადიობიოლოგიის განყოფილება	– “ –	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სოფლ. მეურნ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი **ზ. ჩანქსელიანი**	+

10. სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
	1. არქეოლოგია-ისტორიის სამეცნიერო მიმართულება	საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	ისტ. მეცნ. დოქტ. **გ. ფხაკაძე**	+

11. სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
		ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	აკად. **რ. გორდეზიანი**	+

12. სსიპ – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
		საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ლ. მელიქიშვილი**	+

13. ა(ა)იპ – საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

№	სამეცნიერო დაწესებულება და მისი ქვედანაყოფები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება	ექსპერტი	დასკვნა დადებ(+) უარყ.(-) არ შეფასდა (x)
		ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	აკად. წევრ-კორ. **ნ. ალექსიძე**	+

სამეცნიერო ანგარიშების შეფასების ჯამური შედეგები

დანართი 2

№	სამეცნიერო დაწესებულება	სულ	დადებითი	ნაწილობრივი	არ შეფასდა
1.	ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	84	83	–	1
2.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	32	32	–	–
3.	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	4	4	–	–
4.	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	23	20	1	2
5.	შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	32	31	–	1
6.	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	19	16	–	3
7.	იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	8	6	2	–
8.	სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“				
	ა) სოხუმის ი.ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტ. .	1	1	–	–
	ბ) მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი .	1	1	–	–
	გ) ინსტიტუტი „ოპტიკა“	1	1	–	–
	დ) გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი . .	1	1	–	–
	ე) რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	1	1	–	–
	ვ) ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	1	1	–	–
9.	ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	4	4	–	–
10.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	1	1	–	–
11.	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	1	1	–	–
12.	გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი	1	1	–	–
13.	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი	1	1	–	–
	ჯამი	216	206	3	7

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის საერთო კრება. 9
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიური საბჭო. 16
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი. 25
შეხვედრები, იუბილეები, პრეზენტაციები,
ჯილდოები, გამოფენები. 30
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები 33
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება . . . 33
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა
განყოფილება 66
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლო-
ბის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების
განყოფილება. 79
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების
განყოფილება 108
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება . . . 139
ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება 155
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
განყოფილება 194
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება 222
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების
განყოფილება 264
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ
აკადემიასთან არსებული სტრუქტურული
ერთეულები, კომისიები, რედაქციები 284
საორგანიზაციო საქმიანობა 308
სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო
და სამეცნიერო დაწესებულებების 2012 წლის
სამეცნიერო საქმიანობის შეფასება (დანართი 1) 319

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სტამბა
თბილისი – 2014
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press
Tbilisi – 2014
52, Rustaveli Ave.